[...]ართველო ბეჭ[...] და თბილისი – [...] ბადახში
www.tbiliselebi.ge
№44 [...] 3 ნოემბერი [...] ფასი 1,50 ლარი



რით აღაფრთოვანა ფრიდა კალომ ბიჭოლა და ბიჭოლას ჩვენებაზე ვისი მისვლა იყო ბომბის გახეთქვის ტოლფასი

გვ. 74

რა ეპოქა დაასრულა შორენა ბეგაშვილმა და რისი პრეზიდენტი ხდება ის

გვ. 70

გვ. 75

რატომ ასრულებს ზურა ბალანჩივაძე ოპერაში მამაკაცის პარტიებს სიმღერით, ხოლო ქალისას – სტვენით

ISSN 1987-569X
9 771987 569002

გვ. 19



ვის პატრონობს ყველგან დიმა კობეშავიძე და რატომ აქვს მას ცოტა მობერებული ხასიათი

გვ. 18



რატომ ცხოვრობს ნიაზ დიასამიძის ბებია საფრანგეთში და რა აკავშირებს მას გიორგი მარგველაშვილთან

გვ. 14



რატომ არ დაამთხვია ანი მიროტაძემ ქორწილი ახალი პრეზიდენტის არჩევას და რას ანდობს ის პაპა შარტავას

გვ. 26



ვის შურდა ლას-ვეგასში გურამ გუგენიშვილის და ვინ ამოუგდო მას განზრახ ხელი

# იღბლიან კვირას გისურვებთ!

ტურისტული კომპანია „საქართველო“

ტურისტული სააგენტო საქართველო

აწყობს აქციას საქართველოს მოსახლეობისთვის: ყოველ შაბათ-კვირას ტურისტული კომპანია „საქართველო“ გთავაზობთ ერთდღიან ტურებს ქართლისა და კახეთის მიმართულებით, სადაც შეგიძლიათ, იმოგზაუროთ და მოინახულოთ საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები. ტურის ღირებულება შეადგენს 20 ლარს. ტური ჩატარდება ნებისმიერი ამინდის პირობებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ტელ.: *18 18, ან, გვეწვიოთ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე: ტურისტული კომპანია „საქართველო“

# სარჩევი


როგორ ემზადება მსოფლიო ახალი ომისთვის არქტიკის მოსაპოვებლად და ვის შეხვდება არქტიკის ფსკერზე არსებული ნავთობის, ალმასისა და ოქროს მარაგები ........ 6

რატომ შეიძლება, აღმოჩნდეს ხუდონჰესი რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში და რა საერთო მიზნის მისაღწევად მოქმედებენ თურქეთი, ირანი და რუსეთი ........ 8

რა სესხები აქვს აღებული გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს და რა დაუჯდა მათი მომსახურება გასულ წელს ........ 9

რატომ იბადება ომების შემდეგ გოგონებთან შედარებით უფრო მეტი ვაჟი და რატომ აჭარბებს ხოლმე საქართველოში დაბადებულთა შორის ბიჭები გოგონებს ........ 10

პრეზიდენტებისთვის გადაცემული ყველაზე უცნაური საჩუქრები ........ 12

რომელი მილიარდერი იპარავს რესტორნებიდან სამარილეებს და რომელი მილიარდერის ინიციატივით გაიხსნა სპერმის მიმღები ბანკი ნობელის ლაურეატებისთვის ........ 13

რაში არ ენანება დროის ხარჯვა გურამ ოდიშარიას და კომპანია „რადიო საქართველოს“ რა წამოწყებას მიესალმება რუსა მორჩილაძე ........ 15

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

ინტიმური საუბრები ........ 17

არსებობს თუ არა კაცის ღალატის დასადგენი ტესტი და აქვს თუ არა პატიებას ხანდაზმულობა ........ 20

როგორ დაკარგეს ერთმანეთი ნათესავებმა და ვინ ეძებს ნათლიას რუსეთიდან საქართველოში ........ 21

რატომ იყო ექვსი თვის განმავლობაში „ჯექსონის შოუს“ დეტალები ყველასთვის გასაიდუმლოებული და როგორ მიიწვიეს ამ შოუში მსოფლიოში ცნობილ მოცეკვავეებთან ერთად ლევან ტორჩინავა ........ 22

თბილისის რომელ მეჩეთს უწოდებდნენ „ცისფერ მეჩეთს“, რამდენჯერ განიცადა რეკონსტრუქცია აბო თბილელის ნიშამ და რომელი ეკლესიის ადგილასააშენეს კომუნისტებმა საზოგადოებრივი ტუალეტი ........ 23

როგორ უნდა ებრძოლოს ადამიანი საპირისპირო სქესის მიმართ გაჩენილ ვნებებს და რატომ იყრის თავს მის გულში ყველანაირი მანკიერება ........ 24

ვის შურდა ლას-ვეგასში გურამ გუგენიშვილის და ვინ ამოუგდო მას განზრახ ხელი ........ 26

ექიმის რჩევები ........ 29

როდის გამოჩნდნენ პირველად კახი კავსაძე და რობიკო სტურუა და რატომ ესროლა სერგო ზაქარიაძემ სტურუას რკინის ნივთი ........ 30

როდის იქმნება სახლში დეპრესიული გარემო და როგორ მივხვდეთ, ცხოვრებაში როდის დგება კარმულად აღმავალი და დაღმავალი პერიოდები ........ 32

რომელი პრესტიჟული უნივერსიტეტი მიატოვა მეთ დეიმონმა და რამდენი წლის ასაკში გაიცნო მან ბენ აფლეკი ........ 34

ვისი ძალისხმევით გაიცნეს იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ ერთმანეთი ........ 35

როგორ გავიგოთ ადამიანის ხასიათი მისი დაბადების რიცხვისა და დღის მეშვეობით ........ 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ........ 45

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 47

მრავალმხრივ განათლებული ქართველი ბოროტმოქმედი, მეტსახელად „პროფესორა“ „კაგებეს“ ჯაშუშის პოვნაში დაეხმარა ........ 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ........ 51

ფლორის სამყაროში ........ 56

რატომ გაიტაცეს ხელმოცარულმა ყაჩაღებმა სახლიდან ხალიჩა და როგორ დააკავეს ისინი მოპარული ცხენით ........ 57

ქურდული ცხოვრება ........ 58

სერიული მანიაკები ........ 66

რატომ იყო გერმანია დაინტერესებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით ........ 72

# მომენატრები!

## კანფეტების, ყველისა და ყვავის რისხვა

გარდაუვალ კანონზომიერებას – **„წყალნი წავლენ და წამოვლენო“ – ვერც რფ-ის „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელი გადაურჩა.** ქართული **ღვინისა და მინერალური წყლების**, ლიტვური **ყველის**, ბელორუსული **რძის პროდუქტების**, უკრაინული **კანფეტებისა და მრავალ სხვა პროდუქტთა რისხვა გენადი ონიშენკოს** ამ წელს 63 წელიც შეუსრულდა და **თავის პოსტზე ყოფნის უფლებამოსილების ვადაც ამოეწურა.** თავად **აწ უკვე ჩამოლაბორანტებული, კომენტარს არ აკეთებს, თუმცა, მის „საქმეთა ჩამონათვალი“ უსასრულოა.**

მეორე მხრივ, **ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში** (ცნობისთვის: ის რფ-ის მთავარი სანიტარული ექიმის პოსტს 1996 წლიდან იკავებს, „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელის კი – 2004-დან) **ის არაერთი უცნაური გამონათქვამისა და ინიციატივის ავტორია.**



კერძოდ, **საჭესთან კეფირის მირთმევის აკრძალვას ითხოვდა** და **თანამოქალაქეებს სუშის ჭამაზე უარის თქმისკენაც მოუწოდებდა.**

**ყვავების განადგურების კატეგორიული მომხრე იყო** (მომყავს ციტატა: „ყვავები ბუმბულიანი მღრღნელები არიან და ისინი დაუნდობლად უნდა ამოვწყვიტოთ“) და **რეკომენდაციას გასცემდა, თავი შეეკავებინათ მიტინგების ჩატარებისგან, რადგან, ეს თავშეყრა დაავადებათა რისკს ზრდიდა.**

ჩვენ არ ვიცით, **როგორ იმოქმედებს** ბ-ნი **ონიშენკოს წასვლა იქ, სადაც,** როგორც ოკუპანტები იტყობდნენ – **„რაკი ზიმუიუტ“** (ცხადია, „რაკში“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პენსიონერი იგულისხმება) თავის დროზე მის მიერვე არაერთგზის დაწუნებული ქართული პროდუქციის ბედზე რუსულ ბაზარზე, მაგრამ, **თუ მის ორიგინალურ იდეებს გავიხსენებთ, პირადად მე, მომენატრება ოხერი!**

# „რაც ევროსაბჭოში წაგილო“

## ანუ, სად გავარდა დემოკრატია?!

მიუხედავად იმისა, რომ **არაერთგზის ნაჩინოვნიკარი და კვლავაც მოქმედია:** თბილისის მერობით დაწყებული, ჯანდაცვის მინისტრობაზე გამავალი და კახეთის გუბერნატორობით დამთავრებული, **იმას გარდა, რომ თვით ევროსაბჭოშიც იღვწოდა, საყველპურო უცენზურო სიტყვებით საჯაროდ თამაშს ვერა და ვერ გადაეჩვია.**



თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, შევნიშნოთ, რომ ბ-ნი **ჭიაბერაშვილი ქართველი ჩინოვნიკის მეტყველებაში უწმაწურად შეკურთხების დამკვიდრების საქმეში ერთ-ერთი პიონერია** (ჯერ კიდევ თბილისის მერობისას შეუკურთხა ამომრჩევლის ნაწილს ტელეკამერების თანხლებით).

შესაბამისად, **სავსებით ბუნებრივად აღსაქმელი იყო, როდესაც კახეთის გუბერნატორმა სასამართლო პროცესზე პროკურორს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა,** ერთი ისაა, რომ **მოსამართლისგან** (ქ-ნი ნათია ბარბაქაძე) **ოდენ შენიშვნა დაიმსახურა (სად გავარდა დემოკრატია?!)**

რაკი **კახეთის გუბერნატორმა პროკურორ ნათია სონღულაშვილს „ნაბიჭვარი“ უწოდა,** ცხადია, **ჩვენ ვერ მოვუწონებთ ევროსაბჭომოვლილ ჩინოვნიკს ლექსიკის ასეთ დაბინძურებას,** სამაგიეროდ, **უკვე ვიცით, რომ, რაგინდ ბევრი თანამდებობა მოიარო,** როგორც აშული იტყოდა: **„გოგრა ვერ გახდება შირაზის ვარდი“** (ყოველი შემთხვევისთვის, განვმარტავ, რომ ეს ციტატაა და „გოგრა“ მოხმობილია გადატანითი მნიშვნელობით)

# EPP-ს რჩეული

## ანუ, „ნაწუწნ კანფეტს დაამსგავსეს“

მილანის სასამართლომ **იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო თანამდებობების დაკავება აუკრძალა,** რამეთუ, ბ-ნ **ბერლუსკონის ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა დაუდასტურდა.**

შესაბამისად, უახლოეს ხანში **სენატმა მწვანე შუქი უნდა აუნთოს სპეციკომისიის გადაწყვეტილებას** და **სილვიო ბერლუსკონის სენატორის უფლებამოსილება მოუხსნას.** იტალიის კანონმდებლის მიერ 2012 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, **პირებს, რომლებსაც სასამართლოს მიერ 2 წელზე მეტი აქვთ მისჯილი, ეკრძალებათ სახელმწიფო თანამდებობების დაკავება.**



ხოლო, რადგან ბ-ნ **ბერლუსკონის სასამართლომ თავდაპირველად 4 წლით აღუკვეთა თავისუფლება,** იმის მიუხედავადაც, რომ მასზე ავტომატურად გავრცელდა 2006 წლის შეწყალების აქტი, რამაც სასჯელი ერთ წლამდე შეუმცირა, **სენატორობასაც უნდა გამოემშვიდობონ.**

ერთი ისაა, რომ **ყოფილ პრემიერ-მინისტრს, შესაძლოა, პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალონ,** ან, სულაც, შეიწყალონ. თუმცა, როგორც თავად ბერლუსკონი შენიშნავს, მას **55 ღამეა, არ უძინია და 11 კილოგრამიც დაიკლო** („კაცი ნაწუწნ კანფეტს დაამსგავსეს“), თუმცა **ეს ფაქტი სრულიადაც არ აღელვებს „ევროპის სახალხო პარტიას“** (EPP) – მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი **ლამის ტანზე იხევს, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის,** სხვათა შორის, ასევე, **ფინანსური მაქინაციების მიზეზით დაკავების გამო** და **ამაზე ნაკლებად არც მის წონაში დაკლების ფაქტს განიცდის.**



შესაბამისად, იბადება რიტორიკული კითხვა: **რატომ აღელვებს EPP-ს ბ-ნი მერაბიშვილის წონა და რატომ არის გულგრილი ბ-ნი ბერლუსკონის ანალოგიური მაჩვენებლისადმი**?!


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ზური ქავთარაძე, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# უცხოპლანეტელი

**თუმცა ბევრი არ დარჩენია** (საპრეზიდენტო პოსტზე, რასაკვირველია), **ჩვეულებისამებრ, ჰიპერაქტიურია**: აქეთ – **თურქეთის მოქალაქეებს აძლევს ორმაგ მოქალაქეობას** (სულ ბოლოს ჩვენი მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის 1 088 მოქალაქეს გაუნაღდა საქართველოს მოქალაქეობა, და მერე რა, რომ იუსტიციის სამინისტრო იუწყება, კანონით გათვალისწინებული პროცედურების გვერდის ავ-



ლითო?!); იქით – **პირობითი მსჯავრი და ნასამართლეობა მოუხსნა 18 000 პირს** (ისეთ **პროზაულ მომენტებზე აღარ შევჩერდები, როგორიცაა, მე და ივანიშვილი სხვადასხვა პლანეტიდან ვართო**), ამ პროცესში თვით, წესითა და რიგით, გასაიდუმლოებულ ინფორმაციასაც გადასწვდა.

**პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა ვიდეომასალა, რომელზეც ჩვენი პირველი პირი და მთავარსარდალი თავდაცვით ზღუდესთან** იდგა **და სამწყსოს**, ანუ, ერსა და ბერს, **გვამცნობდა, რომ „მთავრობამ თბილისის გარშემო თავდაცვითი ზღუ-**

## „ტანკისტი ვიყავი – ომამდე“

**დის მშენებლობა შეაჩერა.“** ოღონდ, **იქვე განმარტა, რომ, რაკი მტერმა უკვე იცის** ამ თავდაცვის ზღუდის **კოორდინატები, დამალვას აზრი არ აქვს** (მართლაცდა, ვითომ რად უნდა დამალოს ჭეშმარიტმა დემოკრატმა მმართველმა, თუნდაც, თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებული საკითხები?!).

შესაბამისად, დაასკვნა, რომ **„ეს** („ეს“ – განა ამის თქმა, სამუშაოების შეჩერება) **არის საქართველოს უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი მავნებლური ქმედება და ამის შესახებ ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს**“.

სამუშაოების შეჩერების მოტივი კი შემდეგნაირად ახსნა: „შეჩერებული სამუშაოების შესახებ ვესაუბრე გენშტაბის ოფიცრებს და, მათი თქმით, მთავრობაში აუხსნეს, რომ **ამ ნაგებობების მშენებლობით ჩვენ ვაღიზიანებთ და პროვოკაციებს ვუწყობთ რუსებს**.“

თავის მხრივ, ხალხის **რჩეულმა** ბ-ნმა **კანდელაკმა დაამატა**, რომ **2008 წელს რფ-ის ტანკები თბილისისკენ სწორედ იმიტომ არ წამოვიდნენ, თავდაცვის ზღუდეებს დაუფრთხნენო.**

ჩვენ **არ შევჩერდებით იმის განსასჯელად, უნდა გაემჟღავნებინა თუ არა მთავარსარდალს ზემომოყვანილი ინფორმაცია**, თუმცა, თუ სპეციალისტებს ვერწმუნებით, **მთავარსარდლის ბრძანების გარეშე მშენებლობას ვერავინ შეაჩერებდაო**. ხოლო, **თუ თანამედროვე ომების ტექნიკურ უზრუნველყოფას გავიხსენებთ**, **მეორე მსოფლიო ომში ჩარჩენილების შთაბეჭდილებას უნდა ვტოვებდეთ.**

# „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“

## ანუ, გაყიდე – იყიდე

2012 წლის 1 ოქტომბრამდე **პრეზიდენტი** მიხეილ **სააკაშვილი რეგიონებში საავადმყოფოდან საავადმყოფოში დადიოდა** იმის **საჩვენებლად, თუ როგორ ყვავის ჯანდაცვის სფერო** და **კბილების როგორი კაწკაწით ელიან ულტრათანამედროვე კლინიკები ავადმყოფებს** (ისიც გემახსოვრებათ, პრეზიდენტმა ჩაცმულ-დახურული პაციენტი რომ მოინახულა პალატაში) მაშინდელი მოარული ხმებით, ერთი და იგივე სამედიცინო აპარატურა კლინიკიდან კლინიკაში გადაჰქონდათ მაყურებელზე მეტი და წარუშლელი შთაბეჭდილების მოსახდენად.



ასე იყო თუ ისე, ამის პარალელურად, **თითქმის ყველა საავადმყოფო ინვესტორებს გადაეცათ,** თუმცა, **ამჟამად გაირკვა, რომ ინვესტორებისთვის გადაცემულ საავადმყოფოებში ერთობ რთული ვითარებაა.** ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, ინვესტორებთან გაფორმებული **ხელშეკრულებები კაბალურია**, რაც **რთული დასაჯერებელი არ არის** იმ მარტივი მიზეზით, რომ **აქამომდე ყველაფერი სწორედ ინვესტორების ბედნიერებას იყო მორგებული.**

ჰოდა, **სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ გაყიდული კლინიკები უკან დაიბრუნოს,** ხოლო, სანამ ცვლილებები დედაქალაქში მდებარე მსხვილ კლინიკებს შეეხება, სახელმწიფო მართვაში მაღალმთიან რეგიონებში მდებარე არამომგებიანი კლინიკები გადავა.

თუ გავიხსენებთ, რომ **ჯანდაცვის რეფორმა ჯერ კიდევ ედ. შევარდნაძის ეპოქაში დაიწყო**, მიხეილ **სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში კიდევ თავიდან გატარდა** და **ახლა კვლავაც თავიდანაა გასატარებელი** და, ზედაც, დავამატებთ, რომ ეს უკანასკნელი ინვესტორებისგან კლინიკების გამოსყიდვასაც გულისხმობს („**იყიდე, გაყიდე, ქარვასლაა?!**“), **ჩვენი ჯანდაცვის რეფორმის პათოსი კვლავ კლასიკურია**: „**ჯერ** დაიხოცნენ (ჯერ **გაყიდეს**), **მერე** იქორწინეს (**დაიბრუნეს**).

**მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# ჯაყუკას ფიქრები

## ზენაარის მიერ დასალახვრები

მართალია, **ამ ჩვენმა „იუჟნაია ოსეტიამ“ ისეთი ნანინანატრი „დამოუკიდებლობა“ მიიღო** თავისი **ერთადერთი პარტნიორის, რფ-სგან, რომ**, როგორც ბ-ნი მალაშენკო ამბობს, მთელი **ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა აწ უკვე მოსკოვის ერთ-ერთ მომცრო ქუჩას თუ აითვისებს,** მაგრამ, **ეს მხარეებს** (ოკუპანტებსა და სეპარატისტებს) **ხელს ვერ უშლის, რომ „საზღვრის დემარკაციადელიმიტაციის“ სამუშაოები დაიწყონ**.

ხოლო, **რაკი შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე მოამზადეს** (პრინციპით: „სამ ტანცუეტ, სამ პოიოტ“), **„საზღვრის“ გავლებაც დაიწყეს**. იმდენიც კი **მოახერხეს, რომ,** ცოცხლების საკუთრებას ვინ ჩივის, **სასაფლაოც კი „თავიანთ“ ტერიტორიაზე მოიქციეს.**

რადგან **მავთულხლართებს ვერაფერი აჩერებს, დვანში ეკლესიის აშენება გადაწყდა**, თუმცა **ერთ-ერთმა ჯაყუკამ** – „იუჟნაია ოსეტიის“ „ხელისუფლების“ წარმომადგენელმა, მავანმა გაგლოევმა, **განაცხადა, დვანში ეკლესია არ აშენდება და არც „საზღვრის“ დარღვევა მოხდებაო.**

მიუხედავად იმისა, რომ **სასულიერო პირებმა და ჩოხოსნებმა ჯვარი ეგრეთ წოდებული „საზღვრისგან“ ორი მეტრის მოშორებით აღმართეს, ჯაყუკა გაგლოევი მომხდარს შემდეგნაირად აფასებს** (მოვიხმობ ციტატას): „**სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადამიანთა გაურკვეველი ჯგუფი შემოვიდა**, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში იყვნენ და **ჯვრის სახით ხის მოწყობილობა დააყენეს**. ჩვენი აზრით, **ეს ულამაზოა.** ეჭვი არ გვეპარება, რომ, ადამიანებს, რომელთაც ეს ქმედება ჩაიდინეს, პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდათ. **არანაირი რელიგიური და ზნეობრივი მოტივაცია ამაში არ ყოფილა**“.

ბუნებრივია, ჩვენ **გაგვიჭირდება იმის წინასწარმეტყველება, ახდება თუ არა ვინმე გაგლოევის სიტყვები** (პათოსით: ეკლესია არა



– კვახიო), თუმცა, **ამ ჩვენებურმა აღიარებულებმა და მათმა ამღიარებლებმა ისე გაუტიეს**, რომ, წესითა და რიგით, **ზენაარმა** ჩვენი და ჩვენი პარტნიორების ჩარევის გარეშეც **უნდა დალახვროს**.

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან



ზარი ფასიანია

**გლობალურმა დათბობამ, იმას გარდა, რომ ის ჩვენს არსებობას აყენებს ეჭვქვეშ, დედამიწაზე კიდევ ერთი ცხელი წერტილი გააჩინა. კერძოდ, არქტიკაში ყინულის დაჩქარებული ტემპით დნობამ არქტიკის ზონასთან მდებარე სახელმწიფოებს მისი ათვისების სურვილი გაუღვიძა. ამ წელს არქტიკის გავლით ევროპიდან აზიისკენ მიმავალი უმოკლესი საზღვაო გზა ყინულის სქელი საფარისგან გათავისუფლდა. უკანასკნელი კვლევების თანახმად, არქტიკაში ყინული ნავარაუდევზე სამჯერ სწრაფად დნება, ამიტომაც აშშ-მა, რფ-მ, კანადამ, დანიამ, ისლანდიამ, ნორვეგიამ, ფინეთმა და შვედეთმა, ქვეყნებმა, რომლებიც არქტიკულ ტერიტორიებს ფლობენ, თადარიგი დაიჭირეს და ჩრდილოეთ პოლუსის მისადგომებთან თავიანთი სამხედრო ძალები გაააქტიურეს. მათი ეს რეაქცია ბუნებრივია, რადგან არქტიკის მხოლოდ დაზვერილ წყალქვეშა სივრცეში (ის კი საერთო ფართობის მხოლოდ 5 პროცენტია), მაგალითად, ნავთობის მსოფლიო მარაგის მეოთხედია, ოქროს, ალმასის, პლატინისა თუ იშვიათი ელემენტების ჩათვლით.**

**მართალია, არქტიკის ყველა მოსაზღვრე ქვეყანა აქტიურობს, მაგრამ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა მოახერხა და მსოფლიო მედიის ყურადღება მიიქცია. კერძოდ, მიმდინარე წლის 18 სექტემბერს „გრინფისის" აქტივისტები, ეკოლოგების საერთაშორისო ჯგუფი არქტიკულ შელფზე (პეჩორის ზღვაში), ნავთობის მოპოვების გამო, პროტესტის გამოხატვას შეეცადა. მაგრამ მათი ყინულმჭრელი Arctic რუსეთის სასაზღვრო ძალების სპეცრაზმმა შტურმით აიღო. რფ-ის საგამოძიებო ორგანოებმა კი „გრინფისელი" აქტვისტების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მეკობრეობის მუხლით აღძრა (ლაპარაკია 18 ქვეყნის 30 მოქალაქეზე) და მათ 10-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. მეორე მხრივ, პრ. პუტინი საჯაროდ აღიარებს, რომ არ სჯერა აქტივისტების მეკობრეობის, მაგრამ რაკი, მისი თქმით, მათ საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვიეს, უნდა წარდგნენ კიდეც მართლმსაჯულების წინაშე. ბუნებრივია, „გრინფისი" არ ეთანხმება ბრალდებას და ირწმუნება, რომ მათ აქტივისტებს რუსეთის ტერიტორიული წყლები არ დაურღვევიათ და მხოლოდ ბანერის გაკვრას აპირებდნენ არქტიკის ეკოლოგიური პრობლემებისადმი ყურადღების მისაპყრობად. ჩვენ არ ვიცით, როგორ მორიგდებიან რფ და „გრინფისი", მანამდე კი პოლიტოლოგ აბრაამ შმულევიჩთან ერთად მიმოვიხილავთ არქტიკაში ყინულის ლღობის როლს მესამე მსოფლიო ომის დაწყებაში.**

# როგორ ემზადება მსოფლიო ახალი ომისთვის არქტიკის მოსაპოვებლად და ვის შეხვდება არქტიკის ფსკერზე არსებული ნავთობის, ალმასისა და ოქროს მარაგები

**– რა სამართლებრივი მდგომარეობაა დღეს არქტიკაში?**

– არქტიკა დედამიწის ერთადერთი ნაწილია, სადაც საკუთრების უფლება არ რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით. არ არსებობს მკვეთრი კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ვიტყოდით, არქტიკის ვის რა ნაწილი ეკუთვნის. როდესაც არქტიკული თამაში დაიწყო, ყველა ქვეყანამ თავისკენ დაიწყო გადაქაჩვა და ამან სამართლებრივი ვითარება კიდევ უფრო გაურკვეველი გახადა. არადა, არქტიკული ტერიტორია ძალიან დიდ სიმდიდრეებს მოიცავს და დღეს იქ სიტუაცია, დაახლოებით, ისეთივეა, როგორიც მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში იყო აფრიკაში, როდესაც კოლონიური დაყოფა დაიწყო და წესები თამაშის პროცესში ჩამოყალიბდა. აქაც, საბოლოოდ, მას ჩამოაყალიბებს ის, ვინც ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება.

**– და თქვენი აზრით, ვინ აღმოჩნდება ყველაზე ძლიერი. რაღაც რუსეთი თითქოს ყველაზე მეტად აქტიურობს. ბურღვაც დაიწყო?**

– ჩინეთიც კი ჩაერთო ამ დოღში, სხვათა შორის, სამხრეთ პოლუსზე, ანტარქტიდაზე, უშვებს თავის ექსპედიციას. ასევე, ესპანეთს აქვს თავისი ინტერესები. განსაკუთრებით აქტიურია კანადა და, ჩემი აზრით, არქტიკის ათვისების თვალსაზრისით, ყველაზე აქტიურები არიან კანადა და აშშ. არქტიკაში შენდება ახალი სამხედრო ბაზები, ამერიკის სანაპირო დაცვამ კოლოსალური თანხები მიიღო არქტიკის ასათვისებლად. 5 წლის წინათ კანადამ ჩამოაყალიბა სპეციალური არქტიკული ნაწილები 1 500 ადამიანისგან, რომელიც შედგება ესკიმოსებისგან. გასაგებია, თუ საქმე მივა ომამდე, რეგულარული ჯარები აბსოლუტურად მოუმზადებლები იქნებიან არქტიკული ომისთვის, იმიტომ რომ იქ სხვა კლიმატური პირობებია, მაგრამ ესკიმოსები გაძლებენ.

**– ეს მათი არსებობის ბუნებრივი გარემოა.**

– და ეს არის კანადის მრავალწლიანი პოლიტიკის შედეგი თავისი ნაციონალური უმცირესობისადმი. მე თავად ჩრდილოეთიდან ვარ და, თუმცა რუსები ამბობენ, რომ მათ იმპერიაში ყველა ხალხი აყვავდა, სინამდვილეში, ჩრდილოეთის ხალხები ბოლომდე არიან დეგრადირებული და მათი ნაციონალური კულტურა განადგურებულია. მეტიც, მათი რაოდენობაც დღითიდღე მცირდება. რუსი ჩუქჩები და ესკიმოსები ძირითადად, გალოთებულები არიან და მათგან რამე სამხედრო ხეირის მიღება შეუძლებელია. მაშინ, როდესაც ჩრდილოელმა ხალხებმა, რომლებიც ცხოვრობენ ნორვეგიაში, შვედეთში, კანადასა და აშშ-ში, ამ ქვეყნების ჰუმანური პოლიტიკის შედეგად, შეინარჩუნეს თავიანთი კულტურა. შენარჩუნდნენ, როგორც ხალხი და აღმოჩნდა, რომ მათი უნარები შეიძლება, გამოიყენონ თანამედროვე ომში. შესაბამისი წვრთნის შედეგად ეს იქნება ისეთი სამხედრო ნაწილები, როგორიც რუსეთს არ ჰყავს. ერთი სიტყვით, კანადა ემზადება საომარი მოქმედებებისთვის.



**5 წლის წინათ კანადამ ჩამოაყალიბა სპეციალური არქტიკული ნაწილები 1 500 ადამიანისგან, რომელიც შედგება ესკიმოსებისგან**

**– ვის წინააღმდეგ?**

– ყველას წინააღმდეგ.

**– გამორიცხავთ არქტიკისთვის კოალიციების შექმნას?**

– მურმანსკის ოლქში პუტინმა არქტიკისთვის ჩამოაყალიბა ბრიგადა, რომელიც ჩრდილოეთში საომარი მოქმედებებისთვისაა გამიზნული, მაგრამ ეს ჩვეულებრივი სამხედრო ნაწილებია. ეს იქნება ომი ყველა ყველას წინააღმდეგ. ზუსტად ისეთი სიტუაციაა, როგორიც თავის დროზე იყო ცენტრალურ აზიაში, ინდოეთში.

**– თქვენ მოგყავთ მეცხრამეტე საუკუნის მაგალითები. დღეს მაინც სხვა პერიოდია. ომი ყველა ყველას წინააღმდეგ რეალურია?**

– მეოცე საუკუნე, ომების თვალსაზრისით უფრო სასტიკი იყო, ვიდრე მეცხრამეტე, ხოლო, თუ ოცდამეერთე საუკუნეს შევხედავთ, თქვენ, ქართველმა, არ უნდა ილაპარაკოთ იმაზე, რომ ომები არ არის. ერთ-ერთი პირველი ომი ოცდამეერთე საუკუნეში თქვენთან იყო. შეხედეთ რა ხდება მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც: ერთმანეთს რომ შევადაროთ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების პირველი 12 წელი, ოცდამეერთე საუკუნეში უფრო მეტი ომი იყო. ვივარაუდოთ, რომ ამის გამო მსოფლიო ომი არ დაიწყება, მაგრამ არქტიკა გახდება დაპირისპირების საგანი.

**– მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყანა აქტიურად ემზადება არქტიკის ასათვისებლად და ომისთვისაც კი, სკანდალში გაეხვა მხოლოდ რუსეთი.**

– იმიტომ რომ რუსეთი მოუხეშავად იქცევა. შეიძლება, არავისაც არ მიექცია ყურადღება „გრინფისის" აქტივისტების ამ დაპატიმრებისთვის, ისინი რომ მურმანსკში ჩაეყვანათ, დაეჯარიმებინათ, თუნდაც, ჩამოერთმიათ ყინულმჭრელი და უკან, ნორვეგიაში, გაეშვათ. ეს იქნებოდა ერთი სტრიქონი ახალ ამბებში, მაგრამ რუსეთი არაადეკვატურად მოიქცა, თორემ აქტივისტები პროტესტს ყველას წინააღმდეგ გამოხატავენ. არიან პოლიტიკოსოები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს აქციები დაფინანსებულია, ზოგი ამბობს, რომ არ არის დაფინანსებული, თუმცა, ფაქტია, რომ „გრინფისი" მთელ მსოფლიოში აწყობს საპროტესტო აქციებს, მაგრამ რუსეთში მომხდარი გახმაურდა, რუსეთის ხელისუფლების სრული იდიოტიზმის გამო: აქტივისტებისთვის რომ მეკობრეობის ბრალდება არ წაეყენებინათ, ამას არავინ მიაქცევდა ყურადღებას. არქტიკაში დიდი ეკონომიკური ინტერესია: მისი ფსკერის მხოლოდ 5 პროცენტია გამოკვლეული და ამ 5 პროცენტზე განთავსებულია ნავთობის მთელი მსოფლიო მარაგის 25 პროცენტი. ამას გარდა, იქ არის ალმასები, ოქრო, პლატინა, იშვიათი ლითონები. თუ ყინული დაიწყებს ნდობას და, თუ ნორვეგიასთან გაიხსნება ჩრდილოეთ დასავლეთის მიმართულება, პანამის არხი აზრს დაჰკარგავს. ანუ ინტერესი აქვს ყველას. ერთის ინტერესი ედება მეორეს და, ამდენად, შესაძლებელია კოალიცია. გადანაწილების დიდი თამაში თავიდან იწყება და შესაძლებელია სხვადასხვა კოალიციები: მეოცე საუკუნის დასაწყისში ქვეყნებს შეიძლებოდა, ჰქონოდათ შესანიშნავი ურთიერთობა, კოლონიებში კი ერთმანეთს ებრძოდნენ, იგივე რამ შეიძლება, მოხდეს არქტიკაშიც.

**– და, რაც მთავარია, არქტიკაში არ არის მშვიდობიანი მოსახლეობა, რაც ამარტივებს ამოცანას.**

– არქტიკაში ყველაფრის გაკეთებაა შესაძლებელი ღამით, ტელეკამერებისგან შორს.

**– ჟურნალისტებს გაუჭირდებათ იქ ჩაღწევა ყინულმჭრელის გარეშე და ამ ყინულმჭრელს მათ არავინ მისცემს, თუ პოლიტიკური ინტერესი არ იქნა.**

– იმ რეგიონის იზოლირება იოლია და ვერავინ გაიგებს, რა მოხდება იქ სინამდვილეში. საკმარისია ავიაცია და არცთუ დიდი დივერსიული ჯგუფები. შეიძლება, ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედები არც დაიწყოს. არქტიკაში ძალიან მოწყვლადი ინფრასტრუქტურაა და საკმაოდ ადვილია დივერსიების მოწყობა. ამას გარდა, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მიერ მუშავდება რობოტიზებული იარაღი, ისრაელიც იღებს ამაში მონაწილეობას. უკვე არის ტანკები, რომლებიც ადამიანის გარეშე მოქმედებს, უპილოტო თვითმფრინავების შესახებ კი ისედაც

ყველასთვის ცნობილია.

**– კომპიუტერული ომებივით იქნება, ესე იგი?**

– არქტიკაში უპილოტოების ომი იქნება. ჩვენთვის სრულიად ახალი ძალისმიერი წინააღმდეგობა შეიძლება, გაიმართოს და მინიმალური მსხვერპლით ჩაიაროს. შესაძლებელია ნებისმიერი კოალიციებიც. რამდენიმე ქვეყანას აქვს პრეტენზია არქტიკაზე, გაუგებარია, ვის რა ეკუთვნის. ასე რომ, კოალიციების შექმნა გამორიცხული არ არის. მათ დაემატებათ ჩინეთი, ესპანეთი, ევროკავშირს ჯერ არ გამოუთქვამს თავისი აზრი არქტიკისადმი. თუ ისინი ერთიან პოზიციას გამოიმუშავებენ, შესაძლოა, არქტიკულ კამათში თითქმის მთელი მსოფლიო ჩაერთოს. თან, ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ ლათინური ამერიკის ქვეყნებს ანტარქტიდისადმი, ისევე, როგორც სამხრეთ აფრიკას, ახალ ზელანდიას, ავტრალიას. თუ შემუშავდება ერთიანი სამართლებრივი ნორმები, ისინი მოიცავს ორივე კონტინენტს.

**– გამოდის, მეორე საომარი სუნთქვა ეხსნება დედამიწას. და ვის როგორი შანსები აქვს, განსაკუთრებით, რფ-ს?**

– რუსეთი უკვე ფლობს არქტიკის საკმაო ნაწილს: მას ყველაზე დიდი ტერიტორია ეკუთვნის, აქვს არქტიკულ სივრცეში ყოფნის ტრადიცია და ბევრი რამით არქტიკა რუსეთისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა, რადგან რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც დამოკიდებულია ნახშირწყალბადების ექსპორტზე და მას უნდა, რომ დაეუფლოს ახალ საბადოებს. თუ არქტიკაში დაიწყება ნავთობის მოპოვება საწარმოო მასშტაბებში, ეს იმოქმედებს ნავთობის საერთაშორისო ფასზე და თუ რუსეთი არ აიღებს რაღაც წილს არქტიკის ნავთობის მარაგიდან, ის უბრალოდ ქვეყნიდან, რომელიც ამჟამად მსოფლიო ნავთობის მარაგის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებს, გადაიქცევა ქვეყნად, რომელიც ცოტას თუ დააინტერესებს.

**– ანუ დასავლეთს ძალიან სერიოზული კოზირი აქვს რუსეთის ასალაგმავად?**

– ამჟამად რუსეთი და კანადა ფლობენ არქტიკული ტერიტორიის ყველაზე დიდ ნაწილს. მათ ოდნავ ჩამორჩება აშშ, შემდეგ მოდის დანია, ნორვეგია. მაგრამ რუსეთს ჯერჯერობით ძლიერი პოზიცია აქვს და შესაძლებელია, დანარჩენი მოთამაშეები გაერთიანდნენ რუსეთის

**არქტიკის ფსკერის მხოლოდ 5 პროცენტია გამოკვლეული და ამ 5 პროცენტზე განთავსებულია ნავთობის მთელი მსოფლიო მარაგის 25 პროცენტი. ამას გარდა, იქ არის ალმასები, ოქრო, პლატინა, იშვიათი ლითონები**

წინააღმდეგ, როგორც ეს იყო კოლონიალურ ომებში. ამას გარდა, არის სადავო ტერიტორიები ნორვეგიასა და რუსეთს შორის, რუსეთს დაზვერილი აქვს თავისი კუთვნილი არქტიკული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ უფრო მეტი რესურსი არქტიკული სიღრმის იმ ნაწილში, რომელიც აქამდე ყინულით იყო ავსებული და ახლა დნობა დაიწყო. მასზე კი ყველას აქვს პრეტენზია. ბურღვა უკვე დაწყებულია და ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ დნობა დაიწყო ყინულმა.

**– მეორე მხრივ, თუ ის ყინული დადნა, აღარანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება, ვის მეტი ეკუთვნის არქტიკიდან, მთელი დედამიწა წყლით დაიფარება.**

– ჯერჯერობით იმ ტემპის დნობა არ არის, რომ მნიშვნელოვნად აიწიოს წყლის დონემ დედამიწაზე, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ გაიხსნას დიდი ტერიტორიები და რაც შორს წავა ადამიანი არქტიკის ათვისებაში, მით უფრო დაიხვეწება მოპოვების ტექნოლოგიები. ჯერჯერობით არქტიკის ფსკერის მხოლოდ 5 პროცენტია დაზვერილი.

**– თქვენი პროგნოზით, როდის შეიძლება, ისე გამწვავდეს საკითხი, რომ რეალურად დაიწყოს ომი არქტიკაში?**

– ეს უკვე მოხდა გუშინ: შენდება სამხედრო ბაზები.

**– რეალურ ქმედებებს ვგულისხმობ, როდესაც ეს ბაზები მოქმედებაში მოვა.**

– იქ სიტუაცია არატრადიციულად განვითარდება, დიდი ომი არავის სჭირდება, მაგრამ ყინულმჭრელის დაკავება არის პირველი ზალპი. ის ჭაბურღილი, რომელსაც რუსეთი ამუშავებს, დგას არქტიკის იმ ნაწილში, რასაც ყველა რუსეთის საკუთრებად აღიარებს. ჯერჯერობით ბურღვითი სამუშაოები არ დაწყებულა სადავო ტერიტორიაზე. შეიძლება, დაიწყოს რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც გლობალური დათბობა გაგრძელდება და ეს სივრცე საბოლოოდ გაიხსნება. პლუს, მნიშვნელოვანია ისიც, რომ, თუ ფიქალის გაზი ჩაანაცვლებს ნავთობს, მაშინ არქტიკულ მარაგებს დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება, მაგრამ, გარდა ნავთობისა, იქ, როგორც გითხარით, არის პლატინა, ალმასი, იშვიათი ელემენტები. რეალურად, იმ პროგნოზებით, რომელიც არის, 2-3 წელიწადში ეს სივრცე გაიხსნება სამრეწველო ათვისებისთვის და ყინულის დნობა მსოფლიო სავაჭრო გზებზეც მოახდენს გავლენას.

**ნინო ხაჩიძე**



**ანაკლიის პორტის აშენების იდეა კვლავ ძალაშია, მეტიც, ახალი ხელისუფლება, ძველის მსგავსად, ამ პორტზე დიდ იმედებს ამყარებს. თავის დროზე, წინა ხელისუფლება ანაკლიის პორტის მშენებლობას ქალაქ ლაზიკის დაარსებასაც უკავშირებდა, რაც საზოგადოების ნაწილში დიდ შეშფოთებას იწვევდა, იმ მარტივი მიზეზით, რომ საქართველოს საკუთარი ადამიანური რესურსით, ნახევარმილიონიანი ქალაქის შექმნის პოტენციალი არ გააჩნია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი ქალაქი – ლაზიკა უცხოელებს უნდა აეთვისებინათ. ჯერჯერობით დღის წესრიგიდან ახალი ქალაქის მშენებლობა მოიხსნა და აქცენტი მხოლოდ პორტზე კეთდება. ვისი ინტერესია პორტ ანაკლიის მშენებლობა და რა საფრთხესა და სიკეთეს შეიცავს ის ჩვენი ქვეყნისთვის, – თემას ნოდარ ნათაძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ შეიძლება, აღმოჩნდეს ხუდონჰესი რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში და რა საერთო მიზნის მისაღწევად მოქმედებენ თურქეთი, ირანი და რუსეთი

**– რა ასეთი მნიშვნელობა აქვს ანაკლიის პორტს და რატომ არ გვყოფნის, რაც გვაქვს ის პორტები?**

– ამიერკავკასია, თავის სხვა ამოცანებთან ერთად, არის გზა, დერეფანი: დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და პირიქით. დღეს ამას პირველხარისხოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. იმიტომ რომ მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია და მისი მხარეებიც ცნობილია. ერთი მხარეა დასავლეთი, მის რიცხვში საქართველოც; მეორე მხარე კი ჩინეთი – პირველ ნომრად, რუსეთი – მეორე ნომრად და ისლამური ქვეყნების უმრავლესობა, ოღონდ ყველა არა, რადგან, მაგალითად, ჩეჩნეთი მათი ნაწილი არ არის, ჩვენი ნაწილია. ფრონტის ორი თანასწორი ხაზია: ფრონტის ერთი ხაზი ვართ ჩვენ და მეორე – წყნარი ოკეანე. დღეს წყნარ ოკეანეზე შედარებით სიწყნარეა, მაგრამ ჩვენთან: ფაქტობრივად, უკვე ომია. დასავლეთის მიზანია, თავისუფლად იაროს შუა აზიაში, ამიტომ ფრონტის ხაზი კასპიის ზღვიდან, სადაც დღეს გადის, უნდა გადასწიოს ჩინეთისა და შუა აზიის საზღვარზე. ამისთვის საჭიროა სატრანსპორტო დერეფანი და ჩვენი ფუნქცია მსოფლიო სტრატეგიის სისტემაში არის აი, ამ დერეფნის ფუნქცია. დერეფანი სასიკვდილო არ არის…

**– მაგრამ არც კომფორტულია.**

– არ არის კომფორტული, მაგრამ განვითარების ძალიან დიდი სტიმულია. აი, ამ დერეფნის ფუნქციას ბათუმი, სოხუმი და ფოთი არ ჰყოფნის. ამას სჭირდება დამატებითი სიმძლავრეები, რისთვისააცაა განზრახული ანაკლიის პორტი და ეს არის დასავლური გეგმა. სააკაშვილი თითქმის ათი წელიწადია, თამაშობს დასავლური ინტერესების ერთგულებას, სინამდვილეში კი რუსეთის ელემენტარული აგენტია. ამიტომ ამერიკელებს ვერ ეწინააღმდეგება, მაგრამ ამ ფონზე, რაც შეიძლება, „ტეხავს“ რუსეთისთვის.



**ივანიშვილის პოზიცია, რომ პორტი უნდა ავაშენოთ და ქალაქი – არა, კარგია, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა იმალება ამის უკან**

**– კონკრეტულად?**

– დავიწყებ პატარა მაგალითით და გადავალ დიდი მაგალითზე – ანაკლიის პორტზე. პირველი მაგალითია თბილისის შემოვლითი რკინიგზა, რომელიც ძალიან ადიდებს თბილისის რკინიგზის გამტარუნარიანობას, იმიტომ რომ ქალაქში რკინიგზა ძალიან შეზღუდულია. სააკაშვილმა მიიღო თხოვნა დასავლეთისგან, მოდი, გავაკეთოთ რკინიგზაო და ფულიც გამოუყვეს. დაიწყეს მშენებლობაც, მაგრამ რა „მოტეხა“ სააკაშვილმა რუსეთის სასარგებლოდ? სადაც ამ რკინიგზამ უნდა გაიაროს, თბილისის ზღვასთან, დასვა „ჩაინა-თაუნი“, ანუ ჩინური ქალაქი. იქ უნდა დასახლდნენ ჩინელები, რომლებიც, როგორც მინიმუმ, დაზვერავენ ტვირთების მოძრაობას; ხოლო, როგორც მაქსიმუმ, რაღაცას მოაწყობენ, ანუ ჩაკეტავენ იმ გზას. აი, ეს არის ამ პროექტის ნაკლი. ანაკლიაც იგივეა: ანაკლია, როგორც გითხარით, სატრანსპორტო თვალსაზრისით, დასავლური სტრატეგიისთვის ძალიან საინტერესოა, მაგრამ ეს ყველაფერი გაუქმდება, თუ იქ იქნება ჩინური ანკლავი. ის 500 000 ადამიანი, რომელიც იქ უნდა დასახლდეს.

**– გასაგებია, რომ პორტს სჭირდება მომსახურება და ის თავისთავად გააჩენს ქალაქს. მაგრამ სადმე არის აღნიშნული, რომ აუცილებლად ჩინელები იცხოვრებენ ანაკლიის პორტთან?**

– აი, თქვენ თვითონ გიჩნდებათ აზრი, რომ პორტი თავისთავად გააჩენს ქალაქს, მაგრამ უმეტესობას ეს აზრი არ უჩნდება, ამიტომაც გადაწყვიტეს 500 000-ანი ქალაქის აშენება. როგორც კი სააკაშვილმა ეს თქვა, გადაირივნენ დემოგრაფები, რადგან საიდან უნდა მოიყვანო 500 000 ადამიანი?! ცხადია, ამ 500 000-ში 450 000, როგორც მინიმუმი, იქნება უცხოეთიდან მოყვანილი. ვინ? ვინც არის რუსების მომხრე. უპირველესად, ჩინელები.

**– ლოგიკურად მივდივართ ამ დასკვნამდე?**

– რა თქმა უნდა, გინდა, ლოგიკა დაარქვით, გინდა – კანის შეგრძნება. ამიტომ მოთხოვნა არის კატეგორიული: ავაშენოთ პორტი და პორტი, რასაც თავის გარშემო შექმნის მოსახლეობას, ის მოსახლეობა იქნება ქართველი. და ეს ვერ იქნება 500 000, მაქსიმუმ, 20 000 იყოს. პორტის მომსახურებას მეტი არ სჭირდება და ეს იქნება იმის რესურსი, რომ დასაქმდეს ქართველი მოსახლეობა, იმის მაგივრად, რომ ემიგრაციაში წავიდეს.

**– თუ წინა ხელისუფლება ამბობდა, რომ ანაკლიის პორტისთვის უნდა გაშენდეს 500 000-ანი ქალაქი ლაზიკა, ახლები ამბობენ, რომ უნდა აშენდეს მხოლოდ პორტი.**

– ივანიშვილის პოზიცია, რომ პორტი უნდა ავაშენოთ და ქალაქი – არა, კარგია, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა იმალება ამის უკან. ივანიშვილი, სამწუხაროდ, 100 პროცენტიანად რუსია. მართალია, დასავლეთი მას დაელაპარაკა და რაღაც-რაღაცეებში დაითანხმა, ამიტომ ივანიშვილი ღიად და გაცხადებულად მხარს უჭერს დასავლეთის სტრატეგიულ ორიენტაციას, ოღონდ რამდენად შედის ამაში სამხედრო მხარე და რამდენად გულწრფელია ის, არ ვიცით. თუ მას გეგმა აქვს, რომ ავაშენოთ პორტი და არა ქალაქი, უნდა მივესალმოთ. აქ არის კიდევ ერთი არსებითი პუნქტი: სააკაშვილს რომ დასცლოდა და თავად განეხორციელებინა ეს პროექტი, ის მოიყვანდა თურქულ სამშენებლო კომპანიებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არიან უვარგისები. ჩვენ არ ვიცით, როგორი გეგმა აქვს ივანიშვილს ამ მიმართულებით, თუმცა ერთი ცუდი სიმპტომი არის: „როიტერის“ სააგენტოს ჟურნალისტმა მას ჰკითხა, რა თქმა უნდა, ჰკითხა რაც დაავალეს: თქვენ რომ ამდენი თანხა დახარჯეთ საქართველოში, მრეწველობაში თუ ჩადეთ რამე ინვესტიციაო. არ ჩაუდია და ეს, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია. ამიტომ მეპარება ეჭვი, რომ ივანიშვილის მიზანი იყოს ქართული ფირმების დასაქმება პორტის მშენებლობაში. თუმცა ჩვენთვის იდეალურია: ანაკლიის პორტის აშენება დასავლეთის დიდი ინვესტიციებით. საეჭვო ორიენტაციის ინვესტორები არ უნდა შემოვიყვანოთ.

**– თუ დასავლეთი გამოიყენებს ანაკლიის პორტს, თუნდაც, ჩინური ეთნოსი რომ დასახლდეს მის ირგვლივ, როგორ გატარდება რუსული ინტერესი?**

– გადამწყვეტ მომენტში ჩინელი დაიკავებს იმ ქალაქს, ნახევარმილიონიანი ქალაქი იმას ნიშნავს, რომ იმ ხალხის დაოკებას ერთი გამართული დივიზია დასჭირდება, რაც ჩვენ არ გვყავს. ჯერ ერთი, ეს იქნება მუდმივი და ამომწურავი დაზვერვის ცენტრი და რაც მთავარია, გადამწყვეტ მომენტში ეს იქნება სტრატეგიულად მოქმედი ძალა.

**– იქნება ამდენი ტვირთი, რომ დაიტვირთოს ახალი პორტი, მაშინ, როდესაც ტვირთბრუნვამ უკვე არსებულებზე იკლო?**

– რაც უფრო განვითარდება დასავლურ-ჩინური დაპირისპირება, რაც დღეს არსებობს, თუმცა პრესისთვის არ ცხადდება, მით უფრო მეტი იქნება ტვირთბრუნვა. საერთოდ, რუსეთისთვის ტრანსპორტის განვითარება დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით კატასტროფაა, მას უნდა ტვირთების მოძრაობის განვითარება ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით.

**– თურქეთსა და რუსეთს შორის საკმაოდ მსხვილი ტვირთბრუნვაა დღესაც.**

– მათ ზღვაზე აქვთ ძალიან დიდი მოძრაობა და თურქეთის საგარეო შემოსავალი, ძირითადად, რუსეთზე მოდის. სახლში მაქვს წიგნი, რომელსაც ჰქვია „ოსეტინსაკაია ვოინა“, 2010 წელს გამოცემული. ბუნებრივია, ტყუილებითაა სავსე და იდეოლოგიურია, მაგრამ მისი ბოლო სიტყვები არის მათთვის ოპტიმალური სცენარი: „ამერიკა უარს ამბობს, ჩაერიოს კავკასიის საკითხებში, პასუხისმგებლობას კავკასიაზე იღებენ რუსეთი, თურქეთი და ირანი.“

**– დავილუპეთ და ესაა.**

– აი, ეს არის მათი ძირითადი სტრატეგიული ხაზი. ასე რომ, მათ თურქეთთან მხოლოდ სავაჭრო ინტერესი არ აქვთ. სამივეს ერთობლივად უნდა, რომ ჩვენი ზონა ჩაკეტონ დასავლეთისთვის და შავი ზღვა დატოვონ რუსულ-თურქული ტბის როლში. მაგრამ ამას ვერ გააკეთებენ, რადგან 2008 წლის ომის შემდეგ რამდენიმე თვეში გაცხადდა, რომ, რუმინეთსა და ბულგარეთში შეიქმნება „ნატოს“ ბაზები, სადაც განლაგდება ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ბაზირების, ანუ იქ ფლოტიც იქნება და შავი ზღვაც გათავისუფლდება რუსულ-თურქული ტბის სტატუსისგან.

**– უკრაინის მიერ ევროკავშირის არჩევის შემდეგ საბაჟო კავშირის ნაცვლად, რუსეთიდან გაისმა მუქარა, რომ, თუ უკრაინა რუსეთის შავი ზღვის ფლოტს იჯარის დამთავრების შემდეგ ვადას არ გაუგრძელებს, უკრაინას მოუწევს ტერიტორიის დათმობაო. ეს რეალური მუქარაა?**

– ეს არის ქრესტომათიული ილუსტრაცია დღეს მსოფლიოში არსებული ძალხაზების მიმართებისა და მიმართულებისა. უკრაინა პოლიტიკურად რუსეთზე ორიენტირებული ქვეყან-

# რა სესხები აქვს აღებული გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს და რა დაუჯდა მათი მომსახურება გასულ წელს

გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე შალვა ამირეჯიბი 1970 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, რომელიც 1992 წელს დაამთავრა. აქვს ბაკალავრის ხარისხი ბიოლოგიისა და ქიმიის დარგში (ბიოქიმიის სპეციალობით), ასევე, საჯარო ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (2005 წელი, „ჯიპა"). საიტზე განთავსებულ ოფიციალურ ბიოგრაფიაში არ არის მითითებული მინისტრის მოადგილის კონკრეტული სამუშაო ადგილები და მის მიერ დაკავებული პოზიციები. მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ „სხვადასხვა დროს მუშაობდა ენერგეტიკის და მანქანათმშენებლობის დარგში და იკავებდა გარემოსდაცვითი ექსპერტის და მენეჯერის თანამდებობებს." ამას გარდა, დაზუსტებით ვიცით, რომ ბოლო წლებში ბ-ნი ამირეჯიბი სს „თბილავიამშენში" იყო დასაქმებული: თავდაპირველად, აღმასრულებელი დირექტორის, მოგვიანებით, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, უფრო მოგვიანებით, ჰოლდინგ „თბილავიამშენის" გენერალური დირექტორის და ბოლოს, სსიპ „თბილავიამშენის" დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

რაკი სახელმწიფო სამსახურში არ ყოფილა, ქონებრივი და ფინანსური დეკლარაციაც მას შემდეგ შეავსო, რაც პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. დეკლარაციაში ბ-ნი ამირეჯიბი ოჯახის წევრებად მიუთითებს მამას: მზეჭაბუკ ამირეჯიბს (დაბადებულს 1921 წელს); დედას, თამარ ჯავახიშვილს (დაბადებულს 1937 წელს) და ორ შვილს: 2001 წელს დაბადებულ ალექსანდრეს და 2002 წელს დაბადებულ ელისაბედს.

შალვა ამირეჯიბის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე (66,5 კვადრატული მეტრი ფართობის); ოჯახის დანარჩენი ქონება მზეჭაბუკ ამირეჯიბს ეკუთვნის. კერძოდ: საცხოვრებლი ბინა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე (80 კვადრატული მეტრი ფართობის), საცხოვრებელი ბინა ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე (85,73 კვადრატული მეტრი ფართობის), მიწის ნაკვეთი საგურამოში (2 050 კვადრატული მეტრი ფართობის) და იქვე მდებარე საცხოვრებელი სახლი (360 კვადრატული მეტრი ფართობის).



ბ-ნი ამირეჯიბის მამა სამეწარმეო საქმიანობას ეწევა: ის ინდმეწარმეა და გასული წლის განმავლობაში შემოსავლის სახით 20 000 ლარი მიიღო.

შალვა ამირეჯიბს 33 400 აშშ დოლარის იპოთეკური კრედიტი აქვს აღებული, რომლის მომსახურებაც გასულ წელს 5 532 აშშ დოლარი დაუჯდა; ასევე, სამომხმარებლო კრედიტი 4 500 ლარის ოდენობით (რომლის მომსახურებაც გასულ წელს 1 899 ლარი დაუჯდა) და სამომხმარებლო სესხი 5 500 ლარის ოდენობით (რომლის მომსახურებაც 2 321 ლარი დაუჯდა). თუმცა გასულ წელსვე შემოსავალი – 3 040 აშშ დოლარი – მიიღო მზეჭაბუკ ამირეჯიბმა ბათუმში ფართის გაქირავების შედეგად.

შალვა ამირეჯიბმა, როგორც „თბილავიამშენის" დირექტორის მოადგილემ, ხელფასის სახით, 30 616 ლარი აიღო; ხოლო, როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს მთავარმა მრჩეველმა, 304 ლარი.

*P. S. ჩვენი ჟურნალის მეორმოცე ნომერში განთავსებულ მასალაში, რომელიც ეხებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით ზალკალიანის, ქონებრივ მდგომარეობას, გაიპარა უზუსტობა: კერძოდ, დავით ზალკალიანს აქვს 130 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ბინა არა წყნეთში, არამედ, თბილისში, წყნეთის ქუჩაზე. ასევე, სამინისტროს თხოვნით, ვაზუსტებთ, რომ 2012 წლის დეკლარაციით, კონკრეტულად ბ-ნი ზალკალიანის სახელზე არსებული უძრავი ქონება გაიზარდა იმ ქონების ხარჯზე, რაც წინა წლებში მის მეუღლეს, თამარ ქემოკლიძეს ეკუთვნოდა. ანუ, საბოლოო ჯამში, ზალკალიანების ოჯახის ქონების მოცულობა უცვლელი დარჩა, იმატა კონკრეტულად, ბ-ნი დავით ზალკალიანის სახელზე რიცხული ქონების რაოდენობამ. 2002 წლის დეკლარაციაში არ არის განმარტებული, საიდან ჰქონდა დავით ზალკალიანს იმ წელს 40 000 ლარი საშემნახველო წიგნაკზე. როგორც თავად აცხადებს, განმარტება გაკეთებულია მოგვიანებით, 2004 წელს შევსებულ დეკლარაციაში – კერძოდ, რომ აღნიშნული თანხა არის ბ-ნი ზალკალიანის, მისი მშობლებისა და მეუღლის დანაზოგი.*

**ნინო ხაჩიძე**

---

აა. იანუკოვიჩი გაიყვანეს რუსებმა და მისი საყრდენი არის უკრაინის რუსული რაიონები. მაგრამ იანუკოვიჩი დღეს დასავლეთისკენ იყურება, რადგან ის უკვე მოქმედებს არა რუსეთის ინტერესებით, არამედ, როგორც ამ ტერიტორიის პატრონი, რომელსაც ამ ტერიტორიის მოსახლეობასთნ ერთად საკუთარი ჯიბის ინტერესიც აქვს. რის მაგალითია ეს? ეს არის რუსეთის არაკონკურენტუნარიანობის მაგალითი დასავლეთთან შედარებით. დღეს უკვე ნებისმიერმა მესამე ქვეყანამ იცის, რომ რუსეთთან ყოფნას დასავლეთთან ყოფნა ჯობია. ახლა, სხვათა შორის, ყაზახეთიც ხტუნაობს, საბაჟო კავშირში ჩვენი ყოფნა ეკონომიკურად წამგებიანიაო. ანუ რუსეთის მეორეხარისხოვან ქვეყნებთან ურთიერთობის ტრადიციული მეთოდია, რომ რუსეთი მათ ახარჯავდა უზარმაზარ თანხას, ფაქტობრივად, ინახავდა, რადგან ვერ მოიგონა თანამშრომლობის ისეთი ფორმა, რაც ორივესთვის სასარგებლო იქნებოდა. ხოლო, როდესაც დასავლეთი შედის რომელიმე ქვეყანაში, მას აქვს შესაბამისი მეთოდიკა, გამოცდილება, ტექნოლოგიები, ფინანსური საშუალებები, რომ შექმნას რეჟიმი, რომელიც დასავლეთისთვისაც იქნება ხელსაყრელი და იმ ქვეყნისთვისაც, სადაც შედის. აი, ამ ფაქტის კლასიკური მაგალითია დღევანდელი უკრაინის პოლიტიკური ყოფაქცევა.

– **სირიაში ნათლად ჩანდა რუსულ-დასავლური ინეტერსების დაპირისპირება. პროცესი ფინალისკენ მიდის: რომელმა რომელს გადასძალა?**

– სირიაში არის ორი ფაქტორი. ერთი ვიცით: დასავლეთმა დაიწყო ხმელთაშუა ზღვის აუზიდან რუსული ბაზების მოწმენდა, დარჩა მხოლოდ სირია და ახლა ამის მოწმენდის ოპერაცია მიდის. მაგრამ მეორე ფაქტორის შესახებ არ იცის ჩვენმა საზოგადოებამ.

– **ნავთობსადენს გულისხმობთ, რომელსაც ასადი არ ატარებს სირიაზე?**

– სირიაში უნდა გამოიაროს დიდმა ენერგეტიკულმა ნაკადმა ახლო აღმოსავლეთიდან, უნდა გავიდეს სირიიდან თურქეთში და იქიდან – ევროპაში და ამით ევროპა თავისუფლდება რუსული ენერგეტიკული გავლენისგან. არც ერთ ამ ამოცანაზე უკან დამხევი დასავლეთი არ არის. რა თქმა უნდა, დასავლეთის გამარჯვებაა, ასადმა რომ 1 000 ტონა ქიმიური იარაღი დათმო, რადგან ასადს აზრად არ მოუვიდოდა ამ იარაღის განადგურება, რომ არა სამხედრო დარტყმის საშიშროება. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა შეთანხმებაა ამის უკან. შესაძლოა, ასეთი შეთანხმება იყოს: ასადი, ამა თუ იმ ფორმით, წავა და იგულისხმება, რომ სირიის ახალი ხელისუფალი რუსულ ბაზას იქიდან განდევნის. სხვათა შორის, ასადმა ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა – თავისი და თავისი პატრონის მამხილებელი. მან თქვა, რომ უნდა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება.

– **ეს არ ვიცოდი, მაგრამ ვიცი, რომ ინდოეთმა და ვიეტნამმაც გამოთქვეს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების სურვილი.**

– ივანიშვილს აქვს ხუდონჰესის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ინდოელებისთვის ხუდონჰესის საკუთრებაში გადაცემას. ინდოეთის ხელიდან კი ის გადავა რუსეთის ხელში, ისევე, როგორც „თელასი" გადავიდა. ინდოეთი არის ქვეყანა, რომელიც რუსული წარმოების იარაღის ყველაზე მსხვილი მუშტარია. რუსეთს კი თავის დოქტრინაში უწერია, რომ დაიცავს თავის საკუთრებას რუსეთის საზღვრებს გარეთ. აქედან შეგიძლიათ, გათვალოთ, რა მზადდება.

– **2008 წლის ომზე გაკეთდა ის დასკვნაც, რომ რუსეთმა საქართველო დასაჯა დასავლეთის საჩვენებლად, რომ ენახვებინა, რაზეა წამსვლელი. თუ რუსეთს არ გაუმართლა სირიაში, უკრაინაში, ისევ ჩვენ ხომ არ გავილახებით?**

– ეს მრავალმხრივი საკითხია. „ცივი ომის" დროს შეერთებულ შტატებს ჰქონდა ასეთი დოქტრინა: რუსეთთან კონფლიქტზე მივდივართ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს 25 პროცენტს ემუქრება განადგურება. როდესაც „ცივი ომი" მოუგეს, დააკლეს და ერთ პროცენტზე ჩამოვიდნენ. ანუ ძალიან მცირე რისკის დროსაც სათამაშო სივრცეს აძლევენ, მაგრამ, როგორც კი ეს რეალურად საშიში გახდება, ყველაფერზე წავლენ.

– **მაგრამ 2008 წელს ყველაფერზე არ წავიდნენ.**

– იმიტომ რომ, რისკი არ იყო ერთ პროცენტზე მეტი, მაგრამ ჩათვალეს, რომ ეს ტერიტორიები რუსეთს არ ეთმობა: ისინი მკაცრად მისდევენ არაღიარების პოლიტიკას, ამიტომ მათ არ მიაჩნიათ, რომ ეს ომი წააგეს. მათ იციან, რომ, ადრე თუ გვიან, ეს ტერიტორიები დაბრუნდება. მით უმეტეს, შეუძლებელია, სერიოზული პოლიტიკოსი რუკას, ისტორიას, სტატისტიკას უყურებდეს, ითვლიდეს ძალთა მიმართებას. დაინტერესების ხარისხს და წარმოიდგინოს, რომ მოვიდა 2050 წელი და ჩრდილოეთ კავკასია არის რუსეთის შემადგენლობაში. რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიიდან წავა ძალიან მალე და არ არის გამორიცხული, ის ჯერ ამ ტერიტორიებიდან წავიდეს და ამის შემდეგ გაუჩნდეს საშუალება რუსეთის ხელისუფლებას, რომ საქართველოს ტერიტორიები დათმოს მშვიდობიანად თავისი ვანკას წინაშე.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია



**გამოიკითხა 1 200 ქალი და შეკითხვაზე, თუ დაგეგმილი გქონდათ ორი ბავშვის ყოლა და გაიგეთ, რომ მეორეც იმავე სქესიაა, რაც პირველი, იყოლიებთ თუ არა მას? საშუალოდ, დადებითად უპასუხა 93 პროცენტმა**

**ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები შენიშნავენ და უცხოელებიც ეთანხმებიან, რომ საქართველოში, ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, მაღალია შერჩევითი აბორტების რიცხვი – როდესაც მშობლები არასასურველი სქესის ნაყოფის მოცილების გადაწყვეტილებას იღებენ. მათივე მტკიცებით, პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ 15-20 წელიწადში ახალგაზრდა ქალების რაოდენობა 30 პროცენტით შემცირდება, რაც, თავისთავად, კიდევ უფრო დაამძიმებს ისედაც არცთუ სახარბიელო დემოგრაფიულ სურათს. იმის პარალელურად, რომ რამდენიმე წელიწადში გარდაუვალი დეპოპულაცია გველის, რადგან შვილის ყოლის ასაკი დაუდგება გასული საუკუნის 90-იანების თაობას, როდესაც შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად შემცირდა. დემოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ სულაბერიძე გვიამბობს ქალთა კლების პრობლემის მიზეზებსა და ამისგან გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე.**

# რატომ იბადება ომების შემდეგ გოგონებთან შედარებით უფრო მეტი ვაჟი და რატომ აჭარბებს ხოლმე საქართველოში დაბადებულთა შორის ბიჭები გოგონებს

**– ეთანხმებით მოსაზრებას, რომ საქართველო ერთ-ერთი ლიდერია მუცლადმყოფი გოგონების დისკრიმინაციის მხრივ?**

– ზოგიერთი არასამთავრობო აჰყვა გრანტების მოპოვების სურვილს და გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომ თითქოს ჩვენთანაც შეინიშნება „ჩინური სინდრომი“. ჩინეთმა, ბავშვთა ყოლის შემცირების პოლიტიკიდან გამომდინარე, შემოიტანა სანქციები მეორე შვილიდან. საერთოდ, არა მხოლოდ ჩინელი, ნებისმიერი ეთნოსი განიცდის, თუ ბიჭი არ ჰყავს. ამდენად, ჩინეთში შეზღუდვების გამო არასასურველ სქესად მიიჩნიეს გოგონები და სქესის მიხედვით იკეთებდნენ აბორტებს. ამან გამოიწვია ის, რომ ჩინეთში ყოველ 100 გოგონაზე 130 ბიჭი იბადებოდა, როდესაც ნორმალურია 100 გოგონაზე – 104-დან 107-ბიჭამდე. თუმცა ისეც ხდება, რომ ომებისა და კატაკლიზმების პერიოდში ბუნებრივად იზრდება დაბადებულთა შორის ბიჭების ხვედრითი წილი. მაგალითად, ომის შემდგომ საფრანგეთში ბიჭი უფრო მეტი იბადებოდა – სტაბილურად, 100 გოგონაზე 109-110 ბიჭი, ვერ ახსნეს მიზეზები, მაგრამ შემდგომ ეს პროცესი დარეგულირდა. საქართველომაც არა ერთი ომი და უბედურება გაიარა, ამიტომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე მოდიოდა 110-111 ბიჭი. ეს დააბრალეს შერჩევით აბორტს, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა მაშინ კვლევის ჩატარების საშუალება, მაგრამ არსებობს სხვა კვლევები, რაც ამ მოსაზრებას არ ადასტურებს. გადავხედოთ წინა წლების დინამიკას: 1960 წელს დაბადებული გოგონებისა და ვაჟების შეფარდება იყო ნორმალური – 100 გოგონაზე 106,4 ბიჭი; 1970 წელს – 100 105,2-თან; 1980 წელს – 100 105-თან. ანუ ეს შეფარდება ნორმის ფარგლებში იყო 1993 წლამდე, მაგრამ 1994 წლიდან დაიწყო დარღვევა: ყოველ 100 გოგონაზე იბადებოდა 109,6-დან 111-მდე ბიჭი. მეტიც, 2008 წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი: 127,7 ბიჭი, თუმცა მომდევნო წელს ისევ შემცირდა 104,5-მდე და შემდგომ წლებშიც ნორმის ფარგლებში ჩაჯდა. გავაკეთოთ ლოგიკური დასკვნა: გამოკვლევები აჩვენებს, რომ აბორტების მიზეზია სოციალური პრობლემები და ჯანმრთელობის მდგომარეობა და არა – არასასურველი სქესი. გამოვკითხეთ დედები და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამბობდა, რომ აბორტის მიზეზი არ იყო ნაყოფის არასასურველი სქესი.

**– არის გარანტია, რომ სიმართლეს ამბობდნენ?**

– ყოველ შემთხვევაში, გამოკითხვამ ეს აჩვენა და, მეორე, რატომ უნდა დამალონ მიზეზი?! სხვათა შორის, ამ გამოკვლევით, 3-4 პროცენტი თუ ამბობს, რომ მომავალი შვილის სქესის გამო იკეთებს აბორტს.

**– თუმცა ჩვენ სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად ვხვდებით იმ ქვეყნების რიგში, სადაც გოგონების დისკრიმინაციას ეწევიან?**

– ქალბატონმა ევროსაბჭოდან ანალოგიური რამ გვითხრა, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არასწორი შეფასებაა. ეს არის არასწორი სტატისტიკური აღრიცხვის შედეგი. ამ თემაზე საუბარი 2005 წლიდან დაიწყო და, ოფიციალური მონაცემითაც, ყოველ 100 გოგონაზე დაბადებული 110 ვაჟიდან გაიზარდა 127,7-მდე. შეიძლება, ასეთი სტაბილიზაციის პირობებში ვაჟების რაოდენობას ასე გადაეჭარბებინა გოგონების რაოდენობისთვის?! ყოველ შემთხვევაში, ასეთი რყევა ანომალიურია. მე ვერ დავაბრალებ ამას სტატისტიკის სამსახურს, რადგან ის, რა ფაქტობრივ მასალასაც იღებს, იმას აფიქსირებს. მე მიჩნდება ეჭვი, სპეციალურად ხომ არ გაკეთდა ეს მონაცემი იმისთვის, რომ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიელოთ გრანტები?!

**– რა ფაქტობრივი მასალა ამყარებს თქვენს ეჭვებს, რომ გოგონების დისკრიმინაცია არ ხდება?**

– წელს ჩავატარეთ კვლევა სამ ქალაქში: უდიდეს ქალაქ თბილისში, დიდ ქალაქ ქუთაისში და საშუალო და მცირე ქალაქად ავირჩიეთ კასპი. გამოიკითხა 1 200 ქალი და ამ კვლევამ აჩვენა, რომ ჩვენთან მომავალ შვილთა რაოდენობის სურვილი ნორმალურია – 2-ს უახლოვდება. მიზეზად, თუ რატომ ვერ ახერხებენ, იყოლიონ სასურველი რაოდენობის ბავშვი, გამოკითხულთა 30 პროცენტი ასახელებს მატერიალურ პირობებს. გამოკითხვაში გვქონდა ასეთი შეკითხვა: თუ დაგეგმილი გქონდათ ორი ბავშვის ყოლა და გაიგეთ, რომ მეორეც იმავე სქესიაა, რაც პირველი, იყოლიებთ თუ არა მას? თბილისში, დადებითად უპასუხა გამოკითხულთა 96-მა პროცენტმა, ქუთაისიში – 86-მა პროცენტმა, კასპში – 97,6-მა პროცენტმა, ანუ საშუალო მაჩვენებელია 93 პროცენტი. თუ ამ მონაცემებს დავამუშავებთ, აბსოლუტურად ნორმალურ სურათს ვიღებთ.

სხვათა შორის, იმავე შეკითხვით მამაკაცებსაც მივმართეთ და გამოკითხულ მამაკაცთა 91,8 პროცენტი ამბობს, რომ იყოლიებს და მეორე ბავშვის სქესს არ აქვს მნიშვნელობა. ქალებთან ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, მაგრამ, საერთო ჯამში, საკმაოდ კარგი მაჩვენებელია და ამ ფონზე პირადად მე მიჭირს იმის დაჯერება, რომ საქართველოში გოგონების გენოციდია.

**– რატომ არ მოხვდა თქვენს კვლევაში ერთი დაბა ან სოფელი?**

– იმიტომ რომ რეპროდუქციული ქცევები სოფლად ქალაქიდან შედის. სოფლად უფრო ნაკლებია სქესთა თანაფარდობის პრობლემა, რადგან ექოსკოპია, რაც არის ბავშვის მუცლადყოფნისას სქესის დადგენის საშუალება, უფრო ქალაქადაა განვითარებული. არის მოსაზრება, რომ მომავალი დედები ჯერ ექოსკოპიას იკეთებენ, იგებენ სქესს და ამის მიხედვით იკეთებენ აბორტს: ეს გამორიცხულია. სპეციალისტები ასაბუთებენ, რომ ვერ იგებენ სქესს სამ თვემდე, ანუ, ძირითადად, მომავალ მშობლებს ატყუებენ ექიმები და, როგორც წესი, ეუბნებიან, რომ მათი მომავალი ბავშვი ბიჭია, იმიტომ რომ იციან მშობლების განწყობა. სამი თვის შემდეგ კი აბორტის გაკეთება სარისკოა და კანონითაცაა აკრძალული, თუ, რა თქმა უნდა, ფეხმძიმობა ქალის ჯანმრთელობას არ უქმნის საფრთხეს.

## ვარდისფერი დღე „ეივონთან“ ერთად!

კოსმეტიკურმა კომპანია „ეივონმა“ 21 ოქტომბერს მთელი საქართველოს მასშტაბით გამართა საქველმოქმედო აქცია ძუძუს კიბოსთან საბრძოლველად. დიდი ქალაქების მთავარ მოედნებზე ვარდისფერ მაისურებში ჩაცმულმა ასობით ადამიანმა შეძლო, ერთ დღეში ათასობით ქალს დახმარებოდა. ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოებაში ძუძუს კიბოს შესახებ ინფორმაციის დონის გაზრდა, სადაც უამრავ ქალს გადაეცა საინფორმაციო ფურცლები, რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი ამ დაავადებისგან.



მათ, ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანია „ეივონის“ ეგიდით, 2013 წლის დეკემბრიდან შესაძლებელი გახდება უფასო მამოგრაფია ყველა ქალბატონისთვის საქართველოში. კომპანია „ეივონმა“ შეიძინა მამოგრაფი, რომელიც გადაეცა კიბოს კვლევით ცენტრს – „მარტინ დ. აბელოფის ლაბორატორიას.“ არსებულ კლინიკაში გამოკვლევის ჩატარება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

კიდევ ერთი მომენტი, რასაც მინდა, მიაქციოთ ყურადღება. ჩავატარეთ გამოკითხვა იმის დასადგენად თემაზე, თუ როდის სჯობს, იყოლიო შვილი. გამოკითხულთა 0,6-მა პროცენტმა გვიპასუხა, რომ ქორწინებამდე, 41-მა პროცენტმა, რომ ქორწინების პირველ წელს და ქორწინებიდან მეორე წელი დაასახელა 43-მა პროცენტმა, ქორწინებიდან 2 და მეტი წლის შემდეგ – 14-მა პროცენტმა.

**– ეს როგორი მონაცემია, როგორ გვახასიათებს?**

– კარგი მონაცემია. მაგალითად, ამავე კვლევიდან ვიგებთ, თუ როგორია ამ საკითხზე გამოცდილი ქალების აზრი, ვინც 30 წელსაა გადაცილებული, ამ ასაკობრივ ჯგუფში აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ შვილების ყოლა უმჯობესია ქორწინებიდან მეორე წელს. მეორე მხრივ, ჩვენთან ისედაც ამაღლდა ქორწინების ასაკი: ქალებისთვის 27 წელია საშუალოდ, მამაკაცებისთვის – 29-30. ამასთანავე, კვლევა გვიჩვენებს, რომ პირველ და მეორე შვილს შორის ასაკობრივი სხვაობა 2-2,5 წელია, მაშინ, როდესაც მეორე და მესამე ბავშვს შორის ინტერვალი 4-5-წელია. ანუ წყვილს უნდა, იყოლიოს მესამე შვილი, მაგრამ რაღაც გარემოება უშლის ხელს. ამდენად, სჭირდება პატარა სტიმული მესამე შვილის გასაჩენად. აი, ასეთი სტიმული იყო პატრიარქის მოწოდება. წარმოიდგინეთ, 2008 წელს დაფიქსირდა ყოველ 100 გოგონაზე 127 დაბადებული ბიჭი. რეალურად, პატრიარქმა 2007 წელს მოუწოდა წყვილებს მესამე და შემდგომი ბავშვის გაჩენისკენ, რითაც სტიმული მისცა დედებს და, მართლაც, შობადობის საერთო მაჩვენებელში მესამე ბავშვის ხვედრითი წილი 15-პროცენტით გაიზარდა. ესე იგი, შერჩევითად გააჩინეს მესამე და შემდგომი შვილი?! ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში გოგონებს ხოცავენ. ვინც ამას ამბობს, ჩემი აზრით, მას საკუთარი მერკანტილური ინტერესები ამოძრავებს. ამას გარდა, გითხარით, რომ პირველი ბავშვის ყოლის ასაკი 27-წელია, ესე იგი, მესამე ბავშვს ქალი აჩენს 30 წელს ზემოთ, როდესაც კარგად იცის, რომ ამ ასაკში აბორტის გაკეთება სარისკოა და, ამასთანავე, იცის ოჯახის დაგეგმვის საშუალებები, კონტრაცეპტიული მეთოდები.

**– როგორია მკვდრადშობადობის მაჩვენებელი?**

– საკმაოდ მაღალია, 2012 წელს 11,5 პროცენტი იყო. თუმცა1999 წელს ჩვილთა მოკვდაობის 19,5-პროცენტიანი მაჩვენებელი გვქონდა. ასევე, მაღალია ჩვენთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა წილი: 2012 წელს იყო 53 პროცენტი, მაგრამ ასეთი მაღალი მაჩვენებლის მიზეზი ის არის, რომ ქორწინებად არ არის აღიარებული ჯვრისწერა. ამის გამო, მაგალითად, ქორწინებაში დაბადებული ბავშვების რაოდენობა საერთო მაჩვენებელში არის 15 პროცენტი.

**– არ შეიძლება, გაკეთდეს მინიშნება სტატისტიკურ მონაცემში, რამდენია ჯვარდაწერილი წყვილი, რომ რეალური სურათი გავიგოთ?**

– მსოფლიო სტატისტიკის თანახმად, რადგან ხელის მოწერა ითვლება რეგისტრირებულ ქორწინებად, ჯვრისწერას ვერ შევიტანთ. რეალურ სურათს კი ვიგებთ დედის განცხადებით, როდესაც დედა წერს, რომ ქმარი არ ჰყავს და თავისი სურვილით გააჩინა ბავშვი, ეს არის რეალური მაჩვენებელი, რომ ბავშვი ქორწინების გარეშეა დაბადებული. რეალურად, ქორწინების გარეშე შობადობა 6 პროცენტამდეა. უცხოელები ვერაფრით ხსნიან ჩვენთან ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ასეთ დიდ ოფიციალურ რაოდენობას. მეორე მხრივ, რადგან მოსახლეობა ხელის მოწერაზე მეტად ჯვრისწერას აღიარებს, თუ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, ვაღიაროთ ოფიციალურად ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანისთვის რელიგიური ქორწინება. სხვათა შორის, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების 50 პროცენტი მოდის 20 წლამდე გოგონებზე, მაგრამ აქაც ბევრია ჯვრისწერების რაოდენობა.

**– ქორწინების ასაკის მიხედვით, ვგავართ ევროპას?**

– ჩვენ ევროპული ტიპის ქვეყანა ვართ, იქაც იზრდება ქორწინების ასაკი და ჩვენთანაც, მაგრამ მიზეზებიც ცოტა სხვაა. აქვე გეტყვით, რომ ჩვენთან ხელახალი ქორწინების საშუალო ასაკი მამაკაცებისთვის 42 წელია, ქალებისთვის 38-39 წელი.

**– როგორია პირველი, მეორე და მესამე ბავშვის ხვედრითი წილი შობადობის საერთო მაჩვენებელში?**

– 2005-დან 2012-წლამდე, ანუ 7 წლის განმავლობაში დაბადებულების საერთო მაჩვენებელში პირველი ბავშვების წილი 58 პროცენტიდან შემცირებულია 46 პროცენტამდე, რაც მიუთითებს ქორწინების რიცხვის შემცირებაზე და, ამასთან, ქალთა რაოდენობის შემცირებაზე. მეორე ბავშვის ხვედრითი წილი კი გაიზარდა 38 პროცენტამდე, მესამე ბავშვისაც – 12 პროცენტამდე.

ჩვენ 2017 წლიდან 2018 წლამდე დეპოპულაციის დაწყებას ველოდებით. არსებობს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რამდენ ბავშვს შობს 100 დედა და ნორმალურ მდგომარეობაში ეს უნდა იყოს 2,1. შემდეგ გამოგვყავს ბრუტოკოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, დაბადებულებში რამდენია გოგო. ოფიციალური მონაცემით, მაგრამ არა ჩვენი მონაცემით, დარღვეულია ეს თანაფარდობა და გოგონათა რაოდენობა მცირდება. შესაბამისად, დედის ასაკს მიაღწევს შემცირებული რაოდენობა, ანუ ყოველი 100-ს ნაცვლად 78. ესე იგი, 22 პროცენტით ნაკლები ქალი გვეყოლება. ამასთან, ჩვენთან ამჟამად რეპროდუქციულ ასაკში შედიან 1990-იან წლებში დაბადებულები, როდესაც შობადობა დაბალი იყო. 1991 წლდან 100 ბიჭზე 97 გოგონა იბადებოდა, სხვადასხვა წელში კი ეს მაჩვენებელი 64-მდეც კი ჩამოდიოდა. ანუ ნორმაზე 20-30 პროცენტით ნაკლები მომავალი დედა გვეყოლება. ეს ნიშნავს, რომ ცოტა ბავშვი დაიბადება, რადგან შობადობა მხოლოდ ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ზრდაზე იქნება დამოკიდებული, რის სტიმულაციასაც პატრიარქის გარდა არავინ აკეთებს. არც ერთ ბილბორდზე არ მინახავს ფოტო, როდესაც პატრიარქი ნათლავს ბავშვებს, არადა, უამრავი ბილბორდია.

ამას ემატება ისიც, რომ ჩვენს მოსახლეობაში 60 წელს გადაცილებულთა წილი 20 პროცენტია, ანუ დაბერებული სტრუქტურაა. მეტიც, გლობალური დათბობაც მოქმედებს სიკვდილიანობის მაჩვენებელზე: 1 გრადუსით დათბობა 8 პროცენტით ზრდის მოკვდაობას.

**– დაუოჯახებელი დაგვრჩებიან კაცები თუ მრავალქმრიანობა უნდა შემოვიღოთ?**

– ღმერთმა დაგვიფაროს მრავალქმრიანობისა და მრავალცოლიანობისგან, მაგრამ კვლევებით გამოვლინდა, რომ, რადგან სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა, გაიზარდა ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობაც და, თუ ადრე 20 წელი იყო, დღეს 40 წელსაც კი აღწევს. არადა, რა დააშავეს ცოლებმა, ერთ ქმარს რომ უნდა უყურონ 20 და 40 წლის განმავლობაში?! დასავლეთში აქვთ ტრადიცია და უპრობლემოდ ქმნიან მეორე ოჯახს როგორც კაცი, ისე ქალი. ამასთან, იქ მაღალია პარტნიორების რაოდენობაც. ჩვენთან ეს ჯერჯერობით არ შემოსულა. ერთადერთი შემოვიდა ერთ სქესთა შორის პარტნიორობა. კიდევ ერთ პრობლემას მივაპყრობ თქვენს ყურადღებას: კვლევით დავადგინეთ, რომ გამოკითხულთა 70 პროცენტი დასაშვებად მიიჩნევს, რომ ქალმა, თუ ვერ მოახერხა ოჯახის შექმნა, იყოლიოს შვილი ქორწინების გარეშე. თუმცა, როდესაც ვაზუსტებთ, თუ ეს იქნება მათი ოჯახის წევრი ან ნათესავი, მომხრეთა რიცხვი იკლებს 67 პროცენტამდე, მაგრამ, საბოლოოდ, ამ ფაქტისადმი საზოგადოების დიდ ნაწილს დადებითი განწყობა აქვს.

**ნინო ხაჩიძე**

# დევიდ დათუნას ორი გრანდიოზული გამოფენა პარიზსა და მოსკოვში

2013 წლის ოქტომბერი, საქართველოში დაბადებული და ნიუ-იორკში მცხოვრები კონცეპტუალისტი მხატვრისთვის, დევიდ დათუნასთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებებით მდიდარი გამოდგა. „გალერი შუკინის" ორგანიზებით, პარიზმა და მოსკოვმა დათუნას გრანდიოზულ გამოფენებს უმასპინძლეს. 10 ოქტომბერს პარიზის გულში, ავენიუ მატინიონზე, შუკინის გალერეაში გაიმართა პრეზენტაცია, დევიდ დათუნას ახალი პროექტისა „ძალაუფლება და სილამაზე."



გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დევიდ დათუნას „ყვავილების სერია" და „დროშების სერია", რომელიც ავტორისთვის დამახასიათებელ მანერაში, ოპტიკური ლინზების გამოყენებით შეიქმნა. პარიზულ გამოფენას არაერთი ცნობილი და გავლენიანი სტუმარი დაესწრო. პარიზში დევიდ დათუნას ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. იგივეს თქმა შეიძლება დევიდ დათუნას პირველ გრანდიოზულ გამოფენაზე მოსკოვში, რომელიც არტ-ცენტრ „ვეტოშნიში" 17 ოქტომბერს გაიხსნა. გამოფენის სახელწოდებით „თვალი თვალში" ცენტრალური პერსონაჟები ვლადიმირ პუტინისა და ნიკოლოზ მეორის უზარმაზარი ინსტალაციები იყო, ოპტიკური ლინზებით დაფარული პორტრეტები ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი გახლდათ რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის დროშები, შესრულებული ავტორისთვის ჩვეულ სტილში. მოსკოვში გამართული გამოფენის პარალელურად, დევიდ დათუნას ნამუშევრების საქველმოქმედო აუქციონი გაიმართა, რომლის ორგანიზატორიც ნატალია ვოდიანოვას ფონდი „შიშველი გულები" გახდა. აუქციონიდან შემოსული თანხა კი მთლიანად ფონდის საქმიანობას მოხმარდა, რომელიც რუსეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში მცხოვრებ ბავშვებს ეხმარება.

# პრეზიდენტებისთვის გადაცემული ყველაზე უცნაური საჩუქრები

*მსოფლიო ლიდერებს, ისევე, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებს, ხშირად მიართმევენ ხოლმე საჩუქრებს, ძვირფას და არცთუ ისე ძვირფას ნივთებს. დღევანდელ რუბრიკაში გიამბობთ პრეზიდენტებისთვის მირთმეული ყველაზე უცნაური საჩუქრების შესახებ.*

### 300-კილოგრამიანი ყველი

ამერიკის მესამე პრეზიდენტს თომას ჯეფერსონს ძალიან უყვარდა ყველი. ამ ფაქტს ადასტურებს დოკუმენტი, რომლის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ 1802 წელს, საახალწლოდ, ჯეფერსონს 300-კილოგრამიანი ყველი აჩუქეს ბაპტისტმა რეპსუბლიკელებმა, რომლებმაც ამ გზით პროტესტი გამოხატეს. თუ რას აპროტესტებდნენ ბაპტისტები, უცნობია, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ყველს დიდი მანძილის გავლა მოუწია, სანამ ჯეფერსონამდე ჩააღწევდა. – მან ამერიკის მთელი ტერიტორია მოიარა, რასაც დაახლოებით ერთი თვე მოანდომა. ასევე, ცნობილია, რომ ჯეფერსონმა ყველში 200 დოლარი გადაიხადა, რადგან, მას ეკრძალებოდა საჩუქრების მიღება.

### ტკბილეულის მოყვარული რუზველტი

შეერთებული შტატების 32-ე პრეზიდენტი, ფრანკლინ რუზველტი, ტკბილეულის დიდი მოყვარული გახლდათ. თავის 59-ე დაბადების დღეზე მას 1,5-მეტრიანი, 100-კილოგრამიანი ტორტი მიართვეს ამერიკელმა კონდიტერებმა. ტორტთან ერთად რუზველტს 500-დოლარიანი ჩეკი აჩუქეს პოლიომიელიტთან მებრძოლი ფონდისთვის.

### მეტამორფოზული პორტრეტი

1979 წელს პრეზიდენტ ჯიმი კარტერს აჩუქეს პორტრეტი, რომელიც მეტამორფოზულ ხელოვნებას განეკუთვნება, ანუ, პრეზიდენტის პორტრეტი სხვა პატარა ზომის სურათებიდან იყო აწყობილი – ნაგებობების, დროშებისა და გემების ფოტოებიდან. პორტრეტი კარტერს მექსიკის პრეზიდენტმა ხოსე ლოპეს პორტილომ აჩუქა, ხოლო ავტორი მხატვარი ოქტავიო ოკამპო იყო.



### შედევრი ატმის კურკისგან

ჯონ კენედის ერთხელ ატმის კურკისგან გამოთლილი საჩუქარი მიართვეს: კურკის ერთ მხარეს კენედის სახე იყო გამოკვეთილი, ხოლო მეორე მხარეს – წმიდა კრისტოფერის თავზე გამოსახული არწივი.

### ხვლიკი პრეზიდენტისთვის

1990 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უფროსმა ინდონეზიის პრეზიდენტისგან საჩუქრად ხვლიკი-დრაკონი კომოდო მიიღო. ხვლიკს მეტსახელი „ნაგა" უწოდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ხვლიკი შხამიანი იყო და უმ ხორცს ჭამდა, ის ცინცინატის ზოოპარკს გადასცეს. ნაგას 32 შთამომავალი ჰყავდა და ის 2007 წელს ინფექციით მოკვდა. 17 წლის განმავლობაში პრეზიდენტის ხვლიკის სანახავად მილიონობით ტურისტი მიდიოდა ზოოპარკში.

### „აიფონი" მედვედევისთვის

ჯერ კიდევ პრეზიდენტობის პერიოდში, რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი რუსეთის ფედერაციაში პირველი „აიფონ 4-ის" მფლობელი გახდა. საჩუქარი მას პირადად სტივ ჯობსმა გადასცა მედვედევის კალიფორნიაში ყოფნის პერიოდში.



### ხალიჩა

ბილ კლინტონი არაფრით ჩამოუვარდება თავის კოლეგებს და მასაც აჩუქეს უცნაური საჩუქარი. 1997 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა კლინტონს ხელით მოქსოვილი ხალიჩა აჩუქა, რომელსაც 3 თვის განმავლობაში ქმნიდა 12 მქსოველი. ხალიჩაზე გამოსახული იყო კლინტონის ოჯახი, ჩასმული გულის ფორმის მედალიონში.

### შავი პორტფელი

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას „ლუი ვიტონის" ბრენდის შავი პორტფელი გადასცა საჩუქრად, რომელზეც ობამას სახელი და გვარი იყო გამოსახული. პორტფელს თავისი მრავალრიცხოვანი ვიზიტების დროს ობამა ხშირად იყენებს.

### გეიმერი-პრეზიდენტი

ევროპაში ვიზიტის დროს ბარაკ ობამას უცნაური პრეზენტი გაუკეთა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა – მან ობამას აჩუქა კომპიუტერული თამაში „ვედმაკი: მოკალი მეფე." უცნობია, გაერთო თუ არა ობამა ამ თამაშით.

### ისტორიული საჩუქარი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს უცნაური საჩუქარი გაუკეთა: ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის ლითოგრაფია, რომელზეც იუმორისტული კუთხით იყო განხილული 1894 წლის რუსეთის იმპერიასა და გერმანიას შორის დადებული ვაჭრობის ხელშეკრულება.

### ხალიჩა ნაზარბაევისთვის

73 წლის იუბილეზე ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს 73-მეტრიანი ხალიჩა აჩუქეს. საჩუქარზე მქსოველები შვიდი თვე მუშაობდნენ და მასში რამდენიმე ფერია გამოყენებული, ხოლო მასალისთვის ცხვრის მთელი ფარის გაპარსვა გახდა საჭირო.

### იაფიანი სვიტერი

2006 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ჩათვალა, რომ ძვირიანი საჩუქრის მირთმევა ცუდი ტონია და, ამიტომ, ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს იაფიანი სამოსი – „ბარბერი ლონოდნის" ბრენდის 140-დოლარიანი სვიტერი აჩუქა. საჩუქრის გადაცემისას ბლერმა გაიხუმრა, რომ სვიტერი თავად მოქსოვა.

### ახალი ცოლი – დაბადების დღეზე

2007 წელს სვაზილენდის მეფემ, მსვატი მესამემ, საკუთარ თავს საჩუქარი გაუკეთა და მეცამეტედ იქორწინა. იმ მომენტისთვის მსვატი 39 წლის იყო, ხოლო მისი მეცამეტე ცოლი – 19 წლის. ქორწილის დღეს მეფემ ახალ ცოლს „ბეემვეს" მარკის ავტომობილი აჩუქა.

### ლუკაშენკოს „მაიბახი"

2012 წელს ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს დაბადების დღეზე „მაიბახი" აჩუქეს. ძვირად ღირებული ავტომობილი, ლუკაშენკოს თქმით, მას მავანმა რუსმა აჩუქა. როგორც თავად პრეზიდენტი ამბობს, იგი არ სარგებლობს ამ ავტომობილით, თუმცა, ბელარუსი ბლოგერების ცნობით, საპრეზიდენტო კორტეჟში ხშირად შეინიშნება „მაიბახი," რომელშიც ლუკაშენკო ზის.

### საჩუქრებით სავსე მატარებელი – ჩრდილოეთ კორეის ლიდერს

2010 წელს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერისთვის ჩინეთის მთავრობამ მატარებელი გამოგზავნა, რომელიც დატვირთული იყო კომუნისტური ლიდერისთვის განკუთვნილი საჩუქრებით. ვაგონებში ელექტროტექნიკა და ძვირად ღირებული მაჯის საათები იყო ჩაწყობილი, თუმცა, ადრესატამდე მატარებელმა არ ჩააღწია – ვაგონი რელსებიდან გადავიდა და ჩინეთის ტერიტორიაზე დარჩა. ერთ-ერთი ვერსიით, კიმ ჩენ ინის წინააღმდეგ დივერსია განხორციელდა და იგი საჩუქრების გარეშე სპეციალურად დატოვეს.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რომელი მილიარდერი იპარავს რესტორნებიდან სამარილეებს და რომელი მილიარდერის ინიციატივით გაიხსნა სპერმის მიმღები ბანკი ნობელის ლაურეატებისთვის

***„ფორბსის" მილიარდერების რეიტინგში არიან ისეთები, რომელთა საქმიანობას ექსცენტრიკული შეიძლება ეწოდოს. მათი პირადი ცხოვრება და საქმიანობა გაჯერებულია ისეთი ფაქტებით, რომელთა შესახებ პრესის ფურცლებიდან ვიგებთ. ამჯერად გთავაზობთ ყველაზე ექსცენტრიკული მილიარდერების ჩამონათვალს.***

**კლაივ პალმერი**

ავსტრალიელი ბიზნესმენი კლაივ პალმერი ბოლო დროს მსოფლიო პრესის ფურცლების ხშირი სტუმარია. „მაინეროლოგის" მფლობელი, სამთო-მომპოვებელი კომპანია რკინის მადნით ამარაგებს ჩინეთს და გრანდიოზული და ფანტასტიკური პროექტების წამოწყებით არის ცნობილი. 2012 წელს პალმერი გარემოს დამცველ ორგანიზაცია „გრინპისს" დაუპირისპირდა და ამერიკის სადაზვერვო სამსახურთან თანამშრომლობაში დასდო ბრალი, თითქოს ისინი ერთად ამუშავებენ ავსტრალიაში სამთო-მომპოვებელი ბიზნესის ჩაძირვის მეთოდებს. პალმერს სხვადასხვა დროს ჩაფიქრებული ჰქონდა დინოზავრების კლონირება და „იურული პერიოდის პარკის" ანალოგის გახსნა; შემდგომ მან ჩაიფიქრა „ტიტანიკის" ანალოგის უზარმაზარი ლაინერის აგება, რომლის ზღვაში გაშვება 2016 წლისთვის იგეგმება. პალმერს უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა და მისგან ახალ ინოვაციურ პროექტებს უნდა ველოდოთ.




**ინგვარ კამპრადი**

„იკეას" დამაარსებელი ინგვარ კამპრადი „ფორბსის" ყველაზე ძუნწი მილიარდერია და ეს არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს. კამპრადი 20 წლის „ვოლვოთი" გადაადგილდება, რამდენჯერმე იყენებს ჩაის ერთ პაკეტს, რესტორნებიდან იპარავს სამარილეებს და ხშირად გადაადგილდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით პენსიონერებისთვის განკუთვნილი შეღავათებით. ამბობენ, რომ ახალგაზრდობაში კამპრადი პრო-ფაშისტურ ძალებთან იყო დაკავშირებული, თუმცა „იკეას" იმპერიის მფლობელის ცხოვრების ეს ეტაპი გასაიდუმლოებულია, ისევე, როგორც მისი რეალური კაპიტალის ოდენობა.




**რობერტ კლარკ გრემი**

გრემი ოპტიკოსი იყო, რომელმაც არამსხვრევადი ლინზები შექმნა სათვალეებისთვის. იმის ნაცვლად, რომ თავისი გამოგონებით დამტკბარიყო, მან მოიწადინა ზეადამიანების შექმნა და 1980 წელს გახსნა სპერმის მიმღები ცენტრი, რომელიც მხოლოდ ნობელის პრემიის ლაურეატების სპერმის მიღებაზე იყო გათვლილი. სამწუხაროდ, მან ვერ გაითვალისწინა, რომ ნობელის პრემიას ძირითადად ასაკოვანი მეცნიერები იღებენ და, ამიტომაც, მათი სპერმა ხშირ შემთხვევაში, გამოუსადეგარი იქნებოდა. ცნობილია, რომ ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, ვინც სპერმა ჩააბარა, იყო 1956 წლის ნობელის ლაურეატი ფიზიკაში უილიამ შოკლი, რომელიც, სპერმის ჩაბარების მომენტში 70 წლის გახლდათ. თავად გრემი 1997 წელს გარდაიცვალა 90 წლის ასაკში – მას ფეხი დაუცდა აბაზანაში და თავი მიარტყა. იმავე წელს შეწყვიტა არსებობა სპერმის მიმღებმა ცენტრმაც. ცნობისთვის, გრემის სპერმის ცენტრის მეშვეობით 217 ქალი დაფეხმძიმდა და, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ყველა ბავშვი ინტელექტის მოზღვავებით გამოირჩევა.

**კაეტანა ფიც-ჯეიმს სტიუარტი**

ალბას მეთვრამეტე ბარონესა, კაეტანა ფიც-ჯეიმს სტიუარტი, პლასტიკური ქირურგიის ნამდვილი მსხვერპლია. ბარონესა 5-მილიარდიან ქონებას ფლობს და, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ის 85 წლის ასაკში 61 წლის ალფონსო დიეს კარაბანტისზე აპირებდა დაქორწინებას, მის წინააღმდეგ მისმა მთელმა ოჯახმა გაილაშქრა, მათ შორის – ესპანეთის მეფე ხუან-კარლოსმა. იმის საპასუხოდ, რომ მისი სიყვარული წმიდაა და არ არის დაფუძნებული ფულზე, ბარონესამ თავის ექვს შვილზე გადააფორმა ქონება და მზითევის გარეშე გათხოვდა.

**მარკ ცუკერბერგი**

მარკ ცუკერბერგი იმ ასაკში გახდა მილიარდერი, როდესაც თანატოლები მხოლოდ ალკოჰოლზე, სექსსა და გართობაზე ფიქრობენ. მარკს არ უყვარს მდიდრული ცხოვრება, იგი ჩვეულებრივად იცვამს. მის ცხოვრებაში ყველაფერი იდეალურად მიმდინარეობდა მანამ, სანამ ერთ დღეს არ განაცხადა, რომ უარს აცხადებს ხორცის ჭამაზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში იტყვის უარს ვეგეტარიანელობაზე, თუკი ქათამი ან ცხვარი მისი ხელით იქნება დაკლული. ცუკერბერგის ეს „ახირება" ერთ წელიწადს გაგრძელდა. მან სტატუსიც კი გამოაქვეყნა „ფეისბუქში:" „დღეს მე დავკალი თხა და ღორი". 2012 წლიდან ცუკერბერგი კვლავ სუპერმარკეტებში ნაყიდ სტეიკებს მიირთმევს.

**ჯოსელინ ვილდენშტეინი**

ჯოსელინ ვილდენშტეინი ახალგაზრდობაში ლამაზი ქალი იყო, სანამ არ დაიწყო მისი გატაცება პლასტიკური ქირურგიით. ჯოსელინი ცოლად გაჰყვა მილიარდერ ალექს ვილდენშტეინს, რომელსაც კატები უყვარდა და მისმა მეუღლემ გადაწყვიტა კატას დამსგავსებოდა. ოპერაციების შედეგი იმდენად შოკის მომგვრელი იყო, რომ ალექს ვილდენშტეინმა ჯოსელინს 19 წლის რუს მოდელთან უღალატა, რასაც მოჰყვა ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი განქორწინება ისტორიაში, რის შედეგადაც ჯოსელინმა მიიღო 2,5 მილიარდი დოლარი კომპენსაციის სახით. ცნობისთვის, ალექს ვილდენშტეინი განქორწინებიდან 13 წელიწადში გარდაიცვალა, ხოლო ჯოსელინს 20 წლით უმცროსი ბოიფრენდი ჰყავს.

**ჯეფ ბეზოსი**

„ამაზონის" დამაარსებელი და მფლობელი, 20-მილიარდიანი კაპიტალის მფლობელი ჯეფ ბეზოსი ბავშვობიდან იყო გატაცებული მექანიკით და ხარისხსაც კი ფლობს ინფორმატიკასა და ელექტროტექნიკაში. ბეზოსი სხვადასხვა დროს მუშაობდა კოსმოსური ფრენების პრივატიზაციაზე. მან ატლანტის ოკეანის ფსკერზე ლეგენდარული „აპოლონ 11-ის" გამოსაკვლევად ჩაყვინთა ჯგუფთან ერთად და, ასევე, 42 მილიონი დოლარი გადაიხადა საათის შექმნაში, რომელმაც 10 ათასი წელი უნდა იმუშაოს შეუჩერებლად.

**პიტერ ტილი**

პიტერ ტილი უამრავ პროექტშია ჩართული; ის გახლავთ „ფეიფალის" სისტემის ავტორი და „ფეისბუქის" თანაინვესტორი. თუმცა, მისი მთავარი გატაცებაა რევოლუციურ ტექნოლოგიებში ფულის ინვესტირება. ტილი გატაცებულია ხელოვნური ინტელექტის, უკვდავების ფორმულისა და წყალზე მცურავი ქალაქების პროექტებზე მუშაობით, რაზეც უამრავ თანხებს ხარჯავს.



**რობერტ დარსტი**

რობერტ დარსტი მრავალმილიარდიანი ქონების მემკვიდრეა – მამამისი, სეიმურ დარსტი, უძრავი ქონების მაგნატი გახლდათ. რობერტი 7 წლის იყო, როდესაც მის თვალწინ დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 1982 წელს უკვალოდ გაუჩინარდა რობერტის მეუღლე – კეტლინი და ის დღემდე დაკარგულად ითვლება. 2000 წელს ქილერმა მოკლა რობერტის ახლო მეგობარი, სიუზან ბერმანი, რომელსაც ჰქონდა ინფორმაცია კეტლინის გაუჩინარებაზე. პირდაპირ მტკიცებულება, რომ სიუზენი რობერტმა მოკლა, არ არსებობდა, თუმცა, ეჭვები მას შემდეგ კიდევ უფრო გამყარდა, რაც რობერტის კარის მეზობლის, მოხუცი ადამიანის დანაწევრებული სხეული იპოვეს. ვარაუდობენ, რომ მასაც ჰქონდა ინფორმაცია კეტლინის გაუჩინარებაზე. ამჟამად რობერტ დარსტი მდიდრულ სახლში ცხოვრობს ნიუ-იორკში. ის რამდენჯერმე წარდგა სასამართლოს წინაშე, თუმცა, მისი ბრალეულობა მკვლელობებში არ დადასტურდა.

**უშანგი რუხაძე**

## მ ა დ ლ ო ბ ა

გულითად მადლობას ვუხდით შპს „ტრავმატოლოგის" ექიმებს – ლუხუმ ჭანტურიასა და ვაჟა კახაბრიშვილს იმ დიდი პროფესიონალიზმისთვის, თანადგომისთვის, სითბოსა და ყურადღებისთვის, რასაც ისინი თითოეული პაციენტის მიმართ იჩენენ. მათი დალოცვილი მარჯვენის წყალობით უამრავი ადამიანი დაუბრუნდა აქტიურ ცხოვრებას.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა შვილები!

**მადლიერი პაციენტი ალთუნი ბახტაძე**

**გასულ კვირას დეპუტატი ანი მიროტაძე „კუდთან“ თანამშრომლობაში „დაადანაშაულეს,” რის გამოც ჟურნალისტმა გაზეთ „ქრონიკა პლუსის” წინააღმდეგ პროკურატურაში შეიტანა სარჩელი. თუმცა, როგორც თავად ამბობს, მისი მთავარი მიზანი არა ჟურნალისტის დისკრედიტაცია, არამედ, იმ შემკვეთთა დადგენაა, ვინც ის აგენტების „შავ სიაში” შეიყვანა.**

# რატომ არ დაამთხვია ანი მიროტაძემ ქორწილი ახალი პრეზიდენტის არჩევას და რას ანდობს ის კახა შარტავას

**ანი მიროტაძე**: ამ ინფორმაციამ ისეთ შოკში ჩამაგდო, საკმაოდ დიდხანს ვერ მოვახერხე გონზე მოსვლა. ძალიან გამაოგნა ამ კონტექსტში ჩემი გვარის ხსენებამ. ადამიანმა ყველაფერი შეიძლება დაიჯეროს, მაგრამ, ეს უკვე მეტისმეტია. როდესაც 9 წლის განმავლობაში ებრძვი რეჟიმს ისე, რომ უკან არ იხევ; როცა მთელი ამ წლების განმავლობაში როგორც საკუთარ თავს, ასევე ოჯახს, საშიშროებას უქმნი და, უცებ, ასეთ რამეს იგებ, ეს ძალიან მძიმეა. ისეთ შოკში ვიყავი, არც კი ვიცოდი, რა უნდა მექნა, თუმცა, იურისტებთან კონსულტაციების შემდეგ, მაშინვე შევიტანე სარჩელი პროკურატურაში. ვიფიქრე, რომ ვიღაცამ ეს უნდა დაასრულოს. მე ჟურნალისტი ვარ, თავად გამივლია ბევრი რამ, სკანდალის ფასიც კარგად ვიცი და ექსკლუზივისაც, მაგრამ, ეს ის საკითხია, რომელიც არც ერთ ჩარჩოში არ ჯდება. საკუთარ თავზე ძალიან ბევრი რამ მსმენია, მაგრამ, ასეთი – არა. ვიღაცას, შეიძლება, არ მოსწონს ჩემი მეტყველების მანერა, ან, თქვას, რომ „ფეხი„ არ მივარგა და ეს არის ბუნებრივი. ყველას თავისი შეფასების კრიტერიუმი აქვს და გემოვნებაზეც არ დავობენ, ამას გარდა, მათ ამის სრული უფლება აქვთ, რადგან, მე, როგორც საჯარო პირს, თმენის ვალდებულება მაკისრია და ამისთვის მზად ვარ. ამ საქმეს კი უპასუხოდ არ დავტოვებ და, არა იმიტომ, რომ ჩემი პატივი და ღირსება შეილახა. ვინც მე მიცნობს, კარგად იცის, რომ ჩემი ხალხისა და ჩემი ქვეყნის აგენტი ვარ და ვერ ვიქნებოდი იმ უწყებებისა და ადამიანების აგენტი, რომლებიც ჩემი ქვეყნის საწინააღმდეგოდ მუშაობდნენ. მე მადლობელი ვარ ხალხის, ვისაც კითხვაც კი არ გასჩენია ამ თემასთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ, რაც არ უნდა შეთითხნო ადამიანზე, ყველამ კარგად იცის, ვინ ვინ არის. ჩემთვის იმას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელმა გაზეთმა და ჟურნალისტმა გამოაქვეყნა ეს აბსურდი, ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ ფაქტის გამოძიება. ახალ საქართველოში, როდესაც ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავდივართ, მსგავსი რაღაცეები არ უნდა ხდებოდეს. მე დღეს ძალიან მიხარია, რომ, ერთ-ერთ პირველს, შემიძლია, თქვენი ჟურნალის მეშვეობით მივულოცო ადამიანებს ცხოვრება საქართველოში, რომლის პრეზიდენტიც მიხეილ სააკაშვილი აღარ არის.



ეს არის მამაკაცი, რომელიც უნდა იდგეს ჩემნაირი ქალის გვერდით

**– როგორ ფიქრობ, შენ როგორ მოხვდი „აგენტთა“ სიაში?**

– არ ვიცი, მე რა ნიშნით შემარჩიეს, ჩემამდე რამდენიმე ქალი დეპუტატიც მოხვდა ამ სიაში, ასე რომ, მარტო არ ვარ ***(იცინის).*** მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩემს პროფესიაში მყავს მტრები, შესაბამისად, ვერ ვიტყვი, რომ ამ ბრალდებაში კონკრეტული გაზეთი ან ჟურნალისტია დამნაშავე. მე მაქვს განცდა, რომ ამ აბსურდის უკან დგანან ადამიანები, რომლებსაც მიზნად აქვთ დასახული ჩემი დისკრედიტაცია. მე მინდა, გამოძიება მივიდეს დამკვეთებამდე, ინფორმაციის პირველ წყარომდე, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ეს მარაზმი. მე ვგიჟდები ჩემს პროფესიაზე, იმის მიუხედავად, რომ არანაირი შეხება აღარ მაქვს ჟურნალისტიკასთან, გარდა იმისა, რომ ვხვდები რესპოდენტის როლში; ვარ ყველა ჟურნალისტის გულშემატკივარი, მაგრამ, არ მესმის იმ კატეგორიის ადამიანების, ვისაც ასეთი თემებით აგორებული სკანდალები ჟურნალისტიკა ჰგონია.

**– თქვი, რომ ჟურნალისტიკას მთლიანად ჩამოვშორდიო, თუმცა, სააგენტო „პირველი,” რომელიც შენი დაარსებულია, დღეს შენს დას ეკუთვნის.**

– ამ მხრივ შეკითხვები რომ არ გაჩენილიყო, ჩემმა დამ დაახლოებით ერთი თვის წინ გაყიდა სააგენტო. მე ბევრი ვიფიქრე ამაზე და ეს კავშირიც გავწყვიტე. მე მაქვს დამოკიდებულება, რომ პოლიტიკოსი მართალი უნდა იყო საკუთარ ხალხთან. შინაგანად, პროფესიით, რა თქმა უნდა, ვრჩები ჟურნალისტად და ამ საქმის დიდ გულშემატკივრად. ჟურნალისტიკაში გატარებული წლები აღმოჩნდა ჩემი მთავარი გზამკვლევი პოლიტიკაში; ეს არის ჩემი მარჯვენა ხელი. ჟურნალისტმა ზუსტად იცის პოლიტიკოსის რეალური სახე. ეს გამოცდილება მეხმარება, გვერდიდან შევხედო საკუთარ თავს, და არა პირდაპირ. გვერდიდან ყველაზე კარგად ჩანს ადამიანი, მაშინვე ზუსტად ვხვდები ხოლმე, სად რა შეცდომა დავუშვი და მაშინვე ვიწყებ მის გამოსწორებას. ჩვენ, ჟურნალისტები ხომ ყველაზე უკეთ ვყოფთ პოლიტიკოსებს ჯგუფებად: ვინ პიარისთვის მუშაობს, ვინ რეიტინგზე, ვინ ტელეპოპულარობაზე... როცა ეს ზუსტად იცი, არ გაქვს სურვილი, პოლიტოკოსთა რომელიმე ჯგუფში მოვხვდე ***(იცინის).***

**– მაგრამ ალბათ, პოლიტიკაში გატარებულმა ერთმა წელმა მოგცა იმაზე მეტი, რაც ჟურნალისტიკაში გატარებულმა წლებმა?**

– რა თქმა უნდა, პოლიტიკამ ძალიან შეცვალა ჩემი შეხედულებები, გადააფასა ბევრი რამ. ამ ერთმა წელმა მასწავლა თმენის ვალდებულება. ჟურნალისტობა ემოციური პროფესიაა, მით უფრო, თუ ამაში პირადი ემოციური ხასიათიც გეხმარება. სულ ვცდილობ, ვიყო უფრო გაწონასწორებული, რადგან, იმ განზომილებას, რომელშიც ახლა მე ვარ, ეს საკმაოდ უხდება.

**– ერთი წლის შემდეგ, კვლავ გჯერა პოლიტიკური მეგობრობის, პარტნიორობის? როგორი ურთიერთობა გაქვს დღეს „ეროვნული ფორუმის“ ლიდერებთან, თუნდაც კახა შარტავასთან, რომლის წყალობითაც პოლიტიკაში მოხვდი და რომელმაც პოლიტიკური ტაიმ-აუტი აიღო?**

– ჩემი და კახას მეგობრობა პოლიტიკით არ დაწყებულა. წლების წინ, როდესაც ის დაბრუნდა საქართველოში, ჩვენ ერთმანეთი საერთო მეგობრის წყალობით გავიცანით. მახსოვს, ფილარმონიაში ჟიული შარტავას 55 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება იყო, როდესაც კახა გავიცანი და საოცარი შთაბეჭდილებები დამრჩა მასზე. იმ პერიოდის პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობდა ადამიანი, რომელსაც ასეთი ხედვები ჰქონდა და, უცებ, გავიცანი ადამიანი, ჟიული შარტავას შვილი, რომელიც ძალიან განსხვავებული დამოკიდებულებებით იყო გამორჩეული. არ შეიძლებოდა ჩვენ შორის მეგობრობა არ დაწყებულიყო, ასეთი ადამიანის ხელიდან გაშვება წარმოუდგენელია. მე დღემდე ვეძებ ასეთ ადამიანებს, რომელთა პოვნა რთულია, რადგან, ძალიან ცოტანი არიან. არ არსებობს თემა, რაზეც მე და კახას არ გვისაუბრია ამ წლების განმავლობაში, ძალიან ბევრჯერ გვიკამათია კიდეც, თუმცა, ეს ჩვენს მეგობრობას არასდროს ცვლიდა. სხვათა შორის, დროის გასვლის შემდეგ, დავრწმუნდი, რომ ასი შემთხვევიდან ასივეში კახა იყო მართალი. ის არის საუკეთესო მეგობარი. ჩვენ გვაკავშირებს არა მხოლოდ საერთო საქმე, მე შემიძლია, მას, როგორც მამაკაცს, ვკითხო რჩევა, მაშინაც კი, როცა პირად ცხოვრებაში ვიბნევი ***(იცინის).*** საბედნიეროდ, მე ვარ იმ მცირე რაოდენობის პარლამენტართა შორის, ვისაც აქვს ძალიან კომფორტული სიტუაცია თავის გუნდში. ვამაყობ იმით, რომ ჩემ უკან დგანან ადამიანები, რომლებიც ყოველთვის მეიმედებიან. წინ წასული, უკან შიშით კი არ ვიხედები, ვიხედები იმიტომ რომ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, სწორად ვიქცევი თუ არა. ამ მხრივ ძალიან გამიმართლა. ფორუმელი მამაკაცები როგორც ქალს, ძალიან მანებივრებენ და, მგონი, ეს მეტყობა კიდეც ***(იცინის).***

**– ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელებში შენი რომანისა და ქორწინების ამბავი ძალიან აქტუალური გახდა. მართლა ამთხვევ ქორწილს მიხეილ სააკაშვილის წასვლას პრეზიდენტის პოსტიდან?**

– არა, ეს ხუმრობა იყო, რომელიც ბევრმა აიტაცა. ქორწინება ისეთი რამ არის, რომელსაც ვერ დაგეგმავ და ვერც პოლიტიკურ პროცესებს დაამთხვევ. ქორწილის დაანონსება ჩემგან არ მომხდარა, თუმცა, არ ვმალავ იმას, რომ მარტო არ ვარ და ვხვდები ადამიანს, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ჩვენი ურთიერთობა ახლა არ დაწყებულა, ჩვენ დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. თავიდან ვმეგობრობდით, მერე რაღაცეები შეიცვალა. როცა ქალი 20 წლის ხარ მამაკაცს სხვანაირად უყურებ, სხვა მოთხოვნები გაქვს. მერე ეს მოთხოვნები იცვლება. ახლა შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის მამაკაცი, რომელიც უნდა იდგეს ჩემნაირი ქალის გვერდით.

**– კაცებს ეს ხშირად აფერხებთ.**

– საქმეც ეგაა, რომ ის არ შეუშინდა ჩემს წარმატებას. ის არც პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, არც ჟურნალისტიკასთან, მაგრამ, თავადაც კარგი პოზიციები აქვს. კარგად იცის, რომ ლანგარზე მირთმევით არ მოსულა ჩემი პოლიტიკური კარიერა; იცის ჩემი წარმატების ფასი და ძალიან მიწყობს კიდეც ხელს. რაც ეს ამბავი გახმაურდა, ბევრი ჟურნალისტი დაეძებდა მის ფოტოს, იკვლევდა მის ვინაობას, მაგრამ, მე მაინც მოვახერხე და მისი კონფიდენციალობა შევინარჩუნე. ჩვენ ვხვდებით ახლო მეგობრების წრეში, სადაც არ მჭირდება კონსპირაცია. დასამალი არც არაფერი მაქვს, მაგრამ, არ მიყვარს პირადი ცხოვრების აფიშირება. მე არც სხვისი პირადი ცხოვრება მაინტერესებს, ამიტომ, ისე ხდება, რომ ყველაზე გვიან ადამიანებზე მე ვიგებ ხოლმე მათი პირადი ცხოვრების ამბებს.

**– თბილისი-ქუთაისის „მარშრუტზე” როგორ ახერხებთ შეხვედრებს?**

– ეს კი ნამდვილად არის პრობლემა და, ხან ის ჩამოდის ქუთაისში, ხან მე ვარ აქეთ. ის ბევრ რამეს უძლებს ჩემ გამო: ჩემს რეჟიმს, ხასიათს – არ მაქვს მე მარტივი ხასიათი; უძლებს იმ სამას კილომეტრს, რომელიც ჩვენ გვაშორებს და ეს როგორ არ დავაფასო?! ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

**კომპანია „რადიო საქართველო” სხვადასხვა ინოვაციით გამოირჩევა და ამჯერადაც უპრეცედენტო დაჯილდოების, „ოქროს ტალღის” მოწყობა ითავა. პროექტი „ოქროს ტალღა” საქართველოში შოუ-ბიზნესის წახალისების მიზნით ტარდება და ახალი სახეების აღმოჩენასთან ერთად, საუკეთესო სიმღერების გამოვლენისა და პოპულარიზაციის საშუალებას იძლევა. პროექტში როგორც ახალბედა, ასევე საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი სახეები იქნებიან ჩართული, ხოლო დამატებითი სტიმული კონკურსანტებისთვის, ის საპრიზო ფონდია, რომელიც წლის საუკეთესო სიმღერის ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა. ცნობილია, რომ რადიოებს: „ფორტუნა”, „ფორტუნა პლუსი”, „არ დაიდარდო” და „ავტორადიო” მაღალი რეიტინგული მონაცემები აქვს. ქართული შოუ-ბიზნესის სექტორში „ოქროს ტალღა” იქნება სიმღერების დაჯილდოების ყოველწლიური ცერემონია. დაჯილდოების ცერემონია გაიმართება დეკემბერში და გამოვლინდებიან გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: წლის საუკეთესო მომღერალი ქალი; წლის საუკეთესო მომღერალი მამაკაცი; წლის დუეტი; წლის ჯგუფი; პრიზი მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის; „ფორტუნას” რჩეული; „არ დაიდარდოს” რჩეული; „ფორტუნა პლუსის” რჩეული; „ავტორადიოს” რჩეული; Music Box – ის რჩეული.**

**კომპეტენტური ჟიური, პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული და აუცილებლად სამართლიანი და ობიექტურები იქნებიან. ჩვენი რესპონდენტები სწორედ ამ ჟიურის ორი წარმომადგენელია – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, გურამ ოდიშარია და კომპოზიტორი, ტელეკომპანია „იმედის” მუსიკალური პროდიუსერი, რუსა მორჩილაძე.**

# რაში არ ენანება დროის ხარჯვა გურამ ოდიშარიას და კომპანია „რადიო საქართველოს“ რა წამოწყებას მიესალმება რუსა მორჩილაძე

**– ბატონო გურამ, როგორ ფიქრობთ ისეთი დაჯილდოება, როგორიც არის „ოქროს ტალღა,” შეუწყობს თუ არა ხელს საქართველოში მუსიკის განვითარებას და ქართული შოუ-ბიზნესის ამოქმედებას?**

**გურამ ოდიშარია** *(საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი):* რა თქმა უნდა, „ოქროს ტალღა,” ისევე როგორც სხვა ნებისმიერი კონკურსი, დიდი სტიმულია მუსიკოსებისთვის, კომპოზიტორებისა და ტექსტის ავტორთათვის. იმედი მაქვს, თითოეულ კონკურსს, უახლოეს მომავალში, რამდენიმე კარგი ქართული სიმღერა და მელოდია მოჰყვება. მიმაჩნია, „ოქროს ტალღა” ნამდვილად დროულია, რომლის ჟიურიც ძალიან სერიოზული კომპეტენტური შემადგენლობისაა. მართალია, ძალიან ცოტა დრო მაქვს, მაგრამ მონაწილეობას მეც მივიღებ აუცილებლად, რადგან ამ საქმეში დროის ხარჯვა ნამდვილად ღირს. მე პირადად, ძალიან მაკლია კარგი ახალი ქართული, მელოდიური სიმღერა და მიმაჩნია, რომ კომპანია „რადიო საქართველომ” კარგი ინიციატივა გამოიჩინა დაჯილდოებასთან დაკავშირებით. ჩვენც მივესალმებით ამ საქმის წამოწყებას და სიამოვნებით ამოვუდექით მხარში.

**– მკაცრი ჟიური იქნებით?**

– შევეცდები მკაცრიც ვიყო და, რა თქმა უნდა, სამართლიანიც, სხვანაირად არც შეიძლება. არავის არ უნდა მივცეთ სათქმელად: იმან იმიტომ გაიმარჯვა, რომ ჟიურიში მისი ნაცნობიაო, ან მსგავსი რაღაცეები. ეს თემა უნდა დასამარდეს და აუცილებლად ყველანი სამართლიანები უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენ



ვემსახურებით ქართულ კულტურას. მინისტრები მიდიან, მინისტრები მოდიან, მაგრამ ქართული კულტურა მარადიულია. ასე რომ, ამ შემთხვევაში, თანამდებობას მნიშვნელობა არ აქვს, ყველანი ერთნი ვართ. ჩვენ ყველანი ვალში ვართ ჩვენი კულტურისა და ხელოვნების წინაშე.

**– მართალია ძალიან დაკავებული ბრძანდებით და ალბათ, რადიოსთვის დრო არ გრჩებათ, მაგრამ როცა მანქანით გადაადგილდებით, მაშინ აუცილებლად მოახერხებთ მის მოსმენას. თუ საიდუმლო არ არის, რომელ რადიოს უსმენთ?**

– მანქანაში რადიოს ყოველთვის ვუსმენ. კონკრეტულად რომელიმე ერთს, არა, რადგან პერიოდულად გადავრთავ-ხოლმე სხვადასხვა ტალღაზე. მიყვარს მუსიკის მოსმენა, მით უმეტეს მაშინ, როცა შორ გზაზე მივდივარ. მე რადიოს მეგობარი ვარ, რადგან ძველი ჟურნალისტი ვარ და ჩემი მოღვაწეობა რადიოთი დავიწყე. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ხუთი წლის განმავლობაში სწორედ რადიოში ვმუშაობდი.

**– ქართულ შოუ-ბიზნესთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი ამბობს არსებობსო, ზოგიც საპირისპიროს ამტკიცებს. თქვენი აზრი ამ თემასთან დაკავშირებით საკმაოდ კომპეტენტურია. რას გვეტყვით, როგორია თქვენი პოზიცია?**

– შოუ-ბიზნესი, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ მიმაჩნია, რომ აუცილებლად კომპეტენტურად უნდა გადავხედოთ ძალიან ბევრ რამეს ამ მიმართულებით. ამიტომაც დავიწყეთ მრგვალი მაგიდის მოწყობა. გვინდა, ერთი სერიოზული მრგვალი მაგიდა მივუძღვნათ ამ თემას. მოვიწვიოთ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, კრიტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, რომლებიც თავიანთ აზრს გამოთქვამენ და შემდეგ იდეები, რომელიც დაიბადება, ჩვენ აუცილებლად დავეხმარებით მათ მის განხორციელებაში. კარდინალური ცვლილებები და ახალი ხედვაა საჭირო, რის მოსაძებნადაც სწორედ მრგვალი მაგიდა გვჭირდება.



**რუსა მორჩილაძე** *(კომპოზიტორი, ტელეკომპანია „იმედის“ მუსიკალური პროდიუსერი):* ჩემი აზრით, ეს ღონისძიება აქამდეც უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ერთგვარი წახალისებაცაა, გადახალისებაც და გადარჩევაც, ზოგადად, ჩვენი მუსიკალური პროდუქციისა. ხანდახან ირევა სიტუაცია და მსმენელის, ავტორებისა და შემსრულებლების გემოვნებაში ვირუსები შედის. ამიტომ კარგია, რომ ამას პროფესიონალთა არმია ჩაუდგეს სათავეში და დელიკატურად მართოს გემოვნება. ეს აუცილებელია, რადგან ყოველთვის ყველა სფეროში არსებობენ თავისი საქმის პროფესიონალები და მათი სიტყვა საზოგადოებამ უნდა მოისმინოს. ჩვენი ერი იმდენად მუსიკალური და გამორჩეულად ნიჭიერია, რომ აუცილებელია, გემოვნება სწორად წარიმართოს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მუსიკოსი ვარ, ასეც რომ არ იყოს, მაინც ამას ვიტყოდი.

**– რუსა მორჩილაძე იქნება მკაცრი და სამართლიანი ჟიური?**

– სამართლიანი სიტყვა იმდენად კარგია, რომ მეტი არაფრის დამატება აღარ სჭირდება. ჩვენ, როგორც პროფესიონალებმა, უნდა შევთავაზოთ ადამიანებს და ვუთხრათ, რომ ეს არის ამაზე ხარისხიანი. შეიძლება, მათ დაიჯერონ ან არა, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა, ჩავერთოთ გემოვნების განვითარებაში. მე პირადად, წინააღმდეგი ვარ, ახალგაზრდა თაობამ უხარისხო მუსიკას დიდი დოზით უსმინოს და ამაზე უთხრან, რომ ეს კარგია. ამიტომ შესანიშნავია, რომ ასეთ დაჯილდოებას ძალიან საპატივცემულო და წარმატებული კომპანია „რადიო საქართველო” აკეთებს. ამ ოთხი რადიოდან, მე მაინც „ფორტუნას” გამოვარჩევდი, რადგან ძალიან მიყვარს. „ფორტუნა” გემოვნებიანი რადიოა და ძალიან კარგად მუშაობს, ისევე როგორც რადიოები: „ფორტუნა პლუსი,” „ავტორადიო“ და „არ დაიდარდო.“

**– როგორ ფიქრობთ, „ოქროს ტალღა” იქნება იმის სტიმული, რომ მომღერლებმა წლიდან წლამდე მხოლოდ კარგი პროდუქტი შექმნან?**

– წახალისების თვალსაზრისით, მარტო ეს არ არის საკმარისი, მაგრამ „ოქროს ტალღა” ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

**მარიკა ხიდურელი**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს „პირობადებული საკუთრება“?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. თუ შემძენი გააჭიანურებს საფასურის გადახდას, ხოლო გამსხვისებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, უკვე ორმხრივად განხორციელებული შესრულება მხარეებმა უნდა დააბრუნონ. აღნიშნული პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, თუ გამსხვისებელი, ნებისმიერი სხვა გზით, ვიდრე საფასურის გადახდაა, დაკმაყოფილდება, ან, თუ შემძენი მიუთითებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება საკუთრების უფლების მოპოვება უპატრონო მოძრავ ნივთზე?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ პირი მფლობელობაში იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს, ის იძენს საკუთრებას ნივთზე, თუკი მისი მითვისება კანონით არ არის აკრძალული, ან, თუ მითვისებით არ არის დარღვეული იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა. მოძრავი ნივთი კი უპატრონოდ ითვლება, თუკი უწინდელი მესაკუთრე, საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით, ნივთის მფლობელობას მიატოვებს.



**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორია განძის სამართლებრივი განმარტება და ვის ეკუთვნის ნაპოვნი განძი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ აღმოჩენილია საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა, ის წარმოადგენს განძს. განძის აღმოჩენის შემთხვევაში, საკუთრება სანახევროდ გადადის აღმომჩენზე და იმ მესაკუთრეზე, რომლის ნივთშიც იქნა განძი ნაპოვნი.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ გადაწყდება იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც არც საქართველოს მოქალაქეა და არც საქართველოს ტერიტორიაზე ჩაუდენია დანაშაული, მაგრამ, მან ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული სხვა ქვეყანაში. შეეხება თუ არა მას საქართველოს კანონმდებლობა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, უცხოეთში დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან/და თუ ამ დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს დენადი დანაშაული და რომელი დანაშაული შეიძლება იყოს დენადი დანაშაულის მაგალითი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ დენადია სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. ასეთი დანაშაულის მაგალითი შეიძლება იყოს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, რომელიც იწყება იარაღის შეძენით და შემდეგ უწყვეტად გრძელდება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რომელი დანაშაულები ითვლება ნაკლებად მძიმე დანაშაულებად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს პირის ქმედება მძიმე დანაშაულად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას; აგრეთვე, გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, სამოქალაქო საქმეზე ადვოკატის მომსახურეობისთვის გადახდილი თანხა, არის თუ არა სასამართლო ხარჯი და ხდება თუ არა მისი ანაზღაურების დაკისრება მხარისთვის?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ არსებობს პროცესის ხარჯები, რომელშიდაც შედის სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. სასამართლოს გარეშე ხარჯებია ადვოკატისთვის გაწეული, ასევე დაკარგული ხელფასი (განაცდენი), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, და მხარეთა მიერ გაღებული სხვა აუცილებელი ხარჯები, რომელთა გადახდაც ეკისრებათ მხარეებს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, მოდავე მხარეებისგან განსხვავებული რა უფლებებითა და მოვალეობებით სარგებლობენ სამოქალაქო საქმეში ჩაბმული მესამე პირები?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებისა: გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი არის არასწორი და ვერ ბარდება სარჩელის ასლი ან უწყება, როგორ ხდება ამ სარჩელის განხილვა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თუ მოსარჩელის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

# ინტიმური საუბრები

## მოგვაწონეთ თავი, მამაკაცებო!

ძალიან ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე, ჩემი პროტესტი თქვენთვის მომეწერა. ძალიან აღშფოთებული და, შეიძლება ითქვას, განრისხებულიც კი ვარ. საქმე ისაა, რომ ყველგან – რადიოში, ტელევიზორსა თუ პრესაში (მათ შორის თქვენს ჟურნალსაც ვგულისხმობ), როდესაც ქალებს (ნებისმიერი ასაკის) ურჩევენ რამეს, ამ რჩევების 95 პროცენტი ეხება ერთ თემას: როგორ მოაწონონ თავი კაცებს, როგორ მოხიბლონ ისინი არა მარტო გარეგნობით, არამედ, თვისებებით ისე, რომ გული არ აიცრუონ თავიანთ ცოლზე, საყვარელზე თუ შეყვარებულზე და სხვა ქალებს არ დაუწყონ დევნა. კი ბატონო, ქალი იმისთვის არის ქალი, რომ მამაკაცს გაეპრანჭოს, თავი მოაწონოს და შეაყვაროს, მაგრამ, ტელე-რადიო თუ პრესის ჟურნალისტების (არა მარტო საქართველოს მასშტაბით) „სიბრძნისმეტყველების“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალმა ნებისმიერ ფასად უნდა შეძლოს, მიიქციოს ვიღაც ბედოვლათი, უქნარა (თუნდაც მშრომელი იყოს, მნიშვნელობა არ აქვს), მუტრუკისა თუ, მაპატიეთ გამოთქმისთვის, „გამოიმასქნებული“ „ალფონსი“ ნარცისის ძვირფასი ყურადღება და, თუ ეს ცოტა ხნით შეძლო, მთელი ცხოვრება ბედნიერი უნდა იყოს და სიცოცხლის ბოლომდე სხვა აღარაფერი მოუნდეს. არადა, სინამდვილეში პირიქით არის. რასაც ახლა ვიტყვი, ქალების ასივე თუ არა, 99 პროცენტი დაეთანხმება, კაცები კი, ალბათ, გინებასაც დაიწყებენ, მაგრამ თუ რომელიმე მათგანს სინდისისა და სამართლიანობის ნატამალი მაინც აქვს შერჩენილი, საკუთარ გულში ჩაიხედოს და, მერე, თუ უნდა, მოვიდეს და მლანძღოს.

მე კი იმის თქმა მინდა, რომ, ჩემ გარშემო, ნათესავი იქნება ეს, მეზობელი, თანამშრომელი თუ მეგობარი, უამრავი წყვილია გაყრილი (შეყვარებულებიც, ცოლ-ქმარიც და საყვარლებიც), თანაც, სერიოზული სკანდალებით. მათი განშორების მიზეზი კი, ათიდან ცხრა შემთხვევაში, თითქმის ერთი და იგივეა: უყურადღებო, უხეში, უზრდელი, უსაქმური, უსაფუძვლოდ ამბიციური, ალფონსი, მოღალატე ქმარი თუ საყვარელი.

უიშვიათესი შემთხვევაა, მზრუნველი ოჯახის მოყვარული რაინდი, ერთგული მამაკაცი ქალს, ცოლს, საყვარელს, შეყვარებულს გულწრფელად არ უყვარდეს. რა თქმა უნდა, უმადური და მოღალატე ქალებიც არსებობენ, მაგრამ, მე ანომალიებს არ ვგულისხმობ არც ერთ მხარეს. საერთოდ, მინდა, ხმამაღლა ვუთხრა კაცებს: თუ თქვენს ცოლსა თუ შეყვარებულს მუდმივად აგრძნობინებთ, რომ ის ქალია, თქვენთვის ერთადერთი და განუმეორებელი; თუ ყოველდღე ეტყვით, რომ ის ძალიან გიყვართ, დარწმუნებული იყავით, რომ სიყვარულსა და ყველაფერ დანარჩენ დადებითს ასმაგად მიიღებთ მისგან; მაგრამ, თუ მთელი ცხოვრება დარწმუნებული იქნებით, რომ თქვენ ხართ მსოფლიოს მბრძანებელი და ქალისგან მხოლოდ ბრმა მორჩილებას მოითხოვთ, იცოდეთ, რომ სინამდვილეში არასდროს ეყვარებით მას (უფრო კი – ნამდვილად ეძულებით), თუნდაც ამას არ გაგრძნობინებდეთ და, ასეთი ურთიერთობით, შესაძლოა, ისეთ კონდიციამდე მიიყვანოთ, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ნელ-ნელა იგრძნობთ (ან სარკეში დაინახავთ), როგორ თანდათან ემსგავსებით ირემს – ტყის მშვენებას.

ამიტომ, მოვუწოდებ ჟურნალისტებს: მამამარჩენალი არქიფოსი არ იყოს – ეს ყველაფერი იგივე დარჩეს, ოღონდ, უკუღმა, უკუღმა! ანუ, ქალებს კი ნუ მოძღვრავთ, როგორ არჩინონ ქმრები თუ საყვარლები, თანაც გაართონ და თანაც მომხიბვლელობა არ დაკარგონ, არამედ, კაცებს შეახსენეთ, რომ მათი წინაპრები ნამდვილი მამაკაცები იყვნენ; შეახსენეთ, რომ კაცობა მარტო შარვლის ტარება და ყანწით თავიანთი მონაპოვრების („მონა“ და „პოვარი“, ანუ – ცოლი) დღეგრძელობა არ არის; შეახსენეთ, რომ ცოლების უცხოეთში გაგზავნა ვიღაც ქეციანი მოხუცების უკანალების საწმენდად და მერე ამაში აღებული და გამოგზავნილი ფულის ბოზებში ხარჯვა და გულზე მჯიღის ცემა მხოლოდ თუ გაზრდის მათი რქების სიგრძესა და სიხშირეს.

მანამდე კი, სანამ ჟურნალისტები მიხვდებიან, რას ვითხოვ სრულიად საქართველოს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ქალების სახელით, მე ვიქნები პირველი, ვინც სასარგებლო რჩევებს მისცემს ჯერჯერობით ეგრეთ წოდებულ მამაკაცებს:

1) თუ გსურთ, რომ ქალმა ყურადღება მოგაქციოთ და თქვენზე რამე კარგი გაიფიქროს, მისი დანახვისას ნუ მიიღებთ მამის მკვლელის სახეს;

2) როდესაც ქალის საზოგადოებაში იმყოფებით, ნუ დაამთქნარებთ (მით უფრო – პირის ფართოდ დაღებით), ნუ დაიწყებთ ბეჭების ფხანას (ხელით ან კედლის კუთხეზე) და ნუ შეაჩვევთ მის სმენას ბილწსიტყვაობას. იცოდეთ, ეს ბოლო ნაწილი მოკლე ხანში ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდებათ) – თუ ქალი ნორმალურია, ამ ყველაფრით მხოლოდ სიძულვილსა და აგრესიას გამოიწვევთ მასში.

3) არ მოეფეროთ ქალს, თუ ხართ გაუპარსავი, გიდით არყის ან ნივრის სუნი და რამდენიმე დღის დაუბანელი ხართ.

4) თუ ოდესმე ვინმეს უთქვამს, რომ გაქვთ იუმორის გრძნობის დეფიციტი, არ მოაბეზროთ ქალს თავი თქვენი ბრიყვული ან უხამსი ხუმრობებით.

5) თუ იმ დონეზე უწიგნური ხართ, რომ ვერანაირ თემაზე ვერ ახერხებთ ქალთან საუბარს, ან „მრავალმნიშვნელოვანი“ დუმილი შეინარჩუნეთ, ან სიყვარული აუხსენით (ეს არასდროს არ არის ზედმეტი), ოღონდ, შეეცადეთ, გულწრფელი იყოთ.

6) თუ უსაქმური ხართ, თანაც – უთავმოყვარეო და უკვე მეათე პაემანზე გოგოსთან უყვავილოდ მიხვედით, ამ ერთხელ მაინც დაბრუნდით სახლში ფეხით და გზის ფული მას აღარ გამოართვათ...

მოკლედ, იყავით სულ ფორმაში, ენერგიული, ყურადღებიანი, მზრუნველი, ნამდვილი ჯენტლმენი, ერთგული და, თუ ამ ყველაფერთან ერთად ცოტაოდენ ფულსაც გაიმეტებთ ხოლმე საყვარელი ქალისთვის, მერწმუნეთ, ის თქვენს ღალატს გულშიც კი არასოდეს გაივლებს.

მოაწონეთ თავი ქალებს, ძვირფასო მამაკაცებო!

**მარიანა, 26 წლის.**

## მოწიფულ კაცს ცანცარობა არ უხდება

ჩემი დეიდაშვილი, რომელთან ერთადაც გავიზარდე, არც ისეთი პატარა ბიჭი აღარ არის, ჭკუა რომ არ მოეთხოვებოდეს. მართალია, ძალიან კარგი გარეგნობის ბიჭია, განათლებული, კეთილი, გოგოებში საოცრად პოპულარული; სამსახურიც კარგი აქვს და სამეგობროც საუკეთესო ჰყავს, მაგრამ, მის საქციელს ცანცარობას უფრო დავარქმევ, ვიდრე დონჟუანობას. საქმე ისაა, რომ ყოველ კვირას იცვლის შეყვარებულებს. თან, რაც მთავარია, ყოველთვის გულწრფელია თავის გრძნობებში, ანუ, არც ერთ გოგოს არატყუებს – იმ რამდენიმე დღით მართლაც უზომოდ უყვარს და მზად არის, მისთვის სიცოცხლე გაწიროს, მაგრამ, საკმარისია, ვთქვათ, ახლობლის დაბადების დღეზე ან სადმე სხვაგან, ვინმე „ახალი გოგო“ მოეწონოს, რომ ის წინა შეყვარებული მთლიანად ავიწყდება. სანამ უფრო პატარა იყო ასაკით, მამამისი თავის შვილს „ჩვეულებრივ ბაბნიკს“ ეძახდა, მაგრამ, 30 წლის ასაკშიც რომ არ შეიცვალა „სტილი“ და საქციელი, ყველანი ძალიან ვნერვიულობთ. დეიდაჩემმა ისიც კი თქვა, ფსიქიატრთან უნდა ვაიძულო წასვლაო. მე კი არა მგონია, რომ ამან უშველოს, რადგან, ეს არ არის გენოს ცხოვრების წესი, ეს არის მისი ხასიათი, მისი სულიერი მდგომარეობა და, ჩემი აზრით, ძალიან ძლიერი და მძაფრი სიყვარული (ან, შესაძლოა, ღალატიც, ოღონდ, შეყვარებულის მხრიდან) თუ მოახდენს მასში გარდატეხას. თუ ეს უახლოეს მომავალში არ მოხდა, მეშინია, რომ რამე შარს გადაეყრება – ერთხელაც იქნება, რომელიმე შეყვარებული არ აპატიებს მასხარად აგდებას და შურს იძიებს.

ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი, ამ ხნის კაცს ნამდვილად აღარ შეჰფერის 15 წლის ბიჭივით ტინგიცი.

**ელა, 27 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**



**უაღრესად ნიჭიერი მუსიკოსი, შემსრულებელი ნიაზ დიასამიძე დიდი ხანია, პრესის ფურცლებზე აღარ გამოჩენილა. ამბობს, რომ მაინცდამაინც არ უყვარს „წითელი ხალიჩა" და ურჩევნია, თავისი საქმე ჩუმად აკეთოს. ცოტა ხნის წინ „33-ა-მ" ახალი ალბომი – „უსახელოური" გამოუშვა და ევროპაში ტურნეც ჰქონდა. ის აზრი, რომ ნიაზს მაინცდამაინც არ უყვარს ლაპარაკი, მასთან ურთიერთობის შემდეგ სავსებით გამიქარწყლდა.**

# რატომ ცხოვრობს ნიაზ დიასამიძის ბებია საფრანგეთში და რა აკავშირებს მას გიორგი მარგველაშვილთან

**ნიაზ დიასამიძე:** ცოტა ხნის წინ გამოვუშვით ახალი ალბომი „უსახელოური" და მასში თერთმეტი კომპოზიციაა შესული. შემდეგი ალბომი დაწყებული გვაქვს. იდეაში გვინდა, ყოველ წელს გამოვუშვათ ალბომი. შარშან გამოვიდა რიგით მეხუთე და მას „საფერავი" ერქვა. ცოტა პაუზა გვქონდა. სახელებს რაც შეეხება, მნიშვნელოვანი მგონია ძალიან, ღვინოსთან ჩემებური, სხვანაირი, ფილოსოფიური დამოკიდებულება მაქვს. თორმეტი წელია, თვითონ ვწურავ ყურძენს და ვაყენებ ღვინოს – ეს არ არის ჩემთვის სათრობი საშუალება. მეგობარს აქვს ვენახი და გატაცებული ვარ ამით დიდი ხანია.

**– ტურნეც გქონდათ მე მგონი, წელან ამბობდი.**

– მეგობრები გვყავს ევროპაში, ზოგან ქართველებმა დაგეგმეს და მიგვიწვიეს, ზოგან იქაურებმა – ერთი თვით ვიყავით წასულები. ვიყავით გერმანიაში, უკრაინაში, საფრანგეთში, ჩეხეთში, ინგლისში, პოლონეთში.

**– გამიგონია, ნიაზს გამოჩენა და ჟურნალისტები არ უყვარსო.**

– მე ეგრე კატეგორიებად არ ვყოფ ადამიანებს, კარგი და ცუდი ყველგან არის. უბრალოდ, 20 წელია, ერთსა და იმავეს მეკითხებიან, დავიღალე, ხომ არ შეიძლება გაუთავებლად მიტრიალებდნენ ჯგუფის სახელზე კითხვებს? ზერელე დამოკიდებულება არ მიყვარს, უკმაყოფილების გრძნობა მრჩება ხოლმე. საჯაროობაზე დიდად არ ვგიჟდები, არ მიყვარს ტელევიზიაში, პრესაში გამოჩენა. ვიღაცას უყვარს ხალხმრავალი ადგილები, „ტუსოვკები" და წითელი ხალიჩა, ზოგს მაგრად ევასება, მე ვერ ვუჭერ „მულამს". როცა მე თვითონ ვუკრავ კონცერტზე, მაშინ სხვა საქმეა. ზოგადად, მორიდებული ადამიანი ვარ. არ ვაძლევ ხალხს საჭორაოს, რა უნდა თქვან ჩემზე? *(იცინის)* ისედაც არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, ჩემს სათქმელს მუსიკით ვამბობ. ზედმეტი ამბიციები არ მაქვს. ზოგადად, საქართველოში რთული მსმენელია, პატარა ბაზარია. ევროპაში ყველა სტილს თავისი მიმდევარი ჰყავს, ჩვენთან, სამწუხაროდ, ეგ არ არის. ჯაზ-ფესტივალზე მარტო ის დადის, ვისაც ფული აქვს. როკ-ფესტივალზე ძირითადად დათრობის პონტია, ძალიან ცნობილი თუ არ არის ჯგუფი, პატარა დარბაზსაც ვერ გაავსებს. სულ გვინდა, უცნობი ჯგუფები წამოვწიოთ, მაგრამ ხალხი არ დადის. მსმენელს გაკვალული გზით სიარული ურჩევნია. ჩემთვის კიდევ მთავარი აზრი სიახლეა. ოცი წელი რომ „მე ვზივარ ნავში" მემღერა, მომბეზრდებოდა აშკარად.



**გადმომცა ღირსების ორდენი, სახელმწიფომ თუ პრეზიდენტმა, რა ვიცი. ეს ჩემი შინაგანი რწმენაა, არავისთვის სიმღერა არ მიმიძღვნია**

**– ღვინოზე მინდა გკითხო, წურვით წურავ და ბევრს სვამ „გრუზინულად"?**

– არა, მე ეგრე არ ვარ: წინა დღეს რა ხდებოდა, გადავთვრე და არ მახსოვდეს, ან სამი ლიტრა ჩავისხა, იმიტომ რომ ყველა მაგდენს სვამს! ხანდახან კი მომსვლია ზედმეტი... მე ვწურავ, სხვათა შორის, „კაბერნეს", ფრანგული ჯიშია. საფრანგეთი ჩემს სისხლშია, ბებია მყავს ფრანგი. „რქაწითელს" და „საფერავს" ბევრი წურავს ირგვლივ და მე „კაბერნეს" მივაგენი ჯუგაანში *(იცინის)*. არის სოვინიონის ნამდვილი „კაბერნე". ეგეთი ქართულ-ფრანგული გამოხატულება მაქვს კახური „კაბერნეს" წურვა.

**– საფრანგეთთან რა კონტაქტი გაქვს?**

– ბებია მყავს ფრანგი, მადლენი ახლა საფრანგეთში ცხოვრობს. ბაბუაჩემი ემიგრაციაში წავიდა გასაბჭოების შემდეგ, ლევილში დასახლდა და იქ გაიცნო ბებიაჩემი, წინააღმდეგობის მოძრაობიდან. მოკლედ დედაჩემი იქ დაიბადა. მერე დაბრუნდნენ საქართველოში, პირველი ოჯახი იყო, ვინც იქიდან წამოვიდა. ბაბუა აქ გარდაიცვალა და ბებია დაბრუნდა იქ. საფრანგეთი ძალიან მიყვარს და ზაფხულში ორი-სამი თვით ჩავდიოდი ხოლმე იქ.

**– ბევრი წავიდა აქედან და შენ არ გქონია იქ გადასახლების სურვილი?**

– არა, არასდროს. გაუცხოებული ხალხია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ცივი. პატივისცემაც იციან და თანგადააყოლაც, მაგრამ დისციპლინის ის დიდი მანქანა მაინც აუცხოებს ხალხს. ეგეც შინაგანი სურვილის ამბავია, ან გინდა, ან – არა. სირთულეები არ მაშინებს, ცხოვრებაა, რა. არის ადამიანების კატეგორია, ვისაც ჰაერივით სჭირდება ევროპული ცხოვრება, დალაგებული. ადამიანის ტიპაჟია ეგეთი, მე არ მსიამოვნებს ეგეთი ცხოვრება. უქმადაც აღარ მინდა იქ ჩასვლა, მინდა თან ტურნეს დავამთხვიო ხოლმე. უცხო ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებ, თან არ მიყვარს ეს პედანტური წესრიგი, ჩარჩოები. ბანკში და ოფისში ვერ ვიმუშავებდი. ბავშვობაშიც ყოფილა ამაზე ლაპარაკი, იქნებ იქ გესწავლა ცოტა ხნითო, მაგრამ მაქსიმუმ 5 თვით გავჩერდე, ვერ გავძლებ. მაგრად მიყვარს, რა სისულელეა, მაგრამ ყოველ შაბათ-კვირას და ყოველ თვე რომ ვიფრინო, მაგას მდიდრული ცხოვრება სჭირდება. თან ევროპელიც არ ვარ ხასიათით, აზიელ-ევროპელი ვარ. რაღაცები აქაური უფრო მომწონს, შურგამოცლილი ურთიერთობა, თბილი... მე არ მწამს იმის, რომ ქართველები შურიანი ხალხია, ეგ ხელოვნურად თავსმოხვეული აზრია, რომ შექმნიან, გიჩიჩინებენ და შენც იჯერებ. რატომ უნდა შემშურდეს სხვისი წარმატება? უბრალოდ, ხალხი ზედმეტად არის ერთმანეთის ჭამით დაკავებული – როგორ შეიძლება, მძღოლების მთელმა რიგმა ერთ ადამიანს აგინოს, თუ ის უბრალოდ ერთი წამით შეყოვნდა? ესე იგი, კაციც შეგიძლია მოკლა. მეც ვიგინები, მაგრამ ეგრე ადვილად არ გამოვდივარ წყობიდან.

**– ესე იგი, მშვიდი მძღოლი ხარ.**

– მე, ზოგადად, სკუტერით ვმოძრაობ, უფრო კომფორტულია, ეკონომიური, ბენზინს სამ ლიტრს წვავს. არ არის საცობის პრობლემა, სადაც მინდა, იქ დავაყენებ. არ მაქვს მანქანის მულამი მაინცდამაინც *(იცინის)*.

**– „წვიმის მუსიკოსებს" ხშირად აკავშირებდნენ ნაციონალების ხელისუფლებასთან, შენ ალბათ იტყვი, რომ აპოლიტიკური ხარ და ეს ამბავი არ გაღიზიანებს?**

– თუ მყავს ახლობლები წინა ხელისუფლებაში, არ ვთქვა? პოლიტიკაში ყველანი ვართ ჩართულები. ეს ცხრა წელი ჩვენ სერიოზული წინსვლა გვქონდა. მე მანამდე არასდროს ჩავრეულვარ პოლიტიკაში აქტიურად, უბრალოდ, მერე ვნახე, რომ ეს ხალხი ყველაზე უფრო პროგრესულად აზროვნებდა, თუ იმ პირად ტრაგედიებს გამოვრიცხავთ, რითაც ზოგიერთი სპეკულირებდა. ისედაც ხანმოკლეა ცხოვრება და რაც უფრო მაგრად დავჭამთ ერთმანეთს, უფრო მაგარი ტიპები ვიქნებით?

**– პრეზიდენტმა ღირსების ორდენი გადმოგცა და როგორ გგონია, ეს პოლიტიკურად არ გავალდებულებს?**

– გადმომცა ღირსების ორდენი სახელმწიფომ თუ პრეზიდენტმა, რა ვიცი. ეს ჩემი შინაგანი რწმენაა, არავისთვის სიმღერა არ მიმიძღვნია და თუ მოსწონებიათ და გვერდში დამდგომიან, რა პრობლემაა. ჩემთვის არავის პირადად ფული არ უჩუქებია და არ დამხმარებია. უბრალოდ, ასე ვფიქრობ და რა პრობლემაა. ჩემი ახლობლები იყვნენ იმ ხელისუფლებაში, მაგალითად, გოკა გაბაშვილი ჩემი ბავშვობის მეგობარია. ახალი ხელისუფლებიდან გიორგი მარგველაშვილს და ლევან ყიფიანს ვიცნობ კარგად. გიორგის ოჯახთან ბავშვობიდან მეგობრობს ჩემი ოჯახი. მიმაჩნია, რომ ყველა პოლიტიკოსს უყვარს თავისი სამშობლო, რავი, ასე მგონია, თუ ექსტრემალურად რუსეთზე არ არის გადარეული *(იცინის)*. შერიგების მომხრე ვარ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ლენინი გვიყვარდეს და ყველას ერთნაირი წითელი ჰალსტუხები გვეკეთოს, აზრთა სხვადასხვაობა საჭიროა.

**– რუსეთის თემაც თავისთავად მოვიდა საუბარში. რუს მუსიკოსებს არ ეკონტაქტები და ბოლოს როდის გქონდა რუსეთში კონცერტი?**

– არ ვმეგობრობ და რუსეთში კონცერტი არასოდეს მქონია. ეგრე სადაა, შენ ზემოდან წამართვა რაც გინდა, როცა გინდა, ბოდიში და თავზე დამაჯდე, დამჩაგრო, დამბრიდო, ძმები დამიხოცო და ბოდიშიც არ მომიხადო, თან ისევ დამემუქრო, წყნარად იყავი, თორემ ეგრე მოგექცევიო – მე რა პონტში უნდა მომინდეს შენთან მოსვლა, სიმღერა და ქეიფი? ყველაზე პროგრესული რუსი ტიპები ვინც არიან, აქ რომ ჩამოდიან ერთი-ორ ჭიქა მამალ ჭაჭაზე ეხსნებათ და დაიწყებენ: „ჩვენ გადაგარჩინეთ, ჩვენამდე თქვენ ველურები იყავით". მაინც ამას წამოაყრანტალებენ ხოლმე. კიკინებიანი, რასტაფარიანელი ტიპი, თუ ჰიპი, რომელიც იდეაში თავისუფალი უნდა იყოს, ეგრე ფიქრობს – პუტინს რომ ებრძვის, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს მხარეზეა. თორემ ძალიან მიყვარს რუსული ენა, მაგრად უხდება სიმღერას – ჩვენ გვაქვს რუსული სიმღერები. როცა ენა იცი, ჯობია, მტერს მის ენაზე უთხრა სათქმელი, ვიდრე უთარგმნონ – აი, რა თქვაო.

**– თავადი ხარ და ცოტა სხვაგვარი მომენტები არ გახასიათებს? მაგალითად, ჩოხით სიარული.**

– თავადობაზე აქცენტს არასოდეს ვაკეთებ, არ მჭირს ეგეთი რაღაცეები გვარის მიხედვით ვაფასებდე ადამიანს. მსოფლიო გენიოსების სიაში ბევრი გლეხური გვარია. ჩოხა მაქვს, „სამოსელი პირველის" ლოგო შევქმენი და ლევან ვასაძემ მაჩუქა.

**ქეთი დიდებულიძე**

**„ახალი ხმის" ბრმა ქასთინგზე მომღერალ ზურა კობეშავიძის 21 წლის შვილმა, დიმა კობეშავიძემ არა მხოლოდ მაყურებლის, ჟიურის ყველა წევრის მოხიბვლა შეძლო. თან ისე, რომ მის გადასაბირებლად ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. თუმცა, დიმამ საბოლოოდ, არჩევანი დათო ფორჩხიძეზე გააკეთა და მისი გუნდის წევრი გახდა.**

# ვის პატრონობს ყველგან დიმა კობეშავიძე და რატომ აქვს მას ცოტა მობერებული ხასიათი



ჩემი ან ჩემი მშობლების მინუსი ის არის, რომ არასდროს მიმღერია სცენაზე. დედაჩემი ვოკალის პედაგოგია, თუმცა აქამდე არ ვუმეცადინებივარ, რადგან ისეთი ბავშვი ვიყავი, მაინც არ დავუჯერებდი

**დიმა კობეშავიძე**: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ვსწავლობ, ექიმობას ვაპირებ. თუმცა მომღერლობა უფრო მომინდა, განსაკუთრებით, ამ პროექტში მონაწილეობის შემდეგ. ვნახოთ, რა იქნება და რა გზას დავადგები საბოლოოდ.

– **სამედიცინოზე ჩაბარება ოჯახის რჩევით გადაწყვიტე, თუ შენი არჩევანი იყო?**

– ჩემი არჩევანიც იყო და რა თქმა უნდა, მშობლებსაც უნდოდათ, ექიმი გამოვსულიყავი. ბავშვობიდან კი ვმღერი, ეს მამაჩემმაც შეამჩნია, მაგრამ იციან, ამ მხრივ საქართველოში რა მდგომარეობაცაა. ამიტომ ვფიქრობ, სამედიცინოზე რომ ჩავაბარე, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. პლასტიკურ ქირურგობას ვაპირებ, 2 წელიწადში დავამთავრებ. პირველივე კურსიდან ვიცოდი, რომ აუცილებლად პლასტიკურ ქირურგიას ავირჩევდი.

– **ბავშვობიდან მღერი?**

– კი. სამი ძმანი ვართ, უფროსი 33 წლისაა, შუათანა -31-ის და ყველაზე პატარა მე ვარ. სამი ძმიდან მხოლოდ მე ვმღერი. გათამამებული ბავშვი არასდროს ვყოფილვარ. მშობლები ყველას თანაბარ ყურადღებას გვაქცევდნენ. თუმცა, მეც ვამწარებდი ჩემს ძმებს და ისინიც მამწარებდნენ. სულ მინდოდა, მათ ოთახში შევვარდნილყავი და გამეგო, რას აკეთებდნენ უფროსი ძმები. ისეთი რამეც გამიკეთებია, რაც არ უნდა გამეკეთებინა. ჩემი ძმა გამიბრაზებია და საბოლოოდ, ოთახიდან მშობლების გამოსათრევი გავმხდარვარ. სანამ თვითონ მერეოდა – ხომ მერეოდა და მერე უკვე დამანება თავი. ფიზიკურად ყველაზე დიდი ვარ ახლა. რაც შეეხება სიმღერას, ორივეს აქვს სმენა, ერთი დიჯეია, მეორე – ადვოკატი. სიმღერით მხოლოდ მე ვარ დაკავებული, დანარჩენები თავის საქმეში არიან პროფესიონალები.

– **ის, რომ შენი ძმები არ მღეროდნენ, ამის გამო მამას გული ხომ არ სწყდებოდა?**

– არ სწყდებოდა გული. ისინი თავის საქმეს კარგად აკეთებენ და ეს უფრო უხარია. ყოველთვის უნდოდა, მემღერა, კარგად გამოვსულიყავი, მაგრამ, რადგან საქართველოში ამ მხრივ არ არის კარგი მდგომარეობა, ამიტომ ერჩია, სამედიცინო გზით წავსულიყავი. „ახალ ხმაზე" გამოსვლაც ჩემი გადაწყვეტილება იყო და ახლა უკვე ძალიან მიწყობს ხელს.

– **იცოდა მამამ, რომ გამოდიოდი?**

– მამამ არ იცოდა, დედამ – კი. მამა ემოციურია და არ მინდოდა, ზედმეტად ენერვიულა. ამიტომ, სანამ არ მოვხვდი პროექტში, მანამდე არაფერი არ მითქვამს. ძალიან გაუხარდა. ასეთი ფრაზა აქვს: გაგიჭირდებოდა... – და ეს მითხრა.

– **როდესმე გიმღერია სცენაზე?**

– ჩემი ან ჩემი მშობლების მინუსი ის არის, რომ არასდროს მიმღერია სცენაზე. დედაჩემი ვოკალის პედაგოგია. თუმცა, აქამდე არ ვუმეცადინებივარ, რადგან ისეთი ბავშვი ვიყავი, მაინც არ დავუჯერებდი. მაგრამ მერე, ასაკი რომ მომემატა, მივხვდი, მჭირდებოდა მისი დახმარება. დავიწყე კიდეც მისი მოსმენა. დღესაც თუ რამე დამჭირდება, ყოველთვის მეხმარება. ბლაინდამდე მისი დახმარებით მივედი და კიდევ იმ პედაგოგების, რომლებიც უშუალოდ ამ პროექტზე მუშაობენ. მამა ყოველთვის გამზადებულ ვარიანტს აფასებდა და თავის შენიშვნებს მეუბნებოდა: ეს ასე გააკეთე, ან ასე დატოვე. ჩემი მშობლების აზრი ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის.

– **როგორი მამაა?**

– მკაცრი არ არის, ნეიტრალური პიროვნებაა. უბრალოდ, ადვილად შეუძლია, გაბრაზდეს, მაგრამ მალევე წყნარდება – ფიცხი ხასიათი აქვს. ოღონდ რომ გაბრაზდება, მერე თვითონ მოდის და გირიგდება. ძალიან კარგი მამაა. პატარა რომ ვიყავი, ქართულ შოუ-ბიზნესში კიდევ არსებობდა რაღაც. მამაც დაკავებული იყო, გასტროლები ჰქონდა და მეც სულ თან დავყვებოდი. ვუყურებდი მის გამოსვლებს, ვაკვირდებოდი მის მანერებს. რომ იცოდეთ, სცენაზე სულ სხვანაირია, სახლში კი სულ სხვანაირი. ანუ სახლში ამ ენერგიებს კრებს, ინახავს და შემდეგ სცენაზე გადმოაქვს. რომ ვუყურებდი, სცენაზე რომ არ ნერვიულობდა, და პირიქით ამით დიდ სიამოვნებას იღებდა, აკეთებდა იმას, რაც თავად უნდოდა – ეს ჩემთვის დიდი გაკვეთილი იყო. ძველი დრო რომ იყო და დენი ირთვებოდა, მამასთან ერთად ხშირად დავდიოდი გასტროლებზე. მამასთან ერთად გამოდიოდნენ მამუკა ონაშვილი, ზურა დოიჯაშვილი და ისინიც ოჯახებით. ძირითადი პრობლემა ის იყო, თუ სადმე გენერატორი არ დაგხვდებოდა. ვლოცულობდით: დენი არ წავიდესო. მერე უკვე ჩვენი გენერატორებით დავდიოდით. თავიდან კი ეშლებოდათ ნერვები, მაგრამ ბოლოს ხალისობდნენ კიდეც. თან, ხალხი სულ მოდიოდა მათ კონცერტებზე. მათი შვილები დღემდე ჩემი ახლო მეგობრები არიან, მათთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ჩვენს ოჯახში სტუმარი, გაშლილი სუფრა, მოლხენა – ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. ყოველი სუფრა მინიკონცერტი იყო.

**სანამ თვითონ მერეოდა – მერეოდა და მერე უკვე დამანება თავი. ფიზიკურად ყველაზე დიდი ვარ ახლა**

– **რატომ გადაწყვიტე, ამ პროექტში მონაწილეობა?**

– რადგან ძალიან ცოტა სასცენო გამოსვლები მქონია, ამიტომ, გადავწყვიტე, ამ პროექტში მიმელო მონაწილეობა და უფრო მეტად გავზრდილიყავი. თან, საქართველოში თუ არ გახვალ რომელიმე პროექტში, ისე ხალხი ვერ გაგიცნობს. თუ კარგად გამოხვალ, უფრო მეტად რეიტინგული ხდები და უფრო მეტად დაამახსოვრდები ხალხს. ამიტომაც მაინტერესდება ხალხის რეაქცია: რას იტყოდნენ ჩემზე და ასევე, ოთხივე მწვრთნელის.

– **ოთხივე შემოგიტრიალდა და ყველამ მასთან წასვლა გთხოვა. კინაღამ დახოცეს შენ გამო ერთმანეთი.**

– არ ველოდი, რომ ოთხივე შემობრუნდებოდა. ჩემთვის პროგრამა მინიმუმი იყო: რომელიმე შემობრუნებულიყო, რომ შოუში მონაწილეობა გამეგრძელებინა. ის, რომ ოთხივე შემობრუნდა, ეს ჩემთვის დიდი შოკი იყო. თავიდან, რომ მივდიოდი პროექტში მწვრთნელის ამორჩევასთან დაკავშირებით ცოტა სხვა აზრის ვიყავი. მერე შემეცვალა და გადავწყვიტე, დათოსთან ვყოფილიყავი. სტილით, ჟანრობრივად ჩემთან ყველაზე ახლოს დათოა და ამიტომ წავედი მასთან. თუ მომღერალი ხარ, გინდა, შენზე კომპეტენტურისგან რაღაც ისწავლო, გაიზარდო, ერთ ადგილას არ გაჩერდე. როცა ფიქრობ, რომ დათო ფორჩხიძეს შეუძლია უფრო მეტი მოგცეს, რა თქმა უნდა, მას აირჩევ. სტეფანე ძალიან კარგი მუსიკოსია, კარგი ადამიანია, მაგრამ, რაც ჩემთან ახლოსაა, ის ავირჩიე. ეს არ იყო მოდას აყოლა: რადგან დათო ფორჩხიძემ მოიგო ორი სეზონი, მეც წავალ მასთან და მოვიგებ. ყველა იმიტომ წავიდა დათო ფორჩხიძესთან, რომ მისგან რაღაც ესწავლა. ამიტომაც წავედი მეც მასთან, არავინ მაძალებდა და შუბლზე არავინ მადებდა იარაღს – მასთან წადიო.

– **მამას მოეწონა შენი გამოსვლა?**

– ძალიან მოეწონა ჩანაწერი. არადა ხშირად არ მოსწონს რაღაცეები. ჩემ მიმართ ძალიან კრიტიკულია. არჩევანიც მომიწონეს: სტილისტურად მასთან ახლოს ხარ, ამიტომ ჯობდა, დათოსთან წასულიყავიო. ზოგადად, მელომანი ვარ, მაგრამ ჩემთან მაინც ყველაზე ახლოს არის: ვანდერი, ჯაზი, ბლუზი, ფანკი. მუსიკა ჩემი ცხოვრებაა. სადაც ვარ, ყველგან მუსიკა მაქვს ჩართული, სხვანაირად არ შემიძლია. თუმცა კლუბური ტიპი არ ვარ და ჩემს მეგობრებს ზუსტად ეს აღიზიანებთ – ცოტა მობერებული ხასიათი გაქვსო. არ მიყვარს ჯაგა-ჯუგი, ერთმანეთს, რომ ასკდებიან. მირჩევნია, ვიჯდე პატარა მაგიდასთან, ჩართული იყოს წყნარი მუსიკა და მეგობრების წრეში გავატარო დრო. ასე უფრო მეტად ვისიამოვნებ. ალკოჰოლსაც ზომიერად ვილებ. სამაგიეროდ, სადაც უნდა წავიდე, ჩემს ხასიათში ზის, რომ სხვას უნდა ვუპატრონო. იციან, ეს თუ მოდის, გვიპატრონებსო. ყველა სუფრაზე მართლა ასე ხდება, ჩემი საპატრონოები არიან.

– **როგორ ფიქრობ, შოუს სხვა ეტაპებზე გახვალ?**

– ცოტა რთულია პროგნოზის გაკეთება, რადგან ძალიან ძლიერი ჯგუფი ჰყავს დათოს. წამოკრავ ფეხს – დაეცემი... ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. ყველა გუნდში ძლიერი ბავშვები არიან, მაგრამ ჩვენს გუნდში ყველა ერთი სტილისაა და თითოეულს საკუთარი თავის კარგი კუთხით წარმოჩენა შეუძლია, ისე, რომ მაყურებელს მოაწონოს თავი. ამიტომ შენც ისეთი რამ უნდა შესთავაზო მწვრთნელებს, მაყურებელს, რომ მოწინააღმდეგს აჯობო. ასე რომ, პროგნოზის გაკეთება რთულია, ამ მხრივ დათოც დაბნეულია.

**სალომე გველესიანი**



# არსებობს თუ არა კაცის ღალატის დასადგენი ტესტი და აქვს თუ არა პატიებას ხანდაზმულობა

**თემა ძველია – არაფერი ახალი, თუმცა, ყოველ ჯერზე სულ უფრო მტკივნეული და აქტუალური. ღალატი კაცობრიობასავით ხანდაზმულია. ის სიყვარულთან და ადამიანურ ურთიერთობებთან ერთად იშვა – გაჩნდა მაშინვე, როგორც კი ადამს და ევას მესამე ადამიანი შეემატათ. მოღალატეების იარლიყი მყარად აქვთ მიწებებული მამაკაცებს. არსებობს მოსაზრება, რომ, არ არსებობს მამაკაცი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ეღალატოს საკუთარი მეორე ნახევრისთვის – ეს ლამის ბუნებრიობასთან არის გაიგივებული და, ქალებსაც უკიჟინებენ, მშვიდად მიიღონ ის, რაც ბუნებრივია. ცოლების უმრავლესობაც პატიობს და ითმენს. მაგრამ, იმის თქმა, რომ ეს ბუნებრივია, პრობლემისგან გაქცევას, ქვიშაში თავის ჩაყოფას ნიშნავს...**

**ირინა** *(47 წლის):* იმდენჯერ წამიკითხავს ჟურნალებში მამაკაცების „საშუალო ასაკის კრიზისის“ შესახებ, მეღიმებოდა და ვფიქრობდი, რომ ეს ფსიქოლოგების მოგონილია, სინამდვილეში კი მხოლოდ ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული. ყველაფერი, ანუ, ერთგულებაც და ღალატიც. ან ხარ ერთგული და გიყვარს საკუთარი მეორე ნახევარი, ან, გიყვარს მარტო საკუთარი თავი. როგორ შეიძლება, კაცს ცოლი უყვარდეს და საყვარელი გაიჩინოს-მეთქი...

**– ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ რეალურია ცოლისა და საყვარლის სიყვარული?**

– არა. ეს რეალური როგორ იქნება, მაგრამ, იცით, რაშია საქმე? – კაცების ფსიქიკა ამ საკითხთან მიმართებაში აშკარად არაადეკვატურია.

**– რას გულისხმობთ?**

– ჩემს კონკრეტულ მაგალითზე ვილაპარაკებ, თუმცა, ბევრი ქალისთვის ძალიან ნაცნობი სიტუაცია იქნება. საყვარელს იჩენს კაცი, მაგრამ, ოჯახიდან არ მიდის – რა არის ეს?! გულწრფელად მაინტერესებს. ზოგი კი მიდის, მაგრამ, ასეთები, ძალიან ცოტანი არიან. მოღალატე ქმრების უმრავლესობა ან რჩება ცოლთან, ან, მიდის, მაგრამ, მერე უკანვე ბრუნდება – ამაში ხომ ვერავინ შემედავება? ერთ დროს, როცა ეს ყველაფერი ჩემთვის ცუდი სიზმარივით იყო, ვერავინ დამარწმუნებდა, რომ, ისეთი ერთგული, თბილი და მოსიყვარულე ქმარი, როგორიც მე მყავდა, სხვა კაცებივით მოიქცეოდა, გულს მატკენდა და მიღალატებდა. ჩემს თავზე დატრიალდებოდა ბანალური სამკუთხედის ეიფორია. საკმაოდ შეგნებულად ვუდგები მომხდარს. მტკივნეულია, მაგრამ, ადამიანი ტკივილის გარეშე წარმოუდგენელია. ვის აქვს სულ დალაგებული და აწყობილი ცხოვრება?! დღეს თუ ბედნიერი ხარ და კარგად ხარ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მუდმივად ასე იქნება. არ უნდა მოდუნდე და არ უნდა იქცე თავდაჯერებულ იდიოტად – ეს დამღუპველია. უკვე მერე, როცა თავდალმართზე დაცურდები, ვეღარაფერს იზამ. იმის თქმა მინდა, რომ დამნაშავე მეც ვარ. ჩემი ერთგული და საყვარელი ქმარი, რომელსაც ბოლომდე ვენდობოდი... რა ბლეფია! „შუახნის ასაკის კრიზისი“ არა!.. ასეთ სისულელეებს რისთვის იგონებენ? კაცები ისედაც თავს იმართლებენ, როცა ღალატობენ და კიდევ ერთი გასამართლებელი ვერსიის შექმნა მათთვის რა საჭიროა-მეთქი, ვამბობდი. სხვათა შორის, ჩემს ქმართანაც მილაპარაკია ამ თემაზე.

**– როგორ?**

– ისე, ნახევრად ხუმრობით. ვუთხარი – ნახე, რას წერენ. შენც ხომ არ გჯერა, რომ რაღაც ასაკში, შეიძლება, უცებ მიღალატო-მეთქი. არაო, – იცინოდა, – შენ მაგის ნუ გეშინია, მე ყველა ასაკში შენი ერთგული ვიქნებიო... მერე, ერთ დღეს, მითხრა, რაღაც ბევრი ფული გვეხარჯება, იქნებ ხარჯები ცოტა შევამციროთო. არაფერი უჩვეულო ამაში არ დამინახავს და, კარგი-მეთქი, დავეთანხმე. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გადასარევად ინიღბებოდა და დიდხანს ვერ მივხვდი მის ორგულობას. ბუნებრივად და ოსტატურად ტყუოდა.

**– ანუ, ყველა მამაკაცს ღალატის ერთნაირი „მეთოდიკა“ არ აქვს?**

– არა, რა თქმა უნდა. არსებობენ კაცები, რომლებიც ღალატისას ძალიან იცვლებიან. აგრესიულები, ჭირვეულები, პრეტენზიულები და შარიანები ხდებიან; ცოლს ყველა წვრილმანზე ეჩხუბებიან ან საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. ზოგი, პირიქით – ტყავიდან ძვრება, რომ ცოლმა ვერაფერი შენიშნოს, საჩუქრებით ავსებს, ელაქუცება. ჩემს ქმარს მსგავსი არაფერი დამართნია, საერთოდ არ შეცვლილა. აბსოლუტურად ჩვეულებრივად იქცეოდა – მშვიდად, ძალდაუტანებლად...

**– ამბობენ, თუ ცოლი ქმრის ღალატს ვერ ამჩნევს, ესე იგი, არც ისე უყვარსო.**

– ვერ დაგეთანხმები მაგ მოსაზრებას, ნამდვილად არ არის ასე. ძალიან რომ მიყვარს ჩემი ქმარი, სწორედ იმიტომაც ვაპატიე ღალატი და არ ვნანობ ამას, თუმცა, არც წყენას გაუვლია და არც ტკივილს. ჩემს პატიებას ხანდაზმულობის ვადა არ გაუვა. ამის საშიშროება არც არსებობს, მაგრამ...

**– ძნელია ურთიერთობის გაგრძელება ჩვეულ რეჟიმში, ხომ ასეა?!**

– ძალიან ძნელია. მით უმეტეს, მაშინ, როცა ასე ვუგებდი და ვცდილობდი მისთვის სრული კომფორტის შექმნას. ვაქებდი დაუსრულებლად.

**– სხვებთან?**

– არა მხოლოდ სხვებთან, პირშიც ვაქებდი. ვეუბნებოდი: როგორი კარგი მყავხარ; არ სვამ, სახლში არ ეწევი, რომ არ შეგვაწუხო; მთელ ფულს მე მაძლევ და არასდროს არაფერზე მსაყვედურობ... ბევრს მუშაობ – ლამის გათენებამდე, ზოგჯერ, შაბათ-კვირასაც კი ოფისში ხარ და ვამაყობ, რომ ასეთი კარგი მყავხარ-მეთქი.

**– მაგრამ, თურმე, ოფისში კი არა, საყვარელთან დადიოდა, ასეა?**

– სამწუხაროდ, ასეა. ვერ ვიტყვი იმას, რომ ცოტას მუშაობდა, მაგრამ, ამას იყენებდა შესანიღბავად. აგვიანებდა სამსახურიდან და ისეთი გამომეტყველებით ბრუნდებოდა, ეჭვიც კი არ მიჩნდებოდა, პირიქით, სიბრალულით ავსებული ვეფერებოდი, ველოლიავებოდი... ალბათ, ბოლომდე ვიქნებოდი გაბრიყვებული და თვალებდაბრმავებული, რომ არა შემთხვევა... ჩემი ქმრის თანამშრომელს გადავეყარე ჰიპერმარკეტში. როგორ მიხარია, რომ კარგად ხართო. გავოცდი – ავად როდის ვიყავი-მეთქი. შეცბა. რა ვიცი, ერთი თვეა, თქვენი ქმარი ადრე მიდის სამსახურიდან, ამბობდა, რომ ცუდად იყავით და შეწუხებული იყო. ნერვიულობდა, ისე თანაგიგრძნობდათ... მოგვერიდა, თორემ, სანახავადაც კი ვაპირებდით მოსვლასო. ვერც კი წარმოიდგენთ, რა დამემართა. ზამთარში გაყინულ წყალს რომ გადაგასხამენ, ალბათ, ასეთი შეგრძნება გექნება ადამიანს. ლამის მოვკვდი. გული გამიჩერდა და გამეყინა. მუხლები მომეკვეთა და საერთოდ დამავიწყდა, რის საყიდლად ვიყავი წასული მარკეტში. გარშემო ყველაფერი დაინგრა და ამ ნგრევის ხმა გავიგონე – საშინელი, გამაყრუებელი გრუხუნის ხმა... ჩემი ქმრის თანამშრომელი კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა დაუსრულებლად, მაგრამ, მე თითქმის არ მესმოდა... მერე უცებ გავიგონე: ახლა შეგიძლიათ, უკეთ იზრუნოთ ჯანმრთელობაზე, თქვენს ქმარს ოცდაათი პროცენტით

**ჩემი ქმარი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მატყუებდა, უბრალოდ, მე ვერ ვიჭერდი მას ამ ტყუილში**

გაუზარდეს ხელფასიო... ეს მაშინ, როცა ჩემი ქმარი ხარჯების შემცირებას მთხოვდა. თქვენ რას იფიქრებდით ჩემს ადგილზე?

**– შეიძლება, ერთადერთ ვერსიად ღალატი არ მეგულისხმა. აზარტული თამაშებიც ხომ დასაშვებია?**

– რომელი აზარტული თამაშები, რას ამბობთ? მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა ჩემს თავს.

**– იფიქრეთ, რომ გღალატობდათ?**

– დიახ, სხვა ვერსია არც დამიშვია. შეიძლება, გაგიჩნდეთ კითხვა – რატომ არ დაუშვით სხვა ვერსია, თქვენ ხომ ქმრის ერთგულებაში ეჭვი არ გეპარებოდათო. სწორი შეკითხვაა და, გეტყვით, რატომაც: შინაგანმა ხმამ, ინტუიციამ მიკარნახა. უცებ გაიღვიძა ჩემში სიფხიზლემ თუ ალღომ – ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ფაქტია, რომ მაშინვე ნათელი გახდა ჩემთვის მარტივი ჭეშმარიტება: ჩემი ქმარი უკვე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მატყუებდა, უბრალოდ, მე ვერ ვიჭერდი

# როგორ დაკარგეს ერთმანეთი ნათესავებმა და ვინ ეძებს ნათლიას რუსეთიდან საქართველოში

***38 წლის ვერა ვიქტორის ასული ჟურავლიოვა (მეუღლის გვარი) ეძებს 62 წლის ჟანა გიორგის ასულ ოშაყმაშვილს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ნათლიას, რომელიც, ასევე, ნათესავადაც მეკუთვნის, 1949 წელს დაბადებულ ჟანა ოშაყმაშვილს (გვარის სისწორეში დარწმუნებული არ ვარ). ნათლიის შესახებ, უკვე წლებია, არაფერი ვიცი – სწორედ იმ დროიდან, რაც რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. გთხოვთ, მაპოვნინოთ ნათლია. ვგზავნი მის ფოტოს და, დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ ვიპოვით ერთმანეთს.

**– როგორ დაკარგეთ ნათესავებმა ერთმანეთი და რა იცით დაკარგული ნათლიის შესახებ?**

– ჩვენ შორის კავშირი რუსეთ-საქართველოს შორის ომის დროიდან შეწყდა, მანამდე კი, ჩვეულებრივად, მიმოწერაც გვქონდა. სამწუხაროდ, ჟანას შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია მაქვს. როგორც ვიცი, ბოლოს ის თბილისში ცხოვრობდა.



ასევე, ვიცი, რომ მას ჰყავს უმცროსი ძმა – იგორი, რომელიც დაახლოებით 1954 წელსაა დაბადებული. მაქვს მისი ფოტო, რომელსაც გიგზავნით. იმედია, ის გამოგვეხმაურება, ან, შეიძლება, მას ვინმე იცნობს და ასე მაინც შევიტყო რაიმე მის შესახებ.

**– აქამდე თუ გიძებნიათ ნათლია?**

– დიახ, უკვე წლებია, რაც მე ჟანას სხვადასხვა ხერხით ვეძებ, მაგრამ, უშედეგოდ. სრულიად შემთხვევით გავიგე თქვენ შესახებ და მაშინვე დაგიკავშირდით. იმედი მაქვს, რომ ჩემი ნათლია ჯანმრთელადაა და ის კვლავ თბილისში ცხოვრობს, ჩვენს შორის კავშირის გაწყვეტა კი მხოლოდ და მხოლოდ გაურკვევლობის ბრალია. საქმე ისაა, რომ იმ მისამართზე, რომელიც ჩვენ გვაქვს, პასუხს არავინ გვწერს (ჩვენ არაერთხელ გავგზავნეთ იქ წერილი). შეიძლება, ნათლიამ მისამართი შეიცვალა, რადგან, ამდენი წელია გასული მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის კავშირი შეწყდა და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლებოდა შეცვლილიყო.

**– თქვენც ხომ არ შეგიცვლიათ საცხოვრებელი მისამართი? ხომ შეიძლება, რომ ისიც ვერ გიკავშირდებათ?**

– დიახ, ჩვენ შეცვლილი გვაქვს მისამართი და, რადგან ამდენი წლის განმავლობაში ჟანასთან კავშირი არ გვქონია, მან არც იცის ამის შესახებ. გამორიცხულია არაა, რომ ისიც იმავე მიზეზით ვერ გვიკავშირდება. პირადად მე ძალიან მინდა მისი მოძებნა. განაცხადიც კი განვათავსე „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტზე, მაგრამ, იქ თქვენთან დაკავშირება მირჩიეს. იმედი მაქვს, გვაპოვნინებთ ერთმანეთს. პირადად მე ინტერნეტითაც ვცდილობდი ნათესავების მოძებნას, მაგრამ, ვერაფერი მოვახერხე. ძალიან მინდა, ვიპოვოთ ერთმანეთი და ჩვენ შორის დაკარგული კავშირი აღდგეს.





**თამარ ჩხიკვაძეს ვთხოვთ გამოგვეხმაუროს თავის ისტორიასთან დაკავშირებით**

***თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

მას ამ ტყუილში, ჩემდა სამწუხაროდ.

**– იმიტომ, რომ მეტისმეტად ენდობოდით?**

– ალბათ. ანგელოზი მეგონა, ფრთიანი. იმ საღამოსაც გვიან დაბრუნდა „სამსახურიდან“ დაღლილი და უმანკო მზერით. უცებ გამახსენდა ერთი უცნაურობა, რომელსაც მანამდე ყურადღებას არ ვაქცევდი – ბოლო დროს ქმარს ხშირად ჰქონდა მობილური ტელეფონი გამორთული. რა საშინელება ყოფილა უსუსურობის განცდა. ვტიროდი და ვერაფერი მაწყნარებდა. ჯერ ვაპირებდი, ყველაფერი მიმეხალა

**ვამბობდი, „შუახნის ასაკის კრიზისი“ არა, კიდევ რა სისულელე უნდა მოიგონონ, რომ კაცებს ღალატისთვის გამართლება მოუგონონ-მეთქი**

ჩემი მოღალატე ქმრისთვის და სახლიდანაც გამეგდო... ბუნებრივია, სკანდალის გარეშე არ ჩაივლიდა ეს ამბავი. მაგრამ, მერე რაღაც მოხდა ჩემში და, გადავწყვიტე, ხმა არ ამომეღო, ისე დავკვირვებოდი მოვლენების განვითარებას.

**– მაგარი ნერვები გქონიათ.**

– სულაც არა. ხომ გითხარით, რაღაც დამემართა-მეთქი. შიგნიდან „გავცვდი“ – ყოველგვარი ემოციები მომიკვდა – შეიძლება, ზედმეტი ნერვიულობისგან. თურმე, ასეც ხდება. სამ თვეს გასტანა ჩემმა უხმო და უსიტყვო ტანჯვამ. უკვე ვატყობდი, როდის ტყუოდა ჩემი ძვირფასი ქმარი და როდის ამბობდა სიმართლეს. ერთ საღამოს კი ადრე მოვიდა სახლში, დამსვა და მითხრა, რაღაცაზე უნდა დაგელაპარაკოო. ვიფიქრე, სახლიდან საბოლოოდ მიდის-მეთქი. ლამის მოვკვდი, სანამ თქვა: მაპატიე, ძალიან მიმძიმს, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ, დავიღალე. გატყუებდი და ამ ტყუილში ცხოვრება აღარ შემიძლია. გიღალატე, სისუსტე გამოვიჩინე. ეტყობა, მართლაც არსებობს ის რაღაც კრიზისი. უნდა მაპატიო. ამდენი წლის განმავლობაში ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მე შენ გიღალატე და, თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, არ გამაგდო. სინდისი ძალიან მაწუხებს და განვიცდი. ჩემი ოჯახი მინდა და მჭირდება. ნუ იქნები სასტიკი და შემიცოდეო.

**– იქნებ, ისევ გატყუებდათ?**

– იცით, როგორი თვალებით მიყურებდა? აბა, მითხარით, რა აზრი ჰქონდა მის გაგდებას? აშკარა იყო, რომ იმ ქალს უკვე დაშორდა და სინანულში იყო... ვიცი, რომ ვიღაცისთვის მე უთავმოყვარეო ქალი ვარ, მაგრამ, ეტყობა, პატიების ნიჭი აღმომაჩნდა. ვაპატიე, მაგრამ, ის წყენა და ტკივილი ვერ დავივიწყე. ახლა სულ უნდა „ვტესტო“ ჩემი ქმარი ერთგულებაზე და ამ რეჟიმში ცხოვრება ძალიან რთულია. ვაპატიე ისევ ჩემი თავისთვის – მე ის მჭირდება. პატარა აღარ ვარ, რომ ცხოვრება თავიდან დავიწყო. იმედია, ჩემი ქმარი ისე არ მოიქცევა, რომ ჩემს პატიებას „ვადა“ გაუვიდეს...

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**შეყვარებული მყავს, რომელიც მთავაზობს, რომ ერთად ვიცხოვროთ. მაგრამ მე მეშინია... შეიძლება, ჩემი გრძნობა არ არის საკმარისად ძლიერი, ყოველ შემთხვევაში, ვყოყმანობ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს სწორედ ის ადამიანია, რომელთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრება მინდა და არ გამიჭირდება. უარის თქმაც მაფრთხობს. არ მინდა, დავკარგო. როგორ მოვიქცე, აღარ ვიცი.**

გამოხმაურება: შესაძლოა, მართლაც არ გაქვთ ისეთი ძლიერი გრძნობა, რომ ყველაფერზე თვალი დაგახუჭინოთ. ეს სულაც არ არის ცუდი. პირიქით, საკმაოდ ჯანსაღად შეაფასებთ სიტუაციას. ერთ ჭერქვეშ ცხოვრება სრულიად უცხო ადამიანთან (როგორც უნდა გიყვარდეთ, ის მაინც უცხოა), ადვილი ნამდვილად არ არის და გრძნობასთან ერთად, უზარმაზარ მოთმინებასაც მოითხოვს. ასე რომ, იფიქრეთ.

დაელაპარაკეთ თქვენს შეყვარებულსაც და დარწმუნდით, რომ ორივე მზად ხართ ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**დარწმუნებული ვარ, მათ, ვისაც უყვარს მაიკლ ჯექსონი, ან, უბრალოდ, უყვარს კარგი შოუ, ნამდვილად ოცნებობს, ერთხელ მაინც დაესწროს „ცირკ დუ სოლეის“ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ, სანახაობრივ და ულამაზეს შოუს – Michael Jackson ONE, რომელიც დედამიწის ყველა კონტინენტზე საოცარი წარმატებით მოგზაურობს. მსოფლიოში საუკეთესო მოცეკვავეებით, აკრობატებით, მსახიობებით დაკომპლექტებული შოუ თავისი მუსიკალური ეფექტებითა და ულამაზესი ვიზუალით მაიკლ ჯექსონის ცხოვრებას ასახავს და, რაც მთავარია, შოუს თან გასდევს ლეგენდარული მომღერლის ხმა. ამ შოუს მსოფლიოში ცნობილი პროფესიონალები დგამდნენ და მათი უმეტესობა სწორედ მაიკლ ჯექსონთან ერთად მუშაობდა. მაგრამ, პირადად ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი ფაქტია – შოუში ერთ-ერთ მთავარ როლს ქართველი მოცეკვავე ლევარ ტორჩინავა ასრულებს და, შოუს ბოლო ნომერში, მისი გამოსვლისას, ლევანის უკან ყოველთვის საქართველოს დროშა ფრიალებს. ლევანის მშვენიერი მეუღლე, ნანა დავითაძე, ყოფილი მოცეკვავეა. იანვარში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი პატარა გოგონას მშობლები გახდება.**

# რატომ იყო ექვსი თვის განმავლობაში „ჯექსონის შოუს“ დეტალები ყველასთვის გასაიდუმლოებული და როგორ მიიწვიეს ამ შოუში მსოფლიოში ცნობილ მოცეკვავეებთან ერთად ლევან ტორჩინავა

**ლევან ტორჩინავა**: ფოთში დავამთავრე ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვედი, ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მაგრამ, სწავლაზე მეტად ცეკვა უფრო მაინტერესებდა. თბილისში „ერისიონში“ განვაგრძე ცეკვა, შემდეგ კი თურქეთის შოუდან მოგვივიდა მოწვევა – ექვსი ქართველი მოცეკვავე გვჭირდებაო. წავედით, დავიწყეთ მუშაობა. თავიდან ექვსნი ვიყავით, შემდეგ ათნი გავხდით. ხუთი წელი ვიმუშავე ამ შოუში და ამ კუთხით სერიოზული გამოცდილება მივიღე. თუმცა, საკუთარ თავს ვერ ვატყობდი წინსვლას – თითქოს ერთ ადგილზე გავჩერდი. „ფეისბუქის“ მეგობრებში მყავდა ადამიანი, რომელიც მუშაობს „ცირკ დუ სოლეის“ იმ განყოფილებაში, სადაც ტალანტებს ეძებდნენ მაიკლ ჯექსონის შოუსთვის. მან იცოდა, რომ მინდოდა ამ შოუში წამოსვლა. ერთ დღესაც, გამომიგზავნა ქასთინგის ვიდეო – თუ შეგიძლია, ასე იცეკვოო. ცხოვრებაში ჰიპ-ჰოპი არ მქონდა ნაცეკვი, თუმცა, ისეთი არაფერი იყო, რომ ვერ გამეკეთებინა. ათივე ქართველი სამი დღის განმავლობაში ვსწავლობდით პროგრამას, ბოლოს ჩავწერეთ და ორიგნალთან ერთად ქართული ვარიანტიც გავუგზავნეთ. ორი კვირის შემდეგ მე და ერთ ქართველ ბიჭს გამოგვიგზავნეს კონტრაქტი, თუმცა, ერთი წლის შემდეგ მხოლოდ მე დავრჩი ამ შოუში. მონრეალში ჩავედი 2011 წლის მარტში, ოქტომბერში კი უკვე სცენაზე ვიდექით, ანუ, ჩვენთან ერთად დაიდგა ეს შოუ.

**– ვიცი, რომ ამ შოუში ცეკვავენ მსოფლიოში საუკეთესო მოცეკვავეები, მათ შორის, ყველასთვის ცნობილი ტყუპები – Les twins.**

– ბევრი მათგანი მანამდე მხოლოდ ტელევიზორში მყავდა ნანახი, თუნდაც ეს ტყუპები; ასევე, მთავარი როლის შემსრულებელი, რომელიც უკვე 32 წლის არის, დიდი ხანია, ცეკვავს და ერთ-ერთ უძლიერეს მოცეკვავედ ითვლება. იმ დონეზეა ეს ბიჭი ასული, რომ Battle-ზე მასთან გამოსვლა არავის უნდა, ყველას ეშინია. როდესაც კონტრაქტს გიფორმებენ, იქ ყველაფერია მითითებული, რომ შენ დგახარ ამ ნომერში, ამ ნომერში და გიხდიან ამდენს და ამდენს; რათა ზედმეტი მუშაობა არ მოგიწიოს. მაგალითად, მე აქ ერთსაათიანი რეპეტიცია რომ დამინიშნონ, ამაშიც ფული უნდა გადამიხადონ, რადგან, ჩემს კონტრაქტში რეპეტიციები არ შედის. შოუს დაწყებამდე ორი საათით ადრე მოვდივარ, ვდგები ფორმაში და მერე გავდივარ სცენაზე. თუ მათ რამე სჭირდებათ, დაგინიშნავენ რეპეტიციას, დაგიბარებენ და კვირის ბოლოს გითვლიან საათებს, ანუ, რამდენი საათი იმუშავე ზედმეტი. ერთსაათიან რეპეტიციაში თითქმის ერთი შოუს თანხას გიხდიან. თავიდან რომ ჩამოვედით, არავინ ვიცოდით, როგორი იქნებოდა შოუ ან სცენა... რეპეტიციაზე დაცვა სპეციალური საშვის გარეშე არ გვიშვებდა, ტელეფონებს კი გვატოვებინებდნენ, რომ არ გადაგველო, მერე გარეთ არ გამოსულიყო ხმა და ვინმეს რამე არ დაეწერა, ანუ, ექვსი თვის განმავლობაში ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო. რაც შეეხება თავად შოუს, ის გააკეთა ჯეიმი კინგმა, რომელიც მუშაობდა ჯექსონთან, ასევე, მადონასთან, პრინცთან, კრისტინა აგილერასთან, ჯენიფერ ლოპესთან, რიკი მარტინთან, მოკლედ, ძალიან ბევრ ცნობილ მომღერალს უკეთებდა შოუებს, ტურნეებს. თვითონაც ცეკვავდა მაიკლ ჯექსონთან ერთად ერთ-ერთ ტურნეში – ნიღაბს იკეთებდა და ისე გამოდიოდა და ვერ გაარჩევდი მისგან. ქორეოგრაფების უმეტესობა თავის დროზე მაიკლ ჯესქონთან ერთად აწყობდა ნომრებს. ფილმი რომ არის – step up – იქიდან ჰყავდათ ქორეოგრაფები მოწვეული, სულ ცამეტმა კაცმაააწყო შოუ. სცენარი ჯეიმი კინგმა დაწერა. მაიკლ ჯექსონს, სანამ გარდაიცვლებოდა, ცირკთან ერთად უნდოდა შოუს გაკეთება, მაგრამ, ვერ მოასწრო. ამიტომაც, მაიკლ ჯექსონის კომპანიამ გადაწყვიტა, „ცირკ დუ სოლეისთვის“ მიეცა ამ შოუს გაკეთების უფლება. როდესაც შოუ მიმდინარეობს, მუსიკოსები „ლაივში“ უკრავენ, მხოლოდ მაიკლ ჯექსონის ხმა არის ჩანაწერი, რომელიც ისმის მთელ შოუში. ეს მუსიკოსებიც ადრე მასთან ერთად უკრავდნენ. ერთადერთი, რაც არ არის ცოცხალი და ჩანაწერია – ეს მისი ხმაა. კომპანია „სონისგან“ იყიდეს უფლება, რომ ეს სიმღერები გაჟღერებულიყო. 2 ოქტომბერს შემისრულდა ორი წელი, რაც ამ შოუსთან ერთად ვდგავარ სცენაზე. დაახლოებით 380 კონცერტამდე მაქვს ნაცეკვი. თითქმის 9 თვე კანადაში, ამერიკაში ვიყავით, 66 ქალაქში, შემდეგ – მექსიკაში, ევროპაში, იაპონიაში, ტაივანში, ჩინეთში, ახლა ავსტრალიიდან გესაუბრებით... ერთი, საქართველოში ვერ მოვხვდით. ჩვენი სცენის აწყობას დაახლოებით 6 საათი სჭირდება, 46 ტრაილერს გადააქვს ყველაფერი. ამიტომაც, დღეს ჩვენი შოუ ყველაზე დიდია, არც ერთ შოუს არ ჰქონია 46 ტრაილერი, მათ შორის, არც მადონას ტურნეს.




**ჩვენი სცენის აწყობას დაახლოებით 6 საათი სჭირდება, 46 ტრაილერს გადააქვს ყველაფერი, ამიტომაც, დღეს ჩვენი შოუ ყველაზე დიდია. არც ერთ შოუს არ ჰქონია 46 ტრაილერი, მათ, შორის არც მადონას ტურნეს**

**– რა როლი გაქვს ამ შოუში?**

– შოუში არის მთავარი როლის შემსრულებელი ერთი ბიჭი, რომელიც მაიკლ ჯექსონის ცხოვრებაში ნომრიდან ნომერში მოგზაურობს. ამაში კი მას ეხმარება ჯექსონის ხუთი ფანი, რომლებმაც მომღერლის შესახებ ყველაფერი იციან. აი, ამ ხუთ კაცში ვარ მეც. ანუ, ერთ-ერთი მთავარი როლი მაქვს. ხუთივეს განსხვავებული ცეკვის სტილი გვაქვს, კოსტიუმებიც შესაფერისი გვაცვია, თუმცა, სცენაზე არსად არ დგას მაიკლი, მის როლს არავინ ასრულებს. ზოგადად, მე ამ შოუში ათ ნომერში ვცეკვავ – ხუთეულთანაც გამოვდივარ და ცალკე მასასთან ერთადაც. ყველაფერს ვცეკვავ, უკვე დავამულამე. ეს ოთხი კაცი წინასწარ ჰყავდათ შერჩეული და მეხუთეს ეძებდნენ. საბოლოოდ, მე ამომარჩიეს და მათთან გამგზავნეს. ისინი ცალკე ვარჯიშობდნენ. ერთად დავიწყეთ მუშაობა, ავაწყვეთ ნომრები. ამ ოთხიდან ერთი 150 კილო მაინც იქნება, კარგად ცეკვავს და თან მსახიობობაც ეხერხება. კიდევ ერთი იაპონელი გვყავს, რომელიც შავი ბალეტისა და ჰიპ-ჰოპის მოცეკვავეა, დანარჩენი ორი კი ცნობილი ტყუპები არიან, მეხუთე მე ვარ. 15 წელი ქართულ ცეკვას რომ ცეკვავ და უცებ სხვა ჟანრზე უნდა გადახვიდე, არ არის ადვილი, მაგრამ, შევძელი და კარგად გამომივიდა. სცენაზე რომ გამოვდიოდი, ჩემს ტრიუკს ნახევარი დარბაზი პირდაღებული უყურებდა – მათთვის უცხო იყო, ისევე, როგორც ჩემთვის უცხო იყო ის, რასაც სხვები აკეთებდნენ. შოუს გარკვეულ ადგილებში ქართული ილეთები მაქვს ჩასმული. ვისაც ქართული ცეკვა აქვს ნანახი, ის აუცილებლად მიხვდება, რომ ამ დროს ქართველი მოცეკვავე ცეკვავს. თვითონ ქართული ნომერი საფინალო ცეკვაშია ჩასმული, ესპანურ, ინდურ, აფრიკულ, ანუ სხვადასხვა ეროვნულ ცეკვებთან ერთად. ვინც ცეკვავს, იმ დროს უკან, დიდ ეკრანზე, მისი ქვეყნის ეროვნული დროშა ჩანს, ასე რომ, როდესაც მე ვცეკვავ, საქართველოს დროშა ჩანს მთლიან ეკრანზე, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ დროს, ჩვეულებრივ, ჯექსონის სიმღერა მიდის, მაგრამ, აპარატურა ქართული დოლის რიტმს გამოსცემს. 2012 წელს ჩვენმა შოუმ ამერიკაში აიღო პრიზი – „წლის საუკეთესო შოუ.“ „ცირკ დუ სოლეში,“ იცი, როგორ არის? თუ რომელიმე შოუ ვერ ავსებს თავის ბიუჯეტს, სხვა შოუდან ავსებენ. ჩვენი შოუს საქმე კი იმდენად კარგად მიდის, სხვა სამი შოუს ბიუჯეტსაც ვფარავთ. ბილეთებიც არ ღირს იაფი – 100 დოლარიდან იწყება, „ვიაიპი“ ბილეთები კი 1 000 დოლარიც ღირს, ანუ, ქვეყანას გააჩნია. რაც მთავარია, მაყურებელს ძალიან მოსწონს. მახსოვს, ერთ-ერთ კონცერტზე „პაკლონზე“ ვიდექი, წინ ცოლ-ქმარი იჯდა და ტირილით დაიხოცნენ. როდესაც შოუ დაიდგა, მოიყვანეს მაიკლ ჯექსონის ფანები და ჯერ მათ აყურებინეს, შემდეგ კი მათი შენიშვნები, რჩევები გაითვალისწინეს. მაყურებელს ჰგონია, რომ, რადგან „ცირკ დუ სოლეის“ შოუზე მიდის, ბევრი აკრობატული ნომერი იქნება, მაგრამ, სულ სხვა ატმოსფეროში, სხვა სამყაროში ხვდებიან და ეს განსაკუთრებულად მოსწონთ. მახსოვს, ნორვეგიაში 20 ათასი კაცი ესწრებოდა ჩვენს კონცერტს და ეს იყო რეკორდი – ერთდროულად ამდენმა ადამიანმა უყურა ჩვენს შოუს. ზოგჯერ სხვადასხვა სატელევიზიო შოუშიც გამოვდივართ. მიცეკვია ამერიკაში „იქს ფაქტორის“ ფინალში, ასევე, გადაცემაში „ეცეკვევე ვარსკვლავს“, ლოს-ანჯელესში ვიცეკვეთ მაიკლ ჯექსონის სახლ-მუზეუმის წინ, სცენაზე; ასევე, დილის გადაცემაში. ავსტრალიაში კი გადაცემის „ნექს ტოპ მოდელ ავსტრალიის“ ფინალურ შოუში ვიცეკვეთ.

**ნათია უტიაშვილი**

# თბილისის რომელ მეჩეთს უწოდებდნენ „ცისფერ მეჩეთს“, რამდენჯერ განიცადა რეკონსტრუქცია აბო თბილელის ნიშამ და რომელი ეკლესიის ადგილას ააშენეს კომუნისტებმა საზოგადოებრივი ტუალეტი

*მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების ძველი თბილისის ფოტოების დათვალიერებისას არაერთ საინტერესო, უკვე არარსებული ნაგებობის, ეკლესიის, პარკის, სასაფლაოსა თუ უბრალო სახლების ნაშთებს წავაწყდით, რომელთაც საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვთ. ამ ისტორიების შესახებ ცნობებს ისტორიული წყაროები ან ძველი თბილისის მოტრფიალე ავტორების ნაშრომებში ვხვდებით. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ისტორიას ფოტომასალის თანხლებით.*

## შიიტური მეჩეთი

თანამედროვე თბილისში მხოლოდ ერთი მუსლიმანური სალოცავია – ბოტანიკურის ქუჩაზე მდებარე „ჯუმა მეჩეთი”. არაბების მიერ მერვე საუკუნეში თბილისის დაპყრობას ქალაქში მუსლიმანური ალმსარებლობის მქონე მოსახლეობის დამკვიდრება მოჰყვა. პლატონ იოსელიანის ცნობით, პირველი მეჩეთი თბილისში მეთექვსმეტე საუკუნეში აიგო (იგულისხმება 1522 წელს შაჰ-სულეიმანის სურვილით, მდინარე მტკვრის პირას, ქალაქის დარბევის დროს მის მიერვე დანგრეული ეკლესიის ადგილზე აშენებული შიიტური მეჩეთი). ამ მეჩეთს თბილისელები „შაჰ-აბასის მეჩეთს“ უწოდებდნენ. ცნობილია, რომ ამ მეჩეთს არადამახასიათებელი დაბალი მინარეთი ჰქონდა – გავრცელებული ვერსიით, ქართველებმა სპარსელებს არ დაანებეს, რომ ის სიონის ჯვარზე მაღალი ყოფილიყო. მეჩეთის გუმბათი და მინარეთის კოშკი ცისფერი შორენკეცებით იყო მოპირკეთებული და ქალაქელები ხშირად „ცისფერ მეჩეთსაც” უწოდებდნენ. უნიკალური შიიტური მეჩეთი 1950-იან წლებში კანდიდ ჩარკვიანის „ცეკას“ მდივნობის პერიოდში დაანგრიეს, როდესაც მეტეხის ახალი ხიდის მშენებლობა მიმდინარეობდა. ისტორიული შენობიდან მხოლოდ ცისფერი შორენკეცებია შემორჩენილი, რომლებიც ხელოვნების მუზეუმში ინახება. შიიტურ მეჩეთთან ერთად, სხვადასხვა ცნობით, თბილისში სულ შვიდი მეჩეთი იყო, რომელთაგან ამჟამად მხოლოდ „ჯუმა მეჩეთია” დარჩენილი, სადაც სუნიტებთან ერთად შიიტებიც ლოცულობენ. მეჩეთი 1723-1735 წლებში, ოსმალების ბატონობის ხანაში გამუსლიმებულ ქართველ მეფეს, როსტომ ხანს აუშენებია, თუმცა, მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში ის ნადირ-შაჰის ბრძანებით დაანგრიეს. 1846-1851 წლებში მეჩეთი არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის პროექტით აღუდგენიათ. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სკუდიერის პროექტით აგებული მეჩეთი დაინგრა და იმავე პერიოდში, მის ადგილას, ჩვენამდე მოღწეული ნაგებობა აიგო. ერთადერთი მეჩეთის არსებობის პირობებში, თბილისში უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ შიიტი და სუნიტი მუსლიმანები, რელიგიური წინააღმდეგობის მიუხედავად, ერთად ლოცულობენ.


ხედი თათრის მოედანზე და შიიტური მეჩეთი (მეცხრამეტე საუკუნე)


შიიტური მეჩეთი და მეიდნის ხიდი (მეცხრამეტე საუკუნის ბარათი)


სუნიტური მეჩეთის ძველი და მშენებარე მინარეთები (1880-იანი წლები)


„ჯუმა მეჩეთი” 1990-იან წლებში

## აბო თბილელის ნიში

786 წლის 6 იანვარს, ნათლისღებას, თბილისის მმართველი ამირას ბრძანებით, ქრისტიანობის მიღების გამო სიკვდილით დასაჯეს ეთნიკურად არაბი აბო. მისი თავმოკვეთილი სხეული ამჟამინდელი მეტეხის ეკლესიის ძირში გაუტანიათ, სადაც დაუწვავთ და მას შემდეგ ეს ადგილი მართლმადიდებლებისთვის წმინდა ადგილად ითვლება. თბილისის კეთილმსახურმა მცხოვრებლებმა პირველად ჯვარი აღმართეს წამების ადგილას, ხოლო მოგვიანებით ნიშაც ააგეს. მეჩვიდმეტე საუკუნეში ამ ადგილას ჯვარი იდგა და კათალიკოსი ანტონ პირველი მის აღმართვას მეფეებს მიაწერდა. 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის კარიბჭესთან აღამაჰმად-ხანის ჯართან საბედისწერო ბრძოლაში, როცა ცხადი გახდა, რომ ირანელი დამპყრობლები იმარჯვებდნენ, ქართველთა მეფე, ერეკლე მეორე, ერთგულმა მეომრებმა ხელჩართული ბრძოლიდან გამოიყვანეს და გადაიყვანეს მეტეხის ხიდის გაღმა, მარცხენა ნაპირზე. სწორედ „იქ, კლდოვან ნაპრალზე გამოსახული ჯვრის წინ ჩამოხტა მეფე, დაიჩოქა და ქრისტიანობისთვის წამებულ აბოს ნეშტს შეავედრა ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმული ერი”. 1820 წელს, გენერალ ალექსანდრ ერმოლოვის ბრძანებით, ნიშის ახლომდებარე ადგილი გაფართოვდა და 1821 წელს ყოფილი ჯვრის ადგილას მოეწყო პორტიკი ორ სვეტზე. პორტიკისა და სვეტების აშენებისას გაფართოვდა გზა და გამოიკვეთა თვითონ კლდეც. მოგვიანებით, აქვე მცხოვრები აბრამ კვეზერელის მიერ, ნიშაში მოთავსდა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მცირე ზომის ხატები და გამვლელები ამ წმიდა ადგილას ხშირად ანთებდნენ სანთელს. 1830-იან წლებში გრაფმა პასკევიჩ-ერევანსკიმ ნიში ნაძერწი ორნამენტებით გაალამაზა, კლდეში გამოქვაბულს კარი შეაბა და შიგ წმინდა ხატი დააბრძანა. 1830 წლის საბუთებიდან ირკვევა, რომ აქ იყო დასვენებული წმიდა იოანე მებრძოლის ხატი და იდგა შესაწირი ყულაბა. 1843 წელს გზათა მიმოსვლის ინჟინერთა კორპუსის პოდპოლკოვნიკ-გრაუერტი თბილისის მაშინდელ მთავარმართებელს კლდისა და, მასთან ერთად, ნიშის დანგრევის უფლების მიცემას სთხოვდა, რათა მტკვარზე ახალი ხიდი აეგო, რაზეც თავდაპირველად უარი მიიღო, თუმცა, 1844 წლის 3 აგვისტოს, ხიდის მშენებლობის დროს, ნიშა მაინც დაანგრიეს. რამდენიმე ხანში ნიშის აღდგენა ამჯერად ინჟინერ-პოლკოვნიკ სონინს დაევალა, რომელმაც ის აღადგინა, თუმცა, დროთა განმავლობაში ნიშა კიდევ რამდენჯერმე დაინგრა. 1909 წელს ნიში კვლავ შეუკეთებიათ და ხატებიც დაუბრძანებიათ, მაგრამ, საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, გა-


ხედი მეიდანზე და შიიტური მეჩეთი (1920-იანი წლები)


წმიდა აბოს ნიშა (ფოტოს მარჯვენა კუთხეში), მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდში

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**ყველაზე მეტად საკუთარ ვნებებთან, მანკიერებებთან, მათგან წარმოშობილ ცოდვებთან განშორება გვიჭირს. რაღაც მომენტში, შეიძლება, ამას განვიცდით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ხშირად ჩავდივართ ერთსა და იმავე ცოდვებს და ამას ზოგჯერ სხვებს ვაბრალებთ, ხანდახან – ჩვენს სისუსტეს, ზოგჯერ კი – თავად ეშმაკს. იმაზე უფრო მეტს ვფიქრობთ, თუ ვის გადავაბრალოთ ჩვენი ცოდვები, ვიდრე იმაზე, თუ როგორ განვეშოროთ მათ. ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი).**

# როგორ უნდა ებრძოლოს ადამიანი საპირისპირო სქესის მიმართ გაჩენილ ვნებებს და რატომ იყრის თავს მის გულში ყველანაირი მანკიერება

**– როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ ის სხვადასხვა ვნებასა და ცოდვებს ადვილად მოერიოს?**

– ბევრს უთქვამს – ლოცვის დროს გონება მეფანტება, ველარ ვლოცულობ კარგად, აზრები სხვაგან გამირბისო. ასეთია ჩვენი სულიერი მდგომარეობა, რადგან, ჩვენ ჯერ არ ვართ განაფული სარწმუნოებაში, არ ვიცით ლოცვა ისე, როგორც უნდა ვიცოდეთ და ამისთვის ძალიან ბევრი წელი გვჭირდება. ლოცვითი მდგომარეობის რამდენიმე საფეხური არსებობს და ამას ადამიანმა ვარჯიშითა და საკუთარი თავისთვის ძალდატანებით უნდა მიაღწიოს. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლოცვის ნიჭი ყველას ერთნაირად არ მიემადლება. ამიტომ, თუ ვინმე ვერ ლოცულობს კარგად, მან უნდა დაიწყოს ლოცვის სწავლა, მაგრამ, რაც უფრო კარგად გამოსდის, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა აკეთოს, რადგან, სულიწმიდისგან ყველას სხვადასხვა ნიჭი აქვს მიმადლებული. ადამიანს უფალმა ყველაფერი მისცა, რაც სჭირდებოდა, მაგრამ, როდესაც ის დაშორდა ღმერთს, თვითონ მოიგონა ისეთი რალაცეები, რაც მის ცხოვრებაში მრავალი შფოთის მიზეზი ხდება და ხშირად ამ ყველაფერს ვერ აღწევს, რაც მასში შინაგან კონფლიქტს იწვევს.



**არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლოცვის ნიჭი ყველას ერთნაირად არ მიემადლება. ამიტომ, თუ ვინმე ვერ ლოცულობს კარგად, მან უნდა დაიწყოს ლოცვის სწავლა**

**– როგორ უნდა მოვერიოთ ამ კონფლიქტს?**

– ამის გამო არ უნდა ჩავვარდეთ სასოწარკვეთილებაში. ადამიანი სულიერი არსებაა და მის სულში განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობს. შეიძლება, ადამიანი რაღაც ფიზიკურ ბრძოლას აწარმოებდეს, რომელიც გარკვეულ დროს მთავრდება, მაგრამ, სულიერი ბრძოლა არასდროს წყდება, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი არასდროს მთავრდება. არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანი მარტოა სახლში თუ გარეთ; უნდა თუ არ უნდა, მას ბრძოლის სახით ყოველთვის მოსდის ცუდი ფიქრები, აზრები, რასაც ჩვენ ვნებებს ვეძახით. ეკლესია გამოყოფს ბრძოლის სამ სახეს: სიტყვით, საქმით და აზროვნებით. ყველამ ვიცით, რომ სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს და მას კონკრეტული ადრესატი ჰყავს; ასევე, მის მნიშვნელობას – რას ამბობს, ვის მიმართ და როგორ. გონებაში ჯერ აზრი იბადება და, თუკი ადამიანი შემდეგ ამ აზრს დაეთანხმება და შეიწყნარებს, მისი ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ეს აზრი, შეიძლება, ბოროტი ძალისგან იყოს მოხვეული. როცა ადამიანის გონება, სულიერი ძალები იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ლოცვით იყოს უფალთან კავშირში, სიმშვიდე პოვოს, პირიქით, მას ხელს უშლის ბოროტი ძალა და თავს ახვევს არა მხოლოდ აზრებს, არამედ, მკრეხელობასაც. ამ ყველაფერს იწვევს დაცემული გონება და მდგომარეობა, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, ეს ადამიანის ბრალი არ იყოს, ბოროტი ძალები ახვევენ მას თავზე, რომ დააბრკოლონ ლოცვის მდგომარეობაში მყოფი და ხელი შეუშალონ. ბუნებრივია, როდესაც ადამიანს მოსდის მკრეხელური აზრი, აცნობიერებს, საიდან მოდის ის და გაურბის. მაგრამ, როდესაც ეშმაკი ხედავს, რომ ადამიანს შესწევს უნარი, ცუდი და კარგი გაარჩიოს, მისი მოქმედება უფრო დახვეწილი ხდება. საუკუნეების განმავლობაში ეშმაკმა დახვეწა თავისი ტაქტიკა და მიდგომა ადამიანების მიმართ. იყო დრო, როდესაც ის ცხადად ენახვებოდა ადამიანებს, ზემოქმედებას ახდენდა, ხილულად უცხადებდა მათ ბრძოლას, დღეს კი ამ ტაქტიკას აღარ იყენებს და, ხშირ შემთხვევაში, შენიღბულად მოქმედებს. ეშმაკი ცდილობს, ის ცუდი, რომელიც მავნებელია ადამიანისთვის, წარმოგვიჩინოს სიკეთედ, შეალამაზოს და ისე მოგვაწოდოს. ამიტომაც ხდება, რომ ხშირად ადამიანი თავის ცოდვებს, სულიერ მისწრაფებებს, მანკიერებებს გაუცნობიერებლად მიაწერს სხვას, ბნელ ძალებს: მე კი შევცოდე, მაგრამ, ეს ჩემი ბრალი კი არა, ეშმაკის ბრალი იყო, მან მაცდუნაო. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: ვნებები ადამიანის სულიერი ძალებია, ის გარედან არ არის მოხვეული და, გარე მოვლენებზე, პირობებზე, კატაკლიზმებზე არ არის დამოკიდებული. თუმცა, ადამიანი სულიერი, მოაზროვნე არსებაა და, რაც მის გარშემო ხდება, მის გონებაში იბეჭდება. მაგრამ, ვნება – ეს ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა, ანუ, ეს არის სულიერი ძალები, რომლებიც არასწორად არის მიმართული. ასკეტურ ლიტერატურაში ვნებებს განმარტავენ როგორც სულიერი ძალების არაბუნებრივ მოძრაობას. ადამიანში მრავლად არის სულიერი

**იმპულსები ნერვების საშუალებით გადაეცემა გონებას, გონებიდან კი – იმ უმაღლეს სუბსტანციას, რასაც სულს ვეძახით. შემდეგ სული აცნობიერებს იმას, რაც მოხდა და ის იმპულსები ტვინის გავლით ბრუნდება უკან**

ძალები თავისი გამოვლინებით, მაგრამ, როდესაც ეს ძალები არასწორად მოქმედებს, მერე ეს უკვე ვნების სახით ვლინდება. ყველა ადამიანში არის სულიერი ძალები, რაც თითოეულ მათგანში სხვადასხვა სახით, ნიჭით ვლინდება, ნიჭი კი მრავალნაირია. ყველას აქვს მანკიერი მიდრეკილებები, ვნებები და ყველას შეუძლია, საკუთარი სულიერი ძალების ფერისცვალება მოახდინოს და ვნებები თავის სასარგებლოდ წარმართოს. ეშმაკს, შეიძლება, ერთი რამ დავაბრალოთ: ის ჩვენს დამახინჯებულ სულიერ ძალებს ჩვენსავე საწინააღმდეგოდ იყენებს – სუსტ წერტილს მოგვინახავს და იქ ხდება ჩვენი შევიწროება, დაცემა, ყურადღების მოდუნება. ამიტომ, ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ის, რომ ადამიანს საპირისპირო სქესის მიმართ ვნება უჩნდება, თავისთავად, არ არის უბედურება, დამარცხება; მთავარია, მას ამ ვნებასთან ბრძოლის სურვილი გაუჩნდეს. მამა გაბრიელი ამბობს: თუ ადამიანი განაგრძობს იმ ვნებასთან ბრძოლას, რომელიც მასში ყველაზე ხშირად ვლინდება, მაშინ ეს უკვე ღვაწლია და, რა თქმა უნდა, ამას უფალი დაუფასებს. თუ ადამიანს ვნება გაუჩნდება საპირისპირო სქესის მიმართ, ეს არ არის უბედურება; უბედურება ის იქნება, თუ ამის წინააღმდეგ არ იბრძოლებს, რითაც ამ ვნებას ყველანაირად შეუწყობს ხელს და წაახალისებს.

**– სხეულის რომელ ნაწილში იყრის თავს ვნებები და სხვადასხვა მანკიერება?**

– ადამიანის გულში იყრის თავს მთელი მისი წარმოდგენები, მანკიერებები, მისწრაფებები, კარგი თუ ცუდი აზრები, ფიქრები. თუ ადამიანი გულით არის ცუდი, ღვარძლიანი, უსიყვარულო, რა თქმა უნდა, მისი თვალები ყველაფერ ამას ასახავს, აფრქვევს. თვალები ადამიანის სულის სარკეა და ის კარგად ასახავს მის შინაგან მდგომარეობას. ადამიანებში არის ძალიან ბევრი მანკიერება – უსიყვარულობის, უპატივცემულობის, გაუტანლობის, პატივმოყვარეობის, შურის, ურწმუნოების, ვერცხლისმოყვარეობის. ეს ის პატარ-პატარა თუ დიდი დემონებია, რომლებიც მანკიერებების სახით წარმოჩინდებიან. წმიდა ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ თავის შესანიშნავ წიგნში მეცნიერულად აღწერა ადამიანის პიროვნება, ის, რომ ადამიანი არის ერთობლიობა ხორცის, ძვლების, ნერვების, მაგრამ, ჯერ მისი სულია და მერე – ყველაფერი დანარჩენი. ამიტომაც, ყველაფერზე ზეგავლენას ახდენს ადამიანის სული, ის ყველაფერში თამაშობს მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს. თუ ადამიანს ხელში უჩხვლიტეს, მას ნაჩხვლეტი ადგილი კი არ სტკივა, არამედ, ჯერ სულში სტკივა. ანუ, იმპულსები ნერვების საშუალებით გადაეცემა გონებას, გონებიდან კი – იმ უმაღლეს სუბსტანციას, რასაც სულს ვეძახით. შემდეგ სული აცნობიერებს იმას, რაც მოხდა და ის იმპულსები ტვინის გავლით ბრუნდება ნაჩხვლეტ ადგილას. სწორედ ამის შემდეგ აცნობიერებს ადამიანი, რაც მოხდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წამის მეასედებში, ძალიან სწრაფად ხდება, ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, სული ყველაფრის ზედამხედველია.

**ნათია უტიაშვილი**

### გარდაცვლილი პატრიარქის სასწაული

სასწაულები წმიდა იოანეს (ალექსანდრიის პატრიარქი იოანე მოწყალე) გარდაცვალების შემდეგაც აღესრულებოდა.

ერთი ქალი უმძიმესი ცოდვით დაეცა და რცხვენოდა სულიერ მამასთან აღსარების თქმა. იგი რწმენით მივიდა წმიდა იოანესთან, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და გაუმხილა, რომ აღსარების თქმა არ შეეძლო. მაშინ პატრიარქმა ურჩია, ქაღალდზე დაეწერა აღსარება და მისთვის გადაეცა. ქალი ასეც მოიქცა, მაგრამ, 5 დღის შემდეგ პატრიარქი გარდაიცვალა. ქალი ძლიერ განიცდიდა ამას. ის პატრიარქის საფლავთან მივიდა და როგორც ცოცხალს, ისე მიმართა დახმარებისათვის, რადგან მიაჩნდა, რომ იმას, რისი გამხელაც მას მოძღვართან ეძნელებოდა, ახლა ქარტიაზე ყველა წაიკითხავდა.

ასე გაატარა მან წმიდანის საფლავთან სამი დღე. მესამე ღამით წმიდა იოანე ცხადად გამოვიდა საფლავიდან და ქალის ცრემლებით შეწუხებულმა, მას ქარტია გაუწოდა. ბეჭედი ისევ მთელი იყო. ქალმა გახსნა და ნახა, რომ მისი ნაწერი წაშლილი იყო და მის ნაცვლად ეწერა: „ჩემი მონის, იოანეს წყალობით, მოგეტევა შენი ცოდვა!“

ქალმა თავისი ცოდვის სასწაულებრივი მიტევება მიიღო.

### წმიდა ეპისკოპოს იოასაფ ბელგოროდელის წმიდა ნაწილების მიერ აღსრულებული სასწაული

„სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლისას სტუდენტები ხშირად ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ქადაგებაში. კარგად ვსაუბრობდით, მსმენელსაც მოსწონდა და ჩვენ თვითონაც, მაგრამ ნამდვილი რწმენა ჩვენგან ცოტას თუ ვინმეს ჰქონდა. ძალიან ნიშანდობლივია, რომ, როდესაც წმიდა იოასაფის სამარხის გახსნაზე შემოგვთავაზეს წასვლა, ყველამ იუარა. რა საჭიროა სასწაულს მოწყურებული გაუნათლებელი ადამიანების სანახავად გამგზავრება – რა სასწაული შეიძლება მოხდეს ჩვენს დროში? წილი ყარეს – მე მომიწია გამგზავრება, თუმცა უხალისოდ ვიყავი, მორჩილებას ვასრულებდი.

ადგილს რომ მივაღწიე, გულში რაღაც შეიძრა. ისეთი რამ ვნახე, გულგრილად დარჩენა შეუძლებელი იყო. რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილიყვნენ ავადმყოფები, ხეიბრები – ძნელი იყო ამდენი გაჭირვებულის ყურება. და კიდევ – სასწაულის მოლოდინის საერთო განწყობა, ჩემდა უნებურად, მოსალოდნელი მოვლენებისადმი ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, მეც გადამედო. ბოლოს იმპერატორი მობრძანდა თავის ოჯახთან ერთად და დაიწყო ზეიმი. მე უკვე ვღელავდი. არ მჯეროდა, მაგრამ მაინც ველოდი რაღაცას. ახლა ძნელია ამ სანახაობის წარმოდგენა – ათასობით ავადმყოფი, ეშმაკეული, ბრმა, ხეიბარი – იწვა, იდგა გზის ორივე მხარეს, რომლითაც წმიდა იოასაფის წმიდა ნაწილები უნდა წაესვენებინათ. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა ხეიბარმა მიიქცია. შეუძლებელი იყო მისი გულგრილად ყურება; სხეულის ყველა ნაწილი თითქოს ერთმანეთს შეზრდოდა – ხორცისა და ძვლების მორგვი იდო მიწაზე. ველოდი, რა შეიძლებოდა მიეღო ამ კაცს? ნუთუ შეიძლებოდა, ვინმე დახმარებოდა მას?

და აი, გამოასვენეს ჩასასვენებელი წმიდა იოასაფის წმიდა ნაწილებით – ასეთი არაფერი მინახავს და ალბათ, ვერც ვნახავ ოდესმე – გზის გასწვრივ მდგარი თითქმის ყველა ავადმყოფი იკურნებოდა: ბრმებს თვალები ეხილებოდათ, ყრუებს ესმოდათ, მუნჯები ყვირილსა და ლაპარაკს იწყებდნენ, ხტოდნენ სიხარულით, ხეიბრებს სხეული უსწორდებოდათ, თრთოლვით, შიშითა და მოწიწებით ვუყურებდი მომხდარს და თვალს არ ვაცილებდი იმ ხეიბარს. როდესაც წმიდა ნაწილებიანი ჩასასვენებელი გაუსწორდა, მან ხელები გაშალა – საშინელი ჭახანის ხმა გაისმა, თითქოს რაღაც სკდებოდა და იმსხვრეოდა მის შიგნით. შემდეგ წელში გამართვა დაიწყო, ძნელად, ძალდატანებით ადგა ფეხზე. საოცრად შემძრა ამან. ცრემლმორეულმა მივირბინე მასთან, შემდეგ ჟურნალისტს ვტაცე ხელი, ვუყვებოდი, რაც ვნახე და ვთხოვდი, ყველაფერი დაეწერა.

პეტერბურგში სხვა ადამიანი დავბრუნდი, უკვე მორწმუნე ვიყავი“.

**არქიმანდრიტი დოსითეოსის ნაამბობი**

## მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ქრისტიანულია თუ არა „საკურთხის“ ცნება და თუ ასეა, რომელ დღეს უნდა მივიტანო ის ეკლესიაში?**

**პასუხი:** „საკურთხი“ ქრისტიანული ცნებაა. თვითონ სიტყვა გულისხმობს, რომ რაღაც უნდა იკურთხოს, ამ შემთხვევაში – პროდუქტი, რომელიც ეკლესიაში მიცვალებულთა სახელზე მიგვაქვს. კურთხევა ხდება პანაშვიდის დროს. საკურთხი ეკლესიაში უნდა მიიტანოთ საეკლესიო კალენდრის მიხედვით დადგენილ მიცვალებულთა დღეებში, ასევე, ნებისმიერ შაბათს.

**კითხვა: რა ვუყოთ მიცვალებულის დანატოვარ ნივთებს, რომლებიც მოწყალების სახით გასაცემადაც არ არის ვარგისი?**

**პასუხი:** ასეთი ნივთები მიწაში დაფალით



ან შესაფერის ადგილზე დაწვით. ამით მიცვალებულის ხსოვნას არავითარი ზიანი არ მიადგება.

**კითხვა: რატომ ხდება, რომ ღვთივსულიერი საუბარი ძნელად განგვაწყობს სასმენად, ხოლო გასართობი – იოლად?**

**პასუხი:** იმიტომ, რომ ეშმაკი უწყობს ხელს უქმადმეტყველებას და ის არის ყოველგვარი სულიერი დარიგების მტერი. ერთ-ერთი წმინდა მამა ყვებოდა: როცა მე ზოგიერთ ძმას სულიერ სარგებლობაზე ვესაუბრებოდი, მათ ისეთი ძილქუში აწვებოდათ ხოლმე, რომ ქუთუთოებს ველარ სძრავდნენ.

**კითხვა: როგორ უნდა გადაანაწილოს ქრისტიანმა დრო გონივრულად?**

**პასუხი:** ქრისტიანმა ადამიანმა დროის უმეტესი ნაწილი უნდა დაუთმოს სულისთვის ზრუნვას – ლოცვას, უფალზე ფიქრს, შესაბამის გარჯას, კეთილ საქმეთა სრულყოფილად შესრულებას, ხოლო დანარჩენი დრო მოახმაროს ხორციელ საჭიროებათა შესახებ ზრუნვას. სამწუხაროდ, ადამიანები პირიქით იქცევიან – ჯერ ხორციელი სიამოვნებისთვის ზრუნავენ, ხოლო სულისთვის – თუ დრო დარჩებათ, მხოლოდ მაშინ ირჯებიან.

## პატერიკები

### რწმენა იმორჩილებს ნადირს

ეკლესიის ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის იმისა, თუ როგორ უმორჩილებდა ღმერთი მისთვის სათნო ადამიანებს ნადირ-ფრინველს. წმიდა ილია თეზბიტელს ყორანი უზიდავდა პურს; წმიდა მარიამ ეგვიპტელს საფლავი ლომმა გაუთხარა; ლომი ემსახურებოდა წმიდა გერასიმეს; წმიდა სერაფიმე საროველი საკუთარი ხელიდან აჭმევდა უზარმაზარ დათვს. მსგავსი შემთხვევა უამრავია. ჩვენ ერთი მათგანის შესახებ მოგითხრობთ, რომელიც საქართველოში მოხდა.

აფხაზეთის მთების ულრან ტყეში, რუსეთიდან კომუნისტების დევნას გამორიდებული ბერები და მონაზვნები მოღვაწეობდნენ. ბევრმა მათგანმა დიდ სულიერ სიმაღლეს მიაღწია. მათ შორის იყო ორი ხორციელი და, რომლებიც ტყეში აგებულ პატარა ქოხში ცხოვრობდნენ და ლოცვითა და მარხვით ემსახურებოდნენ უფალს. ერთ დღეს დების ქოხს დათვი მიუახლოვდა. ის ღრიალებდა და აშკარად ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა. მონაზვნებმა შეამჩნიეს, რომ დათვს თათში სოლი ჰქონდა გარჭობილი და დახმარება გადაწყვიტეს. მონაზონმა დათვს სოლი გაზით ამოაცალა. ცხოველმა შვება იგრძნო და ტყისკენ ძუნძულით გასწია. თუმცა, ადამიანებთან მისი ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა, ის შემდგომ დღეებშიც მოდიოდა მათთან. დედები დათვს მტკივან თათს უხვევდნენ ხოლმე. ერთ-ერთ მოსვლაზე ცხოველმა თან სოფლის ყანებიდან წამოღებული სიმინდის ტაროები მოიტანა. ასე გამოხატა მან თავისებური მადლიერება მონაზვნების მიმართ. ქურდობის გამო დედები დათვს გაუბრაზდნენ.

ნადირი ხშირად მოდიოდა მონაზვნებთან და მათი ხელიდან საკვებს იღებდა. სოფლელებმა, როდესაც გაიგეს ამ საოცარი მეგობრობის ამბავი, მონაზვნებს სთხოვეს, დათვისთვის საყელო გაეკეთებინათ, რათა სხვა დათვებში არ არეოდათ და არ მოეკლათ. ამგვარად გაჩნდა აფხაზეთის ტყეებში საყელოიანი დათვი, რომელსაც ყველა ასე მოიხსენიებდა. მეგობრობა ცხოველსა და მონაზვნებს შორის რვა წლის განმავლობაში გრძელდებოდა. სამწუხაროდ, დათვი მაინც მოკლეს. ნადირის მკვლელი შემდგომში მძიმედ დაავადდა, მას ფეხები მოჰკვეთეს.

ასე დაუმორჩილა ღმერთმა მრისხანე ნადირი დაუცველ მონაზვნებს.

**ჩაწერილია არქიმანდრიტ დიმიტრი ტელიანიდის მონათხრობის მიხედვით**

**მოამზადა რევაზ ტომარაძე**

**ქართველი კინგბოქსიორი გურამ გუგენიშვილი კინგბოქსინგის ამერიკულმა კლუბმა მიიწვია სათანამშრომლოდ. ქართველები ძალისმიერ სპორტში საკმაოდ განებივრებულები რომ ვართ კარგი ფალავნებით, ეს უდავოა და მათ შორის ერთ-ერთი გურამიცაა, რომლის შესახებაც ჩვენ ერთხელ უკვე დავწერეთ, ამიერიდან მისი სპორტული კარიერა გაგრძელდება ლოს-ანჯელესში, კრივისა და კინგბოქსინგის ცენტრში, სადაც ქართველი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, დარწმუნებული ვარ ისეთივე წარმატებით იასპარეზებს, როგორც ამას დღემდე ახერხებდა. გურამზე ცნობილმა ტელეარხმა „რუსკი ექსტრიმმა" ვრცელი სიუჟეტიც გადაიღო.**

# ვის შურდა ლას-ვეგასში გურამ გუგენიშვილის და ვინ ამოუგდო მას განზრახ ხელი

**– გურამ, როგორ ხარ, რა სიახლეებია შენს სპორტულ კარიერაში?**

– სპორტულ კარიერას რაც შეეხება, ცოტა შეფერხებები მქონდა, ცუდ პერიოდს დაემთხვა, მოკლედ, ყველაფერი – პირადი და ოჯახური პრობლემები მქონდა, მივიღე ტრავმა – ეს ყველაფერი აისახა ჩემს გამოსვლაზე და სამწუხაროდ, ამერიკის ჩემპიონთან, კერი გარნერთან დავმარცხდი. ძალიან მიჭირს ამ ამბავთან შეგუება, მით უმეტეს, რომ ადრე მოგებული მაქვს მასთან ორთაბრძოლა. მას ადრე შევხვდი, დავამარცხე და მეორე წრეზე უკვე მე დავმარცხდი მასთან. თუმცა, დღესდღეობით ძალიან კარგად ვემზადები რუს მწვრთნელთან – რაიმონდ გაეტანოსთან. ის აქტიურად ზრუნავს, რომ ფორმაში ჩავდგე და მალე მიხილავთ კიდეც რინგზე. ჩვენ ერთ-ერთ სპორტულ დარბაზში შევხვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით. საკმაოდ მკაცრი მწვრთნელია. დიეტა დამიწერა, ვარჯიშები, მაგრად მაკონტროლებს ***(იცინის).***

**– ამერიკელ სპორტსმენთან დამარცხებამ ალბათ, ძალიან გატკინა გული?**

– ყველა შეხვედრის დათმობა ძალიან რთულია, მით უმეტეს, ამ შეხვედრის, მაგრამ რუსებს აქვთ ერთი კარგი გამონათქვამი: ვინც არ ეცემა, ვერც წამოდგებაო. მთავარია, მერე როგორ მოახერხებ გაგრძელებას, თორემ დაუმარცხებელი და წაუგებელი არავინაა. პროფესიონალი სპორტსმენი მარტო ფიზიკურად კი არ ემზადება, არამედ ფსიქიკურადაც. ვინც ამ ჩავარდნებიდან ამოდის, ის იმარჯვებს.

**– ამერიკულ კლუბში მიგიწვიეს, საინტერესო სიახლე გაქვს...**

– კი, ასეა, მიმიწვიეს ამერიკაში ერთ-ერთ წამყვან და ყველაზე პრესტიჟულ კლუბში. ამ ეტაპზე საჭიროდ არ მიმაჩნია სახელის დასახელება, ამაზე მერე ვისაუბროთ. პატარ-პატარა წარმატებები რომ მქონდა უკრაინაში, მაშინვე მივიღე შემოთავაზებები ამერიკიდან, მაგრამ მიმაჩნდა თავი იმ დონის სპორტსმენად, რომ გამერისკა და ამერიკაში წავსულიყავი, რადგან ამერიკა ჩემს სახეობაში არის პიკი და საერთოდ, ყველა სპორტში, გარდა ფეხბურთისა. ამიტომ ვიკავებდი თავს, მაგრამ ახლა თავის იმედი მაქვს, დიდი დატვირთვით ვემზადები და როცა ფორმაში ჩავდგები, გავემგზავრები ამერიკაში. ზუსტად არ ვიცი, როდის წავალ, მაგრამ როგორც კი მზად ვიქნები, მაშინვე.



**ბოლოს მქონდა ისეთი პრობლემა, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს ეხებოდა. ჩემს ოჯახს ეხებოდა ეს ამბავი და ძალიან განვიცადე**

**– ესე იგი, შენით ამერიკელები ჯერ კიდევ უკრაინულ კლუბში ყოფნისას დაინტერესდნენ?**

– კი, უკრაინული ტრიუმფის შემდეგ, როცა ჩემპიონი გავხდი, თუმცა, მანამდე შეკრებებზეც ვიყავი ლას-ვეგასში. ვარჯიშზე ტრავმა მივიღე, იდაყვი ამომივარდა, არადა ათი დღე იყო დარჩენილი შეჯიბრებამდე. ვარჯიშიც გავაცდინე და... მოკლედ, უიღბლობის გამო, ვერც შეჯიბრებაზე გამოვედი. რა თქმა უნდა, ამერიკაც და ლას-ვეგასიც ძალიან მომეწონა, მაგრამ როგორი შთაბეჭდილება დამრჩა, იცი? თუ ორი-სამი თავით მაინც არ დგახარ ამერიკელზე მაღლა, კაცისშვილი ყურადღებას არ მოგაქცევს. თუ მასზე მაღლა დგახარ, მაშინ შურის თვალით გიყურებს და აუცილებლად ცდილობს, ჩაგძიროს. ძალიან რთული სფეროა სპორტი. უაზროდ არ უნდა მიჰყვე დინებას.

**– რა, სხვაგან არ არის ასეთი ამბები?**

– როგორ არა, დიდ სპორტში ყოველთვის არის შურის მომენტები, მაგრამ როგორ გითხრა, ამერიკელები უფრო სხვანაირი, რაღაცნაირი ნაცისტი ხალხია! მაგალითად, თუ რომელიმე შეჯიბრება მოიგე და ამერიკული წარმატებული კლუბის ჩემპიონი გახდი, თვითონ ამერიკელები ყველანაირად ცდილობენ, ჩაგძირონ. არ გეგონოს, მარტო იმიტომ მიმიწვიეს იქ, ჩემი წარმატებით არიან დაინტერესებულები, იმიტომ, რომ ამერიკელ სპორტსმენებს სპარინგ-პარტნიორი სჭირდებათ. ვისთანაც მე ვივარჯიშებ, იმათთვისაც კარგია და რა თქმა უნდა, ჩემთვისაც.

**– ამერიკაში რა დონეზეა ეს სპორტი?**

– ამერიკა არის კინგბოქსინგის მექა. ძალიან მაღალ დონეზეა ეს სპორტი და მაღალია საპრიზო ფონდიც. როცა ყველაზე კარგი სპორტსმენების ათეულში შედიხარ, შენი საპრიზო თანხა საშუალოდ ორ მილიონს შეადგენს. მე ვამბობ, საშუალოდ, თორემ არის 5 მილიონიც და მეტიც. მაგრამ მარტო სპორტით იშვიათია, სპორტსმენმა ფული იშოვოს. ბევრი მათგანი რეკლამებშიც არის დაკავებული, თუ ნორმალური კონტრაქტია. კომერციული მომენტია, რა, უფრო შოუა ეს ყველაფერი, ვიდრე სპორტი. იმიტომ, რომ ბევრი მაყურებელი ჰყავს. თუნდაც იგივე კრივი, ისეთი შოუს ელემენტებია და ისე აპიარებენ, როგორც ფილმის პრემიერას. სპორტსმენებს კიდევ ჰოლივუდის ვარსკვლავებივით ექცევიან. მე მაგალითად, ხომ არავინ მიცნობდა ამერიკაში – ყური მაქვს გატეხილი და მაღაზიაში რომ შევდიოდი, ფასდაკლებებს მიკეთებდნენ, სხვანაირად მექცეოდნენ. ხალხს უყვარს იქ სპორტსმენები.

**– შენ თუ გყავს ფავორიტი ამერიკელი სპოტსმენი?**

– კონკრეტულად არავინ. ისე, ბევრ მათგანთან ვისურვებდი შეხვედრას.

**– კერი გარნერთან რატომ დამარცხდი?**

– ტრავმების გამო და როგორც უკვე ვთქვი, პირადი პრობლემები მქონდა, პირადი პრობლემები კი სპორტსმენის კარიერაზე დიდ გავლენას ახდენს. არ მინდა, აქ საკუთარ ცხოვრებისეულ სირთულეებზე და ოჯახურ პრობლემებზე საუბარი. თუმცა, ბოლოს ისეთი პრობლემა მქონდა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. ჩემს ოჯახს ეხებოდა ეს ამბავი და ძალიან განვიცადე, მარტო ჩემი განსაცდელი რომ ყოფილიყო, ასე არ ვინერვიულებდი.

**– ემოციური ხარ რინგზე?**

– არა, არასდროს. ყოველთვის ვახერხებ, მშვიდად ვიყო. თუ თავიდანვე არ ხარ მობილიზებული და გამარჯვებაზე არ ფიქრობ, რინგზეც არ უნდა გახვიდე. ფსიქიკურად ეს უფრო გაგაძლიერებს, ვიდრე სულ მოგება და გამარჯვება.

**– თავში ავარდნის მომენტი არ გქონია? ჩემპიონი ხარ ბოლოს და ბოლოს.**

– არასდროს მქონია თავში ავარდნის მომენტი. ეგ არის, ზედმეტად თვითდაჯერებული ვარ. ზოგს, შეიძლება, მოეჩვენოს, რომ თავში მაქვს ავარდნილი, თუმცა ეს მათი პრობლემაა და არა ჩემი.

**– მკაცრი და ჩაკეტილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ, მართლა ასეთი ხარ?**

– არა, პირიქით, საკმაოდ კომუნიკაბელური ვარ და ვცდილობ, ადამიანებთან ადვილად შევიდე კონტაქტში. მაგრამ, ახალი მეგობრების შეძენა, ცოტა არ იყოს, მიჭირს. ბავშვობიდან ასეთი ვარ, ადამიანებს ადვილად ვერ ვენდობი, თუ ათასჯერ არ გადავამოწმე. მაგრამ, თუ ადამიანი მეგობრად მივიღე, მისთვის სიცოცხლეს გავწირავ. თუ საპირისპირო დავინახე, გული მიცრუვდება და ასეთი მომენტები ცხოვრებაში ხშირად მქონია. ვერ ვიტყვი, რომ წყენას გულში ვიტოვებ, უბრალოდ, ვიცი მერე იმას როგორ მოვექცე, ვინც მაწყენინა.

**– მომიყევი, ევროპის ჩემპიონი როგორ გახდი.**

– უკრაინაში, საკლუბო ჩემპიონატის მოგების შემდეგ, მიწვევა მივიღე ევროპის ჩემპიონატზე, სადაც სამი შეხვედრა ჩავატარე და სამივე მოვიგე. ვიტყვი, რომ საკმაოდ გამიადვილდა სამივე შეხვედრა. მერე მსოფლიო ჩემპიონატზეც ორჯერ მოვიგე და ერთხელ კი წავაგე. ვარ უკრაინის ჩემპიონი. 2009 წელს უკრაინის საუკეთესო მებრძოლად დამასახელეს. ვარ ევროპისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

**– უკრაინაში თუ გცნობდა ხალხი ქუჩაში?**

– უკრაინაში იმდენად არა, რამდენადაც რუსეთში. ათას ცუდ რამეს ამბობენ რუსებზე, მაგრამ ძალიან კარგი ხალხია. ერთხელ აეროპორტში უშველებელ რიგში ვიდექი რეგისტრაციაზე. მოვიდა აეროპორტის ერთი თანამშრომელი და მეკითხება: „გურამი ხარ?" კი მეთქი, ვუპასუხე. გამომყევიო, მითხრა. შემეშინდა, ვიფიქრე, ბარგში რაღაც ნახეს-მეთქი, არადა ურიგოდ გამიყვანა – პატივი მცა, რომ მიხვდა, ვინც ვიყავი. ასეთ რამეს რუს სპორტსმენს გაუკეთებდნენ საქართველოში? არა მგონია. რამდენჯერ ქუჩაშიც მოსულან, სიყვარული და პატივისცემა გამოუხატავთ. სურათებს იღებდნენ ჩემთან. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ეს მეკუთვნის, უბრალოდ, ჩემთვის რუსები უფრო ახლოს არიან, ვიდრე ამერიკელები. ამერიკელები თავიანთ ხალხს ადარებენ. თუ ამერიკაში ხარ პოპულარული, მაშინ გაფასებენ, თუ ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში, მაშინ – არა. ამერიკელებს თავიანთი სამყარო, თავიანთი პლანეტა აქვთ. სხედან იქ და იქიდან არ გამოდიან. საერთოდ, არაფერს არ სცნობენ, სპორტშიც კი, ცოტა განსხვავებული წესებია იქ.

**– შურზე რომ ამბობდი, შენ მიმართაც გიგრძნია ეს მომენტი?**

– რა თქმა უნდა. აი, მაგალითად, ბრაზილიელი სპორტსმენები და იქაურებიც მოდიოდნენ გაყოყოჩებულები. ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ ჩემზე მაგრები არიან. რომ ვერ ამტკიცებდნენ, შურით ივსებოდნენ. ამიტომაც განგებ მომაყენეს ტრავმა და ამომიგდეს იდაყვი. შეჯიბრების წინ ვაკეთებდით ფუშ-ფუშს, ანუ მსუბუქი მოთელვითი ვარჯიში გვქონდა. შეხვედრის წინ დიდი ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლება, ამიტომ მსუბუქ ილეთებს ვასრულებდით. ერთმა სპორტსმენმა ისეთი მკვეთრი მოძრაობა გააკეთა, რომ ხელი ამომიგდო. ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ შურიანი ხალხია?

**– კინგბოქსინგში თუ არიან ქალები?**

– არიან, მაგრამ მე არ მომწონს. ცხვირგატეხილი ქალი მოგეწონება? ***(იცინის)*** ქალი კარგი შესახედავი უნდა იყოს.

**ქეთი დიდებულიძე**

## „არსენალის" ვარსკვლავები მაგიურ შოუში




ლონდონის „არსენალის" ვარსკვლავებმა: აარონ რემზიმ, პერ მერტეზაკერმა, ვოიცეხ შჩესნიმ და ოლივიე ჟირუმ ფრანგული ავტოგიგანტის – „სიტროენის" მიერ ორგანიზებულ მაგიურ შოუში მიიღეს მონაწილეობა. ცნობილმა ილუზიონისტმა დრამონდ მანი-კოტსმა საინტერესო ფოკუსები აჩვენა, რომლებშიც ფეხბურთელებიც იყვნენ ჩართულნი. ილუზიონისტმა და ფეხბურთელებმა აღნიშნულ ღონისძიებაში „სიტროენის" ახალი მარკის მოდელის პრეზენტაციის ფარგლებში მიიღეს მონაწილეობა.

## ყველაზე სექსუალური მოთხილამურე

მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მოთხილამურედ მიჩნეული ლინდსი ვონი და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური სპორტსმენი, გოლფის მოთამაშე, ტაიგერ ვუდსი – ერთად არიან. ვუდსისა და ვონის რომანზე დიდხანს ლაპარაკობდნენ, თუმცა, ოფიციალურ დონეზე სპორტსმენები უარყოფდნენ კავშირს, სანამ ავსტრიულ კურორტ შმადლინგში ლინდსის უბედურება არ შეემთხვა. ტაიგერმა პირადი თვითმფრინავი გაუგზავნა ლინდსის, გადააფრინა საავადმყოფოში, სადაც არ მოშორებია პალატას, რომელშიც მისი რჩეული იწვა. ცნობისთვის, ტაიგერის გამო ლინდსი მეუღლეს გაშორდა და, შესაძლოა, ახლო მომავალში ვარსკვლავური ქორწილის მომსწრენიც გავხდეთ.

## გარეთ ბეილის დაზღვევა

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, რომ სამეფო კლუბის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი, უელსელი გარემარბი გარეთ ბეილი, ზუსტად იმ თანხად არის დაზღვეული, რამდენიც მასში გადაიხადეს, ანუ – 91 მილიონ ევროდ. ესპანურ პრესასთან საუბარში პერესმა, ასევე, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ტირაჟირებული ინფორმაცია ბეილის თიაქრის პრობლემებზე აბსურდია; უახლოეს მატჩებში გარეთ ბეილი „რეალის" შემადგენლობაში ითამაშებს და დაამტკიცებს, რომ სრულიად ჯანმრთელია. შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემისგან" ნაყიდი გარეთ ბეილი ამ მომენტისთვის მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელია.

## რაფაელ ვან დერ ვაარტის ექსმეუღლის ფოტოსესია

ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველის, რაფაელ ვან დერ ვაარტის ექსმეუღლემ, ტოპ-მოდელმა, მსახიობმა და ტელეწამყვანმა სილვია ვან დერ ვაარტმა ჰოლანდიური თეთრეულის ბრენდის „ჰანკემოლერის" მიერ ორგანიზებულ ახალ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. სილვია დიდი ხანია, ამ ბრენდის სარეკლამო სახეა და არც გულახდილ ფოტოსესიებზე ამბობს უარს, რითაც თავის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს გულს უხარებს.



## ვიქტორია აზარენკო – ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჩოგბურთელი

მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ბელარუსი ვიქტორია აზარენკო, კორტზე გატარებული დროისა და მიღებული საპრიზოების გათვალისწინებით, მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ჩოგბურთელად დასახელდა. 24 წლის აზარენკომ წელს 49 შეხვედრიდან 42-ში გაიმარჯვა და საპრიზოების სახით მიიღო 5 822 165 დოლარი, რაც ნიშნავს, რომ თითო სეტში, რომელთა რაოდენობა 83-ია, 70 869 დოლარი გადაუხადეს. ამ მაჩვენებლით, აზარენკოს შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება სერენა უილიამსისა და რაფაელ ნადალის შემოსავლებს.

## პირველი „კლიმატური ლტოლვილი"

წყნარი ოკეანის ატოლის, კირიბატის მცხოვრები, იოან ტეიტიოტა, სასამართლოს მეშვეობით ცდილობს, თავშესაფარი მოიპოვოს ახალ ზელანდიაში და მიიღოს „კლიმატური ლტოლვილის" სტატუსი.

37 წლის იოანი ამჟამად თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს და მუშაობს ახალ ზელანდიაში. გლობალური დათბობის გამო, მის კუნძულოვან სახელმწიფოს საშიში ცვლილებები ემუქრება – ზღვის დონის მომატებასთან ერთად, ის უკვე ნაწილობრივ წყალშია ჩაძირული.

თავისა და ოჯახის გადასარჩენად, მათ შორის – სამი ბავშვის, რომლებიც ახალ ზელანდიაში დაიბადნენ, ტეიტიოტა ცდილობს, გაასაჩივროს საიმიგრაციო დეპარტამენტის უარი მისთვის თავშესაფრის მინიჭების გამო. უარის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ კუნძულზე დაბრუნების შემთხვევაში, პირადად მას საშიშროება არ ემუქრება.

„რეალობა ისაა, რომ კირიბატის მთელი მოსახლეობა ყოველდღიურად ხედავს გარემოს დეგრადაციას, რომელიც გამოწვეულია როგორც დათბობით, ასევე, მოულოდნელი სტიქიური უბედურებით", – ეს არის ციტატა ახალი ზელანდიის იმიგრაციის ტრიბუნალის გადაწყვეტილებიდან.

ტეიტიოტამ აპელაციით მიმართა ოკლენდის უმაღლეს სასამართლოს. როგორც მოელიან, გადაწყვეტილებას კვირის ბოლოს გამოიტანენ და, სავარაუდოდ, ატოლის მცხოვრები უარს მიიღებს.

„ჩვენ არ გვაქვს მომავალი, თუ კირიბატიზე დავბრუნდებით", – აცხადებს კუნძულელი. ტეიტიოტას ადვოკატმა მაიკლ კიტიმ მხარი დაუჭირა თავის კლიენტს და სასამართლოში განაცხადა, რომ ახალ ზელანდიაში 2007 წელს ჩამოსული ატოლელის ვიზას ნამდვილად გაუვიდა ვადა, მაგრამ, ეს არ უნდა გახდეს ქვეყნიდან მისი დეპორტირების მიზეზი. კიტის აზრით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, გარემოების მსხვერპლია, რომლის შეცვლასაც სახელმწიფოს მთავრობა ვერ შეძლებს. „ამჟამად კირიბატის მცხოვრებლები მთლიანად მოკლებულნი არიან სასმელ წყალს – როგორც ჩანს, მთავრობას არ შეუძლია მათი დახმარება".

გასულ წელს კირიბატის მთავრობამ დაამტკიცა გეგმა ფიჯისგან მიწების შესყიდვის შესახებ იმ შემთხვევისთვის, თუ ზღვის დონის ამაღლების გამო მოსახლეობის ქვეყნიდან გასახლება გახდება საჭირო. თუმცა, როგორც კირიბატის პრეზიდენტი ანოტე ტონგი აღიარებს, კონკრეტული შედეგების მიღება ვერ მოხერხდა. ერთადერთი იმედია, თუ მოსახლეობა დამოუკიდებლად შეძლებს გადასახლებას წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

## იაპონელები ასტეროიდის გრუნტს ქვემეხით მოიპოვებენ

იაპონიის პრეფექტურა გიფუში წარმატებით განხორციელდა უნიკალური მოწყობილობის გამოცდა, რომელიც კოსმოსურ აპარატ „ხაიაბუსა 2-ს" დაეხმარება, მოიპოვოს ასტეროიდის გრუნტის ნიმუშები.



მისიის დროს, „ხაიაბუსა 2-მა" გრუნტი ასტეროიდის ნაწილის სიღრმიდან უნდა მოიპოვოს, რისთვისაც ზონდი აღჭურვილი იქნება სპეციალური ქვემეხით. კოსმოსური სხეულის ზედაპირს აპარატი ჭურვს 100 მეტრი მანძილიდან ესვრის. 2 კილომეტრ-წამი სიჩქარით გასროლილი მასიური ლითონის ჭურვი ასტეროიდზე ხელოვნურ კრატერს შექმნის, რომლის ფსკერშიც იაპონელი მეცნიერები ქანების ძვირფასი ნიმუშების პოვნას ვარაუდობენ.

იაპონიის აეროკოსმოსურ სააგენტოში მოელიან, რომ მიღებული მონაცემები სპეციალისტებს საშუალებას მისცემს, დაწვრილებით შეისწავლონ ამ ტიპის კოსმოსური სხეულების ფორმირების ისტორია.

იაპონელ ინჟინრებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისთვის, რომ მიეღწიათ ქვემეხის სროლის მაქსიმალური სიზუსტისთვის – სააგენტოში ირწმუნებიან, რომ ეს ამოცანა უკვე წარმატებითაა გადაწყვეტილი.

„ჩვენ შევძელით, გადაგვეჭრა რამდენიმე პრობლემა, რომლებიც მოწყობილობის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. გამოცდის დროს ჭურვი ზუსტად მოხვდა მიზანში, თანაც, მოსალოდნელი სიჩქარით", – აღნიშნა სააგენტოს სპეციალისტმა ტაკანო საიკიმ, რომელიც ქვემეხის შექმნას ხელმძღვანელობდა.

კოსმოსური ზონდის, „ხაიაბუსა 2-ის" გაშვება 2014 წლის დეკემბერშია დაგეგმილი.



## დილით პიტნის ჩაი დალიეთ, ყოველდღიურ რაციონში კი ჩართეთ შვრიის ფაფა და ტკბილი წიწაკა

ადამიანთა უმრავლესობა სიმხნევისთვის მაგარ ჩაის ან ყავას სვამს, მაგრამ, ეს მარტივი საშუალება მხოლოდ მცირე დროით გვიუმჯობესებს განწყობას.

თუ გსურთ, რომ ხანგრძლივი დროით მოახერხოთ ძალების მობილიზება, გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები:

დილაობით, ორგანიზმის კოფეინითა და შაქრით დატვირთვის ნაცვლად, მიირთვით პიტნის ჩაი. შეგიძლიათ, პიტნის გამხმარი ან ქორფა ფოთლები გამოიყენოთ, მაგრამ, ორივე შემთხვევაში, ნაყენი ათი წუთით უნდა გააჩეროთ და შემდეგ დალიოთ. ძალიან კარგია ნაყენის ორთქლის შესუნთქვა ანუ ინჰალაცია. პიტნის არომატი ენერგიის მოზღვავებას იწვევს.

ჟენ-შენი პოპულარული მცენარეა, რომლის ეფექტურობა საუკუნეებს ითვლის. ის ცნობილია მასტიმულირებელი და განწყობის გამაუმჯობესებელი თვისებებით. ჟენშენის ნაყენის მიღება რეგულარულად შეგიძლიათ ზამთრის პერიოდში. ის არა მარტო ენერგიასა და სიმხნევეს შეგმატებთ, არამედ, მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესებთ იმუნიტეტსაც. შედეგად, ორგანიზმი ადვილად უმკლავდება ვირუსს და, შესაბამისად, დაცული იქნებით გაციებისა და გრიპისგან.

შვრიის ფაფა ენერგიით გვავსებს და ძალას გვმატებს. შვრიაში შემავალი ზოგიერთი ნივთიერება ორგანიზმზე ისევე მოქმედებს, როგორც ჟენ-შენი. ეცადეთ, შვრიის ფაფა ყოველდღიურ რაციონში ჩართოთ. სასარგებლოა არა მარტო ფაფა, არამედ, ყველაფერი, რაც შვრიას შეიცავს, მაგალითად, შვრიის ფხვიერი და გემრიელი ნამცხვრებიც.

C ვიტამინის უკმარისობა მთელ რიგ დარღვევებს იწვევს და ადამიანის ორგანიზმი იძულებულია, ნორმალური ცხოველმოქმედებისთვის ენერგიის მარაგის დაგროვება დაიწყოს. ეს რომ თავიდან აიცილოთ, მიირთვით ტკბილი წიწაკა, მოცვი, ცირცელი და ფორთოხლის წვენი.

წყალი კალორიებს არ შეიცავს და კვებითი ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ, მის გარეშე სიცოცხლე, უბრალოდ, წარმოუდგენელია. წყლის უმნიშვნელო დეფიციტის დროსაც კი, ორგანიზმში მნიშვნელოვნად იკლებს ენერგეტიკული დონე. დალიეთ დღეში მინიმუმ 1,5-2 ლიტრი წყალი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სისუსტეს არ უჩივით და არც გწყურიათ.

## რომელი დაავადების დროს იწყება თმის უეცარი გაჭაღარავება

არ არის გამორიცხული, უეცარი გაჭაღარავება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებამ გამოიწვიოს. გაჭაღარავება პირდაპირ კავშირშია, ასევე, ანემიასთან, ნერვული სისტემის დაავადებებთან, ვიტამინების ნაკლებობასთან და ასე შემდეგ; ხშირად კი ამის მიზეზი რკინის ნაკლებობა და ჰერპესია. რკინის ნაკლებობა, აგრეთვე, თმის ცვენისა და გამელოტების მიზეზიც შეიძლება, გახდეს.

ყველაზე ხშირად, მოულოდნელი გაჭაღარავების მიზეზი ხდება ორგანიზმში ცილა თიროზინის უკმარისობა. ეს ცილა, ძირითადად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში შედის.

ჭაღარა მალე ერევა მათ, ვინც სხვადასხვა დიეტით იფიტავს ორგანიზმს და კრძალავს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მიღებას.

საკვების შეზღუდულად მოხმარებისას ორგანიზმი განიცდის თიროზინისა და სპილენძის ნაკლებობას, არადა, სწორედ სპილენძი უწყობს ხელს ადამიანის ორგანიზმში საღებავი პიგმენტების წარმოქმნას.

## ადამიანის მადა კუჭის ზომაზეა დამოკიდებული

ადამიანის მადა ხშირად კუჭის ზომაზეა დამოკიდებული. კარგი მადის მქონე ადამიანებს ეს ორგანო დღითი დღე ეზრდებათ და, შესაბამისად, უფრო და უფრო მეტი საჭმელი სჭირდებათ დასანაყრებლად.

იმისთვის, რომ კუჭი ზედმეტად არ გააღიზიანოთ და საჭმლის მომნელებელი ფერმენტების გამოყოფა შეამციროთ, იკვებეთ ხშირად და მცირე ულუფებით. სადილი და ვახშამი ერთსა და იმავე დროს მიირთვით, რადგან, ამით კუჭი მიეჩვევა, საჭმლის მომნელებელი წვენი მხოლოდ მაშინ გამოყოს, როცა ის ნამდვილად საჭიროა. სადილამდე ერთი საათით ადრე დალიეთ ერთი ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი – ის მდიდარია ტუტე ლითონებით და მათი მარილებით და, ამიტომ, ის ბლოკავს კუჭის წვენის სეკრეციას, რაც ამცირებს შიმშილის შეგრძნებას. ასევე, რაც უფრო დიდხანს გრძელდება საჭმლის მიღების პროცესი, მით მეტად ძლიერდება დანაყრების გრძნობა. არ დაგავიწყდეთ, უნდა ჭამოთ მშვიდად და აუჩქარებლად – ამ დროს დასანაყრებლად გაცილებით ნაკლები კალორია გყოფნით.

მოერიდეთ გაზიან და ტკბილ სასმელებს – ისინი პირის ღრუს და კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებს და შიმშილის გრძნობას იწვევს. ცარიელ კუჭზე მიღებული მლაშე საჭმელი კი, მწნილი იქნება ეს თუ მცენარეული სალათები, ზრდის მადას. ამიტომ, უმჯობესია, ჯერ მთავარი კერძი მიირთვათ და ზემოთ ნახსენები საკვები შემდეგ დააყოლოთ.

შიმშილის ცენტრს სისხლში არსებული გლუკოზა აღიზიანებს და მადის სიძლიერესაც ეს ფაქტორი განაპირობებს. ეცადეთ, გვიან საღამოს არ ჭამოთ ტკბილეული, ცომეული და მსუყე საკვები, განსაკუთრებით – ნამცხვარი, შოკოლადი, თაფლი, მურაბა და არ დალიოთ ტკბილი წვენები.

## რა კავშირია ჰორმონებს, ჭამასა და თმის ცვენას შორის

თმის ცვენა ქალებში ჰორმონულ რეგულაციასთანაა დაკავშირებული, ამიტომ, ყოველთვის უნდა შემოწმდეს ფარისებრი ჯირკვლის, ჰორმონების, პროჰესტერონისა და დიჰიდროტესტოსტერონის დონე. ეს ის ჰორმონებია, რომელთა მიზეზითაც ხდება თმის ცვენის დაწყება.

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების გამოსავლენად აუცილებლად უნდა შემოწმდეს თირეომასტიმულირებელი ჰორმონის რაოდენობა. მისმა ნაკლებობამ, შესაძლოა, სიმელოტე გამოიწვიოს. ამ ჰორმონის სწორი ფუნქციონირება, შესაძლებელია, დიეტამ ან საკვების დანამატების სიჭარბემ დაარღვიოს.

როცა მამაკაცს თმა სცვივა თავის ზედა ნაწილში, გვერდებში კი უხვად აქვს, ეს ტესტოსტერონისა და მისი მეტაბოლიტის – დიჰიდროტესტოსტერონის ცვლის დარღვევებზე მიუთითებს. ასეთ დროს აუცილებელია, ჭამოთ თევზი, ხორცი, ნიორი, ხახვი, ვაშლი, ქლიავი; ქალებს კი, რომლებსაც ტესტოსტერონის სიჭარბე აღენიშნებათ, ქალური ტიპის სიმელოტე უვითარდებათ. სიმელოტის ასეთი სახე იკურნება ბიოდანამატებითა და ფინასტერილით, რომლებიც ტესტოსტერონის დიჰიდროტესტოსტერონად გარდაქმნას ბლოკავს. ამ საშუალებებს უკუჩვენება მხოლოდ ორსულობის დროს აქვს.

ხშირ შემთხვევაში, ქალებში თმის ცვენას პროჰესტერონის ნაკლებობა განაპირობებს. სწორედ ამ მიზეზის გამო, ორსულებს ხშირად აღენიშნებათ თმის ცვენა. საკვები, რომელსაც მიირთმევთ და ჰაერი, რომელსაც სუნთქავთ, გაჯერებულია ესტროგენის მსგავსი ნივთიერებებით. როცა ორგანიზმში ესტროგენები ჭარბად ხვდება, პროჰესტერონის დონე ქვეითდება, რაც სიმელოტეს იწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად ჭამეთ ბევრი ნიგოზი, თხილი, ქიშმიში, თევზი და საქონლის ხორცი.

## სქესობრივ აქტივობას სტაფილო, ნიორი და ხახვი ამაღლებს

სტრესი, დაბინძურებული ეკოლოგია, გლობალური პრობლემები და დაძაბული ცხოვრების რიტმი ადამიანის სქესობრივ ცხოვრებაზე აისახება. სქესობრივი აქტივ-

ობისთვის კი კარგია ნიორი, ხახვი და სტაფილო.

ნიორი აძლიერებს სასქესო ჯირკვლების სეკრეციას და, შესაბამისად, ამაღლებს სქესობრივ აქტივობას. ამიტომ, მიიღეთ დღეში 3 კბილი ნიორი ან მისი ნაყენი, რომელიც ასე უნდა მოამზადოთ: ერთი ჩაის კოვზი დანაყილი ნიორი გახსენით 300 მილილიტრ ანადუღარ ცივ წყალში. გააჩერეთ 1 საათის განმავლობაში თავდახურულ ჭურჭელში, ოთახის ტემპერატურაზე და შემდეგ მიიღეთ 100 მილილიტრი, დღეში სამჯერ.

ხახვი ამაღლებს სქესობრივ მოთხოვნილებას, აძლიერებს სასქესო ჯირკვლების მოქმედებას, ზრდის ორგანიზმში სპერმის გამომუშავებას. ჭამეთ ის ნედლად ან მიიღეთ მისი ნაყენი, რომელიც ასე უნდა მოამზადოთ: დაჭერით წვრილად 3 თავი ხახვი, დაასხით 400 მილილიტრი თბილი, ანადუღარი წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათით და მიიღეთ დღეში 3-4-ჯერ, 100-100 მილილიტრი. რეკომენდებული არ არის ამ ნაყენის დიდხანს მიღება მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს.

სქესობრივი ფუნქციის შესუსტებისას გამოიყენეთ ახალგამოწურული სტაფილოს წვენი თაფლთან ერთად. მიიღეთ დღეში ოთხჯერ, თითო სადილის კოვზით, თანაბარი რაოდენობის სტაფილოსა და თაფლის ნარევი.

### ჭამეთ D ვიტამინის შემცველი პროდუქტები და გაიახალგაზრდავეთ ორგანიზმი

კალციფეროლის ანუ D ვიტამინის მთავარი და ძირითადი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს ორგანიზმის მიერ კალციუმის შეთვისებას, არეგულიროს ფოსფორისა და კალციუმის ბალანსი. ვიტამინი D აუცილებელია სისხლის შედედების, გულის ნორმალური მუშაობისთვის, ნერვული სისტემის აგზნების დროს მისი რეგულაციისთვის. თვალის ზოგიერთი დაავადება და ართრიტის სახეობა სწორედ ამ ვიტამინის დახმარებით იკურნება.

კალციფეროლი მონაწილეობს ძვლის ტვინის წარმოქმნასა და ზრდის პროცესში. კვების რაციონში მისი უკმარისობის დროს ან მზის სინათლის ხანგრძლივი უკმარისობისას, ბავშვის ძვლები რბილდება და წარმოიქმნება რაქიტი.

გაითვალისწინეთ, რომ ამ ვიტამინის აუცილებელი დოზის მიღება არ შეიძლება მხოლოდ კვების პროდუქტებით, რადგან, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი შეიცავს მას და ისიც არასაკმარისი რაოდენობით.

D ვიტამინს შეიცავს: კვერცხი, რძე, კარაქი, ღვიძლი, თევზეული. ეს ვიტამინი, ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება, ასევე, ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით.

სხეულის მასაჟი ასტიმულირებს D ვიტამინის წარმოქმნას, ინახავს კანს ჯანმრთელად და აახალგაზრდავებს მას.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 58 წლის მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებული. შეიძლება თუ არა ჩემთვის რძის ან რძით დამზადებული ფაფების მიღება, შემწვარი თევზის, ლობიოს?**

**პასუხი**: თუ მდგომარეობა კომპენსირებულია, ანუ არ აღინიშნება გლუკოზის დონის მატება, აღნიშნული პროდუქტების მიღება დასაშვებია.

**კითხვა: ამ ბოლო დროს საშინლად გამიცხიამიანდა თმა, არანაირი შამპუნი არ მშველის. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, ვის მივმართო?**

**პასუხი**: უპირველესად, დერმატოლოგს (კანის ექიმს) უნდა მიმართოთ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა თირკმელზედა ჯირკვალმა ტესტოსტერონის მომატება გამოიწვიოს?**

**პასუხი**: ტესტოსტერონი მამაკაცის ჰორმონია. ქალებში მისი მატების ყველაზე ხშირ მიზეზს თირკმელზედა ჯირკვლების ფუნქციის გაძლიერება წარმოადგენს. არსებობს სხვა მიზეზებიც, მაგალითად, მემკვიდრული წინასწარგანწყობა, ფარისებრი ჯირკვლის ან ჰიპოფიზის არასწორი მუშაობა, ზოგიერთი პრეპარატის მიღება, საკვერცხეების დაავადება, არარაციონალური კვება და სხვა.

**კითხვა: რა იწვევს ყურის დაგუბებას და როგორ შეიძლება მისი მკურნალობა?**

**პასუხი**: თუ ყურის დაგუბება არტერიული წნევის ცვლილებას არ უკავშირდება, გამომწვევი მიზეზი შეიძლება გოგირდოვანი საცობის წარმოქმნა ან შუა ყურის ანთებითი დაზიანება იყოს. უნდა მიმართოთ ყურის ექიმს.

**კითხვა: ჩემი ვაჟი 7 წლისაა, გლანდები აწუხებს. ხშირად ცივდება, ოფლიანობს. თუ შეიძლება, ოპერაციის გარეშე მკურნალობა ან რა შემთხვევაშია აუცილებელი ოპერაცია?**

**პასუხი**: ჩვეულებრივ, ოპერაციის საკითხი მაშინ დგება დღის წესრიგში, როცა პაციენტს აქვს ხშირი სტრეპტოკოკული ანგინა (წელიწადში 5-6-ჯერ).

**კითხვა: ჩემს მეუღლეს აღმოაჩნდა ვიტილიგო. აქვს მხოლოდ ხელებზე და ერთი წერტილი სახეზე. რამდენიმე წლის წინ ორი წერტილი ჰქონდა სახეზე და გარკვეული მკურნალობის შემდეგ გადაუვიდა. ძალიან გთხოვთ, მითხარით, იცით თუ არა ამ დაავადების მკურნალობის რაიმე მეთოდი?**

**პასუხი**: ამ დაავადების მკურნალობის რაიმე განსაკუთრებული მეთოდი არ არსებობს, მკურნალობის მიზნით ინიშნება გარეგანი საშუალებები. მართალია, ვიტილიგო ძალიან რთულად ემორჩილება მკურნალობას, მაგრამ, საბედნიეროდ, არ არის სიცოცხლისთვის საშიში დაავადება. რაც უფრო ადრე იქნება დაწყებული მკურნალობა, ეფექტი მით უფრო მალე მიიღწევა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

### რა უნდა სვათ კუჭის მომატებული ან დაქვეითებული მჟავიანობის დროს



კუჭის დაქვეითებული მჟავიანობის დროს მოამზადეთ შემდეგი სახის ნაყენი: 20 გრამი პიტნის ფოთოლი, 15 გრამი მატიტელა, 15 გრამი ფარსმანდუკი, 10 გრამი გვირილა, 10 გრამი კელიავი, 10 გრამი კამის თესლი და 10 გრამი კატაბალახა ერთმანეთში კარგად აურიეთ. დაასხით ერთი ლიტრი მდუღარე წყალი და დაახლოებით 10-15 წუთით დადგით ნელ ცეცხლზე, შემდეგ კი გადაწურეთ. ნაყენი დალიეთ დილით, უზმოზე, 1 ჩაის ჭიქა, შემდეგ კი, ყოველ 4 საათში ერთხელ – ნახევარი ჩაის ჭიქა. კურსი ჩაიტარეთ ერთი კვირის განმავლობაში.

კუჭის წვენის მჟავიანობის მომატების დროს ერთმანეთში აურიეთ თანაბარი რაოდენობის არყის ხის კვირტები, ცაცხვის ყვავილი და ფარსმანდუკი. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15-20 წუთი, გადაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჭიქა ნაყენი დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ. მკურნალობის კურსი 20 დღეა.

გაფრთხილებათ: სამკურნალო მცენარეები აუცილებლად შეიძინეთ აფთიაქში!

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# როდის გამოჩდნენ პირველად კახი კავსაძე და რობიკო სტურუა და რატომ ესროლა სერგო ზაქარიაძემ სტურუას რკინის ნივთი

*„უმამოდ გავიზარდე. მძიმე ბავშობა მქონდა, ოჯახს ეკონომიკურად უჭირდა. მერე, როცა მსახიობი გავხდი, არც მაშინ მქონდა დალხენილი ცხოვრება. არასოდეს არავისი არაფერი შემშურებია, არც ახლა მშურს და ასე დავამთავრებ ცხოვრებას," _ ამბობს კახი კავსაძე ხათუნა კიკვაძისა და დიმიტრი ხვთისიაშვილის წიგნში – „სახალხო არტისტი". ეს ის შემთხვევაა, როცა არ იცი, რა უნდა თქვა ამ არაჩვეულებრივ კაცზე განსაკუთრებული და, მაინც რომ გინდა, რაღაც თქვა... კახი კავსაძე იმ თვისებებით, რაც მას ყოველთვის გამოარჩევდა სხვა დანარჩენი არტისტებისგან, ყველასთვის მაგალითი იყო. რა შეიძლება ამ ადამიანში გხიბლავდეს? ყველაფერი. ჰოდა, აი, ისიც – მთელი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით. დღეს მას კიდევ სხვა ეპიზოდებით წარმოგიდგენთ.*


მშობლები

## ამოჩემებული პელე

„მიშა ჭიაურელ-უმცროსს ისეთი იდეები აქვს ხოლმე, რომ ეს კაცი სულ მუდამ მაცვიფრებს. მომიტანა სცენარი ფილმისა „მე, პელეს ნათლია" და მითხრა: „კახი, ამას გადავიღებთ, მერე ბრაზილიაში წავალთ, მერე შევხვდებით პელეს"... ვუსმენდი და ვფიქრობდი, ნეტაი შენ, ოცნება რომ არ გეზარება-მეთქი... თურმე სადა ხარ?! ყველაფერს შეასხა ფრთები. პირველი „თავდასხმა" პელეზე განვახორციელეთ რომში, მეორედ კი – მილანში. რომში რომ ჩავედით, ჩვენებმა საიდანღაც გაიგეს, პელე რომელ სასტუმროში იყო დაბინავებული. მივადექით იმ სასტუმროს. ჩვენები ადმინისტრატორს ეუბნებიან: პელესთან ინტერვიუ გვინდა და რომელ ნომერში მივაკითხოთო... ადმინისტრატორმა როგორც სულელებს, ისე შემოგვხედა და გამოგვყარა სასტუმროდან. თურმე, პელე იმ სასტუმროში საერთოდ არ ცხოვრობდა. ჟურნალისტებისთვის კვალი რომ აერიათ, იქ გაუფორმებიათ, რეალურად კი სულ სხვაგან იყო დაბინავებული. მიშიკო ანერვიულდა, არის ერთ ამბავში... მერე რაღაცნაირად პელეს დაცვის წევრები „შეაბა," მათ გაგვიმხილეს პელეს ნამდვილი ადგილსამყოფელი და ისიც გვითხრეს, რომ ორ საათზე სასტუმროდან გამოვაო. ჩვენც წავედით და დავბანაკდით იმ სასტუმროს ფოიეში. ისე ვნერვიულობდი, რომ ზედმეტი ღელვისგან გავითიშე და ჩამეძინა კიდეც. მაღვიძებს მიშა ჭიაურელის განწირული ხმა – არიქა, კახი, მოდისო. თვალი გავახილე და ვხედავ, საკმაოდ დაბალი, ტარაკანივით შავი კაცი როგორ ჩამოდის ლიფტით. მისკენ გავემართე. ის ქუჩაში არ გამოვიდა, იქვე კაფესკენ დააპირა წასვლა. იქ მიშიკო გადაუდგა წინ, აქედან მე დავუძახე: პელე, როგორ ხარ თუ იცი-მეთქი – ქართულად. შეშინებული თვალებით შემომხედა და რაღაც ჩაიბუტბუტა. საკმაოდ ბოხი ხმა ჰქონია. ეტყობა, მითხრა, არ მომკლათო. მერე კამერები დაინახა. მიხვდა, რომ ცუდს არაფერს ვუპირებდით და ცოტა შუბლიც გახსნა. მე იქვე შევასრულე, რაც რეჟისორისგან მქონდა დავალებული. რაღაცეები ვუთხარი და საჩუქარიც გადავეცი. ეს, მესხმა და მეტრეველმა გამოგიგზავნეს-მეთქი. „ოო, მეტრეველი! – შეაფასა პელემ. მეტრეველი არც ერთ ბრაზილიელს არ დაავიწყდება. სწორედ სლავამ გაუტანა მარაკანაზე მეორე გოლი ბრაზილიელებს, რუსებთან ფრე რომ ითამაშეს. ფაქტობრივად, მეტრეველმა ბურთი დაუმალა ბრაზილიელებს და მაგას რა დაავიწყებდა. ასე იყო თუ ისე, ჩვენი მისია შევასრულეთ და დამშვიდებულები დავბრუნდით თბილისში. გადის რამდენიმე ხანი, მოდის მიშიკო და მეუბნება: კახი, ძალიან ბნელი კადრებია და კიდევ ერთხელ უნდა გადავიღოო... კინაღამ გადავირიე. რამდენიმე ხანში, პელეს დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით, მილანში იმართებოდა ბრაზილიის ნაკრებისა და მსოფლიო ნაკრების ამხანაგური შეხვედრა. ჩვენც იქ ჩავედით. მახურავს კახური ქუდი, მოხურული მაქვს დიდი ნაბადი და ასე მივდივარ. უკან მომყვებიან მიშიკო კამერით და მისი ქალიშვილი, რომელიც თარჯიმნად გვყავდა წაყვანილი. ისეთი გამომეტყველებით მივდიოდი, რომ არავინ მაჩერებდა, თან, ამათზე ვეუბნებოდი ქართულად – ესენი ჩემთან არიან-მეთქი. ასე გავიარეთ ყველა კორდონი და თავი ამოვყავით პელეს გასახდელში, სადაც წამოწოლილ პელეს ფეხებზე უკეთებდნენ მასაჟს. იქ კინოგადაღებისთვის ძალიან ბნელოდა. ვერაფერს გადავიღებდით, ამიტომაც, დაველოდეთ მის სტადიონზე გამოსვლას. იქ კი მივედი, მოვახურე ეს ნაბადი, დავახურე კახური ქუდი და ფოტოც კი გადავიღეთ ერთად... გავიდნენ სტადიონზე. დგანან ერთ მწკრივში, ესალმებიან მაყურებელს... უცებ მიშიკო მეუბნება, მიდი ახლა და პელეს რაღაც ჩაუჩურჩულე ყურშიო. მიშიკო, ბიჭო, პოლიცია მცემს-მეთქი, – შევიბრალე თავი, მაგრამ, არაფერმა გაჭრა. გავბრიყვდი, დავადე თავი და მინდორზე გავედი. ხმამაღლა ვეუბნები: აბა, პელე, ხომ იცი, რომ მე მამაშენის მეგობარი ვარ და თავი არ მომჭრა-მეთქი. გაშტერებული მიყურებდა... ერთადერთი რამე მიპასუხა – გრაცია პრეზენტოო, ანუ, დიდი მადლობა საჩუქრისთვისო... მე მხარზე ხელი დავარტყი, წამოვედი და დავჯექი წინა რიგში.


ბელა

მსოფლიო ნაკრებს წვრთნიდა ფრანც ბეკენბაუერი. გავიხედე, მოდის ეს შენი ბეკენბაუერი და უკან ვიღაც კაცი მოჰყვება, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, მაგრამ, სახით მეცნო. ეტყობა, „ფიფას" ვიღაც გავლენიანი პირი იყო და ტელევიზიით მყავდა ნანახი. მივედი და ხელი ჩამოვართვი ბეკენბაუერს. ამ კაცმაც გამომიწოდა ხელი და უცებ მოცვივდნენ ჟურნალისტები – ეტყობა, იფიქრეს, რომ მეც ვიღაც მაგარი ვინმე ვიყავი – იქ, პელეს გავუვარდი მინდორზე, აქ ბეკენბაუერს ხელი ჩამოვართვი... მეც, რაც შემეძლო, ვპოზირებდი და ვიღებდით და ვიღებდით ფოტოებს. დაიწყო თამაში. პელე მირბის მარცხენა ფლანგზე. მესმის მიშას ხმა: კაცო, მიდი ახლოს და რაღაც დაუყვირეო... მოვუტრიალდი და ვუთხარი: მიშიკო, ახლა რომ მოგდებ ყბაში, ნახავ მერე, ვისაც დავუყვირებ-მეთქი. ასე იყო თუ ისე, მიშიკომ მოახერხა და, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, ზუსტად ის გამაკეთებინა მეც. ის რომ, გაეგოთ, რომ, იმას, რასაც ჩვენ ვიღებდით, მხატრულ ფილმში უნდა გამოგვეყენებინა, საკმაოდ სოლიდურ ჯარიმას აგვკიდებდნენ.


ძმები – იმერ და კახი კავსაძეები

ძალიან საინტერესო ამბავი მოხდა, როცა ჩვენ წავედით გარინჩას საფლავზე. გაგიჟდა იმ პატარა სასაფლაოს დირექტორი – აქ არასდროს არავინ მოსულაო. კი, იუბილეებსაც იხდიან, პატივით მოიხსენიებენ, მაგრამ, საფლავი არავის უნახავსო. მერე მოვინდომეთ გარინჩას და გადაგველღო. იმან ადვოკატი გამოგვიგზავნა და სოლიდური ჰონორარიც მოგვთხოვა. ჩვენ, ჯიბეგამოფხეკილებს, სად გვქონდა ამის ფული... მიშიკომ ვიღაც ზანგი ქალი „შეაბა" და ის გადავიღეთ, როგორც გარინჩას და.


ოჯახი

## ბელა

„ჩემს სიცოცხლეში ბელასთვის არ მითქვამს, მე შენ მიყვარხარ-მეთქი. მე ისე ვიქცეოდი, ისე ვმოქმედებდი, რომ ლოგიკურად ასე უნდა ეფიქრა. ინსტიტუტის დერეფანში, კარგად მახსოვს, გურანდა გაბუნიას ელაპარაკებოდა... გავგიჟდი!!! არ ვიცი, ამას ერთი ნახვით შეყვარება დავარქვა თუ რა დავარქვა, მაგრამ, ნამდვილად რომ დავრეტიანდი, ეგ მახსოვს. არადა, იმ დღიდან ჩვენს ერთად ყოფნამდე 12 წელიწადი გავიდა... ილია ჭავჭავაძის არ იყოს, იცი მკითხველო, ეს თორმეტი წელიწადი რა თორმეტი წელიწადი იყო?!. მე მორცხვი ბიჭი თითქოს არასდროს ვყოფილვარ... გოგონებთანაც ძალიან ადვილად ვახერხებდი ურთიერთობას, მაგრამ... ბელასთან ვერაფრით ვერ გავბედე, გადამედგა პირველი ნაბიჯი... პირველ ნაბიჯს ვინ ჩივის, ახლოს გაკარებისაც კი მერიდებოდა... თანაც, ბელა როგორც კი მოეწყო ინსტიტუტში, მალევე მოხვდა კინოშიც – „საბუდარელ ჭაბუკში", „დღე უკანასკნელი, დღე პირველში" გადაიღეს და საკმაოდ პოპულარულიც იყო უკვე... მე მას, როგორც მიუწვდომელ მწვერვალს, ისე ვუყურებდი... თავდაპირველად საოცარი კომპლექსიც მქონდა – რამე არ შემამჩნიოს-მეთქი. ჩვენ, სხვადასხვა კურსის სტუდენტებს, ერთად გვიტარდებოდა ხოლმე სასცენო მოძრაობა, მე და ბელაც ერთად ვვარჯიშობდით, ხელითაც კი შევხებივარ, თუმცა, ყველანაირად ვცდილობდი, ჩემი მი-


ბელა, ირაკლი და კახი



კახი (რობიკო სტურუას ფოტო)

სადმი გრძნობა არ გამოაშკარავებულიყო... მე მას ისე ვალმერთებდი, რომ არავისთვის არ მემეტებოდა, საკუთარი თავისთვისაც კი... ბელას პირველი ქორწინების შემდეგ ჩემი დამოკიდებულება შეიცვალა. ვერავინ დამწამებს, რომ... ბელას ოჯახის დანგრევაში რაიმე წვლილი მიმიძღვის. უბრალოდ, ჩათვალეთ ეს ახირებად, მაგრამ, ინტუიციით ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ეს ქალი ჩემი ცოლი გახდებოდა. ნანუკას მამასთან განქორწინების შემდეგ კი, უბრალოდ, მივხვდი, რომ, თუ შორით დაგვას არ შევწყვეტდი და პირდაპირ არ გავამჟღავნებდი ჩემს გრძნობას, შეიძლებოდა, სამუდამოდ დამეკარგა. მეც, ვისარგებლე ამ მომენტით და, გადავწყვიტე, წერტილი დამესვა ამ „უთავბოლობისთვის"... მე და ბელამ ოფიციალურად რომ ვიქორწინეთ, ირაკლი სკოლას ამთავრებდა, ნანუკა კი, მგონი, ბებია იყო უკვე. ერთ დღეს ავთო საყვარელიძესთან რაღაც წვეულება გაიმართა, სადაც მე ვიყავი დაპატიჟებული და ბელაც წავიყვანე, როგორც ჩემი კოლეგა. იქ რომ მივედით, ბელა ყველას გავაცანი, როგორც ჩემი ცოლი. იმ დღიდან დაიწყო არსებობა ჩვენმა ოჯახმაც..."



„ღვინის აკვანი"

**თუმანიშვილის კახი**

„მეორე კურსზე ვიყავი, როცა რუსთაველის თეატრმა დაიწყო მზადება მოსკოვის დეკადისთვის. სტუდენტები შეგვყარეს დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლში „ოიდიპოს მეფე". სხვათა შორის, რობიკო სტურუაც იდგა მასაში ჩვენთან ერთად. არ დამავიწყდება, ერთ-ერთ წარმოდგენაზე სერგო ზაქარიაძეს ხელიდან შემთხვევით გაუვარდა რაღაც რკინის ნივთი და რობიკოს მოხვდა შუბლში... შუბლი გაუხეთქა კაცს... ხომ არ გგონიათ, სტურუამ ეს შეიმჩნია, მიზანსცენა დაარღვია ან რამე მსგავსი?! მოკლედ, ვიდექით მასობრივ სცენაში, შემდეგ კიდევ რაღაც სპექტაკლში შეგვიყვანეს მასაში, მერე კიდევ რაღაც... ამასობაში, ინსტიტუტიც დავამთავრე და, როცა დადგა საკითხი თეატრში მიღების, მეც იქვე დამტოვეს... მიშა თუმანიშვილს მე არ ვუყვარდი. საერთოდ, რეჟისორებს ერთი თვისება აქვთ: არტისტები ხომ დარტყმულები ვართ, რეჟისორები ჩვენზე უარესნი არიან... რუსთაველის თეატრის მსახიობთა ერთ ჯგუფს ახალი დამთავრებული გვაქვს ინსტიტუტი და სწორედ მიშა თუმანიშვილის აუდიტორიას წარმოვადგენთ... მახსოვს, ერთ-ერთ „თავყრილობაზე" თუმანიშვილმა დაიწყო საუბარი თეატრში შემთხვევით მოხვედრილ ადამიანებზე და მაგალითისთვის მე დამასახელა: „...აი, კახი, შეიძლებოდა, კარგი იურისტი გამხდარიყო, კარგი ექიმი, კარგი მშენებელი... არადა, შემთხვევით მოხვდა თეატრში და ახლა თავსაც ველარ ანებებსო..." ძალიან გავმწარდი, შეურაცხოფილად ვიგრძენი თავი. ვერ მოვითმინე და პასუხის გაცემა შევკადრე: ბატონო მიშა, მე ისეთ ოჯახში დავიბადე და ისეთ სახლში გავიზარდე, თეატრში შემთხვევით ნამდვილად არ მოვხვედრილვარ. როგორი არტისტი ვარ, ეგ არ ვიცი, მაგრამ, შემთხვევით ნამდვილად არ მოვხვედრილვარ თეატრში-მეთქი. სიმართლე თუ გინდათ, შემთხვევით თქვენ მოხვდით თეატრში. ძალიან კარგია, რომ მოხვდით, შესანიშნავი რეჟისორი ბრძანდებით, მაგრამ, ხომ ნამდვილად შემთხვევით მოხვდით-მეთქი? – ეს ვუთხარი და გავეცალე იქაურობას. ბატონი მიშა მიხვდა, რომ მისი ნათქვამი ძალიან მომხვდა გულზე, მეტიც, პირველი დარტყმა სულშიც და გულშიც იმ დღეს მივიღე... გადიოდა დრო, თეატრში მნიშვნელოვანს არაფერს ვაკეთებდი. სულ ველოდი, რომ რაღაც შეიცვლებოდა, არადა, ყველაფერი ძველებურად და ცუდად მიდიოდა ჩემთვის. ერთ დღესაც, ჩვენი თეატრის დასის მმართველმა, ვანო ჯინჯიხაძემ მითხრა: ხომ ხედავ, ბიჭო, არაფერს არ თამაშობ, იქნებ, წახვიდე თეატრიდანო... რაღაც მიზანი არ გაქვს ცხოვრებაშიო? მე ვუთხარი, მიზანი მაქვს – მიშა თუმანიშვილს უნდა ვათქმევინო, რომ არტისტი ვარ-მეთქი. რაო?! – გაუკვირდა ვანოს. კი, ასეა-მეთქი. რა პატარა კაცი ყოფილხარო. ასე იყო თუ ისე, მე დავრჩი თეატრში. გადიოდა წლები. რაღაც-რაღაცეები შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. დავიწყე კინოში გადაღება, ამასობაში რობიკო სტურუაც მოვიდა და რაღაც-რაღაცეები სცენაზეც ვითამაშე... ბატონი მიშა ჩვენი თეატრიდან უკვე წასული იყო და, ერთ მშვენიერ დღეს, კინომსახიობთა თეატრისაკენ ფეხით მიმავალს, მანქანა გავუჩერე: დაბრძანდით, ბატონო მიშა, მე მიგიყვანთ-მეთქი. ჯერ იუარა, მერე კი დამემგზავრა. გზაში მოვიკითხე – რა ხდება თქვენთან, თეატრში, როგორ მიდის მუშაობა-მეთქი და, უცებ, იცით რა მიპასუხა? ეჰ, კახი, ერთი-ორი შენნაირი არტისტი რომ მყავდეს, რა მიჭირდაო. მოულოდნელობისგან მანქანა დავამუხრუჭე და თავიდან გავამეორებინე ეს წინადადება. მორჩა! ამ უდიდესმა რეჟისორმა, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ, თურმე, მეც არტისტი ვყოფილვარ..."



კახი და რობიკო



„ღვინის ქურდები"



კახი და პელე

**ეკა პატარაია**

(23-ე გვერდიდან)

ნსაკუთრებით კი ვახტანგ გორგასლის ძეგლის დადგმის დროს, მეტეხის კლდის ნაწილმა რამდენჯერმე განიცადა რეკონსტრუქცია და კლდე ნიშასთან ერთად აფეთქეს. 1994 წელს, გათხრებისას მკვლევრებმა აღმოაჩინეს ძველი ნიშის ფრაგმენტები და საპატრიარქოსთან ერთად დაიწყო მუშაობა აღდგენაზე და მის ადგილზე ახალი ეკლესიის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 2007 წლის 13 იანვარს ეკურთხა.



წმიდა აბო ტფილელის სახელობის ეკლესია (თანამედროვე ხედი)

# თბილისის რომელ მეჩეთს უწოდებდნენ „ცისფერ მეჩეთს", რამდენჯერ განიცადა რეკონსტრუქცია აბო თბილელის ნიშამ და რომელი ეკლესიის ადგილას ააშენეს კომუნისტებმა საზოგადოებრივი ტუალეტი

**ორმოც სებასტიელთა ეკლესია**

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ნარიყალას ფერდობის ძირში, ადგილზე, სადაც იდგა ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს აბო თბილელი. ეკლესია ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში იყო აგებული და, სავარაუდოდ, მის ადგილზე მოგვიანებით აშენდა უკვე გუმბათიანი ეკლესია, რომელიც ქართულ, ბერძნულ და სომხურ ეკლესიებს შორის დავის საგანს წარმოადგენდა. ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია დაანგრიეს და, მოგვიანებით, ნაეკლესიარზე საზოგადოებრივი ტუალეტი ააშენეს. 2000-იანი წლების დასაწყისში ნაეკლესიარი ადგილი კერძო საკუთრებაში გადავიდა. მფლობელი ყოფილი ეკლესიის ადგილზე სასტუმროს აგებას აპირებდა, მაგრამ, საძირკვლის გათხრის დროს მშენებლებმა ძველი ეკლესიის ნაშთებს მიაგნეს, რასაც სენსაციური აღმოჩენა მოჰყვა. ნაეკლესიარი ადგილი საპატრიარქოს გადაეცა და, მერვე საუკუნის ეკლესიის ნაშთებზე, აბანოთუბანში, სამღებროსა და ბოტანიკური ქუჩების კუთხეში, წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა ბაზილიკური ტიპის ეკლესია აიგო.



სკვერი ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესიის ადგილზე (1920-იანი წლები)

**უშანგი რუხაძე**



**სახლში რემონტის და დიზაინის შეცვლის დროს აუცილებელია, გაითვალისწინოთ მთელი რიგი რჩევებისა, რომ ამ ყოველივემ მომავალში, დისკომფორტი არ შეგიქმნათ როგორც პირადი, ასევე, ფინანსური თვალსაზრისით. ყველა ცდილობს, ბინა უკეთ მოაწყოს, რომ ჩაკეტილ სივრცეში კომფორტულად, ბედნიერად და მშვიდად იგრძნოს თავი. როგორც ეზოთერიკოსი, ქალბატონი გიული ამბობს, ბინის ინტერიერის სწორად მოწყობაა თქვენი ბედის, ფინანსური კეთილდღეობის და კარიერული წინსვლის საწინდარი. ასე რომ, თუ ბინის რემონტი ან ინტერიერის შეცვლა გადაწყვიტეთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ქალბატონი გიულის რჩევები.**

# როდის იქმნება სახლში დეპრესიული გარემო და როგორ მივხვდეთ, ცხოვრებაში როდის დგება კარმულად აღმავალი და დაღმავალი პერიოდები

**გიული**: ბევრს სახლში შესვლისთანავე ეცვლება გუნება-განწყობა – დგება ცუდ ხასიათზე და მაშინვე ახსენდება პრობლემები. თუ სახლში შესვლისთანავე ცუდ განწყობაზე დგებით, უფულობა და უიღბლობა გახსენდებათ და ყოველ წვრილმანზე ნერვები გეშლებათ, ამის გამო სხვებს წუწუნითა და ბუზღუნით ნუ შეაწუხებთ, უმჯობესია, დაფიქრდეთ და გამოსავალი თავადვე მოძებნოთ. როცა ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიით არის დამუხტული, ამას საცხოვრებელი სახლიც შეიგრძნობს. თუ სრული ჰარმონიის, ბარაქისა და იდილიის შექმნა გსურთ ოჯახში, სახლს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ ის, რასაც ქვემოთ გირჩევთ. მაგალითად, უიღბლობას, ცუდ განწყობასა და უფულობას ადვილად დააღწევთ თავს, თუ ეზოთერიკაში აპრობირებულ საკმაოდ მარტივ რჩევებს გაითვალისწინებთ და დააძალებთ საკუთარ თავს, იყოთ მომთმენი და სწორი არჩევნის გაკეთებაც შეძლოთ.

**– ესე იგი, საკუთარი ძალებითვე შევძლებთ, მატერიალური დოვლათის მიზიდვას, კეთილდღეობის მოპოვებასა და ბინაში იდილიის შექმნას, თუ საცხოვრებელს სწორად მოვაწყობთ?**

– დიახ, ასეა. სახლი ის ადგილია, სადაც ადამიანები სულიერ განტვირთვასა და ძალების მობილიზებას ახდენენ, ისვენებენ და სიმშვიდეს პოულობენ. თუმცა, ბევრისთვის საკმარისია, სახლის ზღურბლს გადააბიჯოს და მაშინვე ახსენდება უიღბლობა, უფულობა, საკუთარი წარუმატებელი ბედი, პრობლემები კარიერაში თუ მეგობრებთან. როგორც ეზოთერიკოსმა, შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ ეს მხოლოდ თქვენი არასწორი ცხოვრების ბრალია. დამიჯერეთ, სახლი თანამედროვე ადამიანისთვის არა მარტო საცხოვრებელი ადგილი, არამედ, წინასწარმეტყველური მინიშნებების საშუალებაცაა. ამიტომ, ყველა ჩვენგანმა ისე უნდა მოაწყოს საცხოვრებელი ბინა, რომ თავი ენერგიულად, დაცულად და კომფორტულად იგრძნოს. თუ ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიებით არის დამუხტული, ამას სახლიც გრძნობს და შესაბამისად რეაგირებს. ჩემთვის ყველა ადამიანი ძალიან ძვირფასია და რაც მეტი იქნება ჩემ გარშემო ბედნიერი, მით უკეთესია, ამიტომ, სულ ვამბობ, ნეტავ ყველა კარგად იყოს ირგვლივ, რომ მეც ბედნიერად ვიგრძნო თავი-მეთქი. მოინდომე სხვისთვის კარგი და იგივე მოგეცემა თავად. მოკლედ, თუ გსურთ, ფული არ გამოგელიოთ, შარვლის უკანა ჯიბეში ნუ ჩაიყოფთ ხელებს და ასე ნუ დადგებით ქუჩაში. ასევე, მოაწესრიგეთ სახლში წყლის ონკანები და საკანალიზაციო მილები. თუ იქიდან წყალი ჟონავს, ამ გამდინარე წყალს თქვენი ფინანსებიც ნელნელა გაჰყვება. ნურც მაგიდაზე შემოჯდებით, ნურც ჭუჭყიან ფეხსაცმელს შეიტანთ შემოსასვლელში და ნურც სამზარეულოს ჭურჭელს დატოვებთ ღამით გასარეცხს. დაძინებამდე ყველაფერი მოაწესრიგეთ და იმაზე ფიქრით დაწექით, რომ ხვალინდელი დღე უფრო იღბლიანი და წარმატებული იქნება, ვიდრე წინა დღე იყო. დღეს საიდუმლო აღარაა, რომ სამყაროში კონკრეტულ ყოველ ქცევას თავისი შედეგი მოჰყვება და, სავალდებულოა, ეს ყველამ კარგად გავაცნობიეროთ.

**– იმასაც ხომ ამბობენ, რომ კარმული ჩავარდნების პერიოდში ადამიანს, უიღბლობა უფრო ემატება. ეს რას ნიშნავს და როგორ გავიაროთ ეს პერიოდი სერიოზული დანაკარგების გარეშე?**

– მართალია, არსებობს კარმული აღმავლობისა და ჩავარდნების პერიოდი. კარმული აღმავლობის დროს ადამიანი ადვილად აღწევს წარმატებებს, არ ექმნება პრობლემები და წინაღობები, მისი ცხოვრება მშვიდად და ჰარმონიულად მიდის, მაგრამ, როგორც კი დაიწყება კარმული ჩავარდნების პერიოდი, ადამიანი უბარაქობის მსხვერპლი ხდება და ეს, შეიძლება, წლების განმავლობაში გაგრძელდეს, მაგრამ, ამას ისევ მოსდევს აღმასვლა და, ამიტომ, დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეთ. ხომ გაგიგიათ ძველი ნათქვამი: აღმართს დაღმართი მოსდევს და დაღმართს აღმართიო. სწორედ ეს პრინციპი მოქმედებს ადამიანის კარმაზეც. ამას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ასცდება ცხოვრების გზაზე. უბრალოდ, კარმული დაღმასვლის პერიოდში მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ, უნდა აკონტროლოთ საკუთარი ქცევა, სიტყვები, ურთიერთობები, ფინანსები და სურვილებიც კი.

**როცა ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიით არის დამუხტული, ამას საცხოვრებელი სახლიც შეიგრძნობს**

**– როგორ გავარკვიოთ, როდის დგას ჩვენთვის კარმული აღმავლობის ან დაღმასვლლის პერიოდი?**

– თუ ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ, ეს აღმასვლის კარმული პერიოდია და ის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ წინსვლისა და სიტუაციების დასარეგულირებლად. არ იზარმაცოთ, აკეთეთ ბევრი საქმე და წინ წაიწიეთ წარმატების ადვილად მისაღწევად – ეს ეხება როგორც პირად ცხოვრებას, ისე ფინანსურ სფეროსაც. ანუ, კარმული აღმასვლის პერიოდში, ადამიანი მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს და შეძლოს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების დემონსტრირება. კოსმოსში ადამიანი საკუთარი თავისა და ბედის პროგრამას კარმული დაღმასვლის პერიოდში გზავნის. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი, ამ დროს მეტად ყურადღებით უნდა იყოთ და მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ-მეთქი. რაც უფრო ფრთხილად გაივლით ამ პერიოდს, მით მეტი წინსვლის საშუალება მოგეცემათ მომავალში. ეზოთერიკაში არსებობს რჩევები და წესები, რომლებიც ადამიანს წარმატების მიღწევაში ეხმარება და ამ მხრივ საქმეს უიოლებს. მთავარია მათი ცოდნა. კერძოდ, საცხოვრებელ ბინაში არსებობს ზონები, რომლებიც ფინანსებზეა პასუხისმგებელი. ამიტომ, რემონტისა და ბინაში დიზაინის შეცვლის დროს, სწორედ ამ ადგილებზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება. მაგალითად, უნდა იცოდეთ, რომ სახლში მისაღები ოთახის დასავლეთ მხარეს არ დადგათ ტექნიკა და არ ჩამოკიდოთ სარკე კედელზე – ამან უბარაქობა იცის; მაგრამ, თუ ამ ადგილას დადგამთ ვაზას, ჩააწყობთ შიგ ყვავილებს და ჩაყრით ხურდა ფულს, აუცილებლად გაიზრდება შემოსავლები, ოღონდ, ეს ფული, წლიდან წლამდე არ უნდა დახარჯოთ და დროდადრო უნდა ჩაამატოთ. კარგი იქნება, თუ მისაღები ოთახის აღმოსავლეთ მხარეს დადგამთ დივანს, სკამსა და მაგიდას – ეს ხელს შეუწყობს ახალ კონტაქტებსა და წარმატებულ ნაცნობობას, რაც საქმეში დაგეხმარებათ. ასევე, ის უზრუნველყოფს პარტნიორების მოზიდვას საქმეში. დადეთ შესასვლელში ქოლგა, ოღონდ, დაკეცილი, რომ კარიერაში წინსვლა გქონდეთ. ასევე, რემონტის დროს გაითვალისწინეთ, რომ ოქროსფერში გადაწყვეტილი მისაღები ოთახი მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს, ვარდისფრად შეღებილი საძინებლის კედლები – მშვიდ სასიყვარულო ურთიერთობებს, ხოლო ცისფრად ან სალათისფრად შეღებილი სამზარეულო – ოჯახის წევრების ჯანმრთელობის საწინდარია. არ არის აუცილებელი ძვირად ღირებული ნივთებითა და ავეჯით სახლის გადატვირთვა, მთავარია, იცოდეთ, სად რა დადგათ და რა ფერებში შეღებოთ კედლები. მხოლოდ ლამაზი სახლი, კომფორტსა და ფინანსურ დოვლათს ვერ მოგიტანთ, მისი რემონტი და ინტერიერი სწორად უნდა დაგეგმოთ. ის ნივთები და სამკაულებიც კი, რომლებსაც სახლში ინახავთ, მეტწილად თქვენს ბედ-იღბალსა და კეთილდღეობას განსაზღვრავს ფინანსებსა თუ პირად ურთიერთობებში. მაგალითად, ის ზარდახშა, სადაც სამკაულებს ინახავთ, აუცილებლად უნდა დადოთ საძინებელი ოთახის ჩრდილოეთ მხარეს. ტანსაცმლის კარადა აღმოსავლეთით დადგით, ხოლო საწოლი – ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომ მშვიდი ძილი და სასიყვარულო პარტნიორთან კარგი დამოკიდებულება გარანტირებული გქონდეთ. აბაზანა უნდა მოაწყოთ ისე, რომ იქ ზედმეტი ნივთები თვალშისაცემი არ იყოს. ბევრს უყვარს ამ ოთახში სუნამოების, შამპუნებისა და ტანის მოვლის სხვადასხვა საშუალების გამომზეურება, მაგრამ, არ იციან, რომ არ არის სასურველი, პირადი ჰიგიენის საშუალებები სტუმარმა ან უცხო პირმა დაინახოს – ეს თქვენსავე ჯანმრთელობაზე იმოქმედებს უარყოფითად.

**ნონა დათეშიძე**

## რუტინას – არა!

ძალიან ბევრს მიაჩნია, რომ ქორწინების შემდეგ წყვილის ურთიერთობაში კარგი აღარაფერი ხდება და იწყება უსაშველოდ გრძელი, რუტინული პერიოდი. არადა, უამრავი ფაქტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ, სიტყვების – „გახდი ჩემი მეუღლე“ – წარმოთქმის შემდეგ ყველაფერი მხოლოდ იწყება...

* უწინ ინდოეთში ახალდაქორწინებულ წყვილს პირველი საქორწინო ღამე არ ჰქონდათ. ოთხი დღის განმავლობაში საწოლში ცოლ-ქმარს შუაში ედო ხის ჯოხი, რომელიც სპეციალური ჯიშისგან – უდუმ ბარისგან მზადდებოდა და განასახიერებდა ღვთაება ვიშვავარუს. ეს წყვილის მომავალი შვილების ჯანმრთელობისთვის იყო საჭირო.

* თურმე, ქალების 22 პროცენტი გათხოვების პირველ კვირას ძალიან ნანობს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

* კენიაში საქმრო ერთი თვის განმავლობაში ვალდებულია, ჩაიცვას ქალის ტანსაცმელი და აკეთოს ქალის საქმე, რათა კარგად მიხვდეს, რა ვალდებულებები აქვს ცოლს და რას გრძნობს ის, როცა საოჯახო საქმეებით არის დატვირთული.

* ამერიკაში, სამხრეთ კაროლინის შტატში, ყველა მამაკაცი, რომელიც ქალს ცოლობას სთხოვს, ვალდებულია, აუცილებლად დაქორწინდეს მასზე და ამას კანონი ავალდებულებს. ანუ, საკმარისია, წამოგცდეს „გახდი ჩემი ცოლი“, რომ ცოლიანი ხარ.

* საქორწინო ტორტის ტრადიცია ძველი რომიდან მოდის. იქ წყვილი ცოლქმრად არ ჩაითვლებოდა, თუკი ხალხის თანდასწრებით საქორწინო ღვეზელის თითო ნაჭერს არ მიირთმევდა.

* ყველაზე ორიგინალური საქორწინო რიტუალი 2003 წლის 10 აგვისტოს კოსმოსში შედგა: რუსმა კოსმონავტმა მალენჩენკომ ამერიკაში მცხოვრებ რუს ეკატერინა დმიტრიევაზე იქორწინა.

მათ საქორწინო კონტრაქტში ჩაიდო პუნქტი, რომლის თანახმად, წყვილს განქორწინება მხოლოდ კოსმოსურ ორბიტაზე შეუძლია.

* ნიგერიაში, თუ ცოლი გამხდარია, მის ნათესავებს შეუძლიათ, შესჩივლონ სიძეს და მოსთხოვონ, უკეთ იზრუნოს საკუთარ მეუღლეზე. მდიდარი ქმრები სპეციალურად ქირაობენ დიეტოლოგებს, რათა ცოლები გაასუქონ.

## იყავი ჩემთან ახლოს...

ჩახუტება იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ. მეცნიერებიც კი ერთხმად ადასტურებენ იმას, რომ მამაკაცები უფრო ვერ აცნობიერებენ ჩახუტების პოზიტივს, ვიდრე ქალები. ქალბატონებს ამის ფიზიკური და ემოციური მოთხოვნილება აქვთ. სწორედ ამიტომ ეხუტებიან დაქალებს, შვილებს... უნდათ, ჩაეხუტონ ქმარს... ისინი კი ამას სენტიმენტალობად მიიჩნევენ და ძალიანაც ცდებიან. უდიდესი პოზიტივია ხელის ხელზე ჩაჭიდება – ამ დროს დადებითი ენერგიით იმუხტება ორივე – ქალიც და კაციც და აგრესიისთვის ადგილი აღარ რჩება.

მით უფრო, უჯახური წყვილისთვის, ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ურთიერთობას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ამ ტიპის სიახლოვე აძლიერებს ნდობას და იწვევს შეჩვევას. ასევე, აჩენს სიმყუდროვის, კომფორტის განცდას.

როცა მამაკაცები ერთმანეთს ხვდებიან, მხარზე ხელს უტყაპუნებენ, ან, უბრალოდ, ხელს ართმევენ. ქალები კი, როცა მეგობარს ვხვდებით, გადავეხვევით და ვეხუტებით, განურჩევლად სქესისა. ესეც ადასტურებს იმას, რომ ქალმა ზუსტად იცის, რა არის მისთვის კარგი და პოზიტიური. როცა ადამიანი გიყვარს, შენსა და მას შორის ბარიერები უნდა წაშალოთ, მარტივი ფიზიკური სიახლოვე კი ამის საუკეთესო საშუალებაა.

ასე რომ, მოეხვიეთ საყვარელ ადამიანს, ხშირად ჩაეხუტეთ და გაეცით სითბო, თავადაც დაიმუხტეთ მისგან წამოსული დადებითი ენერგიით და იგრძენით სიხარული... ბედნიერებაც ასეთი „უმნიშვნელო წვრილმანებისგან“ შედგება – აქამდე არ იცოდით?!

## მამაკაცები აპროტესტებენ

ქალების უმრავლესობას მცდარად მიაჩნია, რომ მამაკაცისთვის სულერთია, რა ეცმევა ფეხზე მის ძვირფას მეორე ნახევარს. ძლიერი სქესი იმაზე გაცილებით დაკვირვებული და ყურადღებიანია, ვიდრე ერთი შეხედვით გვაჩვენებენ თავს.

მაგალითად, მამაკაცები მტკიცედ არიან დარწმუნებული იმაში, რომ ფეხსაცმელი დიდ გავლენას ახდენს ქალის გარეგნობაზე. ის მის სილუეტს განსხვავებულად წარმოაჩენს. უკეთესობისკენ ან, პირიქით, უარესობისკენ ცვლის. თუმცა, კონკრეტულად, რომელი სტილის ფეხსაცმელშია ქალი სექსუალური?! რა თქმა უნდა, რთულია, მიხვდე, როგორი ფეხსაცმელი მიაჩნია თქვენთვის მისაღებად და შესაფერისად თქვენს რჩეულს, მაგრამ გამოსავალი არსებობს – როცა სურვილს გამოთქვამს, აქტიურად ჩართეთ ფეხსაცმლის შერჩევაში. საინტერესო სტატისტიკა კი ასეთია:

მამაკაცების 75 პროცენტს მოსწონს ქალი „ტანკეტკა“ ძირიან ფეხსაცმელში.

67 პროცენტი მიიჩნევს, რომ შილიფად ჩაცმული ქალი ფეხზე „უგებით“ ძალიან სექსუალურია.

58 პროცენტს „პლატფორმაძირიანი“ ფეხსაცმელი ნებისმიერი ქალისთვის იდეალურ ვარიანტად მიაჩნია.

55 პროცენტი მამაკაცებისა მოხიბლულია დახვეწილი „შპილკებით“.

49 პროცენტს მოსწონს „მოკასინებიანი“ ქალბატონები.

37 პროცენტი ქალისთვის (მით უმეტეს, მაღალი ქალისთვის) იდეალურ ვარიანტად „ბალეტკებსა“ და „ბოტასებს“ მიიჩნევს.

## ემოციების მთავარი ფსიქოლოგია

რთულ სიტუაციებში უმრავლესობა ჩვენგანი დახმარებას, თუნდაც მორალურ მხარდაჭერას, საყვარელი ადამიანებისგან ელოდება. ზოგჯერ არ ვიცით, კონკრეტულად როგორი დახმარება გვჭირდება. ხან ჩვენზე გამოცდილისგან ვსაჭიროებთ რჩევებს, ხან, უბრალო ჩახუტებასაც კი დიდი ძალა აქვს. საქმე ისაა, ვართ თუ არა ჩვენ მოსასმენად მზად და გვესმის თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს უახლოეს ადამიანისგან სიახლოვის, სითბოს გამოხატულებას.

ყველაზე მეტად, როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, გვჭირდება ის, რომ ჩვენი ესმოდეთ, ჭეშმარიტი, ღრმა, გულწრფელი გაგება, გათავისება იმისა, რაც ჩვენ იმ მომენტში გვიჭირს.

რა ბედნიერება იქნებოდა და რამდენი პრობლემა აღარ იარსებებდა, ზოგჯერ ერთმანეთის ფიქრების წაკითხვა რომ შეგვეძლოს. თუმცა, თუ ჩავრთავთ ემოციებს და ერთმანეთის მიმართ გაცილებით ყურადღებიანები ვიქნებით, ამით ურთიერთობა მხოლოდ მოიგებს.

თუ თქვენი პრობლემები მეტისმეტად რთულად გეჩვენებათ და ნერვიულობთ იმაზე, რომ მათი გადაჭრის გზებს დამოუკიდებლად ვერ გამოძებნით, ნუ დაელოდებით, როდის მიგიხვდებათ პარტნიორი. უთხარით მას პირდაპირ: „იცი, ახლა ძალიან მჭირდები, ყველაზე და ყველაფერზე მეტად“. საკუთარ თავთან „საქმეების გარჩევით“ უარესად გაღიზიანდებით და ჩაიკეტებით. სააშკარაოზე გამოიტანეთ თქვენი განცდები. ნუ დამალავთ მას და მერე ნუ გექნებათ პრეტენზია, რომ თქვენი არ ესმით. შეყვარებული ადამიანიც კი არ არის გულთმისანი. ეს მხოლოდ ერთეულების ნიჭია და ღირსება.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რომელი პრესტიჟული უნივერსიტეტი მიატოვა მეთ დეიმონმა და რამდენი წლის ასაკში გაიცნო მან ბენ აფლეკი

***„ჭკვიანი უილ ჰანთინგი", „რიგითი რაიანის გადასარჩენად", ტრილოგია ოუშენის მეგობრებზე და ჯეისონ ბორნის შესახებ გადაღებული ტრილოგია... – ეს იმ ფილმების მცირედი ჩამონათვალია, რომლებშიც მთავარ როლებს ასრულებს ჰოლივუდის ვარსკვლავი, სცენარისტი და პროდიუსერი მეთ დეიმონი – „ოსკარისა" და „ოქროს გლობუსის" ლაურეატი, ამერიკელი კინოკრიტიკოსებისა და უბრალო კინომოყვარულების ფავორიტი მსახიობი.***

* მეთიუ პეიჯ დეიმონი დაიბადა 1970 წლის 8 ოქტომბერს, მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ კემბრიჯში, სადაც ცნობილი უნივერსიტეტი მდებარეობს. ცხოვრების პირველი ორი წელი მეთმა, ოჯახთან ერთად, ბოსტონის ელიტურ რაიონში – ნიუტონში გაატარა. მამა, კენტ დეიმონი, საგადასახადო ინსპექტორი იყო; დედა – ნენსი კარლსონ-პეიჯი – უმცროსი კლასების მასწავლებელი. მეთ დეიმონის წინაპრები შოტლანდიელები, ინგლისელები და ფინელები იყვნენ. მეთ დეიმონს ჰყავს უფროსი ძმა – კაილი, რომელიც მოქანდაკეა.



მეთ დეიმონის ჰონორარი ერთი ფილმისთვის არანაკლებ 10 მილიონი დოლარია

* 1973 წელს მეთის მშობლები დაშორდნენ და ძმასთან ერთად იგი დედასთან დარჩა საცხოვრებლად კემბრიჯში. მომავალი ვარსკვლავი კორპუსში ცხოვრობდა, სადაც კიდევ ხუთი ოჯახი ბინადრობდა. მისი მეზობელი იყო ჰოვარდ ზინი, წიგნის – „შეერთებული შტატების ხალხთა ისტორიის" ავტორი, რომელიც მეთს ნახსენები ჰყავს თავის ფილმში „ჭკვიანი უილ ჰანთინგი".

* 8 წლის ასაკში მეთმა გაიცნო ბენ აფლეკი, რომელიც მისი სახლიდან ორი კვარტლის მოშორებით ცხოვრობდა. მოგვიანებით ისინი საუკეთესო მეგობრები და პროფესიონალი პარტნიორები გახდნენ გადასაღებ მოედანზე.

* კერძო სკოლის დასრულების შემდეგ, მეთ დეიმონმა ჰარვარდის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, სადაც სამი წელი გაატარა, თუმცა, მიხვდა, რომ მსახიობობა უფრო იზიდავდა და უნივერსიტეტი მიატოვა.

* მეთ დეიმონი ნიუ-იორკში გაემგზავრა ქასთინგის გასავლელად. დედამ ის მხოლოდ იმ პირობით გაუშვა დიდ ქალაქში, რომ მეთი თავად დაფარავდა გზის ხარჯებს. დამწყები მსახიობი 200 დოლარით ჩავიდა ნიუ-იორკში და დაიწყო ქასთინგებზე სიარული.

* 18 წლის ასაკში შედგა მეთ დეიმონის დებიუტი დიდ კინოში – იგი ჯულია რობერტსთან ერთად გამოჩნდა კადრში, ფილმში „მისტიკური პიცა", რასაც მოჰყვა კიდევ რამდენიმე ეპიზოდური როლი. 1992 წელს გამოვიდა ფილმი „სკოლის კავშირები", სადაც მეთმა პირველი დიდი როლი შეასრულა. მისი პარტნიორები ფილმში იყვნენ მაშინ ჯერ კიდევ უცნობი მსახიობები: ბენ აფლეკი, ბრენდან ფრეიზერი და კრის ოდონელი.

* მეთ დეიმონი სტანისლავსკის სისტემის მიმდევარია. ნარკომანი ჯარისკაცის როლისთვის, ფილმში „მამაცობა ცეცხლქვეშ," მან 20 კილოგრამი დაიკლო წონაში. მეთი იცავდა მკაცრ დიეტას და დღის განმავლობაში 20 კილომეტრს დარბოდა. ფილმისთვის „კეთილისმსურველი" მეთმა ამერიკული სამხრეთისთვის დამახასიათებელი აქცენტი გამოიმუშავა – ამ მიზნით იგი ტენესის შტატში მუშაობდა ერთ-ერთ ბარში ოფიციანტად და ყოველდღიურად ურთიერთობდა სამხრეთელებთან.

* 1995 წელს მეთ დეიმონი მიიწვიეს ფილმში „სწრაფი და მკვდარი". ვესტერნის ჟანრის ფილმში მისი პარტნიორები უნდა ყოფილიყვნენ შერონ სტოუნი და რასელ ქროუ, თუმცა, მეთმა უარი განაცხადა როლზე და მის ნაცვლად ლეონარდო დიკაპრიო მიიწვიეს.

* 1999 წელს ჟურნალმა „ფიფლმა" მეთ დეიმონი პლანეტის ულამაზეს 50 ადამიანს შორის მოიხსენია. იმავე ჟურნალმა 2007 წელს დეიმონი წლის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დაასახელა.

* 1999 წელს კინოეკრანებზე გამოსულ „ნიჭიერ მისტერ რიპლიში" დეიმონმა მთავარი როლი შეასრულა. როლისთვის მან 13 კილოგრამი დაიკლო და როიალზე დაკვრა შეისწავლა.

* მეთ დეიმონს ხანმოკლე რომანი ჰქონდა პენელოპა კრუსთან.

* მეთ დეიმონი პოკერისა და ბოულინგის პროფესიონალი მოთამაშეა და პერიოდულად სხვადასხვა ტურნირში იღებს მონაწილეობას.

* ფილმში „ძმები გრიმები" თამაშის დროს მეთ დეიმონმა თავი გადაიპარსა, რათა პარიკი უკეთესად მოერგო თავზე. გადაპარსული თავით მეთ დეიმონმა გაიელვა პოპულარულ ახალგაზრდულ კომედიაში – „ევროტური."

* მეთ დეიმონმა ბენ აფლეკთან ერთად დაწერა ფილმ „ჭკვიანი უილ ჰანთინგის" სცენარი, თუმცა, სტუდიები სცენარის შეძენისგან თავს იკავებდნენ, რადგან, მსახიობებს პირობა ჰქონდათ დადებული, რომ თავად უნდა ეთამაშათ ფილმში მთავარი როლები. საბოლოოდ, „მირამაქს ფილმზმა" გარისკა და შეიძინა სცენარი. რეჟისორად გას ვან სენტი დაინიშნა, ხოლო ერთ-ერთ როლზე რობინ უილიამსი მიიწვიეს. საბოლოოდ, 10 მილიონი დოლარის ბიუჯეტის მქონე ფილმმა 225 მილიონი დოლარი მოგება მოიტანა კინოგაქირავებიდან და საკულტო ფილმის სტატუსი მოიპოვა. ორიგინალური სცენარისთვის კი მეთ დეიმონმა და ბენ აფლეკმა „ოსკარი" აიღეს.

* მეთ დეიმონის ჰონორარი ერთი ფილმისთვის არანაკლებ 10 მილიონი დოლარია. „ბორნის ულტიმატუმისთვის" მისი ჰონორარი 17 მილიონ დოლარს შეადგენდა.

* ბენ აფლეკის თქმით, მეთ დეიმონი მასზე გაცილებით ჭკვიანია. ბენი იხსენებს, რომ მეთი მისი და ჯენიფერ ლოპესის რომანის სასტიკი წინააღმდეგი იყო; მან უწინასწარმეტყველა, რომ წყვილი დიდხანს არ გაჩერდებოდა ერთად, რაც დადასტურდა კიდეც.

* მეთ დეიმონისა და მისი დიდი ხნის მეგობარი ქალის, ლუჩანა ბაროუზის ქორწილი 2005 წლის 9 დეკემბერს შედგა. წყვილს სამი შვილი ჰყავს: იზაბელა, ჯია ზავალა და სტელა.

* მეთ დეიმონს ორწლიანი რომანი ჰქონდა მსახიობ ვაინონა რაიდერთან, რომელთან დაშორების შემდეგაც განაცხადა, რომ არასდროს აღარ დაიჭერდა საქმეს მსახიობ ქალებთან. მეთ დეიმონის ამჟამინდელი მეუღლე პროფესიით დეკორატორია.

* სკოლის დამამთავრებელ კლასში სწავლის პერიოდში მეთ დეიმონი და ბენ აფლეკი უბნის სუპერმარკეტის რეკლამაში გადაიღეს, რაშიც 200-200 დოლარი გადაუხადეს.

* მეთ დეიმონის სიმაღლე 178 სანტიმეტრია.

* მეთ დეიმონს სთავაზობდნენ მთავარი როლის შესრულებას სკანდალურ ფილმში „კუზიანი მთა", რაზეც მან უარი განაცხადა. მეთის თქმით, ჰომოსექსუალის როლის შესრულებას, შესაძლოა, მისი კარიერისთვის მიეყენებინა ზიანი. მოგვიანებით, 2012 წელს, მან ჰომოსექსუალის როლი განასახიერა ფილმში „კანდელაბრებს მიღმა", სადაც მისი პარტნიორი სახელოვანი მაიკლ დუგლასი იყო.

* მეთ დეიმონმა მას შემდეგ დაანება სიგარეტს თავი, რაც ჰიპნოზის კურსები გაიარა.

* 2007 წლის 26 ივლისს მეთ დეიმონს ჰოლივუდის დიდების ხეივანში ვარსკვლავი გაუხსნეს.

**უშანგი რუხაძე**



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო........................................

მარიკა 599 24 28 31

# ვისი ძალისხმევით გაიცნეს იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ ერთმანეთი

ბოლშევიკური პარტია, კარგა ხნის განმავლობაში განიცდიდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კადრების ნაკლებობას. ლენინიც კი არ ყოფილა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე. ის პარტიულად მოაზროვნე პიროვნება გახლდათ, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ბოლშევიკი ლიდერები. ერთადერთი პიროვნება მათ შორის, რომელსაც სახელმწიფოებრივი აზროვნება ახასიათებდა, იყო იოსებ ჯუღაშვილი. ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, თვალშისაცემი გახდა სახელმწიფო მოღვაწეთა ნაკლებობა. თავდაპირველად, საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში დამკვიდრდა პარტიული აზროვნება. ბოლშევიკი ლიდერების მიზანი იყო არა სახელმწიფოს სიძლიერე და ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის დახვეწა, არამედ ბოლშევიკური პარტიის გაძლიერება, რომელსაც უნდა ებატონა სახელმწიფოზე. სწორედ ამიტომ იქცა ბოლშევიკური პარტია სახელმწიფოდ სახელმწიფოში. 20-იანი წლების დამდეგს ნათელი გახდა, რომ ბოლშევიკებს, ლენინის მეთაურობით უბადლოდ შეეძლით ნგრევა, მაგრამ არა შენება. ნგრევა მიმდინარეობდა ყველგან, ერთადერთი მიზნით – ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. სტალინი იმთავითვე მიხვდა, რომ ბოლშევიკები დაკარგავდნენ ძალაუფლებას და სახელმწიფოც დაიწყებდა კვდომას, თუ არ შეწყვდებოდა ნგრევა. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად შეუდგა ის მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობებიდან ნელ-ნელა გაუნათლებელი, მხოლოდ რევოლუციური წარსულის გამო დაწინაურებული ადამიანების ჩამოშორებას. იოსებ ჯუღაშვილი შეუდგა ახალი კადრების მოძიებას – ისეთების, რომლებიც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დაწყებას შეძლებდნენ. ამ ძიებაში ლავრენტი ბერია იქცა სტალინის აღმოჩენად.

20-იან წლებში, ქართველი ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე, მიხეილ კახიანი, მამია ორახელაშვილი, სამსონ მამულია და დანარჩენები ტიპური პარტიული აზროვნებისანი იყვნენ. ხელისუფლებაში დამკვიდრდა დაუსრულებელი კამათი, ისეთ საკითხებზე, რომლებიც არანაირად არ უკავშირდებოდა საქართველოს. მაგალითად: ქართველ ბოლშევიკებს რამდენიმე დღის განმავლობაში შეეძლოთ, ეკამათათ გერმანიის ან ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივებზე, მაშინ როცა თბილისს არ ჰქონდა სასმელი წყალი, გზები, საქალაქო ტრანსპორტი, სატელეფონო ქსელი, კოლხეთის დაბლობზე კი მოსახლეობა მალარიით იტანჯებოდა. ამგვარ ვითარებაში მოვიდა ლავრენტი ბერია საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში 10 წელზე მეტი ხნის წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, 1931 წელს, სტალინის რეკომენდაციით, ბერია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა. იმავე წელს ბერია კიდევ უფრო მნიშვნელოვან თანამდებობაზე გადაიყვანეს. ბელადმა ის საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნა. ბერია გახდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური ლიდერი. როგორც ჩანს, სტალინი გულდასმით ეძებდა ამ პოსტისთვის კანდიდატურას. ლავრენტი ბერიამ მისი ყურადღება, ჯერ კიდევ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობის პერიოდში მიიქცია. ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობს, ბელადთან ბერიას რეკომენდაცია ორჯონიკიძემ გაუწია. ეს ვერსია მცდარია. სტალინს ბერია, როგორც პერსპექტიული მუშაკი გაცილებით ადრე წარუდგინა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ – რედენსმა. არ არის გამორიცხული, რომ ბელადთან ბერიას სიტყვა შეაწია ცნობილმა ბოლშევიკმა, მირჯაფარ ბაგიროვმა. ბაგიროვი და ბერია ერთად მოღვაწეობდნენ აზერბაიჯანში. ამიტომ, უფრო სავარაუდოა, რომ ბერიას ჯუღაშვილმა ყურადღება მიაქცია არა ორჯონიკიძის, არამედ ბაგიროვისა და რედენსის გამო. უფრო მეტიც, ბერიას ორჯონიკიძესთან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა. ბერია აღიზიანებდა ორჯონიკიძეს მისდამი დამოკიდებულებით. ცხადია, ორჯონიკიძეს არ მოსწონდა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკური ლიდერები მისი გვერდისავლით შეირჩა. ქართველი ბოლშევიკების ძველმა გვარდიამ იმთავითვე ცუდად აღიქვა ბერიას გაპირველკაცება. მართალია, მათ სტალინთან დაჩივლება ვერ გაბედეს, მაგრამ სამაგიეროდ, საყვედურებით აავსეს ორჯონიკიძე. თვითონ ორჯონიკიძესაც არ ეხატებოდა გულზე ბერია, მაგრამ ფილიპე მახარაძისა და დანარჩენებისგან განსხვავებით, ბელადის ფავორიტის შესახებ მოსკოვში კრინტიც არ დაუძრავს. შესაძლოა, შემდგომში ის კიდეც ნანობდა, რომ ბერიას წინააღმდეგ ბრძოლა არ დაიწყო, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

სტალინმა ბერია უზარმაზარი უფლებებით აღჭურვა და დიდი გეგმებიც დაუსახა. ბერია სწორად მიხვდა, რომ ბელადის მიერ დასახული გეგმების განხორციელებას ვერ შეძლებდა ქართველ ბოლშევიკთა ძველ გვერდიასთან ერთად. ამიტომ, გადაწყვიტა მათი გზიდან ჩამოცილება. ბერია დიდ რისკზე მიდიოდა, როცა მიზნად დაისახა ძველ ბოლშევიკთა რეპრესირება. შესაძლოა, მას ეს სარისკო ნაბიჯი არც გადაედგა, მაგრამ გააზრებული ჰქონდა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, მას არც სტალინი დაინდობდა. თავის მხრივ ქართველი ბოლშევიკები კი ყველაფერს გააკეთებდნენ იმისთვის, ბელადს ბერია სამაგალითოდ დაესაჯა. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ბერია ქართველ ბოლშევიკებს ბოლოს არ მოუღებდა, მაშინ თვითონ ბერიას მოუღებდნენ ბოლოს ისინი. ბერიამ ცხადია, პირველი ვარიანტი აირჩია.

სტალინი ერთბაშად არ დათანხმდა ბერიას ძველ ბოლშევიკთა რეპრესირების საკითხთან დაკავშირებით. ლავრენტი ბერიას შესანიშნავი ალღო ჰქონდა, რისი წყალობითაც გრძნობდა, რომ ძველი ბოლშევიკები, არა მარტო მას უშლიდნენ ხელს, არამედ სტალინისთვისაც არასასურველი მოღვაწეები იყვნენ. ამიტომ, ბერიას ბელადი უნდა დაერწმუნებინა, რომ ქართველ ბოლშევიკთა ლიდერები პირადად სტალინის პოლიტიკურ ხაზს ეწინააღმდეგებოდნენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი ოსტატობით შექმნიდა ბერია მათგან მტრის ხატს. ბერია, სტალინის შესანიშნავი მოწაფე იყო... ის მიზანმიმართულად ავრცელებდა ხმებს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ორჯონიკიძე და მახარაძე იყვნენ გარეულნი. ცალკეული ბოლშევიკებისგან ისე ოსტატურად ქმნიდა მტრის ხატს, რომ რეპრესირებული ბოლშევიკები ლამის თვითონვე იჯერებნენ ხალხის მტრობას. მაგალითისთვის: მამია ორახელაშვილის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრალდებაში ფიგურირებდა, რომ მამიას მამა ძველი რეჟიმის დროს ქუთაისში გოროდავოი, ანუ პოლიციის დაბალი რანგის მოხელე იყო. გასაგებია, თუ რისთვის კეთდებოდა ეს მინიშნება. ფილიპე მახარაძეს, სულ იმას აყვედრიდნენ, რომ ქართველ უკლონისტთა ლიდერი იყო და სტალინის მიერ წამოწყებულ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას ეწინააღმდეგებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბერიას ფანტაზია ძალზე შორს მიდიოდა. მაგალითად: ცნობილ დირიჟორ ევგენი მიქელაძეს ბრალად წაუყენეს, რომ მის სახლში მეუღლის ნათესავი ცხოვრობდა, რომელიც თითქოს თურქეთის დაზვერვის რეზიდენტი იყო. ბერიას შუა გზაზე შეჩერება



სტალინმა კარგად იცოდა, თუ რისთვის იხარჯებოდა ყოველი კაპიკი

არ ახასიათებდა, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივობაში დარწმუნებული ორახელაშვილი და მამულია, გაეცალნენ და მოსკოვში გადაბარგნენ. თუმცა, მაინც ვერ უშველეს ამით თავს.

საქართველოში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ბერიას დროს დაიწყო. ყველაზე მეტად ეს თბილისს დაეტყო. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე გაგებით, თბილისმა ქალაქის იერსახე სწორედ ბერიას მოღვაწეობის პერიოდში მიიღო. ბერია უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქალაქის დაგეგმარებას. იმ პერიოდში აიგო ცირკი, ფოსტის შენობა, იყო უფრო მნიშვნელოვანი პროექტებიც. მაგალითად: მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მშენებლობის დაწყება, თბილისში წყალმომარაგების გაუმჯობესება, საკანალიზაციო მეურნეობის მოწესრიგება, ქალაქის გამწვანება. უზარმაზარი ტერიტორია მთის ფერდობზე წყნეთიდან მთაწმინდის პარკამდე ხრიოკად იყო ქცეული. იქ ტყე ლავრენტი ბერიას ინიციატივით გაშენდა. ბერიას თბილისში მოღვაწეობის დაწყებამდე თბილისელებს შორის ქართველთა ხვედრითი წილი ძალზე მოკრძალებული იყო. ბერიამ სხვადასხვა საშუალებებით დაიწყო თბილისში ქართველთა რაოდენობის გაზრდა. ძირითადად ეს მოხერხდა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კონტინგენტის ზრდითა და ახალი სასწავლებლების გახსნით. საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების ნაწილი თბილისში რჩებოდა მუდმივ მცხოვრებად.

ბერიას მოღვაწეობის დასაწყისში სავალალო მდგომარეობა იყო კოლხეთის დაბლობზე: გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარის ნაწილში. აქ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, პრაქტიკულად, არ არსებობდა. ძირითადად მოჰყავდათ სიმინდი. ადგილობრივი ნესტიანი ჰავა აუტანელს ხდიდა ცხოვრებას. ბერიამ გრანდიოზული პროექტის განხორციელება დაიწყო ამ ადგილებში, – დააშრეს ჭაობები და გააშენეს ციტრუსები. ბერიამ საბჭოთა დაზვერვას კონტრაბანდული გზით შემოატანინა ჩაის განსაკუთრებული ჯიში, რომელიც შემდგომში ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოში.

ყველასთვის ცხადია, რომ ბერიას თითოეული ნაბიჯი ბელადთან იყო შეთანხმებული. საკავშირო ბიუჯეტიდან საქართველოსთვის დამატებითი თანხების ასე ხელაღებით გამოყოფას, სტალინის თანადგომის გარეშე, ბერია ვერ მიაღწევდა. სტალინმა კარგად იცოდა, თუ რისთვის იხარჯებოდა ყოველი კაპიკი. მოსკოვში უკვე ყველა გრძნობდა, რომ სტალინი ბერიას უფრო დიდი მისიისთვის ამზადებდა. მართლაც, დადგა დრო, როცა ბერიამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავისი მისია დასრულა. 1938 წლის 31 აგვისტოს ბერიამ ბოლო სხდომა ჩაატარა თბილისში. ბელადს ის მოსკოვში სჭირდებოდა.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# როგორ გავიგოთ ადამიანის ხასიათი მისი დაბადების რიცხვისა და დღის მეშვეობით

***ნებისმიერი ჩვენგანის დაბადების დღესა და რიცხვს უდიდესი გავლენა აქვს ჩვენს ხასიათსა და თვისებებზე. გთავაზობთ ხერხებს, თუ როგორ უნდა ამოიცნოთ ისეთი სახასიათო შტრიხები, რასაც ასტროლოგია გიმხელთ.***

**ორშაბათს დაბადებული ქალი** ნაზი, მეოცნებე და მგრძნობიარეა. ადვილად ეგუება სხვა ადამიანს და დათმობაზეც ადვილად მიდის. მას მარტო ცხოვრება უჭირს და ნამდვილ ქალად მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს, როცა თავის სითბოს ვინმეს უზიარებს.

**ორშაბათს დაბადებული მამაკაცი** ძალზე მგრძნობიარეა. აქვს წარმოსახვის მდიდარი უნარი; მუდმივად სხვებთან კონტაქტს ეძებს და განსაკუთრებით ყურადღებიანია საწინააღმდეგო სქესის მიმართ. მას გაგება და სინაზე სწყურია და ვერ ეგუება მარტოობას.

**სამშაბათს დაბადებული ქალი** გულუხვი და ვნებიანია. ის მამაკაცებს თავისი სალი გონებითა და იუმორით ხიბლავს. მუდამ დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფის. ამქვეყნად ყველაზე მეტად თავისუფლება უყვარს და ეშინია მონოტონური გრძნობების.

**სამშაბათს დაბადებულ მამაკაცს** საკუთარი აზრის ჩამოყალიბების უნარი აქვს. ის ადვიულად იყოლიებს ადამიანებს. ცხოვრებისეულ სიამოვნებებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იუმორის გრძნობით უმკლავდება. სავსეა ენთუზიაზმით და უყვარს გართობა.

**ოთხშაბათს დაბადებული ქალი** მოსიყვარულე, თბილი და ალერსიანია, თუმცა, ამ თვისებებს მოკრძალებულობისა და თავშეკავებულობის ნიღაბქვეშ მალავს. სასიყვარულო ურთიერთობებში გულწრფელობა და ერთგულება სჭირდება, ამიტომაც, არ ენდობა ერთი ნახვით ჩასახულ გრძნობას.

**ოთხშაბათს დაბადებული მამაკაცი** წესიერი, კეთილსინდისიერი და მშვიდი ადამიანია, თუმცა, თავისი გრძნობების ბოლომდე გამომჟღავნება უჭირს. შეგიძლიათ, მას ენდოთ – მისი გრძნობა გულწრფელი და უანგაროა.

**ხუთშაბათს დაბადებული ქალი** მშფოთვარე და სულსწრაფია, უყვარს თავისუფლება და თავგადასავლები. გამოცდილებას ყოველდღე იმდიდრებს. მამაკაცებს თავისი მომხიბვლელობით იზიდავს და ვერ ეგუება მბრძანებლურ ტონს.

**ხუთშაბათს დაბადებნული მამაკაცი** ძალიან მაცდურია. მას ცხოვრების ყველა ასპექტის შეცნობა სურს და, ამავდროულად, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ინარჩუნებს. მარტოობაში ცხოვრება არ შეუძლია. მხოლოდ ოჯახისა და ახლობლების წრეში აღწევს სულიერ გაწონასწორებას.

**პარასკევს დაბადებული ქალი** რომანტიკული და მეოცნებეა. ის სილამაზესა და ჰარმონიულობას აღმერთებს. ემოციურია და მარტოობა აშინებს. ძალიან მგრძნობიარეა და ირგვლივ მყოფი ადამიანებისგან მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს.

**პარასკევს დაბადებული მამაკაცი** ნამდვილი მსახიობია. მისი მომხიბვლელობა ბევრ მანდილოსანს აჯადოებს. სიყვარული და სინაზეა მისი ხასიათის ძირითადი თვისება. ამ მამაკაცისთვის აუცილებელია სულიერი წონასწორობა. ის ახლობლებისგან გულწრფელ სიყვარულს ითხოვს.

**შაბათს დაბადებული ქალი** გულჩათხრობილი და იდუმალი პიროვნებაა. თავის გრძნობებს იშვიათად ამჟღავნებს. ორიგინალური და დამოუკიდებელია და ინტელექტით გამოირჩევა. ერთი შეხედვით, ის გულგრილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, სულის სიღრმეში ემოციურია.

**შაბათს დაბადებული მამაკაცი** მძიმე ხასიათის, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელი ადამიანია, რომელსაც შეუძლია, მთელი ცხოვრება მარტოობაში გაატაროს. გრძნობებს არ ამჟღავნებს, სიყვარულში არავის უტყდება, მანდილოსნების მიმართ გულგრილია. ეს არის ემოციური ადამიანი, რომელიც, რატომღაც, თავის გრძნობებს საგულდაგულოდ მალავს.

**კვირას დაბადებული ქალი** იმპულსური და თავისუფლებისმოყვარეა. მას ვნება ამოძრავებს. მისთვის არ არსებობს შუალედი: მას ან უყვარს, ან – არა და შესაბამისადაც იქცევა. არ შეუძლია დათმობაზე წასვლა და საკუთარი თავისუფლების შეზღუდვა. უპირატესობას მორჩილ მამაკაცებს ანიჭებს.

**კვირას დაბადებული მამაკაცი** სავსეა ამბიციებით. აქვს საკუთარი თავის რწმენა. მას უფრო აღიარება სჭირდება, ვიდრე სიყვარული. ინიციატივითა და ძალაუფლებით ახდენს სხვებზე შთაბაჭდილებას, მოსწონს, როცა მის საუბარს ყურადღებით უსმენენ და არც კომპლიმენტების მიმართ არის გულგრილი.

## რაც შეეხება დაბადების დღის რიცხვს:

**1, 10, 19, 28** რიცხვებში დაბადებული ადამიანი ინდივიდუალისტია; აქვს თავისი განსაკუთრებული შეხედულებები; არის ჯიუტი და მიზანსწრაფული; ასევე, შეუძლია, შემოქმედებითად მიუდგეს ყველაფერს, რითაც არ უნდა იყოს დაკავებული. ამ რიცხვებში დაბადებულები გამოირჩევიან დამოუკიდებლობით, ლიდერული თვისებებით, არტისტულობით, ორიგინალური აზროვნებით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით.

**2, 11, 20, 29** რიცხვებში დაბადებულ ადამიანებს აქვთ მდიდარი წარმოსახვის უნარი, მაგრამ, აკლიათ საკუთარი თავის რწმენა. ამიტომ, ისინი არც ისე შეუპოვრები არიან თავიანთი იდეების განხორციელებისას. ამ რიცხვებში დაბადებულები გამოირჩევიან მგრძნობიარობით, ემოციურობით, ექსტრასენსური უნარით, დიპლომატიურობით, მეოცნებეობით.

**3, 12, 21, 30** რიცხვებში დაბადებული ადამიანები ძალიან თავმოყვარეები არიან, არ ემორჩილებიან სხვებს. ხშირად აღწევენ მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას თავიანთი მიზანდასახულობით. ასევე, გამოირჩევიან განსაკუთრებული სიყვარულის უნარით, არტისტიზმით, ინტლექტუალური შესაძლებლობებით, იუმორის გრძნობით, მერყევი ხასიათით, მდიდარი წარმოსახვის უნარით, ინტუიციით.

**4, 13, 22, 31** რიცხვებში დაბადებული ადამიანები პრაქტიკულები და მგრძნობიარეები არიან. იშვიათად აღწევენ წარმატებებს, ხშირად ითრგუნებიან და, მელანქოლიურობის გამო, გამოირჩევიან წესრიგის სიყვარულით, პატიოსნებით, სიჯიუტით; არ ეშინიათ მძიმე სამუშაოს შესრულების. ასევე, არიან პესიმისტები, ემოციურები, ნერვიულები. აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა.

**5, 14, 23** რიცხვებში დაბადებული ადამიანები კარგი მოაზროვნეები და სამართლიანები არიან. ახასიათებთ იმპულსურობა მოქმედების დროს. აქვთ მისწრაფება, იშოვონ ფული და გამოირჩევიან დამყოლი ხასიათით. ასევე, ამ რიცხვებში დაბადებული ადამიანები არიან გულმავიწყები, ინტელექტუალურები, ემოციურები, პროფესიონალები; გამოირჩევიან სხარტი აზროვნებით.

**6, 15, 24** რიცხვებში დაბადებული ადამიანები ადვილად იპყრობენ გარშემო მყოფთა ყურადღებას. არიან ჯიუტები და თავიანთი მიზნების მისაღწევად გადაწყვეტილებას არ ცვლიან. შეუძლიათ ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობა, საქმისთვის თავდადება, გარშემო მყოფებზე უანგაროდ ზრუნვა, თუმცა, ამავდროულად, არიან ამბიციურები და ადვილად ექცევიან სხვების გავლენის ქვეშ.

**7, 16, 25** რიცხვებში დაბადებული ადამიანები გამოირჩევიან ინტუიციითა და მიმზიდველობით. ძლიერ გავლენას ახდენენ გარშემო მყოფებზე. ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა, სიჯიუტე, არტისტიზმი, აზროვნების ანალიტიკური უნარი, რომანტიზმი, მახვილი ინტუიცია. ასევე, ადვილად შეუძლიათ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება.

**8, 17, 26** რიცხვებში დაბადებული ადამიანები არიან მგზნებარე ბუნების, ახასიათებთ დამოუკიდებლობა, მაგრამ, ხშირად ხვდებიან გაუგებრობების მსხვერპლი და სწორედ ამის გამო, გულის სიღრმეში მარტოდ გრძნობენ თავს. ასევე, გამოირჩევიან ფულის შოვნის უნარით, არსებული სიტუაციის საღად შეფასებით, კარგი ორგანიზატორული ნიჭით. არიან ემოციურები, ამავდროულად, ზარმაცები და ზოგჯერ მერყევებიც კი.

**9, 18, 27** რიცხვებში დაბადებული ადამიანები არიან სხვების მიმართ შემბრალებლები, თანაგრძნობას უწევენ გარშემო მყოფებს, არიან ეგოისტები; შეუძლიათ ადამიანებთან მშვიდი ურთიერთობების დამყარება. ასევე, არიან დიდსულოვნები, მოუთმენლები, დამოუკიდებლები, ამბიციურები, ნიჭიერები, არტისტულები. ახასიათებთ სხვების დახმარება. აქვთ პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა, ორგანიზების უნარი.

# თეატრები

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66.**

29 ოქტომბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„ტანგო ნაბიჭვართან"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შუღლიაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

30 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

31 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„კინკასის უცნაური გარდაცვალება"** - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი - რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: მერაბ ბრეკაშვილი, ნინო შავგულიძე, დავით ველიჯანაშვილი, მარინა სოლომონია, ნუკრი კონსტანტინოვი, პაატა კიკვაძე, გიორგი გასვიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

1 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ექსტრავაგანსა"** - თითების თეატრი - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ზაალ კაკაბაძე, თეონა მალალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, თინათინ წულაძე. ***ხანგრძლივობა: 55 წუთი;***

**მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)**
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966.**

29-30 ოქტომბერი, 1 ნოემბერი, **სამშაბათი-ოთხშაბათი, პარასკევი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21.**

29 ოქტომბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

30 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

31 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„რვა მოსიყვარულე ქალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: მაია ჩართოლანი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ლალი ბადურაშვილი, ანი ზამბახიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, მაია ხორნაული, სალომე ჭულუხაძე, ფიქრია ნიქაბაძე, ანა მღებრიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

**სამეფო უბნის თეატრი**
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

28 ოქტომბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„ტროელი ქალები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: ნატუკა კახიძე, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

**გრიბოედოვის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

1 ნოემბერი, **პარასკევი** 18.00 - **„დონ გუანი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: მიხეილ ამბროსოვი, ირინა მელვინეთუხუცესი, ვასო მჭედლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

3 ნოემბერი, **კვირა** 12.00 - **„ემელიას ბედნიერება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: დმიტრი სპორიშევი, სოფო, ლომჯარია, მიხეილ ამბროსოვი, მიხეილ არჯევანიძე, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი, დენის დაშკოვი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

31 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

1 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

2 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ვახტანგ ადეიშვილი, ნელი ბადალაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

3 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„შავი კეტები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ ტყემალაძე, ანა მატუაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, სალომე წურწუმია, მამუკა მაზავრიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

**საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

29 ოქტომბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„სამყარო"** - (ბილეთის ფასი - 5.50 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი),**
**298-65-90.**

31 ოქტომბერი, 3 ნოემბერი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

1 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

2 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ორშაბათი 28 ოქტომბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"გაალეთ" პოლიციაა!"** (ფ.ნუარე) **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა" 21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.20** მხ/ფ **"V ნიშნავს ვენდეტას"** (ნ.პორტმანი) **01.30** დ/ფ მსოფლიოს ქალაქები".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა — პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ **"ყველაფერი დედაჩემის შესახებ"** (მ.პარედესი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ქალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო" 22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **29 02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ცისფერი მთები" 13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 1** სერ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი **"ალალე" 17.10** კონცერტი - ანდრე რიე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** დოკ/ფ "გუდის ყველი" **19.35** მხ/ფ **"წკიპურტები" 20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.30** მოკ/ფ **"ნუ მოიწყენთ შემოდგომისას" 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ეპიზოდი, როგორც მთავარი" **23.45** დოკ/ფ "იყალთოური ორნამენტები" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო" 1** სერ.

**7.00" 0.45" 2.30" 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55" 8.10" 9.15** მაღვიძარა. **8.00" 9.00" 10.00" 12.00" 15.00" 18.00" 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ) . **12.50" 23.00" 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი". **16.00 სერიალი "რთული გზა". 17.45" 21.30" 0.30" 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05" 1.30" 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 1.30" 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ).

## სამშაბათი 29 ოქტომბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"გაყინული"** (ლ.დე ფიუნესი) **17.00** დ/ფ სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა" 19.05** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"ჩვენი მამების დროშები"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი: "პაემანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" **2** ნაწ. (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ **"მძევალი 2"** (მ.გრეისი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ქალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები". 18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო" 20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი". 01.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო" 1** სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ეპიზოდი,როგორც მთავარი" **11.05** დოკ/ფ "იყალთოური ორნამენტები" **11.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"წკიპურტები" 13.15** დოკ/ფ "გუდის ყველი" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 2** სერ. **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - გოგი დოლიძის ხსოვნის საღამო **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"ღვინის ქურდები" 20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.40** დოკ/ფ "ვასილ ამაშუკელი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო" 2** სერ.

**7.00" 0.45" 2.30" 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55" 8.10" 9.15** მაღვიძარა. **8.00" 9.00" 10.00" 12.00" 15.00" 18.00" 21.00** ახალი ამბები. **10.15" 16.00 სერიალი "რთული გზა". 12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი**

*დარბაზი 1*

13.00, 15.00 - **„მანდარინები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
17.00, 19.45, 22.30 - **„სტალინგრადი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.00, 16.00, 18.00 - **„გრძელი ნათელი დღეები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 05 წუთი;*
20.15, 22.15 - **„მანდარინები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„საზიზღარი მე 2”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
14.00, 22.30 - **„გრავიტაცია”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
16.00, 18.00, 20.00 - **„მანდარინები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.00 - **„თვითმფრინავები”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
16.00, 18.00 - **„გრავიტაცია”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
20.00, 22.30 - **„ასტრალი 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.30, 15.15 - **„სტალინგრადი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*
18.00, 20.00, 22.30 - **„მანდარინები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

13.00, 17.30, 20.00 - **„სიყვარულის დრო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
15.30, 22.30 - **„მანდარინები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.30 - **„თვითმფრინავები”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
15.30 - **„ჯობსი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
18.00, 20.00 - **„მანდარინები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„სიყვარულის დრო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ექიმ თამუნა ბურჯანაძის მოდური ცხოვრება





ერთ სხეულზე მორგებული მსოფლიო ბრენდები







ექიმის გემოვნებას შეწირული ათასობით დოლარი და მსოფლიო ბრენდებით სავსე გარდერობი



საყვარელი დიზაინერი – რობერტო კავალი

# კარტოფილი ქათმის ფილეში










**საჭირო ინგრედიენტები:** 8 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, 500 გრამი ქათმის ფილე, 200 გრამი სოკო (ცოცხალი ან კონსერვის), 2 თავი ხახვი, 1 კონა ოხრახუში, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, ტკბილი, დაფქული წიწაკა.

ზეთი, 2-3 ცალი ბოლოკი (მოსართავად), მშრალი ნიორი (გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სოკო დაჭერით და მოშუშეთ ზეთში. ქათმის ფილე, კარტოფილი და ხახვი დაჭერით კუბიკებად.

მწვანილი დაჭერით ძალიან წვრილად. დაუმატეთ მარილი, ტკბილი წიწაკა და პილპილი. შეურიეთ ზეთში კარგად შებრაწული სოკო. აურიეთ კარგად. აიღეთ გამოსაცხობი ტაფა, მოათავსეთ მასზე ყველაფერი ერთად და გამოაცხვეთ აირღუმელში 180 გრადუს ტემპერატურაზე 40 წუთის განმავლობაში. გამოიღეთ, გააცივეთ და დაანაწევრეთ ხელით.

მწვანილისგან და ბოლოკისგან ლანგარზე გააკეთეთ მორთულობა, გვერდით მოუწყვეთ კერძი, თავსაც მოიწონებთ მისი ვიზუალით და ძალიან გემრიელია.

# ხაჭოს და ვაშლის სუფლე









**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი დიდი, ტკბილი ვაშლი, 180-200 გრამი ხაჭო, 1 ცალი კვერცხი.

**მომზადების წესი:** ვაშლი კანიანად გახეხეთ სახეხზე, თუ მას ძალიან სქელი კანი არა აქვს. დაუმატეთ ხაჭო და კვერცხი. ყველაფერი კარგად ათქვიფეთ. ჩაასხით პატარა, გამოსაცხობ ფორმებში და გამოაცხვეთ. სუფლე ცხობისას არ გაფუვდება და ზომაშიც არ მოიმატებს. ამიტომაც ფორმები შეგიძლიათ, მთლიანად შეავსოთ. 5-7 წუთი ცხობისთვის საკმარისია. მზა სუფლე კრემის კონსისტენციის არის და ძალიან გემრიელია.

სუფრასთან მიტანის წინ შეგიძლიათ მოაყაროთ დარიჩინი. გადმოიღეთ ლანგარზე ფორმიდან. ცივიც გემრიელია და თბილიც. კარგად ინახება მაცივარში 2-3 დღე.

ასეთივე სუფლე შეგიძლიათ მოამზადოთ ბანანისგან, მსხლისგან ან გოგრისგან.

# არომატული საუზმე









**საჭირო ინგრედიენტები:** 2–3 ცალი კარტოფილი, 4-5 ნაჭერი ბეკონი, ცოტა ნიახური, ზეთისხილი, მარილი, პილპილი, უცხო სუნელი, ცოტა ზეთი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გათალეთ და ოთხად გაჭერით. თითოეულს შემოახვიეთ ბეკონი. ტაფაზე გაშალეთ გამოსაცხობი ქაღალდი. მოაყარეთ უცხო სუნელი და ნიახურის ფოთლები. დააწყვეთ ზემოდან ბეკონიანი კარტოფილი, მოაყარეთ მარილი, პილპილი, ზეთისხილი და მოასხით ცოტა ზეთი. მოათავსეთ აირღუმელში 180 გრადუსზე და 15 წუთში მზად იქნება.

# თევზი სტაფილოთი




**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ზღვის თევზი (ნებისმიერი), 2 ცალი სტაფილო, 1 თავი ხახვი, 200 გრამი არაჟანი, 2 სადილის კოვზი მაიონეზი, მარილი და პილპილი – გემოვნებით, ზეთი – შესაწვავად, კარტოფილის პიურე – გარნირად.

**მომზადების წესი:** თევზი გაასუფთავეთ, დაჭერით და ტაფაზე ზეთში კარგად შებრაწეთ. დაამატეთ მსხვილად გახეხილი სტაფილო, ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი და შუშეთ დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში. დაასხით არაჟნისა და მაიონეზის ნარევი, მოაყარეთ მარილი და პილპილი, დაახურეთ თავსახური და 15 წუთი გააჩერეთ ნელ ცეცხლზე. სუფრაზე მიიტანეთ კარტოფილის პიურესთან ერთად.



# „ჩიტის რძე“

**საჭირო ინგრედიენტები:** *ცომისთვის*: 3 ცალი კვერცხი, 100 გრამი შაქარი, 100 გრამი ფქვილი; *სუფლესთვის:* 5 კვერცხის ცილა, 200 გრამი შესქელებული რძე („სგუშჩონკა“), 100 გრამი კარაქი, 25 გრამი ჟელატინი, 120 მილილიტრი წყალი, 50 გრამი შაქარი, ვანილი – გემოვნებით; *მინანქრისთვის:* 100 გრამი შავი შოკოლადი, 80 მილილიტრი 35-პროცენტიანი ნაღები.

**მომზადების წესი:** კვერცხი და შაქარი ძალიან კარგად ათქვიფეთ, დაამატეთ გაცრილი ფქვილი, მოათავსეთ ქაღალდჩაფენილ, ცხიმწასმულ ფორმაში და აცხვეთ 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში, 25-30 წუთის განმავლობაში. სანამ ბისკვიტი შეგრილდება, მოამზადეთ სუფლე: ცალკე ათქვიფეთ დარბილებული კარაქი და შესქელებული რძე. ჟელატინს დაასხით ცივი წყალი და დადგით გასაფუებლად, 30-40 წუთის შემდეგ კი დაბალ ცეცხლზე გაადნეთ. კვერცხის ცილა ძალიან კარგად ათქვიფეთ ჯერ უშაქროდ, შემდეგ კი ნელ-ნელა შეათქვიფეთ შაქარი და ვანილი. ცილის მასას შეურიეთ დამდნარი ჟელატინი და შესქელებული რძის კრემი. ბისკვიტი გაჭერით, შუაში მოათავსეთ სუფლე და ზემოდან დაადეთ ბისკვიტის მეორე ნაწილი. შოკოლადი დაამტვრიეთ და ნაღებთან ერთად გაადნეთ ორთქლის აბაზანაზე. ტორტს გადაუსვით შოკოლადის მინანქარი და შედგით მაცივარში, რომ კარგად გამაგრდეს.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 30 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ვინეტუ - 2"** 17.00 დ/ფ თანამედროვე იარაღი" 18.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 "მეხსიერება" 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) 00.40 მხ/ფ **"სიამაყე და დიდება"** (კ.ფარელი).

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35 ქრონიკა 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.25, 12.05 სერ. **"ცივი გული"** 12.30, 13.03 ღამის შოუ 14.40, 15.05 ღამის შოუ 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ: ეკა ხოფერია 00.00 მხ/ფ **"შეშლილი სილამაზე"** (ჯ.ერნანდესი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. 01.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.15 მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** 2 სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.10 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 ღია აუდიტორია 12.50 დოკ/ფ **"ღვინის ქურდები"** 13.35 დოკ/ფ "ვასილ ამაშუკელი" 13.50 მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** 3 სერ. 14.45, 21.55 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - რიჩარდ კლაიდერმანი 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"რაჭა-ჩემი სიყვარული"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "წმინდა დიდმოწამე დედოფალი შუშანიკი" 23.40 დოკ/ფ "ხაბაზები" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** 3 სერ.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). 7.40 მულტფილმი სონიკ- ს 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა. 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "რთული გზა"**. 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები"(გამ) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

## ხუთშაბათი 31 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"სამი მუშკეტერი"** 17.00 დ/ფ წყალქვეშა ომების წარმოების წესი" 18.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 დ/ფ დიზაინი" 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) 22.20 "უცნობი მუსიკა" 00.20 მხ/დოკ/ფ. **" ჰაჯი მურატი – ფილმი რომელიც არ დაიდგა"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25 ქრონიკა 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.25, 12.05 სერ. **"ცივი გული"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ. 14.40, 15.05 კაცების შოუ 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 13 სერ. (გ/ჩ) 01.00 მხ/ფ **"ბაარია"** (მ.მადე).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) 00.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.15 მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** 3 სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 09.05,18.05, 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ლექსით ქებათა ქება 10.45 დოკ/ფ "წმინდა დიდმოწამე დედოფალი შუშანიკი" 11.10 დოკ/ფ "ქვათახევი" 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"რაჭა-ჩემი სიყვარული"** 13.30 ქართული მულტფილმი 13.50 მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** 4 სერ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - აღდგომიდან ამაღლებამდე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"მზე შემოდგომისა"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 დოკ/ფ "უბისა" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ზღვარზე" გად. III 23.40 ჩვენი ფონდი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** 4 სერ.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). 7.40 მულტფილმი სონიკ- ს 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა. 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "რთული გზა"**. 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები".

## პარასკევი 1 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"სამი მუშკეტერი"** 17.00 დ/ფ ეგვიპტიდან" 18.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 "შეხვედრები მცხეთაში" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) 22.20 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.15 მხ/ფ **"ჩრდილოეთის ქვეყანა"** (შ.ტერონი).

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45 ქრონიკა 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.25, 12.05 სერ. **"ცივი გული"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40 იმედის გმირები 15.15 რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ — ღია ეთერი (პ/ე) 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** (გ/ჩ) 01.00 მხ/ფ **"უკვდავი კალასი"** (ჯ.აირონსი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** 4 სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "უბისა" **11.00** "ზღვარზე" გად. III **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მზე შემოდგომისა"** **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** **5** სერ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -გია ყანჩელი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "ფთილა" **19.40** მხ/ფ **"რეკორდი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"რაც ოთარი წავიდა"**.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.30** გადაცემა "პულსი (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## შაბათი 2 ნოემბერი

**08.00** ან/ფ "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" **10.00** "პეპე და მეგობრები" **11.00** საბ. ან/სერ. **"დაქ დოჯერსი"** **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: "თეატრალურის კვარტეტი და მეგობრები" "შვიდკაცა" და "ალილო" "სერგეი მანუკიანი ქართველ მუსიკოსებთან ერთად **14.30** დ/ფ მსოფლიო ოდისეები" **16.30** ქართ. მხ/ფ **"ვირთხა"** **18.00** "ეტალონი" **19.00** დ/ფ არქიტექტურა" **19.30** "გურმანია" **21.00** "სოციალური თოქ შოუ" (პ/ე) **22.20** "წითელი ზონა" **23.20** მხ/ფ **"მდევარი"** **01.30** დ/ფ მსოფლიო ქალაქები".

**08.00** ან/ფ "ავატარი" **08.25** მხ/ფ **"ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა"** **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **13.00** მისია სტუდენტი **14.30** ახალი ქართული ხმა (**29.10.13** გ/ჩ) **17.50, 19.05** სერ. **"უდანაშაულო"** **20.55** ფულთან თამაში **22.00** ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** **23.00** კაცების შოუ **00.00** სერ.**"კამორას კლანი"** **01.00** მხ/ფ **"სიბრმავე"** (დ.გლოვერი) (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.00** ეკი ვოკი. (გ/ჩ) **11.00** იღბლიანი ბორბალი. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები. **15.30** "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) **18.50** გააცინე და მოიგე. **20.00** სერ. **"ნათია და ნათია"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **23.00** რა? სად? როდის? **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** დოკ/ფ "ანტიკური ქალაქები" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"რეკორდი"** **13.10** დოკ/ფ "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა **"აიდა"** (გია გაგნიძე) **18.10** საქართველოს ქალაქები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** დოკ/ფ "გარდაცვალება,მარადიული სიცოცხლის დასაწყისი" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ **"ჩემი მშვენიერი ლედი"** **1** სერ.

**7.00, 0.00, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი ტრონი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "ასი"**. **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00 სერიალი "სკანდალი"** **1.00, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

## კვირა 3 ნოემბერი

**08.00** ან/ფ. "პატარა დოდო" **10.00** "ეტალონი" **10.55** საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.30** ქარ. მხ/ფ **"ალავერდობა"** **16.30** დ/ფ დიზაინი" **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** მხ/ფ **"სანამ მოკვდები"** (მ.ფრიმანი) **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "სპექტაკლის დრო" – სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: "კუკარაჩა" **23.50** მხ/ფ **"სექსი დიდ ქალაქში"** (ს.ჯესიკა პარკერი).

**07.30** ან/ფ "ავატარი". **08.30** მხ/ფ **"ასტერიქსი და ობელიქსი ოლიმპიურ თამაშებზე"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** **13.00** სერ.**"ჰანა მონტანა"** **14.30** იმედის გმირები **15.00** ქ.მხ/ფ **"მე" ბებია" ილიკო და ილარიონი"** **17.40, 19.05** ცეკვავენ ვარსკვლავები (**24.10.13** გ/ჩ) **20.55** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე **00.00** მხ/ფ **"კარლიტოს გზა"** (შ.პენი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **09.00** მხ/ფ **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე. **14.00** ეკი ვოკი. **15.30** ნიჭიერი - გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** სერ. **"ნათია და ნათია"** **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **23.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ **03.00** კურიერი.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ზოლიანი დოღი"** **13.40** ქრისტიანული ხელოვნება **14.20** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ **"პასტორალი"** **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** მხ/ფ **"ჩემი მშვენიერი ლედი"** **2** სერ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** "ფარული კამერა" **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 17.00, 18.00, 20.05, 01.35, 23.35, 04.05** ახალი ამბები **8.05, 9.05** მულტფილმი "ტრონი" (გამ) **9.30, 10.05, 11.05, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.10, 19.00, 0.30 სერიალი "ასი"** **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.00** კვირის აზრები **20.50 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **22.05 სერიალი "სკანდალი"** **23.05** "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება (გამ) **0.05, 2.05, 4.35** "კინო მაესტროზე".

### ვერძი



ხშირი კონტაქტების დროა. უცხოელებთან ურთიერთობა დაგეხმარებათ საკუთარი თავისა და ადგილის პოვნაში. პირად ცხოვრებაში შესაძლებელია გათავისუფლდეთ ძველი კავშირებისგან და წამოიწყოთ ახალი სასიყვარულო ურთიერთობა. არ გადაღალოთ ორგანიზმი უძილობითა და დიეტებით.

### კურო



პროფესიულ საქმეებსა და კარიერულ ზრდაში დაგეხმარებათ ცოდნის გაღრმავება და მოთმინება. შესაძლოა, მიიღოთ მატერიალური მოგება დამატებითი სამუშაოსგან, რომანტიკული ურთიერთობა კი მეტად სერიოზულ ფაზაში შევა, რაც მეტ სიამოვნებას მოგგვრით. ნუ გადაღლით ორგანიზმს წვრილმან პრობლემებზე ნერვიულობით.

### ტყუპები



თავს სანაქებოდ იგრძნობთ და მოგინდებათ ბევრი საქმის ერთდროულად შესრულება. ფინანსური მოგება დამოკიდებული იქნება ფარულ საქმეებსა და მოლაპარაკებებზე, თუმცა, არ გირჩევთ დამოუკიდებლად მოქმედებებს. ეცადეთ, მეტი ყურადღება მიაქციოთ საყვარელ ადამიანს. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

### კირჩხიბი



ოჯახური პრობლემების გამო ნუ ინერვიულებთ – ეს მალე მოგვარდება. არსებობს ახალი სასიყვარულო ურთიერთობის წამოწყების შანსი. კარგი დროა დამატებითი ცოდნის მისაღებად. პროფესიონალურ სფეროში კი, თქვენი გამოცდილების გათვალისწინებით, წარმატებებს ადვილად მიაღწევთ.

### ლომი



გაიზრდება საინტერესო ხალხთან ურთიერთობის სიხშირე. ნუ მიენდობით უცხოელებს და ახლად გაცნობილ ადამიანებს, რადგან, დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ ინტრიგებს, ფარულ გარიგებებს, რისკსა და ახალ შემოთავაზებებს. სასიყვარულო სფეროში კი ურთიერთობა სტაბილური იქნება.

### ქალწული



ბევრ დროს დაუთმობთ პროფესიულ საქმეებს, შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს. ამ დროს ყურადღება მიაქციეთ ყველა წვრილმან დეტალს. ნუ იქნებით უხეში საყვარელ ადამიანთან და დროულად მოძებნეთ გზები კრიტიკული სიტუაციიდან თავის დასაძვრენად, რათა თავიდან აირიდოთ სკანდალები.

### სასწორი



იმოქმედეთ წინდახედულად, რათა ფარულმა მტრებმა მახე არ დაგიგონ. არ დაარღვიოთ კანონი. საყვარელ ადამიანთან და ახლობლებთან იყავით მეტად დიპლომატიური. ასე უფრო ადვილად მიაღწევთ საწადელს. თუ გრძნობთ, რომ ორგანიზმი დაგისუსტდათ, დროულად მიმართეთ ექიმს.

### მორიელი



მატერიალური მდგომარეობის არასტაბილურობის გამო, ნუ ეცდებით ახალი საქმის წამოწყებას ან დიდი ფულის დახარჯვას. მოაგვარეთ ადრე დაწყებული საქმეები. ეს კარგი დროა უცხოელებთან საკონტაქტოდ. არსებული სასიყვარულო კავშირი კი, შესაძლოა, გარშემო მყოფების განხილვის საგანი გახდეს.

### მშვილდოსანი



დაბალი ენერგობალანსის გამო, დამღლელი აღმოჩნდება ბევრ ხალხთან ურთიერთობა. მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად, დროულად დაიყენეთ გვერდით თანამოაზრეები. ასევე, დაამყარეთ ახალი პარტნიორული კავშირები. სასიყვარულო სფეროში კი დროულად გაარკვიეთ ურთიერთობებში არსებული გაუგებრობები.

### თხის რქა



შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ცოდნის გაღრმავება. მოგიწევთ საოჯახო საქმეებში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, ვისთანაც მომავალში დიდი სასიყვარულო გრძნობა გაგიჩნდებათ.

### მერწყული



კარგია ახალი გამოცდილებების მიღება. ეცადეთ არ დახარჯოთ ზედმეტი ენერგია და ნურც გარშემო მყოფების მოხიბვლას ეცდებით ზედმეტი ინიციატივის გამოჩენით. კარგია უცხოელებთან კონტაქტი და მოლაპარაკებები. ახალი სასიყვარულო კავშირის დამყარებით კი მთლიანად შეცვლით თქვენს ცხოვრებას.

### თევზები



საქმეებს დაასრულებთ, გაიძლიერებთ იმუნიტეტს და შესაბამის მოგებასაც ნახავთ. ეს ჰარმონიული პერიოდია, ალსავსე ენერგიულობითა და შემოქმედებითი იდეებით. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა და დასვენება. გაიზრდება შემოსავლებიც. თუმცა, არ გირჩევთ მოგზაურობას.

**ახალმთვარეობა – 3 ნოემბერი, 12 სთ: 47 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ზუსტად ჩამოაყალიბეთ აზრები და რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკეთ. სექსუალური ენერგიების მომატების დღეა. ნუ გარისკავთ მოქმედებებისას და ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. მეტი დრო გაატარეთ ოჯახში. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან ჩალისფერი სამოსი; ქვებიდან კი ბრილიანტი, ქარვა, მთის ბროლი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ხელშეკრულებების დადება, ადგილსამყოფელის შეცვლა. კარგია იურიდიული საქმიანობა, ახალი სამსახურის დაწყება, მშენებლობა, თმის შეჭრა, გართობა. სუსტდება გულსისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი

გადაამოწმეთ ყველა ფაქტი და მოვლენა, რაც თქვენ გარშემო ხდება. დაეყრდენით ინტუიციას. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, მწვანე, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ოპალი ან ქრიზოპრაზი. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. კარგია მშენებლობა, ინტიმური კონტაქტები, საფინანსო და საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. არ ვარგა გამოცდების ჩაბარება, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი

გამოავლინეთ მეტი კეთილშობილება. ნუ გადაწყვეტთ დაშორებას საყვარელ ადამიანთან და საქმიან პარტნიორებთან. ატარეთ ყავისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ზურმუხტი, ონიქსი ან მალაქიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, სწავლა, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ნუ დაუშვებთ შეცდომებს, თორემ, მათი გამოსწორება გაგიჭირდებათ. სირთულეებია მოსალოდნელი პარტნიორულ ურთიერთობებში. მოერიდეთ ახალ ნაცნობობას, გამოცდების ჩაბარებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ მწვანე, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი ან ჩალისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ყვითელი ან მწვანე იასპი, ლაზურიტი ან ჟადეიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, თირკმელები, ყელი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### პარასკევი

მოერიდეთ დაპირებების გაცემას. შესაძლებელია უცაბედი ცვლილებები ბედ-იღბალში. ეცადეთ, შეინარჩუნოთ შინაგანი ღირსება. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი ან საფირონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, კულტურული ღონისძიებების მოწყობა. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

ხვალინდელი მზის დაბნელების წინ, იყავით ფრთხილი და წინდახედული. არ აჰყვეთ პროვოკაციებს. მოერიდეთ ფიზიკურ და ემოციურ გადაძაბვა-დატვირთვას. მომატებს ეჭვიანობა, ძალადობა, შური, კონფლიქტების ალბათობა. კარგია კონტაქტი ახლობლებთან. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ჩალისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ჟადეიტი, ნეფრიტი, აკვამარინი ან ფირუზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია გართობა, შემოქმედებითი ურთიერთობები და მეგობრებთან ურთიერთობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, შარდსასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

ამ დღის მზის დაბნელება და ახალმთვარეობა – მძიმე კოსმიური ენერგიებისა და მოვლენების დღე, რაც მეტად განაპირობებს აგრესიას, დეპრესიას, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ჯანმრთელობის გაუარესებასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს, მათ შორის – ტრავმებსა და ავარიებს. ამიტომ, იყავით მეტად ფრთხილი და წინდახედული. მოერიდეთ ახალი ნივთების შეძენას. მაღალია სექსუალური ძალადობის ალბათობა. ასევე, მოერიდეთ ახალ საქმეებს, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას, თმის შეჭრას. ატარეთ თეთრი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, გიშერი, ამეთვისტო, ზურმუხტი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ასათიანი-ასათიშვილი

ქართულ საგვარეულოებს შორის **ასათიანებს** ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავთ. აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერებაში გვარის ვინაობა-სადაურობაზე. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ გვარს, ბევრ სხვა ქართულ გვართა მსგავსად, ფუძედ დასდებია უცხო სიტყვა. გვარის ფუძეა არაბული სიტყვა **ასათ** (ქართულად – ლომი), რომელიც საუკუნეების წინ შემოუტანიათ ჩვენთან. საკუთარი სახელი **ასათ** დასდებია საფუძვლად გვარებს: **ასათისძე, ასათიშვილი, ასათიანი.**

იოანე ბატონიშვილის აღწერის მიხედვით, **ასათიანები** იყვნენ **ასათისშვილები**, ხოლო **ასათიშვილები** კი – ვაჩნაძიანთ გვარისანი, ხორნაბუჯელნი.

**ასათიანისა** და **ასათიშვილის** იგივეობა ეჭვს არ იწვევს.

სახელით **ასათ**, არაერთი ცნობილი წინაპარიც გვყავდა ქართველებს.

**ასათიშვილთა** და **ასათიანთა** გვარს წინ უსწრებდა უძველესი გვარი, ფორმით – ასათისძე. ვახუშტი ბატონიშვილი ქვეთავში – „მთავართა გუართათვის" – წერს: „გუარნი მთავართა მათ ძველთანი არიან: ქობულისძე, **ასათისძე**, კარიჭისძე..."

ერთ-ერთი მოსაზრებით, ხორნაბუჯიდან **ასათისძენი** დასავლეთ საქართველოში გადასულან და ლეჩხუმამდე მიუღწევიათ. ისე კი, მათ გადასვლას ლიხთ-იმერეთში ვარაუდობენ მეთორმეტე საუკუნის 70-იან წლებში.

ლიხთ-იმერეთის თავადურ საგვარეულოთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს **ასათიანთა** გვარი. აქ **ასათიანები** ჩანან ქვეყნის ყველა კუთხეში: იმერეთში, გურიაში, ლეჩხუმში, სვანეთში, დადიანების კარზე.

ლეჩხუმში დამკვიდრებული სამეფო აზნაურები უნდა იყვნენ ძველი და არდაშელი **ასათიანები**, რომელნიც, სარგის კაკაბაძის ვარაუდით, მეთხუთმეტე საუკუნის სასისხლო სიგელში გვხვდებიან. ამ დროს ისინი მეფის წინაშე „დიდად ერთგული აზნაურიშვილები" ყოფილან.

**ასათიანთა** ერთი შტო სვანეთშიც არის და ისინი თავადებად მოიხსენიებიან.

იმერელ **ასათიანებში** დაწინაურებულად ჩანს ლულუნასშვილი – ბერი **ასათიანი**.

საქართველოში 3 716 **ასათიანი** ცხოვრობს: თბილისში – 1 160, ქუთაისში – 1 113, წყალტუბოში – 214. არიან სხვაგანაც.

### სუსუნიაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის მეტსახელი, კერძოდ, გვხვდება მამაკაცის მეტსახელები: **სუსუნა, სუსნია, სუსუნიკა**; ასევე, გვხვდება ამ მეტსახელებისგან ნაწარმოები გვარი – **სუსუნიკაშვილი.**

ამ გვართან დაკავშირებით ალექსანდრე ღლონტი წერს, რომ მეტსახელიდან **სუსუნიკა** გაჩნდა და მომდინარეობს გვარი – **სუსუნიშვილი**.

საქართველოში 75 **სუსუნიაშვილი** ცხოვრობს: კასპში – 52, თბილისში – 14, ოზურგეთში – 2. არიან სხვაგანაც.

### მაძღარაშვილი

ამ გვართან დაკავშირებით, ილია მაისურაძე წიგნში „ქართული გვარ-სახელები" წერს: „**მაძღარა** – მეტსახელი გვარებში: **მაძღარაძე, მაძღარაშვილი".** სამწუხაროდ, ამ გვართან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა, კვლევა-ძიება გრძელდება.

საქართველოში 455 **მაძღარაშვილი** ცხოვ-




რობს: დედოფლისწყაროში – 212, თბილისში – 99, რუსთავში – 42. არიან სხვაგანაც.

### ქაჯაია

**ქაჯა** ეთნონიმური წარმოშობის სახელი უნდა იყოს: **ქაჯეთის** ციხე, **ქაჯები. „ქაჯი** – მაცთურთა რასმე იტყვიან. საეშმაკოთა, ვითარცა მინოთა, ჭინკათა, ალსა, კორვიანტსა".

რუსეთის მთავრობამ **ქაჯაიები** აზნაურებად ცნო და იმერეთიდან საგვარტომო წიგნში შეიტანა ისინი.

ნაჟანეულის საკათალიკოსო ბეგარის ნუსხაში, მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს, მოიხსენიება შია **ქაჯაია**.

ქუთაისის მაზრის მიხაილოვის სახელობის მემამულეთა ბანკს აუქციონზე გამოაქვს მემამულე გიორგი ტარიელის ძე **ქაჯაიას** მამული სოფელ ჭაგანში: „ვენახი, სახნავი მიწა და ტყე – 800 კვადრატული საჟენი დესეტინა, კაპიტალური ვალი – 871 მანეთი და 16 კაპიკი, გადაუხდელი თანხა – 45 მანეთი და 48 კაპიკი, სულ – 916 მანეთი და 64 კაპიკი".

გვარი მრავალრიცხოვანია. ის შესულია საქართველოში 25 000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 157-ე ადგილზეა.

საქართველოში 3 585 **ქაჯაია** ცხოვრობს: თბილისში – 872, მარტვილში – 644, ზუგდიდში – 355. არიან სხვაგანაც.

### ქილიფთარი

ქართველთა გვარებში გვარის მწარმოებლად გამოყენებულია სუფიქსები: **არი, ური, ული.** ასეთებია: **ქალანთარი** – კალანტარი, გვარად ქცეული თანამდებობის ტერმინი („კალანტარი" – სპარსულია და „პოლიციის უფროსს", „ქალაქის თავს" ნიშნავს). ქალუნდარი კი ხევსურეთში წარმოიშვა საკუთარი სახელისგან – ქალუნდა.

გვარზე **ქილიფთარი** ილია მაისურაძე „ქართულ გვარ-სახელებში" წერს: „**ქილიფთარი**, სილაური, ცრემლის ხიდი; **ქილიფთარი** (სპარსული), ზოგადი მნიშვნელობით – „მნე სასმელისა, „პირის მელვინე".

ზოგი **ქილიფთარი** ამბობს, ჩვენ ბერძნები ვართო და გული იქით მიუწევთ. ჰგონიათ, რომ მათი წინაპრები საბერძნეთიდან იყვნენ, თავად კი მიგრირებულები არიან საქართველოში, კერძოდ გურიაში. შესაძლოა, ასეც იყოს.

საქართველოში 404 **ქილიფთარი** ცხოვრობს: ოზურგეთში – 256, თბილისში – 38, ლანჩხუთში – 37. არიან სხვაგანაც.

### გოჩაშვილი

დროთა ვითარებაში გვარშეუცვლელი დავითაშვილები, თამაზიშვილები, ბაგრატაშვილ-ბაგრატიშვილები, ელიზბარიშვილები, **გოჩაშვილები**; თავისთავად, ბაბადიში-ბაბადიშვილები, ისეთივე ბაგრატიონები არიან. ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) „ქართლის ცხოვრების" თავის დაწერილ მეოთხე ტომში წერს: „ხოლო მუხრანის ბატონი და **გოჩაშვილი**, აწ მთავარნი, არამედ გუარნი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილნი არიან".

საქართველოში 611 **გოჩაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 249, გორში – 187, ქარელში – 90. არიან სხვაგანაც.

### მიქელაძე

**მიქელა** კაცის საკუთარი სახელია. აქედან არის ნაწარმოები გვარები: **მიქელაძე, მიქელავა, მიქელაია, მიქელაიშვილი, მიქელბაია, მიქელთაძე** და ასე შემდეგ.

**მიქელაძეები** დიდი თავადები იყვნენ.

**მიქელა** ძველ ებრაულ ენაზე ღვთის სწორს, ღვთაებრივს ნიშნავს.

„აზნაური **მიქელაშვილის** წინაპარნი არიან იმერელი **მიქელაძეების** სახლის შვილთაგანნი, მდაბალ აზნაურად მიღებულნი, რომელნიც მოჰყვა ზითევსა შინა **მიქელაძის** ასულსა დედოფალს ხვარაშანს, მეუღლესა გიორგი მეფისასა და მუნიდგან არიან ცნობილ აზნაურად **მიქელაშვილებად** 1685 წელსა და მოხსენიებულია ტრაქტატსა შინა".

საქართველოში 721 **მიქელაძე** ცხოვრობს: თბილისში – 163, ოზურგეთში – 109, ყვარელში – 67. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# დიეტა მათთვის, ვისაც პანკრეატიტი აწუხებს

პანკრეატიტის მკურნალობისას, მედიკამენტების მიღებასთან ერთად, აუცილებელია დიეტის დაცვა (ცხადია, მკურნალობაც და დიეტაც უნდა იყოს ექიმის დანიშნული და არა თვითნებური).

მწვავე პანკრიასის ან ქრონიკული პანკრეატიტის გამწვავებისას, პირველი ორი დღის განმავლობაში საერთოდ არ უნდა მიიღოთ საკვები. რეკომენდებულია, დღეში ექვსჯერ, პატარა ყლუპებით დალიოთ თითო ჩაის ჭიქა გაზგასული „ბორჯომი“, ასკილის ან ჩაის სუსტი ნაყენი, მომდევნო 5-7 დღის განმავლობაში კი ინიშნება მკაცრი, ნაკლებკალორიული დიეტა.

ქრონიკული პანკრეატიტით დაავადებულთა დიეტა რემისიების პერიოდში უნდა იყოს საკმაოდ კალორიული (2 500-2 800 კილოკალორია დღეში) და სრულფასოვანი, ოღონდ, ცხადია, უნდა გამორიცხოთ ღორისა და ცხვრის ხორცი, შემწვარ-მოხრაკული, ცხარე და მწარე საკვები. რაციონში ცილების შემადგენლობა უნდა გაიზარდოს 100-120 გრამამდე, ნახშირწყლების რაოდენობა კი აუცილებელია, შეამციროთ 300-500 გრამამდე, რაც უმთავრესად უნდა მოხდეს ადვილად შესათვისებელი შაქრის შემცველი პროდუქტების – თაფლის, კანფეტის, მურაბისა და სხვა ტკბილეულის ხარჯზე. უნდა შეზღუდოთ ცხიმის მიღებაც.

კვების რაციონიდან გამორიცხეთ ისეთი პროდუქტები და ულუფები, რომლებიც აღიზიანებს ნაწლავებისა და კუჭის ლორწოვან გარსს. კერძები უნდა მომზადდეს გატარებული ან გახეხილი სახით. მთლიანად გამორიცხეთ შემწვარი კერძები.

**რეკომენდებულია**:

ა) წინა დღეს გამომცხვარი ხორბლის პური – დღეში 200-300 გრამი.

ბ) ვეგეტარიანული სუპი გახეხილი ბოსტნეულით (თეთრი კომბოსტოს გარეშე), რომელსაც შეგიძლიათ, ჩაუმატოთ ცოტაოდენი არაჟანი ან ზეთი.

გ) საქონლის, ქათმის ან ინდაურის მოხარშული მჭლე ხორცი ან მათგან მომზადებული კატლეტები (ორთქლზე).

დ) ხაჭო და უმარილო ყველი.

ე) დაფქული „ჰერკულესის“, წიწიბურას, ვერმიშელის, მაკარონის, ბრინჯის ფაფები (წყალზე).



ვ) ბოსტნეულიდან კარტოფილის, სტაფილოს, გოგრის, ყვავილოვანი კომბოსტოს, ჭარხლისგან მომზადებული კერძები მოხარშული და გახეხილი სახით.

ზ) ვაშლი, გახეხილი ხილის სახელდახელო კომპოტები, სუსტი ჩაი ლიმონით, ასკილის ნაყენი.

აკრძალულია: ღორის, ცხვრის, თხის, იხვის, ბატის ხორცი და მათგან დამზადებული ბულიონი; ნებისმიერი მსუქანი ხორცი, ყოველგვარი კონსერვი, ძეხვეული, მწნილი, სუნელები, სოკო, თეთრი კომბოსტო, მჟაუნა, ბოლოკი; ასევე, გაუხეხავი ხილი და ბოსტნეული, მაგარი ჩაი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი, ახალი პური (ნებისმიერი), ნაყინი, გაზიანი სასმელები, ალკოჰოლი სიგარეტი.

ულუფა, რომელსაც თითო ჯერზე მიირთმევთ, უნდა იყოს თბილი (არც ცივი და არც ცხელი არ შეიძლება). იკვებეთ დღეში 5-6-ჯერ, მცირე ულუფებით და თითოეული ლუკმა კარგად დაღეჭეთ.

ამ დიეტის დაწყებამდე აუცილებლად მიმართეთ ექიმს და გაითვალისწინეთ მისი რჩევები.

# პიტნა - სილამაზისა და ჯანმრთელობის სამსახურში

***ამ საოცრად სურნელოვანი და არომატული მცენარის სარგებლობის შესახებ, ალბათ, ყველას გაუგონია, მაგრამ, ცოტამ თუ იცის მისი მრავალფეროვანი უნარისა და დანიშნულების შესახებ. სწორედ ამაზე მოგითხრობთ ამ ნომერში.***

თუ თავი აგტკივდათ, არ იჩქაროთ წამლების დალევა. უმჯობესია, პიტნიანი ჩაი მიირთვათ – ტკივილი მალე გაგივლით.



სხვა მწვანილებთან ერთად, აუცილებლად გამოიყენეთ პიტნა სალათებში, სოუსებსა და სუპებში. ამით, გარდა იმისა, რომ კერძებს გააგემრიელებთ, მოგეხსენებათ დაძაბულობა და გაღიზიანება.

მასაჟის გაკეთების დროს, სპეციალურ ზეთს შეურიეთ პიტნის ნაყენი და მთელ ტანზე შეიზილეთ. ეფექტს მაშინვე იგრძნობთ – დაღლილობა და მოთენთილობა თვალსა და ხელს შუა გაქრება.

პიტნის ჩაი, ასევე, სასარგებლოა ტაქიკარდიისა და მჟავიანობის მომატების დროს, ხოლო, პიტნის ინჰალაცია ხსნის სასუნთქ ორგანოებს და ასუფთავებს ფილტვებს.

პიტნის ნაყენით სახის გაწმენდა ან კომპრესი მისწრებაა კანისთვის – ის აახალგაზრდავებს მას და ხელს უშლის ნაადრევი ნაოჭების წარმოქმნას. სხვათა შორის, ცნობილ რუსულ აბანოებში დღემდე გამოიყენება პიტნა – მისი ორთქლი არა მარტო სხეულისთვის არის სასარგებლო, არამედ, სპობს ჰაერში არსებულ ბაქტერიებს.

გთავაზობთ პიტნიანი დესერტის რეცეპტს, რომლითაც შეგიძლიათ, ხანდახან გაანებივროთ თავი. ამისთვის საჭიროა: ნახევარი ფილა შავი, მწარე შოკოლადი, 100 მილილიტრი ნაღები, ნახევარი ლიმონი და 2 ღერი ნედლი პიტნა. ათქვიფეთ ნაღები. შოკოლადი გაადნეთ წყლის აბაზანაზე და გააცივეთ, შემდეგ კი შეურიეთ ნაღებს. ლიმონი გახეხეთ წვრილ სახეხზე (მხოლოდ ცედრაა საჭირო). პიტნა კი წვრილად დაჭერით და ორივე შეურიეთ შოკოლადიან მასას.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: სადღაც წავიკითხე, რომ სუფთა ჰაერზე სეირნობა სასარგებლოა სახის კანისთვის. რატომ?**

**პასუხი**: სუფთა ჰაერზე სეირნობა ყოველთვის და ყველაფრისთვის სასარგებლოა. ახლა, რაც შეეხება სახის კანს. საქმე ისაა, რომ კანისთვის აუცილებელია D ვიტამინი, რომელიც ანელებს დაბერების პროცესს და ხელს უშლის კანის ამა თუ იმ დაავადების წარმოქმნას. სეირნობა კი იმით არის კანისთვის აუცილებელი, რომ ამ დროს, მზის სხივების ზეგავლენით ხდება ჩვენს ორგანიზმში D ვიტამინის სინთეზირება. ამიტომ, ნუ დაიზარებთ და მზიან ამინდში 10-15 წუთი მაინც გაიარეთ ფეხით.

**კითხვა: როგორ უნდა შევამოწმო (კოსმეტოლოგის გარეშე) ჩემი სახის კანის ტენიანობა, სიმკვრივე და ელასტიკურობა?**

**პასუხი**: ტენიანობის შესამოწმებლად, ხელისგულები რამდენიმე წამით მჭიდროდ მიაჭირეთ ლოყებს (ცერი თითი ყურის ბიბილოს უკან უნდა მოექცეს) შემდეგ კი სწრაფი მოძრაობით მოაშორეთ ხელები სახეს. თუ ტენიანობა საკმარისია, იგრძნობთ, რომ თითქოს ხელები ოდნავ მიეწება სახის კანს. თუ ეს არ მოხდა, ესე იგი, სასწრაფოდ უნდა მიიღოთ ზომები კანის დასატენიანებლად. ცხადია, ამ პროცედურის ჩასატარებლად სახე უნდა იყოს გაწმენდილი და მშრალი.

კანის სიმკვრივის შესამოწმებლად ისევ ხელისგულები დაიდეთ ლოყებზე და კანი მსუბუქად გასწიეთ ყურებისკენ. თუ გაჩნდა ვერტიკალური ნაოჭები თვალების გარშემო (ან, უკვე არსებული ნაოჭები გაღრმავდა), ესე იგი, თქვენს კანს შველა სჭირდება.

ელასტიკურობის შემოწმება კი უფრო ადვილია: მსუბუქად იჩქმიტეთ ორივე ლოყაზე ერთდროულად და დააკვირდით, სწრაფად აღიდგენს თუ არა კანი საწყის მდგომარეობას. თუ ამ პროცესს ნახევარ წუთზე მეტი დასჭირდა, ესე იგი, ზომების მიღებაა საჭირო.

**კითხვა: როგორ შევახამო „ჩრდილების“ ფერები თვალების ფერთან?**



**პასუხი**: უნდა შეარჩიოთ კონტრასტული ფერები, მაგალითად: მწვანე თვალებს უხდება იისფერი, ქლიავისფერი, მუქი ლურჯი ფერის „ჩრდილი“ (ოღონდ, თხლად წასმული); ცისფერ თვალებს – ყავისფერი და მუქი მწვანე; თაფლისფერს – ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფერი.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# მრავალმხრივ განათლებული ქართველი ბოროტმოქმედი, მეტსახელად „პროფესორა“ „კაგებეს“ ჯაშუშის პოვნაში დაეხმარა

### მრავალპროფილიანი ბოროტმოქმედი

36 წლის კოტე ჩიხლაძე 1940 წელს იყო დაბადებული და მას მილიცია ეძებდა. თბილისელ კოტეს შავ სამყაროში „პროფესორას“ მეტსახელით იცნობდნენ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, ორი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და ინგლისური ენის სპეციალისტისა და ხელოვნებათმცოდნის დიპლომებს ფლობდა. ინგლისურის გარდა, ჩიხლაძე სრულყოფილად ლაპარაკობდა გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ და სპარსულ ენებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსულზე, აზერბაიჯანულზე, სომხურსა და ქურთულზე. ქართულად კი მშვენიერ ლექსებსა და ნოველებს წერდა და სრულყოფილად იცოდა ძველი ქართულით დაწერილი ოთხთავი. პროფესორა ბრწყინვალედ ერკვეოდა ხელოვნებაში, საუცხოოდ ხატავდა და უზადოდ შეეძლო ქვასა და ხეზე ჭრა. ეს მრავალმხრივად განვითარებული, მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი, მრავალპროფილიანი ბოროტმოქმედი იყო და, მძიმე, ძალადობრივი დანაშაულებების გარდა, ნებისმიერ კრიმინალზე მიდიოდა, თუმცა, ყველა დანაშაულს შემოქმედებითად უდგებოდა, რის საშუალებასაც კოტე ჩიხლაძეს მისი მრავალმხრივი განსწავლულობა და ტალანტი აძლევდა. პროფესორა, ძირითადად, ქურდობასა და თაღლითობას სჩადიოდა. მილიცია კი მას იმის გამო ეძებდა, რომ 1976 წლის 3 მაისს მოსკოველი იუველირის, აბრამ პენკინის ბინა გაქურდა. ჩიხლაძემ ჯერ ინტიმური კავშირი დაამყარა იუველირის ვნებიან მეუღლესთან – რიტასთან, შემდეგ მათი ბინის გასაღებები დაამზადა, სახლი პირწმინდად გაასუფთავა და მიიმალა. რადგან მილიციამ მშვენივრად იცოდა პროფესორას ხელწერა, „მურში“ რიტას ჩიხლაძის ფოტოები უჩვენეს, რომელშიც ქალმა თავისი გულისსწორი – „ბელორუსი ლიტერატორი“ ამოიცნო და მილიციამ კოტე ჩიხლაძეზე საკავშირო ძებნა გამოაცხადა.

**ჩიხლაძე სრულიად შემთხვევით დააკავეს ანაპაში – ის ვიღაც ქალმა შემთხვევით იცნო და მილიციას აცნობა**

### „იმპერიის სიმბოლო“

1976 წლის 8 სექტემბერს პროფესორა შავიზღვისპირა ქალაქ ანაპაში რიგითმა მილიციელმა დააკავა – კოტე ჩიხლაძე ვიღაც დამსვენებელმა იცნო, რადგან მისი სურათი ძებნილთა სტენდზე ჰქონდა ნანახი რკინიგზის სადგურზე. კოტე მზის სათვალით დადიოდა და ამგვარად იფარავდა სახეს, მაგრამ, იმ საბედისწერო დღეს, ის ბუკინისტურ მაღაზიაში იყო შესული, მზის სათვალე მოხსნილი ჰქონდა და რაღაც ძველ წიგნს ფურცლავდა. სწორედ იმ დროს შენიშნა ის ვიღაც ქალმა, რომელიც, ასევე, მაღაზიაში იმყოფებოდა, კოტეში ძებნილი ამოიცნო, ქუჩაში გავარდა და იქვე მდგარ ახალგაზრდა რიგით მილიციელს პროფესორა დააჭერინა.

– ყოჩაღ, გრიშკო, შენ ძალიან ცნობილი და საშიში ბოროტმოქმედი დააკავე და პრემია და მედალი სიფხიზლისთვის არ აგცდება, – უთხრა 23 წლის რიგით მილიციელს, სტეპან გრიშკოს, სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა ანტონ ვოლკოვმა, როდესაც პროფესორა ანაპის მილიციის სამმართველოში მიიყვანეს.

პროფესორა უკვე ერთი თვის განმავლობაში ცხოვრობდა ანაპაში 32 წლის ქვრივი ქალის, ანა სეროვას ბინაში. მანამდე კი კოტე ჩიხლაძემ ჩვეული მეთოდით ჩაიდინა ორი დანაშაული და, მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა ნაქურდალი ნივთი ფულად აქცია, სეროვას ეწვია ანაპაში და უდარდელად ცხოვრობდა. სეროვას ბინის ჩხრეკისას ანაპელმა მილიციელებმა 9 ათასი მანეთი აღმოაჩინეს, რომელიც კოტე ჩიხლაძემ მოპარული ნივთების სანაცვლოდ აიღო. ფულის გარდა, მილიციელებმა ბაჯაღლო ოქროსგან გაკეთებული, მეცხრამეტე საუკუნეში დამზადებული ოქროს არწივი იპოვეს. ნივთი 250 გრამს იწონიდა, ძალიან ლამაზი ნაკეთობა იყო და ამიტომ პროფესორამ ის თავისთვის დაიტოვა.



1976 წლის 11 სექტემბერს, ანუ, პროფესორას დაპატიმრებიდან სამი დღის მერე, კოტე ჩიხლაძე მოსკოვში გადააფრინეს და მის ბინაში აღმოჩენილი, მოპარული ოქროს არწივიც თან წაიღეს. 12 სექტემბერს, დილის 10 საათზე, პროფესორა გამომძიებელმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ვიქტორ მუხინმა გამოიძახა დაკითხვაზე. მუხინი კარგად იცნობდა კოტეს და მის მიმართ სიმპათიითაც კი იყო განწყობილი.

– როგორ ხარ, პროფესორო? – ჰკითხა მუხინმა ჩიხლაძეს, მან კი მიუგო:

– აბა, როგორ ვიქნები. თქვენც ხომ კარგად იცით, რომ ტუფტაზე ჩავვარდი და ახლა, ალბათ, რვა წელი მაინც მომიწევს ციხეში ჯდომა.

– კოტე, მომისმინე, – უთხრა მუხინმა პროფესორას, – ისე მოვაწყობ ყველაფერს, რომ რვაწლიანი სროკის ნაცვლად სულ რაღაც ორ წელს მოგისჯიან და, თუ გაგიმართლა, ერთ წელიწადში გარეთ გამოხვალ.

– ამის სანაცვლოდ რას მოითხოვთ ჩემგან?

მუხინმა კოტეს ოქროს არწივი დაუდო წინ და უთხრა:

– ეს ნაკეთობა მეცხრამეტე საუკუნეში დაამზადა ნაკლებად ცნობილმა გერმანელმა ოსტატ-იუველირმა ფრიც ნოიერმა და მას „იმპერიის სიმბოლო“ ეწოდება. შენ ზუსტად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა მომიყვე, როდის, სად და რა ვითარებაში ჩაგივარდა ეს ნივთი ხელში და ჩემი პირობა იმ წამსვე შევა ძალაში.

– მოსულა, – გაეცინა პროფესორას და მუხინის კაბინეტში გააბოლა...

### ძველი საქმე

მას მერე, რაც პროფესორა მუხინს ყველაფრის გულწრფელად მოყოლაზე დათანხმდა, გამომძიებლის კაბინეტში ორმოცდახუთიოდე წლის მამაკაცი შევიდა და ჩიხლაძეს ქართულად უთხრა:

– მე უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, მაიორი კოტე გიორგაძე ვარ და თქვენს საქმეს მე წავიყვან. გისმენთ, მომიყევით „იმპერიის სიმბოლოს“ ისტორია.

– შეიძლება ერთი შეკითხვა?

– ბრძანეთ, – უთხრა გიორგაძემ პროფესორას.

– მოქალაქე მაიორო, რადგან ამ ბარახლოთი უშიშროებაა დაინტერესებული, თანაც, ასეთ შეღავათებს მპირდებით, სულელიც მიხვდება, რომ ამ ოქროს არწივის უკან რაღაც სერიოზული საქმე იმალება და, არ შეიძლება, რომ საქმის კურსში ჩამაყენოთ? – უთხრა პროფესორამ მაიორს.

– პრინციპში, შეიძლება. ძველი საქმეა. ამ ათი წლის წინ, მოსკოვში ჩვენი კოლეგა, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმირ შიშკინი მოკლეს, მისი ბინა კი გაძარცვეს და, სხვა ნივთებთან ერთად ეს ოქროს არწივიც გაიტაცეს. ეს ნივთი შიშკინს 1945 წელს დრეზდენის მუზეუმიდან ჰქონდა ჩამოტანილი, როგორც ალაფი. საოცარი კი ისაა, რომ, გატაცებულ ნივთებს შორის, ეს ოქროს არწივი ყველაზე არაფასეული ნივთი იყო – მონეს, ლოტრეკისა და მოდილიანის ხუთ ცალ სურათთან შედარებით არაფერს წარმოადგენდა. ხელოვნებათმცოდნე ხარ და ჩემზე კარგად იცი, რომ, როდესაც ასეთი დონის სურათებს იპარავენ, ისინი სადმე აუცილებლად ამოტივტივდება, ჩვენ უკვე ათი წელია, მათ ვეძებთ და ვერსად

მივაგენით, უცებ კი ეს ოქროს არწივი გამოჩნდა. მაგრამ, მთავარი ამ საქმეში ისაა, რომ მოკლული გენერლის სახლიდან, სავარაუდოდ, ძალიან ძვირფასი, საიდუმლო საბუთები დაიკარგა და, სწორედ იმის გარკვევა გვინდა წაიღეს თუ არა ეს საბუთები ძვირფას ნივთებთან ერთად. ამას კი იმ შემთხვევაში დავადგენთ, თუკი მკვლელსა და ქურდს შევიპყრობთ, რაც ერთი და იგივეა, ანუ, ის ერთი და იგივე პიროვნებაა, – უთხრა გიორგაძემ ჩიხლაძეს.

გიორგაძემ ჩიხლაძეს არ გაუმხილა, საბჭოთა უშიშროების ეჭვი, რომ მკვლელმა გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმირ შიშკინის ბინიდან მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების ზესაიდუმლო სქემა წაიღო, რაც ატომური ომის დროს, ფაქტობრივად, დაუცველს ხდიდა საბჭოთა დედაქალაქსა და მის შემოგარენს. „ჩეკისტების“ აზრით, გენერლის ბინის გაქურდვა ინსცენირებული იყო, მთავარი მიზანი კი სწორედ ეს საიდუმლო დოკუმენტები იყო.

– არ გამიკვირდება, რომ მონე, ლოტრეკი და მოდილიანი დაწვეს და გაანადგურეს, ეს ბარახლო კი მხოლოდ იმიტომ შეინახა მკვლელმა, რომ ის ბაჯაღლო ოქროსგანაა დამზადებული, – უთხრა გიორგაძემ ჩიხლაძეს.

– მონეს, ლოტრეკისა და მოდილიანის ტილოების გამნადგურებელი ინკვიზიციის კოცონზე უნდა დაწვა, – უთხრა პროფესორამ გიორგაძეს, – ეს არწივი მე 21 ივლისს ლენინგრადში, გენერალ ანტონ ალექსეევის ბინიდან წამოვიღე. როგორც ყოველთვის, ჯერ მის ცოლთან გავერთე, შემდეგ კი, წინასწარ მომზადებული სქემის მიხედვით, ცარიელ სახლში შევედი, გავასუფთავე და დავითესე. ეს ნივთი საიდუმლო სეიფში იდო 23 ათას მანეთთან ერთად, რომელსაც კარადის უკან მივაგენი. სეიფში კიდევ რაღაც ქაღალდები ელაგა, მაგრამ, რა ჩემ ფეხებად მინდოდა...

## მონეს, მოდილიანისა და ლოტრეკის ხუთი შედევრი დაწვეს და გაანადგურეს

როგორც უშიშროებამ დაადგინა, ცოლ-ქმარ ალექსეევებს ქურდობის შესახებ არაფერი განუცხადებიათ მილიციისთვის. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ პოდპოლკოვნიკი ალექსეევი ათი წლის წინ მოკლული ვლადიმირ შიშკინის ადიუტანტი აღმოჩნდა, რომელიც თავისი შეფის მკვლელობის დღეს სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა ციმბირში, ანუ, რკინის ალიბი ჰქონდა და მაშინ, მისი პიროვნება ეჭვმიტანილთა სიაში არც კი შეუტანიათ.

– მდაა... როგორც ეტყობა, კვანძი იხსნება, – თქვა გიორგაძემ, როდესაც მოპოვებული ინფორმაციები გააანალიზა და მოქმედების გეგმა დასახა...

### აგენტი „რიგითი“

ანტონ ალექსეევი 1969 წელს, ანუ, გენერალ შიშკინის მკვლელობიდან სამი წლის მერე, ლენინგრადში გადაიყვანეს სამუშაოდ და გენერლობაც იქ მიიღო, 1976 წელს კი ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის სამოქალაქო თავდაცვის უფროსის პირველი მოადგილე გახდა.

გიორგაძის ჯგუფმა მასზე ოცდაოთხსაათიანი თვალთვალი დააწესა, 1976 წლის 10 ოქტომბერს კი, სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი, გრიმიანი გენერალი ერმიტაჟში იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც მან ამერიკის „ცეერუს“ თანამშრომელს, პაულ ნელსონს, სამოქალაქო თავდაცვის საიდუმლო საბუთები გადასცა. ალექსეევი „ცეერუს“ აგენტი, მეტსახელად „რიგითი“ აღმოჩნდა, რომელსაც უკვე ხუთი წელი იყო, უშედეგოდ ეძებდა საბჭოთა უშიშროება და, ვინ წარმოიდგენდა, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული საბჭოთა სისტემის მაღალჩინოსანი აღმოჩნდებოდა, მან ამერიკის სასარგებლოდ ჯაშუშობა აღიარა და თქვა, რომ გენერალი შიშკინი მისი მოკლული იყო.

– მე რკინის ალიბი მქონდა და როდესაც ჩემი ორეული, რომელიც ერთ კვირაში ააორთქლეს, ირკუტსკის სასტუმროს ნომერში ნებივრობდა, მე იმ დროს შიშკინს ვეწვიე, მოვკალი და საბუთები და ნივთები გავიტაცე. სურათები დავწვი, საბუთები კი ამერიკელებს გადავეცი და მხოლოდ ოქროს არწივი დავიტოვე, რომელმაც საბოლოოდ დამღუპა, – აღიარა ალექსეევმა.

– თქვენ სიხარბემ დაგღუპათ, გენერალო და დამსახურებულ სასჯელს მიიღებთ! – უთხრა ალექსეევს გიორგაძემ და პატიმარი საკანში დააბრუნა.

ალექსეევს სიკვდილი მიუსაჯეს და ჯაშუშობისთვის დახვრიტეს, პროფესორა კი პასუხისგებისგან გაათავისუფლეს. ის დღესაც ცოცხალია, მოსკოვში ცხოვრობს და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული „იმპერიის სიმბოლო“ შიშკინების ოჯახს დაუბრუნეს, მონეს, ლოტრეკისა და მოდილიანის ხუთი შედევრი კი აუნაზღაურებლად განადგურდა...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 28 ოქტომბერი

1636 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა ჰარვარდის უნივერსიტეტი.

1831 – მაიკლ ფარადეიმ წარმოადგინა პირველი დინამომანქანა.

1886 – გაიხსნა თავისუფლების ქანდაკება.

1886 – ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს „მშრალი კანონი“.

1921 – იტალიის სათავეში მოვიდა ბენიტო მუსოლინი.

1965 – რომის პაპმა პავლე მეექვსემ მოხსნა ებრაელებს „კოლექტიური ბრალი“ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯაში.

### 29 ოქტომბერი

ძველი წელთაღრიცხვით 539 – სპარსეთის მეფე კორისმა აიღო ქალაქი ბაბილონი.

1924 – ქალაქ ურგას დაერქვა ულან-ბატორი და გამოცხადდა მონღოლეთის დედაქალაქად.

1945 – ნიუ-იორკში მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანეს ბურთულებიანი კალმები, ისინი მაშინ 12 დოლარი ღირდა.

### 30 ოქტომბერი

1270 – დაიწყო ბოლო, მერვე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1943 – ფედერიკო ფელინისა და ჯულიეტა მაზინას ქორწინება.

1961 – თურქეთი დათანხმდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის ტერიტორიაზე განთავსებულიყო სამხედრო ბაზები.

### 31 ოქტომბერი

1815 – ინგლისელმა მეცნიერმა ჰემფრი დევიმ დააპატენტა მეშახტეთა უსაფრთხო სანათი (რკინის ცხაურით დაფარული).

1888 – შოტლანდიელმა ჯონ დანლოპმა დააპატენტმა ველოსიპედის რეზინის საბურავები.

1915 – პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე ინგლისელმა ჯარისკაცებმა თავის დასაცავად პირველად გამოიყენეს ფოლადის მუზარადები.

1951 – ლონდონის ქუჩებში პირველად გამოჩნდა ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელის აღმნიშვნელი „ზებრა“.

1961 – სტალინის ნეშტი გამოიტანეს მავზოლეუმიდან.

1992 – რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ მოახდინა გალილეო გალილეის რეაბილიტაცია – მოხსნა მას ყველა ბრალდება, რაც თავის დროზე (1633 წელს) ინკვიზიციამ წაუყენა.

### 1 ნოემბერი

1512 – მიქელანჯელომ დაასრულა მუშაობა „სიქსტის კაპელაზე.“

1604 – ლონდონში განხორციელდა შექსპირის „ოტელოს“ პირველი დადგმა.

1755 – უძლიერესმა მიწისძვრამ და მას მოყოლილმა ცუნამიმ მიწასთან გაასწორა პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი.

1897 – ტურინში დაარსდა საფეხბურთო კლუბი „იუვენტუსი“.

1922 – არსებობა შეწყვიტა ოსმალეთის იმპერიამ, თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

### 2 ნოემბერი

1871 – ინგლისში პირველად დაიწყეს დამნაშავეთა კარტოთეკის შექმნა.

1947 – თავისი პირველი და უკანასკნელი ფრენა განახორციელა მსოფლიოში ყველაზე დიდმა თვითმფრინავმა – ჰოვარდ ჰიუზის „ჰერკულესმა“.

### 3 ნოემბერი

1888 – ამ დღეს ლონდონში „ჯეკ მფატრავმა“ ჩაიდინა თავისი უკანასკნელი მკვლელობა.

1954 – იაპონიის ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „გოძილა“.

1957 – საბჭოთა კავშირმა პირველად გაუშვა თანამგზავრი მასზე ცოცხალი ორგანიზმით – ძაღლით.

**მამუკა ლიპარტელიანი თითქმის 11 წელია, უცხოეთშია, და თან, საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან წარმატებულად საქმიანობს საბერძნეთში, ცოტა ხნის წინ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა და მეგობრებთან ერთად, ახალი სატელევიზიო პროექტების განხორციელება დაიწყო, რომლებიც აჭარის ტელევიზიით გავა და ქართულ სატელევიზიო სივრცეში ერთგვარი „რევოლუციაც“ იქნება.**

# რატომ ათამაშებდნენ მამუკა ლიპარტელიანს ბერძნულ სერიალებში მკვლელის, აფერისტის როლს და როგორ შედგა მისი და ცნობილი მომღერლის, ვოკალის პედაგოგის – ჯული მასინოს რომანი

**მამუკა ლიპარტელიანი**: დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი, სამსახიობო ფაკულტეტი. როდესაც მეხუთე კლასში ვიყავი, მქონდა ასეთი მიზანი: ღმერთო, ისე არ მომკლა, ტელევიზიაში რომ არ დავიწყო მუშაობა და კიდევ, ირმა სოხაძე არ გავიცნო-მეთქი. 17 წლის ვიყავი, როცა მივედი ჩემი გადაცემით „პირველ არხზე“ – საავტორო გადაცემა მქონდა ფესტივალებში გამარჯვებულების შესახებ. ირმაც გავიცანი, დავმეგობრდით... მოკლედ, ორივე ოცნება ამისრულდა – 22 წელი ტელევიზიაში ვმუშაობ. ვიყავი ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის კონფერანსიე. ძალიან ბევრი პროგრამა მიმყავდა, შემდეგ რატომღაც გადავედი სოცუზრუნველყოფის სამინისტროში, მინისტრის თანაშემწედ. თუმცა, ძირითადად, მაინც სატელევიზიო გადაცემებზე ვიყავი ორიენტირებული. მქონდა ჩემი ორი სატელევიზიო პროექტი: „მუსიკალური იმპულსი“ და „ტრამპლინი“. საქართველოში ჩემი ბოლო პროექტი იყო ტელე-მუსიკალური გადაცემა „ბალანჩინი“, სადაც ყოველ ხუთშაბათს იმართებოდა სალონური საღამოები, მყავდა სტუმრები და ყოველ შაბათს გადაცემა გადიოდა ეთერში. ჩემი გადაცემის ბოლო სტუმარი სოფიკო ჭიაურელი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად ვიყავი ჩართული სატელევიზიო და კულტურულ ცხოვრებაში, შემოქმედებითად ვერ ვიზრდებოდი. იმ დროს საბერძნეთში იყო მიგრაცია დაწყებული და მეც წავედი. მოკლედ, სკოლის დამთავრების შემდეგ სულ 8 წელი ვიცხოვრე თბილისში.

საბერძნეთში არავინ მყავდა, არავის ვიცნობდი, ისიც არ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. უბრალოდ, ჩემი ოცნება და მიზანი იყო: იქაურ შოუ-ბიზნესში შევსულიყავი. ბერძნული ურთულესი ენაა. ერთმა ქართველმა ქალმა მირჩია: წადი იქ, სადაც ქართველები არ არიანო. ათენიდან შვიდასი კილომეტრის მოშორებით, ბერძნულ სოფელში წავედი და დავიწყე ტავერნაში მიმტანად მუშაობა, რომ ენა მესწავლა. ცხრა თვე ვიმუშავე, ვისწავლე ენა, თუმცა, სანამ ვისწავლიდი, ბევრჯერ მოვხვდი სასაცილო სიტუაციაში. დღეს ძალიან მიყვარს საბერძნეთი და სულ ვამბობ: რომ მოვკვდები, უნდა დავიმარხო ან საქართველოში ან საბერძნეთში-მეთქი. როდესაც საბერძნეთში დაიწყო რეალითი-შოუების ბუმი, ერთ დღესაც ტელევიზორში ვნახე – ჯული მასინო ჰყავდათ მასტერ-კლასებზე ჩამოყვანილი. გადავწყვიტე, მას დავკავშირებოდი. რატომღაც, რადგან ამერიკელია, ჩემსავით ემიგრანტად მივიჩნიე და ვიფიქრე, დამეხმარეობდა. 6-7 თვე მასთან კონტაქტის საშუალებას ვეძებდი, რა თქმა უნდა, არავინ დამეხმარა. მეკითხებოდნენ: საიდან ხარო. რომ ვეუბნებოდი: საქართველოდან-მეთქი, მაშინვე უარს მეუბნებოდნენ. ბოლოს გადავწყვიტე, ერთ-ერთ რეალითი-შოუზე მივსულიყავი, როგორც მაყურებელი. „იქს-ფაქტორზე“ წავედი და როგორც კი სარეკლამო შესვენება გამოცხადდა, მივადექი ჯულის. გამოველაპარაკე, ვუთხარი, რომ საქართველოდან ვარ და მინდა მასთან დაკავშირება. მომცა ნომრები: პირადი, სახლის და მითხრა: ნებისმიერ დროს დამიკავშირდიო. ჯული იყო და დღესაც არის ბერძნულ შოუ-ბიზნესში „ალა პუგაჩოვა“ – ძალიან გავლენიანი ქალია, მის სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

## ბერძნული სერიალების ქართველი მსახიობი

არხზე – „მეგა“, სადაც მე ვმუშაობდი, იღებდნენ კომედიურ სერიალს „რქიანები“. მომცეს როლი, ვიყავი ინჟინერ-მშენებელი, ოღონდ აფერისტი. ჩემს გმირს ერქვა „ბაბი“. მაგრამ რეჟისორს ისე მოეწონა ჩემი სახელი, „ბაბი“ „მამუკათი“ შეცვალა. თან მითხრა: ტექსტს ქართული სიტყვებიც მიახმარეო. ამიტომ იყო სერიალში ქართული სიტყვებიც. „ისა-ისა“ ქართულად „ხარა-ხურას“ ნიშნავს. ეს სიტყვა, იმდენად მოეწონათ, გადაღებაზე რომ მივდიოდი „ხარა-ხურას“ მეძახდნენ. ბოლოს ვთხოვე: ნუ მეძახით ასე, არ არის კარგი სიტყვა-მეთქი. მოკლედ, საოცრად კარგი სიტუაცია იყო. იყო მეორე სერიალიც – „ედემის საიდუმლო“, სადაც ვთამაშობდი უცხოეთიდან მოწვეულ ადვოკატს. ნებისმიერი უცხოური ენა, როგორ კარგადაც არ უნდა იცოდე, მაინც გაქვს საუბრის დროს დიქცია, აქცენტი. მაღაზიებში რომ შევდიოდი, ყველას ამერიკელი ბერძენი ვეგონე. ამ სერიალში 11 ეპიზოდი ვითამაშე, ძალიან კარგად იხდიდნენ: ერთ ეპიზოდში – 500 ევროს. ამის მერე იყო კომედია „წითელი ოთახი“, ჩემს პერსონაჟს მარკო ერქვა, „რესეფშენში“ მუშაობდა. წითელი პიჯაკი მეცვა, თავი – გადაპარსული და ეტყობა, იმდენად და-



**მეორე დღეს ავიტანე მასთან „ქინძმარაული“, ცოტა დავლიე, რომ კომპლექსი მომხსნოდა და ვუთხარი: შენზე ვარ შეყვარებული-მეთქი. მკითხა: რამდენი წლის ხარო. მაშინ მე 31-ის ვიყავი, ჯული – 55 წლის**

სამახსოვრებელი პერსონაჟი იყო, რომ როდესაც მაღაზიებში ან რესტორნებში შევდიოდი, ეცინებოდათ: შენ მარკო არ ხარო. ერთ-ერთ სერიალში მქონდა რუსული მაფიის წარმომადგენლის, მკვლელის როლი, რუსულად ვლაპარაკობდი. ცხოვრებაში არ მქონია იარაღი ხელში დაჭერილი და იქ ვისწავლე ყველაფერი. თან, მოვკალი ქალაქის მერი, მისი შეყვარებული, მთელი ქალაქი, ანუ, ათენი გავანადგურე.

## ბერძნული შოუ-ბიზნესი

2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქველმოქმედო კონცერტი ჩავატარე ათენში, ომში დაზარალებულთა დასახმარებლად. ისეთი მომღერლები დამიდგნენ გვერდში, ივენთებზე მხოლოდ გამოჩენისთვის რომ, 5 000 ევროს იღებენ, მაგრამ მოვიდნენ და უფასოდ იმღერეს. დარბაზი გაივსო. შეგროვილი თანხა, ანუ 22 ათასი ლარი, გორის გამგეობას გადმოვუგზავნეთ. თუმცა ბერძნულ შოუ-ბიზნესში აქტიურად რომ ჩავერთე, ამაში ყველაზე დიდი წვლილი მაინც ჯულის მიუძღვის. ბერძნულში ორი სიტყვაა: „საღაპაო“ – ნიშნავს მიყვარხარ და მე შემიძლია ეს სიტყვა ვუთხრა ძმას, დას, მეგობარს. მეორე სიტყვა „ეროტემენოს“ – ქალისა და მამაკაცის სიყვარულს აღნიშნავს. მახსოვს, ერთხელ ავედი მასთან და რომ ვუთხარი: „საღაპაო“, გაგიჟდა – მეც მიყვარხარო. მაგრამ ვერ ვიგრძენი ის, რაც მინდოდა და მივხვდი, რაღაც არ იყო კარგად. მერე მეგობარს ვკითხე: რამეს არასწორად ხომ არ ვაკეთებ-მეთქი. მითხრა, თუ გინდა, სწორად გაგიგოს, უნდა უთხრა: „ეროტემენოს“. მოკლედ, მეორე დღეს ავიტანე მასთან „ქინძმარაული“, ცოტა დავლიე, რომ კომპლექსი მომხსნოდა და ვუთხარი: შენზე ვარ შეყვარებული-მეთქი. მკითხა: რამდენი წლის ხარო. მაშინ მე 31 წლის ვიყავი, ჯული – 55 წლის. მომაყოლა მთელი ჩემი ცხოვრება, მერე თავისი მომიყვა... მოკლედ, ჩვენი რომანი შედგა. მახსოვს, მერე საქართველოში ჩამოვედი, ჩემი დაბადების დღე იყო და მან გადაწყვიტა, სიურპრიზი გაეკეთებინა და საქართველოში ჩამოფრინდა. შარშან, ჩემს დაბადების დღეზე ჩიკაგოში იმყოფებოდა, დამირეკა: შენთვის სიურპრიზი მაქვსო. ერთ-ერთ რესტორანში გადავიხადე დაბადების დღე. ჯული მოვიდა, 60 წლის კი არის, მაგრამ უნდა ნახო, როგორ გამოიყურება. ჩიკაგოში ჩემთვის დაუწერია სიმღერა და ჩემს დაბადების დღეზე იმღერა ბენდთან ერთად – არაჩვეულებრივი საჩუქარი გამიკეთა. ჯული თავის დროზე იყო ენრიკე ეგლესიასის, ბიონსეს, რიჰანას ვოკალის პედაგოგი, მღეროდა ფრენკ სინატრასთან ერთად, ლაიზა მინელის დაქალია, ძალიან ბევრ ვარსკვლავთან მეგობრობს. რამდენიმე წლის წინ ბიონსეს ათენში ჰქონდა კონცერტი. ერთ დღეს ჯულიმ დამირეკა: მამუკა, სად ხარ, ჩემთან გელოდები სახლში, ნორმალურად ჩაიცვიო. სახლში რომ შევედი, დავინახე საოცრება: ბიონსეს ეცვა თეთრი სარაფანა, სვაროვსკის თვლებიანი „ბასანოჩკები“, თმა აწეული ჰქონდა, კანი – შოკოლადისფერი: ულამაზესი იყო. მივედი, ხელზე ვაკოცე, ვერ დავკმაყოფილდი – ლოყაზე ვაკოცე. მერე დავსხედით და დავიწყეთ საუბარი. საქართველოს შესახებ მკითხა რაღაცეები. ვუთხარი: ძალიან მინდა, საქართველოში ჩამოხვიდე-მეთქი. დიდი სიამოვნებით, ოღონდ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, თუმცა, შენი სამშობლო ძალიან მაინტერესებსო. სეზარია ევორა ყოველ წელს დადიოდა ათენში, ძალიან მიყვარდა, მის კონცერტზე სულ დავდიოდი. 5-6 წელი ვიცნობდი, სულ მეფერებოდა, საოცარი ქალი იყო. „სკორპიონის“ ბიჭებთან მაქვს კარგი ურთიერთობა. ჯულის მეგობრები არიან და მეც ვმეგობრობდი მათთან. საქართველოს სადღეგრძელოც კი დაულევიათ ბიჭებს.

## ათენის რაიონებში ჩატარებული მიტინგები და დაბრუნება საქართველოში

ბოლო პერიოდში საბერძნეთში ვიყავი „ემტივის“ პროდიუსერი, მაგრამ შემდეგ პოლიტიკურ ბატალიებში გადავერთე. ერთი პერიოდი, ათენში ვხელმძღვანელობდი არასამთავრობო ორგანიზაციას „ქართველი ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის.“ 48-50 რაიონი აქვს ათენს და ყველა რაიონის უფროსებისგან მქონდა ნებართვა აღებული – ყოველ შაბათ-კვირას ვატარებდით მიტინგებს. წინასაარჩევნო პერიოდი იყო და არ გვქონდა უფლება, არჩევნებში მიგველო მონაწილეობა. იმდენად ამაზრზენი იყო ის, რაც მაშინ ხდებოდა, რომ დიდი პროტესტის გრძნობა მქონდა. ბერძნებიც მედგნენ გვერდში, ბევრი არალეგალი მყავდა ორგანიზაციაში და გარანტია მქონდა აღებული პოლიციისგან, რომ მათ არავინ მოჰკიდებდა ხელს.

2011 წელს საქართველოში ჩამოვედი, პროექტები ჩამოვიტანე, რომელიც „იმედმა“ წამართვა. ესენი იყო: „ცეკვავენ ვარსკვლავები“ და „ახალი ხმა“. ორივე საერთაშორისო პროექტია, ჩემი არ არის, მაგრამ მე ჩამოვიტანე. გიორგი არველაძე გაგებაშიც არ იყო, „იუთუბზე“ რომ ვაჩვენე. დღემდე მაქვს მისი „იმეილები“ შენახული. როცა ვუთხარი, პოლიტიკაში არ ვარ და

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფორდ მონდეო", 1993 წლის, რომელსაც ეგრეთ წოდებული „ვოზდუხამერი" გაუფუჭდა. მანქანას საგრძნობლად შეუსუსტდა გაწევა და გაცილებით მეტ საწვავს წვავს. იქნებ მითხრათ, არის თუ არა ისეთი ადგილი, სადაც ამ ნაწილს განვადებით შევიძენ და საერთოდ რა ღირს ის. ამასთანავე, მაინტერესებს, საერთოდ შეიძლება თუ არა მანქანის მართვა, სანამ ამ დეტალს შევიძენ ან სხვა გზით მისი შერემონტება?**

**პასუხი:** რაც შეეხება განვადებას, ამა თუ იმ დეტალის შეძენისას, ეს კეთდება ყველა დიდ მაღაზიაში, მათ შორის ქუთაისის ქუჩაზე, სადაც ავტონაწილები იყიდება. მაღაზიაში არიან ბანკის წარმომადგენლები და ეს ძალიან მარტივი პროცესია. რაც შეეხება „ვოზდუხამერის" ფასს, სერიოზული განსხვავებებია იმის მიხედვით, თუ რა ფირმის ნაწილს შეიძენთ. კარგი ხარისხის „ვოზდუხამერი" საკმაოდ ძვირია. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნებოდა, ეს ნაწილი ელიავას ბაზრობაზე, ეგრეთ წოდებულ „დაშლილებში" შეიძინოთ, სადაც მართალია ნახმარ, მაგრამ სამაგიეროდ, მანქანის ორიგინალ ნაწილს იშოვით, მით უფრო, რომ ამ მარკის ნაწილები საკმაოდ ბევრია. რაც შეეხება, შეგიძლიათ თუ არა მანქანის მართვა ამ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. გაფუჭებული „ვოზდუხამერი" სხვა არც ერთ დეტალს არ დააზიანებს. მაგრამ წვას თქვენ სხვა ხერხებით ვერ შეამცირებთ. ეს არის ის ნაწილი, რომელიც კომპიუტერს საწვავისა და ჰაერის ნაზავის შესახებ ინფორმაციას აწვდის. რადგან ის გაფუჭდა, შესაბამისად, კომპიუტერიც არასწორად მუშაობს და უფრო დიდი რაოდენობით საწვავს აწვდის. ამიტომ, უმჯობესია, ეს დეტალი რაც შეიძლება მალე შეცვალოთ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: ვარ ახალგაზრდა მძღოლი და მინდა, ახალი ავტომობილის შეძენა. იქნებ მირჩიოთ, „მერსედესის" „ემელის 350" „ჯიპი" შევიძინო თუ „ბეემვეს" „იქს5", 3.0-ძრავიანი?**

**პასუხი:** ამ ორ ავტომობილს შორის იმდენად რადიკალური განსხვავებაა, მიკვირს როგორ შეიძლება, მათი შედარება. ერთს გეტყვით, რომ თუ დინჯი ხასიათი გაქვთ და მშვიდი ადამიანი ბრძანდებით, ავტომობილი გირჩევნიათ გამძლეობის მიხედვით შეარჩიოთ, ვიდრე სისწრაფის. ასეთ შემთხვევაში „ემელის" „ჯიპი" უნდა შეიძინოთ. მაგრამ, თუ ხანდახან გაზის პედალზე ფეხის მიჭერა გიყვართ და ავტომობილის მართვაში გარკვეულ აგრესიას დებთ, მაშინ „იქს5" უნდა შეიძინოთ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ოპელ ვექტრა". შევიძინე ახალი სამუხრუჭე ხუნდები, რომელმაც სულ ცოტა ხანში წრიპინი დაიწყო. მთელი დღის განმავლობაში ეს ხმა აქვს და არ ვიცი, რა ვუშველო. ზოგადად, ეს ხუნდების ბრალია, სამუხრუჭე სისტემის თუ სხვა რამეა მიზეზი?**

**პასუხი:** თუკი ხუნდები შეცვალეთ და ის აწივლდა, ნიშნავს, რომ ნაკლებად ხარისხიანია. ხუნდებს რამდენიმე თვისება უნდა ჰქონდეს: ერთი ის, რომ არ უნდა ხმაურობდეს; მეორე – იოლად არ ცხელდებოდეს და მესამე – კარგად უნდა იჭერდეს. თუ ამ სამიდან რომელიმე დარღვეულია, ეს ნიშნავს, რომ უკვე პრობლემები გაქვთ. ყველაზე მეტად ყურადღება, რა თქმა უნდა, მესამეს უნდა მიაქციოთ. თუ ხუნდები არ იჭერს, ის სასწრაფოდ გამოსაცვლელია. მეორეა, როცა ხურდება. ასე რომ, თუ თქვენი ხუნდები პირველ ორ თვისებას აკმაყოფილებს, მაშინ მისი მოხმარება შეგიძლიათ. მაგრამ, რადგან წივილის ხმა აქვს, სათუოა, სხვა დანარჩენ ფუნქციას კარგად ასრულებდეს. თუმცა, არის ხუნდები, რომელიც არ ხმაურობს, მაგრამ მთელ სისტემას ჭამს, ყველაფერს ცვეთს. ამიტომ, შეიძინეთ ნორმალური, ცნობილი ბრენდის ხუნდები.

**კითხვა: იქნებ ამიხსნათ, რატომ ანათებს ჩემი ავტომობილის ფარები ისე, თითქოს შორს მაშუქები მაქვს ჩართული, მაშინ, როცა ახლოს ხედვის ფარები ანთია? ამის გამო ბევრი მძღოლი მსაყვედურობს ქალაქში მოძრაობისას.**

**პასუხი:** თუ თქვენს ავტომობილს არც ერთხელ არანაირი საგზაო შემთხვევა არ ჰქონია, მაშინ ფარებიც ქარხნული წესით იქნება გასწორებული. თუ ერთხელ მაინც შეცვალეთ შუქფარი, თუ მასთან დაკავშირებული რაიმე შიდა დეტალი; ან ერთხელ მაინც მოგიწიათ პატარა შეჯახება წინა მხრიდან, ეს ფარების მდგომარეობას შეცვლიდა და მისი დარეგულირება აუცილებლად დაგჭირდებათ. პირველი იმისთვის, რომ საწინააღმდეგო მხრიდან მომავალ ავტომობილს არ შეუქმნათ დაბრკოლება და მეორე იმისთვის, რომ სრულფასოვნად გაგინათოთ გზა და გქონდეთ მაქსიმალურად კარგი ხედვა ღამის პირობებში.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

---

არც პარტიული ვარ-მეთქი, ერთ კვირაში არც ერთ პროექტში აღარ ვარსებობდი. არადა, ორივე გადაცემა დღეს გადის „იმედის" არხზე. მერე თქვეს, რომ თითქოს ნოე სულაბერიძემ ჩამოიტანა „ცეკვავენ ვარსკვლავები". ნოეს არაფერი ჩამოუტანია, მამუკამ ჩამოიტანა, ლიპარტელიანმა. ეს ორი პროექტი გიორგი არველაძესთან კაბინეტში საუბრისას დაიბადა და შემდეგ გახდა სულაბერიძის... გარდა ამისა, ერთ მშვენიერ დღეს არველაძემ მკითხა: ჩვენი დილის ეთერი მოგწონსო? არ მომწონს-მეთქი. მაშინ, იქნებ შენი ხედვით გაგვიკეთოო. დავწერე პროექტი, პილოტიც გადავიღეთ, მთელი ბორდი შეკრიბეს. არხმა გაიგო, რომ ვიღაც ქართველი პროდიუსერი ჩამოვიდა უცხოეთიდან, რომელიც უნდა გახდეს დილის ეთერის პროდიუსერი. მთავარ წამყვანად მოიაზრებოდა გვანცა ზაქარეიშვილი, თანაწამყვანად – მიკი ჯეჯელავა, ნუკი კოშკელიშვილი. ნუკის, ეტყობა, „გაუტყდა", რომ თანაწამყვანი იყო, თან ჩაწერაზე დააგვიანა და საყვედური ვუთხარი. არ ვიცი, რა მოხდა, ალბათ, ამუშავდა ალინა არველაძის „მანქანა", რადგან დამტკიცებულ, დაგეგმილ პროექტზე დამირეკეს: სამწუხაროდ, თქვენი პროექტი ვერ გავა ეთერშიო. გავოგნდი, მიზეზი ვერ გავიგე, ისეთი ტაბუდადებული იყო ეს თემა. სამაგიეროდ, პირდაპირ ეთერში, ცენტრალურ წამყვანად გამოჩნდა ნუკი კოშკელიშვილი და გადაცემა 2 წელი გადიოდა იმ ფორმატით, იმ განლაგებითა და რეკვიზიტებით, როგორიც მე გავაკეთე. არ გამიპროტესტებია, მირჩიეს: შარი თუ არ გინდა, აქედან წადიო. მოკლედ, წამოვედი. ყველაზე საინტერესო რამ მაინც საზოგადოებრივ მაუწყებელზე მოხდა. ასეთი პროექტია – „10+10" და მთხოვეს, იქნებ ამ პროექტით ევროპის ბაზარზე, ტელევიზიებში გავიდეთო. მე ვუთხარი: ამ ეტაპზე შემიძლია გავაკეთო ესპანეთი, გერმანია და საბერძნეთის ტელევიზიები. შევხვდი არხის მთავარ პროდიუსერს გიორგი გაჩეჩილაძეს, რომელმაც მითხრა: შენ გარე პროდიუსერი იქნებიო. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი არაფერი გამეგო, დავთანხმდი. შემდეგ ვკითხე: ფინანსური მხარე მაინტერესებს-მეთქი. ასეთი პასუხი მივიღე: თქვენ ფული თუ გაინტერესებთ, ჩვენ ვერ ვითანამშრომლებთო. ამის მერე შევხვდი გიორგი ჭანტურიას, ვუთხარი: თქვენმა ქვეშევრდომმა ასეთი პასუხი გამცა. რამდენი წელია, საქართველოში არ ცხოვრობო. 10-11 წელია-მეთქი. ჩაიცინა და მითხრა: ეტყობა, ერთმანეთს ვერ გაუგეთო. მოკლედ, გაოგნებული დავრჩი. ისევ ათენში დავბრუნდი და ჩავერთე პოლიტიკურ ფერხულში. შემდეგ ისევ დავბრუნდი საქართველოში და დავაფუძნე არასამთავრობო ორგანიზაცია – „ჩვენ დავბრუნდებით", ემიგრაციის თემაზეა. „ობიექტივიზეც" მქონდა გადაცემა, მაგრამ სამ თვეში დამიხურეს – საქართველოში რაღაც არ მიმართლებს. თუმცა, მაინც ვაპირებ აქ გაჩერებას და „აჭარის" ტელევიზიით საინტერესო გადაცემების გაკეთებას.

**ნათია უტიაშვილი**




მშრომელი
აბანოს მუშაკი / ჩვენი მდინარე
შესანიღბი საქშუალება
პატარა ვოვა
საზღვაო ოფიცრის ჩინი
1
მატყუარა მოთამაშე
3
უდაბნოს ეშელონი / ფრინველი
უარი
მსახიობი (........) ფილფანი
სანთლის ნედლეული
**პაუზა**
შეურჩეველი / აზიის ქვეყანა
პროცესის დაჩქარება
ცახცახი
აკუსტიკური ერთეული
ბოროტება
მექსიკის დედაქალაქი
ძველი საბჭოთა მანქანა
შამილის სახელმწიფო
სამუშაო ოთახი
5
რუსი ოლღა
ბიჩერსტოუს ბიძია
6
მშობელი
სტალინისტების ლიდერი
დიდი რეგიონი
ბურთი მოედნის გარეთ
ჯარი, ლაშქარი
სისხლის მწოველი
პუშკინის ზღაპრის გრძნეული ქალი
გერმანიის მდინარე
მრთელი, მთლიანი
ზილფი, ნაწნავი
სამშენებლო დანადგარი
2
არის ასეთი კანფეტი
მათემატიკური უცნობი
ბალდათის სოფელი / ყირიმის ბანაკი
გერმანელი ქალბატონი
4
(.....)-ბალი
რძეში მოხარშული ცომი
უარყოფის დამხმარე სიტყვა
მუხის ნაყოფი
შექსპირის მეფე
ბოლივიის ერთ-ერთი სახელმწიფო ენა
ოფიციანტი
მენისქვილის წილი
ინფორმაციის ერთეული
რაღაც თარიღის წინა პერიოდი
საწონი
სემიტური ჯგუფის უძველესი ენა
(......)-წინალი
სახელმწიფო აზიაში, მახლობელ აღმოსავლეთში
ქალის რუსული სახელი
7
ილია ჭავჭავაძის ლექსი
ზღვარი ანუ?
ცეცხლის მყლაპავი
საჭადრაკო ქმედება
„ბაშიაჩუკის“ რეჟისორი
ინდური კაბა
“...შენმა დარმაც (......)“
პანამის ფულის ერთეული
ბავშვებს აშინებს
ძე, შვილი
ძიუდოს ხალიჩა
ვიტორიო დე (......)
კოსმოს. ხომალდი
კაცის სომხური სახელი
მორჩა! კმარა!
სიბნელე
ორი ხუთიანი კამათელზე
ძველი ფრანგული ფული
გიორგის ვარიაცია
(........) დელონი
ჩვენი არაბი ჭაბუკი
ძველად ამას მტილი ერქვა
8
მწერალი (......) კრისტი
9
შინაური ცხოველი
მუსლიმანი მმართველის ტიტული
ზღვაში ცურავს
მუსლიმანი მმართველის ტიტული
მარანი აქვს კინოში
რუსული კულინარული ნაწარმი
დროშა, ბაირაღი
არის ასეთი გამოთქმა ალია-.....
(.......) მღვიმელი / სასტუმროს ბიჭი
ძვირფასი ქვა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 9 | | | | | | | | | | | | 9 | | | | | | | | | |
| | | | | | | | 4 | 1 | | | | | | | | | | | | 1 | 4 | | | | | | | | |
| | | | | 3 | 5 | | 5 | 1 | | | 2 | | 2 | | | | 2 | | | 1 | 5 | | 5 | 3 | | | | | |
| | | 5 | 8 | 10 | 11 | 5 | 1 | 4 | 7 | 5 | 1 | | 1 | | 1 | | 1 | 5 | 8 | 4 | 1 | 5 | 11 | 10 | 8 | 5 | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 13 | 5 | 1 | 6 | 5 | 5 | 22 | 5 | 25 | 5 | 23 | 5 | 5 | 6 | 1 | 5 | 13 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 2 |
| | | | | | 2 |
| | | | 1 | 2 | 3 |
| | 4 | 2 | 1 | 2 | 6 |
| | 6 | 2 | 1 | 1 | 6 |
| | 7 | 1 | 1 | 1 | 7 |
| 7 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 |
| | | | | 2 | 13 |
| | 3 | 1 | 1 | 1 | 3 |
| | 4 | 1 | 1 | 1 | 4 |
| | 4 | 1 | 1 | 1 | 4 |
| | 4 | 1 | 1 | 1 | 4 |
| | 4 | 1 | 1 | 1 | 4 |
| | 6 | 1 | 1 | 1 | 6 |
| | 4 | 1 | 1 | 1 | 4 |
| | 7 | 1 | 1 | 1 | 7 |
| | 5 | 1 | 1 | 1 | 5 |
| | 5 | 1 | 1 | 1 | 5 |
| | 6 | 1 | 1 | 1 | 6 |
| | 8 | 1 | 1 | 1 | 8 |
| | | | | | 23 |
| | | | | | 21 |
| | | | | | 17 |
| | | | | | 11 |
| | | | 6 | 13 | 7 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | 4 | 3 | | | 6 | 2 | |
| 1 | | 9 | | 4 | 2 | | 3 | 5 |
| 3 | 5 | | 6 | | 7 | 9 | 8 | 4 |
| | 4 | | | 5 | 1 | | 7 | |
| 6 | | 7 | 4 | 2 | | 5 | | 8 |
| | 3 | | 7 | | | 4 | 1 | |
| | 9 | 6 | | 7 | 4 | | 5 | 3 |
| 4 | | 1 | | | 9 | 8 | | 7 |
| 5 | 7 | | 2 | 6 | 8 | 1 | 4 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 6 | | | 3 | | 8 |
| 7 | | | | | 2 | | 6 | |
| | | 4 | 1 | 3 | | | 2 | |
| 9 | | 6 | | 1 | | 4 | | |
| | 5 | | 3 | | | | | 6 |
| | 1 | | | | 5 | 2 | 8 | |
| 6 | | | 8 | | 1 | | 5 | |
| | | 8 | | 2 | | 6 | | |
| 2 | 4 | | | 5 | | | | 3 |

# ისწავლეთ ხატვა ზვიადისთან ერთად



1. წრეებით დაიწყეთ დინოზავრის ხატვა



2. მიახატეთ წინა თათები და კუდი



3. მიახატეთ უკანა თათებიც





4. გამოკვეთეთ თავის და ტანის ნაკვთები



8. გააფერადეთ

თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## იპოვე განსხვავებული ცხოველები



# მებუკე

## (იგავ-არაკი)

ლაშქრის მებუკე მტერს ჩაუვარდა ხელთ. მებუკემ შეჰღაღადა:

– ტყუილუბრალოდ ნუ მომკლავთ, გულოვანნო, ბრალი არა მაქვს. არავინ მომიკლავს, ამ ბუკის გარდა სხვა იარაღი არა გამაჩნია რაო.

– სწორედ მაგიტომ ხარ სასიკვდილო, მეომრად არ ვარგიხარ და მთელ ლაშქარს კი საბრძოლველად მოუხმობო, – უპასუხეს მებუკეს.

დამნაშავე ის არის, ვინც ძლიერს ბოროტების ჩასადენად აქეზებს.

## რიცხვრებუსი

1,,, ,6,,,+ი ,,3

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| შინაური ცხოველი / ყვავილი | | | ყურძნისგან მზადდება | |
| | | | | |
| პატარა ცხენი | | | ... პუჰი | |

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: როგორ უნდა შევუნარჩუნოთ ძაღლს იმუნიტეტი და როგორ დავიცვათ ის სხვადასხვა ინფექციისგან?**

**პასუხი:** ჩვენი ოთხფეხა მეგობრები საშიში ინფექციებისაგან რომ დავიცვათ, საჭიროა, მოვახდინოთ მათი დროული და სწორი ვაქცინაცია (აცრები), რისი საშუალებითაც ხდება იმუნიტეტის ჩამოყალიბება. იმუნიტეტის ჩამოყალიბება ორგანიზმში არის ისეთი სპეციფიკური ლიმფოციტებისა და ანტისხეულების პროდუცირება, რომელიც დაავადების აღმძვრელ მიკროორგანიზმებს განვითარების საშუალებას არ მისცემს. ასეთი ანტისხეულების არსებობა ორგანიზმში შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე კვირა ან წელი, რომელიც დაიცავს ორგანიზმს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასეთივე იმუნიტეტი ყალიბდება ძაღლებში სწორი ვაქცინაციის შედეგად. ვაქცინაციის მიზანია, შექმნას აქტიური იმუნიტეტი და არ დაუშვას მისი დაავადება. არსებობს მონო-ვაქცინები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმუნიტეტის ჩამოყალიბებას მხოლოდ ერთი დაავადების საწინააღმდეგოდ, კომპლექსური ვაქცინები კი უზრუნველყოფენ იმუნიტეტის ჩამოყალიბებას ერთდროულად რამდენიმე დაავადების საწინააღმდეგოდ. ვაქცინაციის მიზანია, შეექმნათ ლეკვებს აქტიური ვაქცინისშემდგომი იმუნიტეტი, რაც შეიძლება ადრეული ასაკიდანვე. დედისგან მიღებული იმუნიტეტი ქვეითდება და ქრება 9-12 კვირის ასაკში. სასურველია, თუ ამ პერიოდისთვის უკვე დაწყებული გვექნება ლეკვისთვის აცრების გაკეთება. ადრეულ ასაკში დაწყებული ვაქცინაცია უზრუნველყოფს ანტისხეულების მაღალ კონცენტრაციას ორგანიზმში, რაც უზრუნველყოფს დაავადებისგან ძლიერ დაცვას. იმუნიტეტის გამომუშავება ორგანიზმში ხდება ვაქცინის შეყვანიდან 10-14 დღის შემდეგ. ამ პერიოდისთვის ლეკვის ორგანიზმი დასუსტებულია და მეტად მგრძნობიარეა დაავადებების მიმართ. ისეთ ვაქცინებს, რომლებსაც სჭირდება განმეორებითი ვაქცინაცია, რევაქცინაცია ეწოდება, იმუნიტეტი ყალიბდება რევაქცინაციის მომენტიდან ორი კვირის (14 დღის) გასვლის შემდეგ.

**კითხვა: მაინტერესებს, რა სახით უნდა მიიღოს ძაღლმა მშრალი საკვები?**

**პასუხი:** მშრალი საკვები შეგიძლიათ მისცეთ ძაღლს როგორც მშრალ, ისე დამბალ მდგომარეობაში. დასალბობად კი, უმჯობესია, სასმელი წყალი გამოიყენოთ. ასევე, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ძაღლს ჭურჭელში ყოველთვის სუფთა წყალი უნდა ესხას. ამიტომ, დალეულიც რომ არ ჰქონდეს ბოლომდე, აუცილებლად გადააქციეთ და ახალი წყლით შეუვსეთ წყლის ჭურჭელი. მიუხედავად ყველა რეკომენდაციის ზედმიწევნით გათვალისწინებისა, აღნიშნული რაციონი ვერ იქნება დაბალანსირებული და, შეიძლება, სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს.

**კითხვა: რა სიხშირით უნდა დავვარცხნო ძაღლს ბეწვი?**

**პასუხი:** სეზონური ბეწვის ცვლის დროს აუცილებელია ყოველდღიური დავარცხნა – ამით დავაჩქარებთ აღნიშნულ პროცესს და თავიდან ავიცილებთ ბეწვის დაყრას მთელ ბინასა თუ ეზოში. ისიც გახსოვდეთ, რომ ძაღლის ყოველდღიური დავარცხნა აუცილებელია, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ბეწვის ცვლის პერიოდი. გაცილებით რთულია, როცა ცხოველს ბეწვი მთელი წლის განმავლობაში სცვივა, რაც, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ ის ცხოვრობს ოთახში, პატრონთან ერთად, გარემოს მუდმივ ტემპერატურაზე, რის გამოც ირღვევა „ჩაცმა-გახდის" ბიოლოგიური რიტმი. სწორედ ამიტომ, ბეწვის ცვლის პერიოდი ხდება ხანგრძლივი და გრძელდება თვეობით, შემდგომ სეზონამდე. აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად საჭიროა ცხოველის რეგულარული ვარცხნა, ასევე, საკვების დაბალანსება აუცილებელი და შეუცვლელი ვიტამინებითა და ცხიმოვანი მჟავებით, როგორიცაა B ჯგუფის ვიტამინები და ისეთი ცხიმოვანი მჟავეები, რომელთა გამომუშავებაც არ ხდება ცხოველის ორგანიზმში. ესენია: ომეგა 3 და ომეგა 6. აღნიშნული ვიტამინები და ცხიმოვანი მჟავეები უზრუნველყოფენ კანისა და ბეწვის საფარველის ჯანრთელობის შენარჩუნებას, ასევე, ბეწვის ცვლის პროცესის დაჩქარებასა და ჯანსაღი ბეწვის ზრდას.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**

**ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვრწყა ყოჩივარდა?**

**პასუხი:** ყოჩივარდა მორწყეთ ხოლმე მაშინ, როცა მისი ფოთლები ცოტათი მოიწყენს. მორწყვისას ქოთანი წყლიან ჯამში ჩადგით და ათი წუთი გააჩერეთ, შემდეგ კი დაწრიტეთ. სამ კვირაში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. დაყვავილების შემდეგ კი თანდათან შეუმცირეთ წყალი მანამ, სანამ ფოთლები გაუყვითლდება. ზაფხულის ბოლოს ან ადრიან შემოდგომაზე ბოლქვი გადარგეთ და დადგით ნათელ ადგილას. მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, სანამ მცენარე ზრდას დაიწყებს, შემდეგ კი ჩვეულებრივად მორწყეთ.

**კითხვა: როგორი სინათლე და ტემპერატურა სჭირდება ჩინურ ვარდს?**

**პასუხი:** ჩინურ ვარდს მოსწონს კაშკაშა სინათლე, ოღონდ, არა თაკარა მზე. ზამთარში მზეზე ყოფნას აიტანს, თუ ფესვები ტენიანი ექნება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა. ჩახუთული ჰაერი და ტენის ნაკლებობა ყვავილების სწრაფად ჭკნობას იწვევს.

**კითხვა: როგორ მოვუარო კამელიას?**

**პასუხი:** კამელია მორწყეთ რბილი წყლით. ზამთარში მიწა მხოლოდ ტენიანი უნდა იყოს, ზაფხულში კი ბევრი წყალი სჭირდება. დაყვავილების შემდეგ ზაფხულის ბოლომდე, ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. კარგია, თუ დაყვავილების შემდეგ მცენარეს გაკრეჭთ, რათა საშუალოზე მაღალი არ გაიზარდოს. ხშირად შეუმოწმეთ ფოთლები. თუ შავი ლაქები გაუჩნდა, ესე იგი, ბუგრი ან ცრუფარიანები დაესია და დროულად უმკურნალეთ.

**კითხვა: როგორ მოვუარო სოლეიროლიას?**

**პასუხი:** სოლეიროლია ჭირვეული მცენარე არ არის. მისთვის მთავარია, მიწა არ გამოუშრეს. თუ ამ მცენარეს სიგრილესა და ტენიან გარემოში ამყოფებთ, ზრდას მალევე დაიწყებს. მის გასამრავლებლად რამდენიმე ძირი ძირიანად ფრთხილად ამოიღეთ ქოთნიდან და ახალ ქოთანში გადარგეთ.

**კითხვა: რა ზომის შეიძლება გაიზარდოს ჰემიგრაფისი?**

**პასუხი:** ჰემიგრაფისი დაბალი და კომპაქტური მარადმწვანე მცენარეა. მისი სიმაღლე არ აღემატება 30 სანტიმეტრს. მართალია, ის ნაკლებად ეფექტურია, მაგრამ, კარგად გამოიყენება დიდ ქოთნებში ჩარგული მცენარეების მიწის საფარად.

**კითხვა: ჩემს ექევერიას ფოთლები უჭკნება. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** თქვენ, ალბათ, წყალი დააკელით– დარბილებული და დამჭკნარი ფოთლები იმის მანიშნებელია, რომ ექევერიას წყალი სჭირდება. ზაფხულობით ნიადაგს შეშრობა აცადეთ და ისე მორწყეთ, რომ მიწა კარგად დასველდეს, ზამთარში კი იშვიათად მორწყეთ.

**კითხვა: ჩემს ქლოროფიტუმს მიწის ზედაპირზე ფესვები გამოუჩნდა. რის ბრალია?**

**პასუხი:** მიწის ზედაპირზე ფესვების გამოჩენა მცენარის გადარგვის აუცილებლობის ნიშანია. ფოთოლს სიმშრალისა და უჰაერობისგან გაყავისფრებული ბოლოები წააჭერით. ქლოროფიტუმი კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს.

**კითხვა: ახლახან ვიყიდე ქრიზანთემა, მაგრამ, არ იზრდება. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** თუ მცენარე ახლად ნაყიდი გაქვთ, ის შეკრეჭილი და ზრდის შემაჩერებელი ნივთიერებით იქნება დამუშავებული, რათა მოხდენილი და კომპაქტური იყოს. როგორც კი ნივთიერების ზემოქმედება გაივლის, ქრიზანთემა ზრდას დაიწყებს, ხოლო, თუ ბაღში გადარგავთ, მისთვის მაქსიმალურ სიმაღლესაც მიაღწევს და შედარებით მეტხანსაც იყვავილებს.

**კითხვა: რამდენ ხანს ყვავილობს ჟასმინი?**

**პასუხი:** ჟასმინი ყვავილობას შუა ზამთარში იწყებს და გაზაფხულამდე ყვავის. ასე რომ, ეს მცენარე ზამთრის პირქუშ დღეებშიც კი გაგიხალისებთ ცხოვრებას. იმისთვის, რომ ხანგრძლივად იყვავილოს, დამჭკნარი ყვავილები უნდა მოაშოროთ და დაყვავილებული ღეროები ძირში გადაჭრათ.

**მოამზადა თეოგა გოზალიშვილმა**

# რატომ გაიტაცეს ხელმოცარულმა ყაჩაღებმა სახლიდან ხალიჩა და როგორ დააკავეს ისინი მოპარული ცხენით

28 წლის ბესიკ კ-ძე სამართალდამცველებმა მაშინ დააკავეს, როცა მარტოხელა მოხუცის დაყაჩაღების შემდეგ სოფლის დატოვებას ცდილობდა. ის ჯერ სოფლის მოსახლეობამ შეიპყრო და შემდეგ მათ ჩააბარეს სამართალდამცველებს, რომელთაც მოგვიანებით, ბესიკ კ-ძის და, მანანა კ-ძეც დააკავეს.

და-ძმა კ-ძეები სოფელში, მამაპაპისეულ სახლში მას შემდეგ გადავიდნენ საცხოვრებლად, რაც თბილისში ვალების გამო სახლი გაყიდეს და უსახლკაროდ დარჩნენ. მანანა კ-ძემ წვრილმანებით ვაჭრობა დაიწყო და სოფელ-სოფელ დადიოდა ტანსაცმლისა და სხვა ნივთების გასაყიდად. ბესიკ კ-ძემ, რომელიც წარსულში ქურდობისთვის იყო ნასამართლევი, ჯერ სასოფლო-სამეურნეო საქმეების გაძღოლა სცადა, მერე სხვა საქმე წამოიწყო. მაგრამ, ვერც ერთს გული ვერ დაუდო და ისევ დის შემოსავლით ცხოვრება გადაწყვიტა. სოფლის მოსახლეობა ახალგაზრდა და-ძმას არ ენდობოდა, რადგან ძმა რამდენჯერმე საეჭვო ვითარებებში შეამჩნიეს. ის ჯერ მეზობლის ფერმაში იპოვეს, შემდეგ ერთ-ერთი მეზობლის მიტოვებულ სახლში, ორივე შემთხვევა წვრილმან ქურდობასთან იყო დაკავშირებული. თუმცა, ალუმინის ქვაბების ქურდობისთვის მისი საქმე პოლიციამდე არ მისულა. ამას ახალგაზრდა კაცის რეპუტაცია შეეწირა, რის გამოც „სამოქმედოდ"ის მეზობელ სოფელში გადავიდა. სწორედ იმ სოფელში ჩადენილი ყაჩაღობისთვის მოხვდა ბესიკ კ-ძე გისოსებს მიღმა.

71 წლის სანდრო ქ-შვილი სოფელში მარტო მას შემდეგ ცხოვრობდა, რაც მეუღლე გარდაეცვალა. ხანდაზმულ მამაკაცს მთელი სოფელი პატივს სცემდა – ასაკის მიუხედავად, ის ძალიან მშრომელი ადამიანი იყო და ყველას გვერდით ედგა. ერთადერთი შვილი სამუშაოდ ევროპაში იყო წასული და იქიდან მამას ფულს ხშირად უგზავნიდა. როგორც სოფელში ამბობდნენ, მამა შვილს ბინის საყიდელ ფულს უგროვებდა. ამის შესახებ ის მანანა კ-ძეს გამოუტყდა, რომელიც მოხუცთან ხშირად მიდიოდა. სანდრო ქ-შვილი მას საჭირო ტანსაცმელს აბარებდა და შვილის ტოლ ახალგაზრდა ქალს ხან ხილით უმასპინძლდებოდა, ხან სოფლის სხვა ნობათით. მანანა კ-ძემ მოხუცის ნდობა იოლად მოიპოვა. რამდენჯერმე საოჯახო საქმეშიც დაეხმარა და მოხუცისგან გასამრჯელოც მიიღო. ბოლოს კიდეც შეთანხმდნენ, რომ თვეში ერთხელ მანანა კ-ძე მოხუცის სახლს დაალაგებდა. მეზობლებმა რამდენჯერმე ურჩიეს სანდრო ქ-შვილს: ამ უცხო და გადამთიელ ქალს რატომ ენდობი, აგერ არ ვართ, ჩვენს სოფელში მოვძებნით ვინმეს, ვინც ქალის საქმეებში დაგეხმარებაო. მაგრამ, სანდროს ახალგაზრდა ქალი ეცოდებოდა და გარდა იმის, რომ ტანსაცმელს აბარებდა. სახლის დალაგებაშიც მოიხმარდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც მანანა კ-ძემ შეიტყო, რომ მოხუცი სახლში შესაძლოა, დიდი რაოდენობით თანხას ინახავდა, ის ძმასაც გაანდო. და-ძმამ მოხუცი კაცის დაყაჩაღება ერთად დაგეგმა. როგორც მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, მათ ჯერ სანდრო ქ-შვილის გაქურდვა ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ რადგან ქალმა ბევრი მცდელობის მიუხედავად, მოხუცის ბინაში ფულს ვერ მიაგნო, მათ გადაწყვეტილება შეცვალეს.

მოგვიანებით, დაზარალებულმა სანდრო ქ-შვილმა დაკითხვისას განაცხადა, რომ მას უცნობი მამაკაცი თავს დაესხა და დანით ემუქრებოდა. ამონაწერი დაზარალებულის ჩვენებიდან: „ახალი შებინდებული იყო, ეზოს ჭიშკარი დავკეტე და სახლში შევედი. ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურე. ძაღლის ყეფა შემომესმა. ისევ ეზოში გავედი, ძაღლს დავუყვავე, არა და არ ჩუმდებოდა. ეზოს შემოვუარე, მაგრამ საეჭვო არაფერი შემინიშნავს და ისევ სახლში შევედი. ახალი ჩაძინებული ვიყავი, როცა ოთახში უცნაური ხმები გავიგონე და თვალი გავახილე. თავზე უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი მედგა ხელში დანით".

მოგვიანებით ბრალდებულად დაკითხულმა ბესიკ კ-ძემ განაცხადა, რომ მას მხოლოდ მოხუცის შეშინება უნდოდა და მასზე ფიზიკური ძალადობა მხოლოდ მას შემდეგ განახორციელა, რაც მიხვდა, რომ ფულს არ გამოუჩენდა. ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „მოხუცმა მე და მანანას გეგმები შეგვიცვალა. არც დანის გამოყენება მინდოდა და არც მოხუცის ცემა, მაგრამ კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. როცა ვუთხარი, არაფერს დაგიშავებ, ფული მშვიდად გამომიტანე-მეთქი, გაიცინა და მითხრა: სად მაქვს ფული, 71 წლის კაცს რა ფულს მთხოვ, მომაბარე რამეო? ამის შემდეგ საწოლიდან გადმოვაგდე და ცემა დავუწყე, მაგრამ მივხვდი, ფულის გამომჩენი არ იყო. ცემით რომ მომკლა, კაპიკს ვერ მიიღებო, მითხრა. ამის შემდეგ ეზოში გავედი და მანანას დავუძახე: მოდი, დამეხმარე, ფული ერთად მოვძებნოთ-მეთქი. ჩვენი გეგმის მიხედვით, მანანა ეზოში უნდა დამლოდებოდა და სახლში არ შემოსულიყო. მაგრამ, გეგმები შეგვეცვალა. მანანამ სახე შარფით დაიფარა, რომ მოხუცს არ ეცნო და სახლში შემომყვა. ჩვენ ხან ფულს ვეძებდით, ხან ისევ ძირს დაგდებულ მოხუცს ვთხოვდით ფულს, თუმცა ის არაფრით არ ტყდებოდა. სახლში ფული არ მაქვსო. ამის შემდეგ დანა ავიღე და მოხუცს ტანზე რამდენჯერმე დავუსვი. ვერც ამან შეაშინა. ჯიუტად გაიძახოდა: რომ მომკლათ, ფულს ვერ მიაგნებთ, რადგან კაპიკი არ მაქვსო. ამის შემდეგ წინასწარ მომზადებული თოკით მოხუცი საწოლზე დავაბი და ფულის ძებნა დავიწყეთ. ჩვენ მართლაც ვერ ვიპოვეთ ფული, რის გამოც მანანას იქვე დავუწყე ჩხუბი: რისთვის მომიყვანე ამ კაცთან, თუ არ იცოდი, ფული ჰქონდა თუ არა-მეთქი. რადგან ფულს ვერსად მივაგენით, მანანამ მითხრა, რომ მოხუცს სახლში ანტიკვარული სამოვარი და ძველი ხალიჩა ჰქონდა. სახლში ტომარა ვიპოვე, სამოვარიც შიგ ჩავდე და ხალიჩაც. ხელცარიელი ხომ არ წავიდოდი?! როცა ტომარა ეზოში გამოვათრიე, ისეთი მძიმე იყო, მივხვდი, იქიდან შორს წაღებას ვერ მოვახერხებდი და უცებ აზრად მომივიდა, მოხუცის ცხენი მომეპარა. ვიფიქრე, რომელიმე სოფელში გავყიდდი იაფად. ათი ათას დოლარს ველოდი იმ სახლში, მაგრამ ვერ ვიპოვე – ცხენიც საქმე იყო. მანანამ მითხრა, მე ფეხით წამოვალო. ცხენზე შევჯექი, ტომარაც ზედ დავდე და ეზო იმავე გზით, მეზობლის ნაკვეთიდან დავტოვე. სახლშიც ჩემი დის მითითებით, ასე შევედი. სოფელი გავლილი არ მქონდა, როცა წინ რამდენიმე მამაკაცი გადამიდგა და დამაკავეს. როგორც მერე გავიგე, იმ ეშმაკ მოხუცს თოკი აუხსნია და მეზობლები გამომაყოლა მდევრად."

**დანა რომ დამისვა ტანზე, ქალს გასძახა: მარილი მოიტანე, ჭრილობაზე უნდა დავაყაროო**



დაკავებული მანანა კ-ძე დიდხანს ამტკიცებდა, რომ ძმას „ნაკოლი" თავად მისცა, მაგრამ შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა. თავიდან მის დაფარვას მისი ძმაც ცდილობდა, მაგრამ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე და საქმის მოკვლევით, მანანა კ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ჩადენილი ყაჩაღობისთვის შესაბამისი მუხლით დაკვალიფიცირდა. ამონაწერი დაზარალებული სანდრო ქ-შვილის ჩვენებიდან: „მართალია, მამაკაცი ვერ ვიცანი, მაგრამ როგორც კი სახლში ქალი შემოვიდა, რომელსაც სახე შარფით ჰქონდა ახვეული, მივხვდი, მანანა იყო. ის დროდადრო სახლს მილაგებდა ხოლმე. მერე მისი ხმაც გავიგე და ეჭვი აღარ შემეპარვია. არ ვიცი, რა იფიქრა და-ძმამ, ალბათ, გადაწყვიტეს, რომ სახლში ფული არ მქონდა, ან შესაძლოა, ჩემი მოკვლა ვერ გაბედეს. დანა რომ დამისვა ტანზე, ქალს გასძახა: მარილი მოიტანე, ჭრილობაზე უნდა დავაყაროო. მაგრამ, დანა ისე დამისვა, მხოლოდ კანი რომ გაეჭრა. მე იმანაც მიშველა, მანანას რომ არ ვუთხარი, გიცანი-მეთქი. თორემ შესაძლოა, მათ ცოცხალი არც დავეტოვებინე. როგორც კი სახლიდან გავიდნენ, მე საწოლიდან თავი ავიხსენი. იქამდეც მივხვდი, რომ მყარად არ ვიყავი დაბმული, მაგრამ არ შევიმჩნიე. როგორც კი თავი გავითავისუფლე, უპირველესად, მარანში შევედი და გადამალული ფული ვნახე. რა იცოდნენ თავდამსხმელებმა, რომ შემთხვევის ადგილიდან სულ რაღაც 5 მეტრში, ბოცაში 8 ათას დოლარს ვინახავდი. ამაში რომ დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, არც თავს დამანებებდნენ და ცოცხალს ნამდვილად არ გამიშვებდნენ. როგორც ჩანს, იფიქრეს, რომ სახლში ფული არ იყო. როცა მივხვდი, რომ ფული ადგილზე იდო, მეზობლებს დავუძახე, რომ ის ახალგაზრდა სოფლის ორღობეებში ცხენით შორს ვერ წავიდოდა. მეც იქ დავახვედრე ჩემი მეზობლები, სადაც არ ელოდა."

ხელმოცარულმა ყაჩაღებმა, რომელთაც მხოლოდ ხალიჩა, სამოვარი და ცხენი გაიტაცეს და რვა ათას დოლარს ვერ მიაგნეს, ჩადენილი დანაშაულის ყველა დეტალი აღიარეს. სასამართლომ ბესიკ კ-ძე დამნაშავედ ცნო და ორგანიზებული დანაშაულის, ქურდობისა და ყაჩაღობისთვის რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა მის დას, მანანა კ-ძესაც, რომელიც ჩადენილი დანაშაულისთვის გისოსებს მიღმა ოთხ წელს გაატარებს.

**ეკა ბარაბაძე**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-43(669)

მურადამ თავისი წილი მხოლოდ სამი თვის მერე წაიღო – ასე შევთანხმდით, მილიციას ეჭვი რომ არ აეღო და მას რკინის ალიბი ჰქონოდა. ამ საქმემ კი იმხელა რეზონანსი გამოიწვია, რომ მთელი საქართველოს მილიცია ფეხზე დადგა და მათი ბობოლა კოლეგის ბინიდან წაღებულ ნივთებსა და შემსრულებლებს ეძებდნენ. მილიციამ მასშტაბური ღონისძიებები ჩაატარა, მრავალი ადამიანი აიყვანა და დაკითხა, მაგრამ, ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია. სამმართველოში მეც დამიბარეს და, როდესაც ბესარიონ აბრალავას კაბინეტში შევდგი ფეხი, ვუთხარი:

– გამარჯობა, ძია ბესო! ხომ მშვიდობაა, რატომ დამიბარეთ?

– ვითომ არ იცი, – ეშმაკურად მითხრა აბრალავამ და სკამზე მიმითითა, დაჯექიო.

– რომ ვიცოდე, ხომ არ გკითხავდით, – მივუგე აბრალავას, – მართლა არაფერი ვიცი. ხომ მშვიდობაა? წვრილმანზე არ დამიძახებდით.

– წვრილმანზე კი არა... – ხელი ჩაიქნია აბრალავამ, ქუთაისში მომხდარი ქურდობის ამბავი თითქმის დეტალებში მომიყვა და ბოლოს დაამატა: ვიღაც ძალიან მაგარი ჩალიჩობს. გახსოვს? ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ანალოგიური დანაშაულები თბილისში მოხდა, ბერძენაც კი გვყავდა დაკავებული და მაშინ შენ ათქმევინე ჩემთვის ხუჭუჭას მამას.

– კიდევ კარგი, რომ ბერძენა სროკზეა, – ვთქვი მე, აბრალავამ კი მომიგო:

– სამაგიეროდ, შენ ხარ სვაბოდაზე!

– რას ამბობ, ძია ბესო, ჩემზე გაქვს ეჭვი? – სიცილით ვკითხე აბრალავას და მოსაწევად გამზადებული სიგარეტი მაგიდაზე დავდე.

– მოწიე, მოწიე, – მითხრა აბრალავამ, – მე არ მითქვამს, ეჭვი შენზე მაქვს-მეთქი, მაგრამ, გამორიცხული არაფერია. აქ კი იმისთვის დაგიბარე, რომ, თუკი რამე იცი ამ საქმეზე, დამეხმარო. გიმეორებ, დამეხმარო და არა ქურდებზე მომაწოდო ინფორმაცია.

– ძია ბესო, ნამდვილად არაფერი ვიცი, მაგრამ, თუ რამე შევიტყვე, დავაზვრატებაში აუცილებლად დაგეხმარები.

– მართლა არაფერი იცი?

– მართლა არაფერი.

აბრალავამ შემათვალიერა და ირონიულად მითხრა:

– თუ მართლა არაფერი იცი, ვერც მერე შეიტყობ რამეს. ვიღაც ძალიან შებერტყილი ჩალიჩობს და, არა მგონია, საკუთარი თავი გაშიფროს. კარგი, წადი, თავისუფალი ხარ.

რა ძნელი მისახვედრი იყო, რომ აბრალავას ჩემზე ჰქონდა ეჭვი, მაგრამ, იმიტომ არ დამაკავა, რომ იცოდა, არაფერს ვიტყოდი და ჩემი გაპრესვა არ ისურვა.

– კარგად იყავი, ძია ბესო, – ვუთხარი აბრალავას და კარისკენ გავემართე, მან კი დამიძახა:

– კობრა!

– გისმენ, ძია ბესო.

– კობრა! იცოდე, არ დაგინდობ, თუკი გავიგე, რომ ამ საქმეში შენი ხელი ურევია. მაქსიმალურ სროკს აგკიდებ და მერე არ გეწყინოს, – მტკიცედ მითხრა თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა.

ქუთაისელი მილიციის პოლკოვნიკის ბინის გაქურდვის საქმეზე არავინ დაუპატიმრებიათ და ამ ამბიდან სუფთად გამოვძვერი, თანაც, ხალხს გასართობი მიეცა და მთელი ქუთაისი დასცინოდა თავის საძულველ თანამოქალაქეს, მის მათხოვ ქალიშვილებსა და „მირიკო კრასავიცას“, რომელიც სახლში დაბრუნებისთანავე სასტიკად სცემა თალიკიამ.

– კობრაია, ძამია, – მიყვებოდა მურადა, – ისე გოუფენია თალიკია გიჟს და ისე უცემია მირიკო კრასავიცა, რომ ექიმებმა კარგა ხანს გონზე ვერ მეიყვანეს და კინაღამ წერილი წეიღო მიქელ-გაბრიელთან.



– ახლა როგორაა ის უბედური? – სიცილით ვკითხე მურადას.

– ასობი რეჟიმშია. სამსახურში არ უშვებენ, თან, სიმამრმა მაშინა წაართვა. სახლში ჰყავთ გამოკეტილი და ფანჯრიდანაც კი არ ახედებენ, – ხარხარებდა მურადა.

– მაგათი დედაც... შენ ის მითხარი, ფოსტალიონობა არ მოგბეზრდა?

– კი, მომბეზრდა, მარა, რა ვქნა, სხვას რომ ვერაფერს ვშოულობ?

– წინადადება მაქვს შენთან.

– რა წინადადება?

– რა და, ეს საქმე მშვენივრად გამოგვივიდა და ვიჩალიჩოთ ერთად, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი გაქვს, – შევთავაზე მურადას, რადგან, იმ მომენტში უპაძელნიკოდ ვიყავი დარჩენილი, თანაც მურადა მშვენიერი შემსრულებელი აღმოჩნდა და სწორედ ასეთი პარტნიორი მჭირდებოდა.

– რაზეა ბაზარი, კობრაია, ძამია. როცა შენისთანა კაცი პაძელნიკობას გთავაზობს, უარის თქმა გრეხია. თანახმა ვარ, ვიჩალიჩოთ ერთად.

მურადა მართლაც შესანიშნავი პაძელნიკი აღმოჩნდა. ქურდის პროფესიაც კარგად აითვისა, ყველა ჩემს მითითებას ზუსტად და უსიტყვოდ ასრულებდა და, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკე და ენაკვიმატი ადამიანი იყო, ზედმეტს არასოდეს იტყოდა, რადგან, ენაზე კბილის დაჭერა იცოდა. სამწუხარო იყო, რომ ოფიციანტად და ფოსტალიონად იყო ნამუშევარი და ამიტომ ქურდი ვერ გახდებოდა, თორემ, ეს სტატუსი არ ასცდებოდა... რამდენიმე ბინა ისე სუფთად გავიტანეთ, რომ მცირე ხელჩასაჭიდიც კი არ დაგვიტოვებია მილიციისთვის. ერთ დღეს მურადამ თბილისში ჩამომაკითხა და მითხრა:

– კობრაია, ძამია, ერთი ნაკოლი მაქვს და, თუ მეიწონებ, ვიჩალიჩოთ.

– თქვი, გისმენ, – ვუთხარი მურადას, რომელიც სავარძელში მოკალათდა და თქვა:

– ავეჯი თუ მოგიპარავს ოდესმე?

– ავეჯი?

– ჰო, ავეჯი, მებელი...

– არა.

– ჰოდა, ახლა მოგიწევს, – გაეცინა მურადას, – არ გაგეცინოს ჩემს სიტყვებზე, თავს დავდობ, რომ ნაღდად მასეა, რაფერც მგონია.

– აღარ იტყვი, რა პონტია? – ვუთხარი მურადას, რადგან, მისი სიტყვებიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ ავეჯი უნდა მოგვეპარა.

– კაროჩე, კობრაია, ხომ იცი, რომ ებრაელებს ისრაელში გამგზავრების ნება დართეს?

– კი, ვიცი. მერე რა?

– რა და, ქუთაისში ბევრი ებრაელი ცხო-

ვრობს და თითქმის ყველა ბრუნდება თავის ისტორიულ სამშობლოში. სალორიეში ერთი მოშიკა ცხოვრობს. მესაათეა, მაგრამ, იმდენი მაყუთი აქვს, ნახევარ ქუთაისს იყიდის. ისრაელში ისიც მიდის და ამდენ ფულს აქ ხომ არ დატოვებს? ამიტომ, მაგან ერთი ხრიკი მეიგონა და ასე აპირებს თავისი ქონების საზღვარზე გადატანას.

– როგორ?

- როგორ და, რაც კი რამ ჰქონდა გასაყიდი – სახლი, შმოტკები, ავეჯი – ყველაფერი გაყიდა, ყველაფერი და, ერთი კომოდი დეიტოვა, რომელიც თან მიაქვს ისრაელში. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი თავისი ქონება სწორედ იმ კომოდში აქვს დამალული. ორ კვირაში ისრაელში მიემგზავრება და უნდა ვიჩქაროთ.

– მასე რომ არ იყოს? – ეჭვი შემეპარა მურადას სიტყვებში.

– მასეა, მასე. დარწმუნებული ვარ, რომ მასეა. მოშიკა სახლიდან არ გამოდის და პოლზე სძინავს – ნაღდად იმ კომოდს სდარაჯობს, სადაც მთელი ქონება აქვს შენახული. ჩვენ, პროსტო, ის უნდა მოვიფიქროთ, როგორ გამევიტყუოთ ის სახლიდან.

– მერე მოვიფიქროთ, – მოკლედ მივუგე მურადას, რომელმაც მითხრა:

– კაროჩე, კობრაია, ვიცი, რაფერც უნდა გევიტყუოთ მოშიკა სახლიდან, მაგრამ, ძალიან სწრაფად უნდა ვიჰალიჩოთ, თვარა, არაფერი გამოვა და დიდი კუში წაგვივა ხელიდან.

– ვიმოქმედოთ მერე, მეტი რა ვიცით. თუკი პოლკოვნიკის ბაითიდან მთელი ჯოგი გამოვიტყუეთ, მოშიკა რაღა ყოფილა?

– კაროჩე, კობრაია, ასე უნდა ვქნათ: მოშიკას საღამოს ექვსის ნახევარზე ქვითარს მივუტანთ ფოსტიდან, რომ ვითომ მოსკოვის ოვირიდან (ვიზების გამცემი განყოფილება) დაზღვეული წერილი მოუვიდა. ფოსტის განყოფილება მისი სახლიდან ას მეტრში, მოსახვევს იქით მდებარეობს და მისვლა-მოსვლას მაქსიმუმ ათი წუთი დასჭირდება. ფოსტა ექვსზე იკეტება და მოშიკას მაშინვე მოუწევს წასვლა. თუმცა, შეიძლება, მეზობელს სთხოვოს სახლში დარჩენა და ამ შემთხვევისთვისაც მზად უნდა ვიყოთ, – მითხრა მურადამ.

დათქმულ დროს, ჩვენ მიერ ას მანეთად დაქირავებულმა, ფოსტის კურიერის სამოსში გამოწყობილმა ოციოდე წლის სტუდენტმა ბიჭმა, მოშიკას ყალბი ქვითარი მიუტანა. მე და მურადა ოციოდე მეტრში, ძველი ნასახლარის ნანგრევებიდან დურბინდით ვუთვალთვალებდით მოშიკას, რომელიც დაფაცურდა, მეზობელს გადასძახა, სახლში დატოვა და თვითონ ფოსტისკენ გაემართა სწრაფი ნაბიჯით. მოსახვევს რომ მიეფარა, მურადას ვუთხარი:

– დროა, სანეპიდსადგურის ინსპექტორი გაუშვი.

იქვე ორას მანეთად დაქირავებული ორმოციოდე წლის მამაკაცი გველოდებოდა, რომელსაც სახეზე მარლა ჰქონდა აფარებული და წინასწარ იცოდა, რაც უნდა ექნა. ის ჩქარი ნაბიჯით მივიდა მოშიკას სახლში და იქ მყოფ მეზობელს უთხრა, უბანში ქოლერის ჩხირებია აღმოჩენილი და ყველა სახლს დეზინფექცია უნდა ჩაუტარდესო. ამ ამბით თავზარდაცემული მეზობელი სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას, მე და მურადა კი ავეჯის მცირე ზომის სატვირთო მანქანით სასწრაფოდ მივადექით მოშიკას ცარიელ სახლს, იქიდან საკმაოდ მძიმე, ანტიკვარული კომოდი გამოვიტანეთ, მანქანაში ჩავდეთ და სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას. მოსახვევს რომ მივუახლოვდით, მოშიკას მოვკარით თვალი, რომელიც ფოსტიდან გამოვარდა და სახლისკენ მოკურცხლა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, ფოსტაში ეტყოდნენ, რომ ქვითარი ყალბი იყო.



– ათიანში გავარტყით, კობრაია, ძამია, – მითხრა მურადამ, როცა გაქცეული მოშიკა დაინახა, – კომოდში რომ ქონება არ ჰქონდეს დამალული, ასეთი შეშლილი სახით არ გეიქცეოდა სახლში.

მოპარული ავეჯის მანქანა რიონის პირას დავტოვეთ, კომოდი კი ნათხოვარი ფურგონიანი „მოსკვიჩით“ მურადას სახლში მივიტანეთ, საგულდაგულოდ, სულ მისხალ-მისხალ დავშალეთ და იქიდან პატარ-პატარა ოქროს ნადნობები და ძვირფასი თვლები ამოვიღეთ.

– ნახე, რა შებერტყილია ეს მოშიკა?! მთელი თავისი ქონების საზღვარგარეთ გატანა ამ კომოდით უნდოდა, – ვთქვი მე და მურადას ვკითხე: მურად, ძმაო, აქ ძალიან დიდი ქონებაა და, ცოდოა მოშიკა, რომ მთლიანად დავაკარგვინოთ. რას იტყვი, რომ ნახევარი დავუბრუნოთ?

– რა უნდა ვთქვა, კობრაია, ძამია, მართალი ხარ. ეგ უბედური, ალბათ, მთელი ცხოვრება აგროვებდა და, სულ რომ დაკარგოს, უკვე თუ არ გასკდომია გული, აუცილებლად გაუსკდება. ამიტომ, ნახევარი მართლა უნდა დავუბრუნოთ, – მითხრა მურადამ.

საბედნიეროდ, მოშიკა ცოცხალი იყო და მხოლოდ მაშინ გაუხდა გული ცუდად, როდესაც ჩვენ მიერ დაქირავებულმა სტუდენტმა თავისი ნახევარი ქონება უკან მიუტანა წერილთან ერთად, რომელშიც მას ისრაელში ბედნიერ მგზავრობას ვუსურვებდით.

მოშიკას ამბავი არ გაბაზრებულა, რადგან ის საკმაოდ ჭკვიანი იყო და არავისთან დასცდებოდა – გამქურდეს და შემდეგ ნახევარი ქონება დამიბრუნესო, რადგან, ეს ამბავი რომ მილიციის ყურამდე მისულიყო, მას დაბრუნებულ ქონებასაც წაართმევდნენ, ვალსაც დაადებდნენ და, შეიძლება, ციხეშიც კი გამოემწყვდიათ. მსგავსი რამ არაერთხელ მომხდარა და, უბრალო, რიგითი ადამიანები, სწორედ ამიტომ უფრო ენდობოდნენ მილიციაზე მეტად ქურდებს.

ერთხელ, ჯერ კიდევ შკოლნიკობის პერიოდში, მე და ყბედალო ბერძენასთან ვიყავით სახლში. იქ იყო ზურა ქართველიშვილიც. ის სულ რაღაც სამი დღის გამოსული იყო სროკიდან, მაგრამ, ეს მთელმა ქვეყანამ იცოდა და უამრავი ადამიანი აკითხავდა სანახავად, რომლებიც მას პატივისცემის ნიშნად საქეიფოდ პატიჟებდნენ. ამის გამო, იმ დღეს ზურა დილიდან ბერძენასთან აფარებდა თავს და გაფრთხილებული ჰყავდა, რომ ყველასთვის დაემალა მისი იქ ყოფნის ამბავი.

– ყელში ამომივიდა ამდენი დალევა. როგორია, ადამიანი შენს სანახავად მოდის, საქეიფოდ გეპატიჟება და შენ კი უარს ეუბნები! ამიტომ, ჯობია, სადმე შეაფარო თავი და არ გამოჩნდე, – გვითხრა ზურამ და სწორედ ამ დროს კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ზურამ ბერძენას უთხრა:

– ხომ იცი, მე აქ არ ვარ.

ბერძენამ კარი გაალო და მამაკაცის ხმა გაისმა:

– გამარჯობა! კოტე ბერძენიშვილი თქვენ ხართ, ხომ?

– დიახ, მე ვარ. რა გნებავთ? – ჰკითხა ბერძენამ.

– მე ზურა ქართველიშვილს ვეძებ. თქვენთანაა?

– არა, ჩემთან არაა.

– კარგი. ბოდიშს გიხდით, ნახვამდის.

– ნახვამდის, – მიუგო ბერძენამ, კარი მიხურა და ოთახში დაბრუნდა.

– ვინ იყო? – ჰკითხა ზურამ ბერძენას.

– ნავთის სკლადთან რომ ცხოვრობს, პროფესორი, „გეპეიში“ რომ ლექციებს კითხულობს. შენ გეძებდა, – მიუგო ბერძენამ.

– მერაბ კაკაბაძე? – გაუკვირდა ზურას, – აქ სხვა რაღაცაშია საქმე. ერთმანეთს კი ვიცნობთ, მაგრამ, ჩემს სანახავად, მით უმეტეს, რესტორანში დასაპატიჟებლად, ნამდვილად არ მოვიდოდა. მიდი ერთი,



დაეწიე და ამოიყვანე!

ათიოდე წუთის შემდეგ მერაბ კაკაბაძე ჩვენ წინაშე იდგა და გვიღიმოდა. მან ჯერ მე და ყბედალოს ჩამოგვართვა ხელი, შემდეგ ზურა მოიკითხა და პაუზა გააკეთა. აშკარა იყო, ზურასთვის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ, ჩვენთან თავს იკავებდა. ზურა მიხვდა, რაშიც იყო საქმე და, ჩვენთვის გული რომ არ ეტკინა, კაკაბაძეს უთხრა:

– წამობრძანდით სამზარეულოში და იქ ვილაპარაკოთ.

მე და ყბედალო მერაბ კაკაბაძეს კარგად ვიცნობდით, რადგან, მისი უმცროსი ქალიშვილი, ნათია, ჩვენი თანაკლასელი იყო, მასთან ვმეგობრობდით და მის სახლშიც ხშირად ვყოფილვართ. ამიტომ, როდესაც ისინი სამზარეულოში გავიდნენ, ყბედალომ თქვა:

– ვაა, მერაბს აქ რა უნდა, ტო, თანაც, ზურასთან?!

– მაგარია ზურა! – თქვა ბერძენამ, – ნახეთ? არ გვაკადრა დაგვტოვეთო და თვითონ გაიყვანა პროფესორი.

– ზურასთან რა საქმე აქვს, ტო, ნათიას მამას? – გაიმეორა ყბედალომ, მაგრამ, გაჩუმდა, რადგან, ზურა და მერაბ კაკაბაძე სამზარეულოდან გამოვიდნენ.

– კარგად იყავით, ახალგაზრდებო, – გამოგვემშვიდობა მერაბ კაკაბაძე და კარისკენ გაემართა, სადამდეც ის ზურამ მიაცილა და, ოთახში რომ დაბრუნდა, კოპებშეკრულმა ჰკითხა ბერძენას:

– „ჩორნი ანზორა“ ვინაა?

– ვინ ჩორნი ანზორა, ზურა? – გაიკვირვა ბერძენამ და მეც და ყბედალომაც მხრები ავიჩეჩეთ, რადგან, ასეთი მეტსახელით არათუ მთაწმინდაზე, არამედ, მთელ თბილისში არავის ვიცნობდით.

– გრიბოედოვზე, კონსერვატორიასთან ცხოვრობს, შავი, გამხდარი ბიჭიაო, ასე მითხრა პროფესორმა კაკაბაძემ, – აგვიხსნა ზურამ.

– ვისზე ამბობ, ანზორა კურკლისთავაზე? ასეთი შავი როჟა მთელ თბილისში მხოლოდ ეგაა, – თქვა ბერძენამ.

– კაროჩე, მაგ ნაგლს პროფესორისთვის ხუთასი მანეთი გამოურთმევია ერთი თვის წინ. სახლში დასდგომია და უთქვამს, ცოლისთვის მინდა, მშობიარეა და მიკვდებაო. კაკაბაძეს კი შესცოდებია და ფული მიუცია.

– რა ცოლი, ზურა, ანზორა გაქანებული მორფინისტია და, ალბათ, წამლის ფული უნდოდა. სად ჰყავს ცოლი, ერთი უვარგისი ვინმეა, – თქვა ბერძენამ.

– მოკლედ, პროფესორს გაუიასნებია, რომ ის ნაგლი ატყუებდა და არანაირი ცოლი არ ჰყოლია. ამიტომ, სახლთან დახვედრია და ვალი მოუთხოვია. იმას კი უთქვამს, ჩორნი ანზორა ვარ, შენი ფული ქურდულ საქმეს მოხმარდა და ვერ მიიღებო. კაკაბაძემ მითხრა, არც იმ ნაბიჭვრის შემშინებია და არც ფულშია საქმე, მაგრამ, მაინტერესებს, მართლა ქურდებს ხომ არ მოხმარდათ ეს ფულიო. მე შევპირდი, გავარკვევ და შეგატყობინებ-მეთქი. პროფესორი კი ამბობს, იმ ანზორას მე თვითონ მოვთხოვ პასუხს და ცხვირ-პირს ამოვუნაყავო. ამ ინტელიგენტ კაცს მუშტიკრივს ხომ არ გავამართვინებთ. ამიტომ, აქ ამომითირეთ და მანახეთ ერთი, რა ჩორნი ანზორაა, – თქვა ზურა ქართველიშვილმა.

– რის ჩორნი ანზორა, – გაეცინა ბერძენას, – წვრილი თავი აქვს, თხის კურკლივით და „კურკლისთავას“ ეძახიან. მურტალი მორფინისტია და წამლისთვის ნა ვსიო სპასობნია. ამ საქმეს უშენოდაც მოვაგვარებთ და ფულსაც მოვაჯმევინებთ იმ ნაგლს.

– არა, აქ მომითირეთ, პირადად უნდა დაველაპარაკო, – თქვა ზურამ.

მე და ყბედალომ ნახევარი საათის შემდეგ მოვუყვანეთ ზურას კურკლისთავა ანზორა. მან ალმაცერად შეხედა კურკლისთავას და ჰკითხა:

– ჩორნი ანზორა შენ ხარ?

– დიახ, – ენა დაება კურკლისთავას.

– აბა, ერთი მითხარი, რა ქურდულ საქმეს მოახმარე პროფესორ კაკაბაძისთვის გამორთმეული ფული?

– დამნაშავე ვარ, – ძლივს ამოღერღა კურკლისთავამ, ზურას კი ზიზღი აღებეჭდა სახეზე და უთხრა:

– ვენაში გაუშვი ეგ ფული და ქურდებს გვაბრალებ, შე ნაგლო? ღირსი არა ხარ, რომ კაცმა ცხვირ-პირი გაგიერთიანოს და ყურები დაგაცალოს?

– ღირსი ვარ, – თქვა გაფითრებულმა ანზორამ, რომელიც ისე იყო შეშინებული, რომ შავი სახე მთლად გაუთეთრდა.

– ღირსი ხარ რომელია, მაგრამ შენზე ხელს არ გავისვრი. წადი და დღესვე დაუბრუნე ვალი პროფესორს!

კურკლისთავას კიდევ უფრო თეთრი ფერი დაედო სახეზე და ზურას უთხრა:

– ღმერთს გეფიცები, ხუთასი მანეთი კი არა, ხუთი კაპიკიც არ მაქვს და ამდენ ფულს უახლოეს დღეებშიც ვერ ვიშოვი. გეფიცები, ბატონო ზურა, ნამდვილად არ გატყუებ. ორი დღეა, მშიერი დავდივარ და სამი მანეთი არავინ მომცა, რომ კალბასი და პური მეყიდა, – ატირდა კურკლისთავა ანზორა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ამჯერად არ ცრუობდა.

ზურა ქართველიშვილმა დამცინავად

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ო | ს | ტ | ა | ტ | ი | | მ | თ | ა | | ა | | ა | |
| კ | | ტ | | ქ | | ლ | | ი | | ნ | უ | ნ | ი | ს | ი |
| ე | ლ | ი | ტ | ა | | ი | გ | ნ | ა | გ | | ბ | | ტ | |
| ს | | ქ | | უ | ნ | ა | რ | ი | | ი | ს | ა | მ | ა | ს |
| ა | ზ | ი | უ | რ | ი | | ი | | ა | ნ | ა | ნ | ა | მ | |
| რ | | უ | | ი | ნ | ა | ლ | ა | | ა | პ | უ | ლ | ი | ა |
| ი | ხ | რ | ა | | ი | მ | ი | რ | გ | | ა | რ | ა | | ზ |
| ა | | ი | | | | ა | | ზ | | ფ | ლ | ი | რ | ტ | ი |
| | ე | | ო | | ი | ლ | ი | ა | ფ | | ნ | | ი | | ზ |
| ი | ნ | ი | დ | ა | ლ | ა | ს | | ა | | ე | კ | ა | ლ | ი |
| თ | ა | მ | ა | რ | ი | | ი | თ | რ | ე | | ი | | ე | |
| ა | | ე | | ი | | პ | | | ა | ტ | ა | მ | ა | ნ | ი |
| კ | ო | რ | ტ | ა | ს | ა | რ | ი | | ლ | | | რ | | ჟ |
| ა | ნ | ი | ა | | ა | რ | ა | ლ | | ი | ხ | ა | ტ | რ | ა |
| | ა | | ტ | ე | რ | მ | ი | ტ | ი | | ი | ს | ე | ვ | |
| ი | მ | ო | რ | | ფ | ო | ს | ო | | ა | ლ | ა | ლ | ი | |
| | ი | | ა | კ | ი | ნ | ა | | ბ | | ი | ნ | ი | ა | ს |
| | | | | | | ი | | ო | რ | უ | | თ | | ნ | |
| | | | | | ი | ა | თ | ლ | ა | | ა | ი | ბ | ი | ლ |
| | | | | | უ | | | ა | მ | ა | კ | | ო | | ე |
| | | | | | მ | ა | ს | რ | ა | | ი | შ | მ | ო | კ |
| | | | | | ო | | ა | ი | ნ | ა | მ | | ო | | ა |
| | | | | | რ | ე | ს | | ტ | | ი | დ | ნ | ა | ლ |
| | | | | | ი | ლ | ა | რ | ე | ნ | მ | | ი | | ო |



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 2 | 3 | 7 | 6 | 8 | 1 | 5 |
| 5 | 8 | 7 | 9 | 2 | 1 | 4 | 3 | 6 |
| 3 | 6 | 1 | 8 | 5 | 4 | 7 | 9 | 2 |
| 1 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 | 8 |
| 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 3 | 6 | 7 | 9 |
| 7 | 3 | 6 | 4 | 9 | 8 | 2 | 5 | 1 |
| 9 | 7 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 6 | 3 |
| 2 | 1 | 5 | 6 | 3 | 7 | 9 | 8 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 1 | 8 | 9 | 5 | 2 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 6 | 8 | 4 | 2 | 3 | 7 | 9 |
| 4 | 3 | 7 | 6 | 9 | 1 | 5 | 8 | 2 |
| 9 | 8 | 2 | 5 | 3 | 7 | 6 | 1 | 4 |
| 7 | 9 | 8 | 1 | 5 | 4 | 2 | 3 | 6 |
| 2 | 6 | 1 | 3 | 7 | 9 | 4 | 5 | 8 |
| 3 | 5 | 4 | 2 | 8 | 6 | 1 | 9 | 7 |
| 8 | 4 | 3 | 9 | 2 | 5 | 7 | 6 | 1 |
| 6 | 7 | 9 | 4 | 1 | 3 | 8 | 2 | 5 |
| 1 | 2 | 5 | 7 | 6 | 8 | 9 | 4 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. საბეჭდი მანქანა. 2. აბატი ატარებს შავ ქუდს და სუტანას, ეპისკოპოსი – იისფერს, კარდინალი – წითელს, პაპი – თეთრს. 3. იარაღი შემკო ძვირფასეულობით და მეომრებს მათი დატოვება ენანებოდათ. 4. რეზინით. ხახუნის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი აქვს რეზინს რეზინზე. 5. ქვედა ტუჩი ცხენ-ირმის ყველაზე გემრიელი ნაწილია. 6. პერგამელებმა გამოიგონეს პერგამენტი. 7. მოსკოვის აღების შემდეგ, ნაპოლეონმა მოსკოვის მთავრის ტიტული მარშალ ნეის მიანიჭა. 8. შამპანურის ბოთლის საცობი. 9. რადგან ასე იცავენ, ძვირფასიაო, – იფიქრეს გლეხებმა და დაიწყეს კარტოფილის მოპარვა და თავიანთ მინდვრებში დათესვა. 10. საჭადრაკო კომპოზიტორები.**

გახედა კურკლისთავას, შემდეგ ფულის დასტა ამოიღო ჯიბიდან, ექვსასი მანეთი გადათვალა, მაგიდაზე დადო და კურკლისთავას უთხრა.

– აქ ექვსასი მანეთია. ხუთასს ახლავე მიუტან პროფესორს, ასს კი შენთვის დაიტოვებ და, სანამ რამე წესიერ საქმეს მოჰკიდებ ხელს, საჭმლისთვის გამოიზოგე. პროფესორთან არ თქვა, რომ ფული მე მოგეცი, მაგრამ, იცოდე, თუ გავიგე, რომ ეს ასი მანეთი წამალში დახარჯე და, საერთოდაც, კაიფს თუ არ შეეშვები, სინდისს ვფიცავ, ქურდულ სიტყვას ვამბობ, რომ ხელ-ფეხს მოგამტვრევ, ხერხემალში გადაგტეხავ და ისე დაგდებ. გასაგებია?

კურკლისთავა ანზორა ისე იყო გაოგნებული, თავი სიზმარში ეგონა და ხმას ვერ იღებდა. ხოლო, როცა ზურამ თავისი სიტყვები გაუმეორა და მეორედ ჰკითხა, გასაგებია თუ არაო, კურკლისთავამ ფული ჯიბეში ჩაიდო და სანამ წავიდოდა, თქვა:

– დიახ, დიახ, გასაგებია, ბატონო ზურა, გასაგებია.

ზურას კეთილშობილურმა საქციელმა, რა თქმა უნდა, ყველანი აღტაცებაში მოგვიყვანა, მაგრამ, სიტყვა არავის დაგვიძრავს და ოთახში დუმილი ჩამოვარდა, რომელიც თავად ზურამ დაარღვია და თქვა:

– მურტალი რამეა წამალი. ისე შეუძლია ადამიანის გადაგვარება, რომ ნა ვსიო სპასობნის გახდის. ფრთიანი ანგელოზი არც მე ვარ, მაგრამ, ქურდი ვარ, ქურდული ღირსება გამაჩნია და მის დაკარგვას სიკვდილი მირჩევნია. ამ საცოდავს კი, რომელიც, ალბათ, ოცი წლის თუ იქნება, თითქმის ყველანაირი ღირსება აქვს დაკარგული და საცოდავი მისი მშობლები! ის რომ ჩემი შვილი იყოს, ჯერ მაგას მოვკლავდი და მერე თავს მოვიკლავდი.

– სად ჰყავს მაგ საცოდავს მშობლები, – სინანულით გააქნია თავი ბერძენამ, რომელიც თავად ობოლი იყო და დედ-მამის სიკვდილში საკუთარ თავს ადანაშაულებდა, – სამი წლის წინ ავტოავარიაში დაეღუპა დედ-მამა. „ზაჰესთან," მტკვარში ჩაცვივდნენ და მხოლოდ ორი დღის მერე იპოვეს...

– ვაა, რას ამბობ. მაგრად დავიგრუზე, – თქვა ზურამ, – პირველად მესმის ეგ ამბავი. რატომ გამომეპარა?

– ანზორა მშობლების სიკვდილის მერე გადმოვიდა მთაწმინდაზე, მანამდე კი ვაკეში ცხოვრობდა და ბინაც სწორედ მშობლების სიკვდილის გამო გაყიდა. უთქვამს, იმ სახლში მარტო ვერ გავჩერდებიო და მთაწმინდაზე გადმოვიდა, – განუმარტა ზურას ბერძენამ.

– ვაა, ვაა, საცოდავი, – თავი გააქნია ზურამ და მე და ყბედალოს გვითხრა: წადით, ერთი, მოძებნეთ და აქ მომიყვანეთ ეგ ბიჭი.

მე და ყბედალომ ნახევარ საათში მოვუყვანეთ ზურას ანზორა. ის გრიბოედოვის ქუჩაზე, პატარა გასტრონომის გვერდით მდებარე სადარბაზოში ვიპოვეთ. იმ საცოდავს ერთ ხელში შავი პური ეჭირა, მეორეში – წვრილი ძეხვი, ფეხებთან ლიმონათი ედგა, თვითონ კი კიბეზე იჯდა და ილუკმებოდა. რომ დაგვინახა, ყბა გაუშეშდა, მაგრამ მე ვუთხარი:

– მიდი, ძმაო, ჭამე, ჭამე, ხელს არ შეგიშლით. რომ მორჩები, შენთან საქმე გვაქვს.

– ძმებო, არ გინდათ კალბასი და პური? – შემოგვთავაზა ანზორამ.

– არა, არ გვინდა, შენ ჭამე, – ვუთხარით მე და ყბედალომ, შემდეგ სადარბაზოს კარი მივუხურეთ და იქვე კიბეზე ჩამოვსხედით.

ათი წუთის შემდეგ სადარბაზოდან დანაყრებული ანზორა გამოვიდა, გაგვიღიმა და გვითხრა:

– ხომ მშვიდობაა, ძმებო? პროფესორს ვალი უკვე დავუბრუნე.

– კი, მშვიდობაა. ზურა ქართველიშვილი გიბარებს, – უთხრა ანზორას ყბედალომ.



– ზურა მიბარებს? – ძლივს ამოღერღა ანზორამ, რომელიც კვლავ ცარცივით გათეთრდა, რადგან, შეშინდა.

– ნუ გეშინია, ძმაო, ხომ გითხარით, რომ მშვიდობაა, – მხარზე ხელი მოვუთათუნე ანზორას, – წამოდი, წავიდეთ.

ჩემმა სიტყვებმა ანზორა ოდნავ დააწყნარა, მაგრამ, მაინც აფორიაქებული ჩანდა. ის მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, როდესაც ზურამ გაუღიმა, ხელი ჩამოართვა, წინ დაისვა და უთხრა:

– შენი ოჯახური ტრაგედიის ამბავი ამ ცოტა ხნის წინ შევიტყვე და გულით თანაგიგრძნობ, ძმაო. რას იზამ, ცხოვრება ასეთი სასტიკია და უნდა გავუძლოთ.

– გმადლობთ, ბატონო ზურა.

– ზურა დამიძახე, – უთხრა ზურამ და ჰკითხა, – რამდენი წლის ხარ?

– ოცდაერთის.

– ძალიან ახალგაზრდა ყოფილხარ, თუმცა, არც ისეთი პატარა, რომ საკუთარ საქციელზე პასუხი არ მოგეთხოვებოდეს. არ მუშაობ, არ სწავლობ და წამალს იკეთებ... – ხომ მართალს ვამბობ, რამე ხომ არ მეშლება?

– არა, ზურა, არ გეშლება. თუმცა, ადრე გეპეიში ვსწავლობდი და მესამე კურსიდან გამომრიცხეს. ოთხი გამოცდა ვერ ჩავაბარე, წამალზე შევჯექი და იმიტომ.

– რამე რომ იყოს და გეპეიში აღგადგინონ, ისწავლი?

– კი, ვისწავლი.

– კარგი, ძმაო, შენი აღდგენა ჩემზე იყოს. მაგრამ, უნდა შევთანხმდეთ, რომ წამალს აღარასოდეს გაეკარები და საერთოდ, წესიერ ცხოვრებას მოჰკიდებ ხელს. შეძლებ?

– მე მგონი, კი.

– არა, არა, ძმაო, „მე მგონი" არ გამოგვადგება, „ზადნი ხოდის" გარეშე: ან ჰო, ან არა! მაგრამ, თუ „ჰოს" იტყვი, აღარ უნდა გადათქვა და, რაც არ უნდა მოხდეს, ძველ ცხოვრებას აღარ უნდა დაუბრუნდე. გასაგებია, რომ შენი დედ-მამის დაღუპვამ დიდი დაღი დაგასვა, მაგრამ, კაცი ხარ, ნებისყოფა უნდა მოიკრიბო, წუმპიდან ამოხვიდე და იქ აღარ უნდა დაბრუნდე. ამას კი კაცობა სჭირდება. ახლავე დაგვიმტკიცე, რომ კაცი ხარ და, რა დღეშიც იყავი, ის მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო შენს ცხოვრებაში; რომ მეტი აღარასოდეს განმეორდება ეს საზიზღრობა.

– კაცურ სიტყვას გაძლევ, ზურა, რომ წამალს აღარასოდეს გავეკარები და პატიოსნად და კაცურად ვიცხოვრებ, – უთხრა ანზორამ ზურას, რომელმაც მას თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

– ნამდვილად შეძლებ ამას?

– ნამდვილად შევძლებ. ჩემი მშობლების სულს ვფიცავ, – მტკიცედ თქვა ანზორამ და, მიუხედავად იმისა, რომ ცრემლები მოადგა, ზურას თვალებში უყურებდა და ამაყად უღიმოდა.

– დაჯექი, ძმაო, – ზურამ სავარძლისკენ მიუთითა ანზორას, – თვალებში გეტყობა, რომ სიტყვას არ გატეხ. მართალია, ფრთიანი ანგელოზები არ ვართ, მაგრამ, არც ცუდი ხალხი ვართ, უცოდველი კი არავინაა ამქვეყნად. შეგიძლია, ყველგან თქვა, რომ ჩვენი მეგობარი ხარ.

– გმადლობთ, ზურა, – თქვა ანზორამ. ზურამ კი მიუგო:

– მადლობა მაშინ თქვი, ცხოვრებას რომ ააწყობ. კაცნი ვართ, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ.

ამ დროს დააკაკუნეს. კარი ბერძენამ გააღო და სულ მალე მერაბ კაკაბაძესთან ერთად შემოვიდა ოთახში, რომელსაც ხელში პროდუქტებითა და ღვინით სავსე ორი უზარმაზარი ჩანთა ეკავა. ანზორა მისგან ზურგით იჯდა და პროფესორს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. კაკაბაძემ ჩანთები იატაკზე დააწყო და ზურას უთხრა:

– თქვენი დიდი მადლობელი ვარ, იმ ყმაწვილმა ვალი დამიბრუნა და, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მინდა, რომ, პატივისცემის ნიშნად, თქვენთან ერთად ორიოდე ჭიქით აღვნიშნო...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-43(669)

### როგორ ახერხებ ამას...

ნინიმ ყავა მოსვა და კმაყოფილმა გაიღიმა. დილა მშვენივრად დაიწყო – სამსახურში მოსულს, მაგიდაზე თავისი საყვარელი ყავა და ტორტი დახვდა. ვიღაცას ძალიან ეზრუნა მასზე: ყველაფერი თეთრ ხელსახოცებზე დაეწყო და გამჭვირვალე, მოვერცხლისფრო ქაღალდში ლამაზად შეფუთული ერთი ვარდითაც გაეფორმებინა. გოგოს ფიქრიც არ დასჭირვებია იმის მისახვედრად, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი ყურადღებიანი. თომა კომპიუტერის მონიტორს მიშტერებული იჯდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს საერთოდ არ აინტერესებდა, რა ხდებოდა მის გარშემო. სამაგიეროდ, ლიზამ შემოსვლისთანავე შენიშნა ნინის მაგიდაზე უჩვეულო სიტუაცია.

– ოჰო?! შენ აღარ ხუმრობ, – ლოყაზე აკოცა ნინის და თვალი ჩაუკრა. აჩვევ ნელ-ნელა, როგორ უნდა ქალის პატივისცემა? პრინციპში, სწორად იქცევი.

ნინიმ მხრები აიჩეჩა:

– მე არაფერ შუაში ვარ, თვითონ მოიფიქრა. ძალიან ყურადღებიანია.

– ხმამაღლა თქვი, რომ კარგად გაიგონოს, – გადაიკისკისა ლიზამ, – რა სასაცილო გოგო ხარ. დიდი საქმეა ყავა და ტორტი! ეგ არაფერია, ცოტა მეტი მოსთხოვე.

– არაფერიც არ მომითხოვია. არ მიცნობ? თუმცა, გამიხარდა და არ უარვყოფ.

– გოგო, შენ თუ ასე ცოტა გყოფნის სიხარულისთვის, შორს ვერ წახვალ. მოითხოვე მაქსიმუმი, რომ მინიმუმი მაინც მიიღო – ეს არის აქსიომა და პრაქტიკაში დამტკიცებული.

– იცი, რას გეტყვი? სიყვარულს ვერავის ასწავლი. ფაქტია, რომ გრძნობა გაკეთებინებს ყველაფერს და ასეც უნდა იყოს. ყალბი არაფერში მჭირდება.

– ყალბი იყოს და ნაღდი იყოს, – ჩაიღიმინა ლიზამ და მუცელზე ხელი მოისვა, – ერთი სული მაქვს, როდის დამეტყობა ფეხმძიმობა... მერე ნახე, ლევანი როგორ სიურპრიზებს გამიკეთებს – გადასარევსა და გამაოგნებელს.

– მაგიტომ გიხარია ორსულობა? – გაეღიმა ნინის.

– მაგიტომაც! – ნიშნისმოგებით შემართა თითი ლიზამ, – რატომაც არა?! ბიჭი უნდა გავუჩინო და ვიმსახურებ ყველაფერ საუკეთესოს.

– მას უნდა გაუჩინო?! – ორაზროვნად იკითხა ნინიმ. ლიზა მოიღუშა და ნაწყენი კილოთი, ხმადაბლა ჩაილაპარაკა.

– აი, ეს კი არ უნდა გეთქვა. ზოგადად, იშვიათად მწყინს რამე, მაგრამ, შენგან არ ველოდი. ძალიან გთხოვ, აღარასოდეს, მინიშნებითაც კი არ გაიმეორო ის, რაც ახლა თქვი.

– არაფერიც არ მითქვამს. შენ გაიგე ცუდად, თორემ, მე ვიგულისხმე, საკუთარ თავსაც ხომ უჩენ-მეთქი – სულ ეს იყო. ტყუილად გაღიზიანდი.



– კარგი, კარგი, აღარ გვინდა ამაზე, – ერთბაშად მოლბა ლიზა, – მოდი, მხოლოდ პოზიტიური ენერგეტიკით დავიტვირთოთ. ვაკეთოთ ის, რაც მართლა გვინდა; ვილაპარაკოთ იმაზე, რაც მართლა გაგვამხიარულებს, მით უმეტეს, ჩემთვის აუცილებელია კარგ გუნებაზე ყოფნა.

– ესე იგი, ლევანი ბედნიერია. თქვენ შორის პრობლემა აღარ არსებობს და ურთიერთობა საბოლოოდ მოაგვარეთ?

– ჰო, ამ ეტაპზე ასეა, მერე კი ვნახოთ, – ხელები მოიფშვნიტა ლიზამ, – რაც მთავარია, საბოლოოდ დავარწმუნე, რომ მისი შვილისთვის საუკეთესო დედა მე ვიქნები, მე და სხვა არავინ.

– როგორ ახერხებ ამას, პირდაპირ წარმოუდგენელია, – თავი გადააქნია ნინიმ.

– რას? – გაიოცა ლიზამ, – გგონია, რამე განსაკუთრებულს ვაკეთებ? ცდები. უბრალოდ, საკუთარი თავის ფასი ვიცი – სულ ეს არის.

– მაგით იმის თქმა გინდა, რომ მე არ ვიცი საკუთარი თავის ფასი?

– იცი, მაგრამ, მის გამოყენებას ვერ ახერხებ და ამაშია პრობლემა.

– არაფერიც. მე პრობლემა აღარ მაქვს... – ნინიმ ღიმილით გახედა თომას, რომელიც აშკარად ძალიან ცდილობდა, ქალების ლაპარაკი მოესმინა.

– უყურე, როგორ აქვს დაცქვეტილი ყურები? – შენიშნა ლიზამ, – მაგას ახლა თავი გმირი ჰგონია.

– მოეშვი, რა გინდა. ძალიანაც მესიამოვნა, – გამოესარჩლა ბიჭს ნინი.

ლიზამ ტუჩი აიბზუა:

– ცოტა რომ თავს მოუაროს, უკეთესი იქნება. რანაირად აცვია, წვერიც სულ გაუპარსავი აქვს...

– წვერი უხდება – რაღაცნაირ, მამაკაცურ იერს ანიჭებს. არ მომწონს გახეხილი ქვაბივით გაპრიალებული კაცები.

– აბა, როგორები მოგწონს, ჩამოძონძილები? მაგარი გემოვნება გაქვს. იმიტომაც არ გყავს ნორმალური თაყვანისმცემელი. იცი, რომ მამაკაცები საკუთარ გარეგნობაში ნაკლს ვერ ხედავენ?! მაგათ რომ ჰკითხო, უფლება არ გვაქვს, არ მოგვწონდნენ.

– არ ვიცი. კაცებზე დაკვირვებას არ ვაწარმოებ.

ლიზამ ამოიოხრა:

– გოგო, მე კი არ გეკამათები. მინდა, რაღაც-რაღაცეები გასწავლო. გამოგადგება. თომასაც თუ მაგრად არ დაუდექი, ეგეც აუშვებს. დამიჯერე.

– აუშვებს და გავუყენებ გიგის გზას, – ნინიმ ტორტი ჩაკბიჩა, – წავიდა ის დრო, როცა ასეთ წვრილმანებზე ვნერვიულობდი.

– გეთანხმები. თუ მაგას ისე არ ამბობ, სიტყვის მასალად, ვიტყვი, რომ ჭკუა გისწავლია, თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ.

– თომა, დიდი მადლობა. ძალიან გემრიელია. ზუსტად ისეთია, როგორიც მიყვარს.

თომამ თავი ასწია. თვალები უბრწყინავდა:

– მართლა? შენ თუ ასე გაგიხარდება, ტორტებსა და ყავას არ მოგაკლებ.

ლიზამ მსუბუქად გაჰკრა იდაყვი ნინის:

– აჰა, რას გეუბნებოდი?! ყავისა და ტორტის იქით ვეღარ წავა მაგის ფანტაზია.

– არა უშავს, ამ ეტაპზე ესეც მაკმაყოფილებს.

– მდაა... სიჯიუტე კარგია, მაგრამ, კონკრეტულ სიტუაციაში და კონკრეტულ ადამიანთან... მამაკაცები, თითქმის განურჩევლად ყველა, მაგრად უნდა გყავდეს კაბის კალთაზე გამობმული – ახლა ჩემი ერთი მეგობარი ისეა გამწარებული. ერთხელ უთხრა ქმარს, თუ არ გჭირდები, წადიო და იმ სულელმაც გუდა-ნაბადი აიკრა.

– ანუ, წავიდა?

– ჰო. წარმოგიდგენია? ბარგი ჩაალაგა და კარი გაიხურა. არადა, საკმაოდ ნორმალური ტიპი ჩანდა. პარიზში ერთად ვიყავით. უფრო სწორად, იქ გავიცანი. ქეთისაც ვარიგებდი, მეტისმეტად ნუ ელოლიავები

შენს ქმარს-მეთქი, მაგრამ, დამიჯერა?! ახლა კი ნანობს, ტირის და ნერვიულობს.

– უი, ქეთი გაშორდა ქმარს? ცოდოა, – შეიცხადა ნინიმ.

ლიზამ თვალები მოჭუტა:

– ხედავ? შენს რეაქციას ვგულისხმობ. ეგრევე თქვი – ცოდოაო. არადა, კაცი რომ შორდება ცოლს, ულოცავენ ხოლმე.

– ვითომ, კაცს აბედნიერებს ოჯახის დანგრევა? – დაეჭვდა ნინი, – ვერ დავიჯერებ.

– რა თქმა უნდა, არ აბედნიერებთ, მაგრამ, პოზა უჭირავთ ეგეთი – ვითომ, სულაც არ გვენაღვლება, მარტო დავრჩებით თუ არაო. სინამდვილეში კი ჩვენზე გაცილებით უარეს დღეში ვარდებიან: ლოთობენ, დაწანწალებენ აქეთ-იქით. არავინ უვლით, არავინ ჰპატრონობთ... საშინელებააა... დარწმუნებული ვარ, ქეთის ქმარიც ნანობს, რაც გააკეთა, მაგრამ, მოკვდება და არ აღიარებს. საზიზღარი.

– ქეთი მართლა ძალიან ნერვიულობს?

– ძალიან. საგანგებოდ დამირეკა, შემხვდიო. ჩემი რჩევა სჭირდებოდა – ისე როგორ შევურიგდე რომ, არ იფიქროს, ვეხვეწებიო.

– ეგ ადვილი არ იქნება. თუმცა, მე მაინც ვერ ვხდები, თუ შერიგება უნდა, რა მნიშვნელობა აქვს, ის რას იფიქრებს?

– ისევ გეშლება. აქვს მნიშვნელობა, აქვს. კაცი წავიდა და თავისი ნებით არ ბრუნდება. ამან რომ სთხოვოს, დაბრუნდიო, მერე ნახე შენ მისი გაბლატავება.

– რამდენიც უნდა მელაპარაკო, მაინც არ მესმის. რა ვქნა, ძალიან ძნელია ჩემთვის ამის გაგება.

– რისი გაგებაა ძნელი?

– სიყვარული უნდა იყოს მთავარი ურთიერთობაში. როგორ შეიძლება, ასე დაწვრილმანდე? თუ გული გთხოვს, უნდა შეეხვეწო კიდეც, რატომაც არა?!

– ჰმ, ანუ, იმის თქმა გინდა, რომ გიგის გულით უნდა შეხვეწოდი?

ლიზა ნინის მაგიდაზე ჩამოუჯდა დოინჯშემოყრილი და სახეში ჩააშტერდა.

ნინი შეცბა:

– რა გაყვირებს? თომამ არ გაიგონოს. რატომ უნდა გავაღიზიანო?

– უფრთხილდები შენს უფლისწულს?! – ნიშნისმოგებით ჩაილაპარაკა ლიზამ.

– რატომაც არა?! – არ დაუთმო ნინიმაც.

– მიდი, მიდი, მიხედე შენს ოფიციანტს, თორემ, დილაობით ტორტისა და ყავის გარეშე დარჩები... – ჩაიკისკისა ლიზამ.

***

გიგიმ კომპიუტერი გამორთო და ზუკას მაგიდასთან მივიდა. ბიჭმა ყურადღება არ მიაქცია.

– კარგი რა, ნუ იბერები. ყველაფერს გეფიცები, მართლა არ მიფიქრია დაცინვა. რა პონტია, ხმას რომ არ მცემ, პატარა ბავშვი ხარ?

ზუკას არ შეუხედავს მისთვის, ხელი უკმაყოფილოდ აუქნია და თავისი საქმე განაგრძო. გიგიმ მაინც არ მოისვენა: ხან სკამი ააბრახუნა, ხან მაგიდის უჯრა გამოსწია და ხმაურით დახურა... არაფერმა რომ არ გაჭრა, მაგიდის ზედაპირზე მანქანის გასაღებით დაიწყო კაკუნი.



– აუ, გეყოფა, რა! – აღშფოთდა ლაშა, – რა დღეში ხარ?! სამსახურში მაინც მაცადეთ მშვიდად მუშაობა. შეკვეთა უნდა დავასრულო, სახლში ვერ გავიყოლებ.

– გაჩუმდი, სანიმუშო მამავ! – ირონიულად შეუძახა გიგიმ თანამშრომელს, – როგორც იქნა, აღიარე, რომ სახლში მაგრად გპრესავენ.

ლაშა გაღიზიანდა.

– „გპრესავენ“ რა სიტყვაა? როგორი უზრდელი ხარ ზოგჯერ. ძალიან კარგს შვრება ზუკა, რომ არ გელაპარაკება.

გიგის არ სწყენია ლაშას უხეში ნათქვამი. მისთვის, საერთოდაც, სულერთი იყო, რას ეტყოდნენ, მთავარი მიზანი ზუკას შეჯანჯღარება იყო. თავადაც ძალიან ნერვიულობდა იმაზე, რაც შემთხვევით გაიგო და ბოლომდე დარწმუნებულიც კი არ იყო, მოძებნილი ჰქონდა თუ არა ყველაზე მისაღები ფორმა, რა ფორმითაც ეს ინფორმაცია მეგობრის ყურამდე უნდა მიეტანა, მაგრამ, ინფორმაციულ ვაკუუმში რომ ვერ დატოვებდა, ამას ხვდებოდა. ამიტომ, ლაშას ღიმილით შეხედა და ჩაიცინა.

– შენს ადგილას, მე ხმას საერთოდ არ ამოვიღებდი.

– ვითომ რატომ? – დადარაჯებულივით ჩაილაპარაკა ლაშამ, – ვისზე რა ნაკლები ვარ?

– ნაკლები არა, მაგრამ, ცოლიანი ხარ. უფრო მეტიც – ცოლშვილიანი! ამიტომაც, ჭეშმარიტების არსს ველარ ჩასწვდები.

– რომელი ჭეშმარიტების, რას ბოდავ? რატომ გგონია, რომ ოჯახის შექმნა საშინელებაა და, საერთოდ, რა იცი ამის შესახებ? – არაფერი. ამიტომ, გიჟობს, საკუთარი თავი შეიცოდო. მე ძალიანაც ბედნიერი ვარ.

– ჰო, აბა რა, ეტყობა მეტისმეტი ბედნიერებისგან არის, რომ სოციალურ ქსელში გამოფენილ ნაშების სურათებს არ უშვებ ხელიდან.

– რა?! ჭარხალივით გაწითლდა ლაშა.

– რა, არა? არ ათვალიერებ ნაშების სურათებს და მერე ლიტრობით წყალს არ სვამ?! – არ დაინდო და ბოლომდე მიაწვა გიგი.

– არა, რა, ახია ჩემზე, ჭკუა ვერ ვისწავლე! შენთან ლაპარაკი საერთოდ არ შეიძლება, ცინიკოსი ხარ!

– ახია, აბა რაა, ვერ გაჩუმდი? რას ჩაერიე იქ, სადაც არაფერი გესაქმებოდა? – გიგი აშკარად არ აპირებდა გაჩუმებას.

– მორჩა, საკმარისია, მე მივდივარ! – ზუკამ კომპიუტერი გამორთო და წამოდგა, – არ შეიძლება ამ პირობებში მუშაობა.

– მეც მანდ ვარ, – მხარი აუბა ლაშამ, – არ შეიძლება ამ პირობებში მუშაობა. მაგრამ რა გინდა, ქნა? ვახოსთან ხომ არ ჩავუშვებ? რომც ჩავუშვა, მაინც არაფერი შეიცვლება, – ხელი ჩაიქნია ლაშამ.

გიგის უნდოდა, პასუხი გაეცა ლაშას პროვოკაციული განცხადებისთვის, მაგრამ, ზუკას გაშვებაც არ უნდოდა. ამიტომ, თავადაც კომპიუტერს ეცა გამოსართავად და მეგობარს უკან გამოეკიდა, კიბეზე წამოეწია და მკლავზე მოჰკიდა ხელი.

– მოიცადე, სად გარბიხარ? სამუშაო დღე ჯერ არ დამთავრებულა, ვახოსგან საყვედურს აიკიდებ.

– შენ არავინ გკითხავს. საკუთარ საქციელზე პასუხს თავად ვაგებ, – უხეშად მოიშორა გიგის ხელი ზუკამ და ლიფტის ღია კარში ისე შევარდა, უკან აღარ მოუხედავს. გიგი ერთხანს დაფიქრებული იდგა, მერე ხელი ჩაიქნია და ოფისში შებრუნდა.

– ლაშა, არ გინდა, ბარში ჩავიდეთ და რამე დავლიოთ? – ჰკითხა თანამშრომელს. ლაშამ თავი ასწია და ავად შეხედა:

– თავი დამანებე, რა!

– ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, დალევა მინდა. წამოდი, რა, საერთოდ არ ამოვიღებ ხმას და არც სულელურად ვიხუმრებ.

– შენი ნდობა როგორ შეიძლება? – ლაშას ყოყმანი დაეტყო.

გიგიმ მეგობრულად გაუღიმა და თვალი ჩაუკრა, მერე ორი თითით ყელი გამოიწია: წამოდი, გთხოვ. ახლა რომ არ დავლიო, გავგიჟდები.

ლაშამ თავი გადააქნია, ცოტა ხანს კიდევ ორჭოფობდა, მერე კი დათანხმდა:

– ჯანდაბას, ჩავიდეთ. მეც არ მაწყენდა ცოტა ალკოჰოლი და რელაქსაცია, თორემ, ეს შეკვეთა მალე ჭკუიდან გადამიყვანს. იმ ქალს საერთოდ არა აქვს წარმოდგენა, რა უნდა.

– ვინ ქალს?

– შემკვეთს. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ქალი ყველა ერთნაირია – არც ერთმა არ იცის, რა უნდა სინამდვილეში, – ხელი ჩაიქნია ლაშამ და სკამზე გადაკიდებულ ქურთუკს დასწვდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# გაქვთ ჭკუა?!



**1. სახლში რომ ბრუნდებით, პირველად რას აკეთებთ?**

ა) ხელებს ვიბან – 4 ქულა;
ბ) წვენს ან წყალს ვსვამ – 3 ქულა;
ბ) ტუალეტში შევდივარ – 2 ქულა;
დ) არც კი დავკვირვებივარ – 1 ქულა;
ე) ხან რას ვაკეთებ, ხან რას – 0 ქულა.

**2. ეზოში იპოვეთ პაწაწინა კნუტი, რომელიც საცოდავად კნაოდა:**

ა) სახლში წავიყვან. არც დავფიქრდები – 4 ქულა;
ბ) წავიყვან და ვინმეს შევაჩეჩებ – 3 ქულა;
გ) ყურადღებას არ მივაქცევ – 2 ქულა;
დ) რა მოხდა მერე, კნუტია – 1 ქულა;
ე) შევეცდები, სადმე დავაბინავო – 0 ქულა.

**3. როგორ იცვამთ უმეტეს შემთხვევაში?**

ა) აბსოლუტურად ჩვეულებრივად – 4 ქულა;
ბ) ძირითადად, სადად – 3 ქულა;
გ) ულტრათანამედროვედ – 2 ქულა;
დ) ძალიან ჭრელი ფერის ტანსაცმელს – 1 ქულა;
ე) ჩასაცმელს ყურადღებას არ ვაქცევ – 0 ქულა.

**4. როგორ გამოიყურება თქვენი ოთახი?**

ა) სულ დალაგებულია – 4 ქულა;
ბ) ნორმალურად, ჩვეულებრივად. ხან არეულია, ხან დალაგებული – 1 ქულა;
გ) მუდმივად არეულია – 0 ქულა.

**5. როცა ტანსაცმელს ყიდულობთ, რას ითვალისწინებთ?**

ა) ლამაზიც უნდა იყოს და მოხერხებულიც – 4 ქულა;
ბ) მოდური რომ იყოს – 1 ქულა;
გ) მთავარია, მოდური იყოს და მიხდებოდეს – 0 ქულა.

**6. გაიღვიძეთ და ხედავთ, რომ ღრუბლებზე ზიხართ, ქვემოთ სახლები მოჩანს...**

ა) ვიფიქრებ, რომ ეს სიზმარია – 4 ქულა;
ბ) ისევ დავიძინებ – 3 ქულა;
გ) საშინელ ყვირილს ავტეხ – 1 ქულა;
დ) ჩავხტები – 0 ქულა.

**7. უცებ აღმოაჩინეთ, რომ სადღაც სხვაგან ხართ:**

ა) გავარკვევ, სად ვარ – 4 ქულა;
ბ) ასეთი რაღაც მე არ დამემართება – 3 ქულა;
გ) რა მოხდა მერე – ეს არ არის ტრაგედია – 0 ქულა.

## ნახეთ შედეგები:

*1-5 ქულა: თუ ვინმე გეტყვით, რომ იდიოტი ხართ, ძალიან ნუ აღშფოთდებით, სიმართლესთან ძალიან ახლოს არის მისი ნათქვამი.*

*5-16 ქულა: არც ისეთი სულელი ბრძანდებით, როგორც თავს აჩვენებთ. როცა გინდათ, ჭკვიანიც ხართ. ერთი სიტყვით, მშვენიერი „მოთამაშე“ ბრძანდებით.*

*16 და მეტი ქულა: ძალიან ჭკვიანი ბრძანდებით, გონებით და გამჭრიახობით სავსე.*



## თოფის ბაბუა

მის გამოყენებას ქრისტიანების წინააღმდეგ კათოლიკური ეკლესია კატეგორიულად კრძალავდა. სიტყვა „არბალეტი“ ლათინური წარმოშობისაა და პირველად ძველ საბერძნეთში გაჩნდა. თავდაპირველად, პასტროფეტებს ეძახდნენ. ევროპელებმა ის მხოლოდ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ისიც ბრძოლის ველზე ნახეს. განსაკუთრებით მოიხიბლნენ ფრანგები და ინგლისელები. ძალიან მალე მათ არბალეტის მასიური წარმოება დაიწყეს. არბალეტებიდან მოკლე, ფოლადისგან ჩამოსხმულ, ბასრ ისრებს ისროდნენ. მშვილდიდან მიზანში სროლა ძალიან რთული და ხანგრძლივი ვარჯიშის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, არბალეტიდან ზუსტად სროლა ლამის ბავშვსაც კი შეეძლო. თანაც 150 მეტრის მანძილზეც სწვდებოდა მსხვერპლს. მხედარს ცხენიდან 200 მეტრის სიშორიდანაც აგდებდა. ძალიან მალე კათოლიკურმა ეკლესიამ არბალეტების გამოყენება ქრისტიანების წინააღმდეგ სასტიკად აკრძალა. 1139 წელს მეორე ლუთერანულმა კრებამ საგანგებო დეკრეტიც კი გამოსცა. თან, მიუთითა, რომ ურწმუნოს მოკვლა არბალეტიდან ცოდვად არ ითვლებოდა. თუმცა, ათ წელსაც არ გაუვლია, რომ ფრანგები და ინგლისელები ერთმანეთს წარმატებით ჟლეტდნენ არბალეტებით. საქმეს ვერ უშველა, ვერც რომის პაპის, ინოკენტი მესამის დამუქრებამ – შეგაჩვენებთო.

თუმცა, არბალეტი არ იყო სრულყოფილი და 1500 წელს ამ გაუმართაობამ ლამის იმპერატორი მაქსიმილიან პირველი იმსხვერპლა. მისი ბრძანებით, სასწრაფოდ გამოიგონეს მექანიზმი, რომელიც შემთხვევით გასროლას მინიმუმამდე ამცირებდა. იტალიელები უფრო შორს წავიდნენ და 1530 წელს პატარა, მსუბუქი არბალეტები შექმნეს, რომელთაც წარჩინებული ქალბატონები ნადირობისას იყენებდნენ.

მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს არბალეტმა ნელ-ნელა დაუთმო ასპარეზი ცეცხლსასროლ იარაღს. მართალია, თავდაპირველად, თიხის გამომწვარ ბურთულებს ისროდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ცოტა ხანს. თოფში ძალიან მალე დაიწყეს ლითონის ტყვიების გამოყენება. თუმცა, არბალეტი კიდევ დიდხანს დარჩა მონადირეების საყვარელ, ელიტურ იარაღად.

## პრომჩესი სახეზეა

კინო კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია. რომ არ ყოფილიყო კინოკამერა, ჯერ ერთი, ვერაფრით გავერთობოდით, მეორეც – უამრავი ისტორიული კადრი დაიკარგებოდა.

პირველმა კინოკამერამ 1894 წელს იხილა დღის სინათლე. მასალად გამოიყენეს ხე და ლითონი. ასევე, შუშაც. იმართებოდა ხელით, მექანიკურად. დაამზადეს საფრანგეთში.

1935 წელს გაცილებით მოდერნიზებული კინოკამერა დაამზადეს საბჭოთა კავშირში. მასალად ლითონი და პლასტმასი გამოიყენეს. ეს კამერაც მექანიკური იყო.

1964 წელს კინოკამერის გაუმჯობესებული მოდელი უკვე ამერიკელებმა შემოგვთავაზეს. მასალად გამოიყენეს ლითონი, პლასტმასი და შუშა. ეს კამერა უკვე იყო ელექტრონული მართვის.

2013 წელს იაპონელებმა უახლესი მოდელი შექმნეს. მასალა: პოლიმერი და შუშა. იტენება აკუმულატორით. საოცარი შესაძლებლობები აქვს.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

მილი სარკესთან იდგა და საყურეს ირგებდა. მისი ჩაცმულობა უზადოდ გამოიყურებოდა. შავი, სადა, მაგრამ ძვირფასი კაბა ტანზე იდეალურად ჰქონდა მორგებული. წლოვანება თითქმის არ ემჩნეოდა, ორმოცდაექვსი წლის ასაკში ოცდაათი წლის ქალის შეხედულება ჰქონდა. სამაგიეროდ, მისი ქმარი, უოლტი ჰგავდა ამერიკელ ტურისტს. დაუდევრად ჩაცმული, კისერზე ფოტოაპარატჩამოკიდებული.

– ეს კაბა ნამდვილად ორასი დოლარი ღირდა? – ჰკითხა ცოლს კმაყოფილებისგან თვალებმოჭუტულმა – უფრო ძვირიანს ჰგავს.

– ჰმ, შენც რომ რამე შესაფერისი ჩაგეცვა, ურიგო არ იქნებოდა. ის არ იკმარე, რომ პარიზში, სადაც უამრავი მშვენიერი ადგილი იყო, ძველმანების ბაზრობაზე მიმათრევ, ტანსაცმელიც კი არ გამოიცვალე. იმიტომაც არ მოვწონვართ ფრანგებს, – უკმაყოფილოდ თქვა მილიმ, – რა მოხდებოდა, უკეთ რომ ჩაგეცვა – გაცილებით შესაფერისად. რატომ მარცხვენ.

– საყვარელო, პატარავ... რა განერვიულებს? მთავარია, რომ შენ ხარ თვალისმომჭრელი. თანაც, ბაზრობაზე მივდივართ, ოპერაში ხომ არა?! ფოტოაპარატიც მჭირდება. ედის მონეტების შეძენას მაქსიმუმ ნახევარი საათი დასჭირდეს. მერე შენს განკარგულებაში ვარ. გავისეირნოთ და სურათებიც გადავიღოთ. შვებულებაა, ბოლოს და ბოლოს.

– შვებულება, როგორ არა, – რაღაც ოთხი უბადრუკი დღე პარიზში და აქედანაც, ერთი რაღაც მონეტების ძებნაში უნდა გაატარო. იტალიაშიც ზუსტად ასე არ იყო?! მილანში სამი დღით ჩავედით და ერთი დღე ნუმიზმატების ძებნას მოანდომე. ეგ შენი ედი უკვე ძალიან მაღიზიანებს.

– საყვარელო, პატარავ... რატომ დაგავიწყდა, რომ ყველაფერი, რაც გვაქვს, სახლი, ვილა მალიბუზე, ორი მანქანა... ჩვენი ქალიშვილის ქორწილი, რომ ოცდახუთი ათასი დოლარი დაგვიჯდა და კიდევ სამი ასეთი ქორწილის გადახდა უპრობლემოდ შეგვიძლია, ამასაც ხომ ედის უნდა ვუმადლოდეთ. ოცი წლის წინ, ვიეტნამიდან ნაომარი რომ დავბრუნდი, ვის ვჭირდებოდი? ედიმ ამიყვანა თავისთან. ტიპოგრაფია მასწავლა, თავისი საქმეები თითქმის მთლიანად გადმომაბარა.

– შენ ნიჭიერი ხარ. სულ ეს არის და ეშმაკმა ედიმ ხელიდან აღარ გაგიშვა. ამიტომ, ახლა მაგის ნუმიზმატურმა გატაცებებმა უნდა დაგვქანცოს და ყველა შვებულება ჩაგვამწაროს?

– ნუ წუწუნებ. ამ ბაზრობაზე ბევრი ლამაზი ნივთია. შენთვისაც შეარჩევ რაღაცას.

ოტელის შვეიცარმა ცოლ-ქმარს თავაზიანად შესთავაზა, ტაქსის გამოგიძახებთო, მაგრამ უოლტმა გადაწყვიტა, ამჯერად მეტროთი ჯობია გასეირნებაო. უოლტი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა ედ ლინჩის მითითებებს. ედს მიაჩნდა, რომ უოლტი ცოლთან ერთად, იყო ის ტიპაჟი, რომელიც მას და საქმეს სჭირდებოდა. ჭეშმარიტი ამერიკელი ტურისტი, რომელსაც მხარს პიკანტური ამერიკელი ცოლი უმშვენებს, გაცილებით დამაჯერებელია და მისალები...

ბაზრობაზე ბევრი ტურისტი იყო, ძირითადად, ამერიკელები. ფრანგები ოჯახის წევრებთან ერთად დასეირნობდნენ და არჩევდნენ ანტიკვარულ, ძველ ნივთებს. დიდი ბაზარი ცოცხლობდა. სუნთქავდა... უამრავი პატარ-პატარა ქუჩა ერთმანეთს კვეთდა. მილი ძველებურმა ლამფა-აბაჟურმა აღაფრთოვანა... უოლტმა ღიმილით მოუწონა ცოლს არჩევანი.

# შეფის დავალება

## სტენლი ელინი

– პატარავ, შენ აქ ყველაფერი კარგად დაათვალიერე. აირჩიე, რაც გინდა. მე გავივლი და მონეტებს მოვძებნი ედისთვის.

– წადი, წადი, ასიამოვნე შენს ბებერს, – ჩაიცინა ქალმა.

ამდენ ხალხში ვინმეს, ან თუნდაც პატარა მაღაზიის პოვნა გამოცდილ მაძებარსაც კი გაუჭირდებოდა, მაგრამ ედ ლინჩმა თავისი თანაშემწე საჭირო ინფორმაციით აღჭურვა და უოლტმაც სწრაფად იპოვნა, რასაც ეძებდა. მაღაზიის მფლობელი ახალგაზრდა, ენერგიული მამაკაცი აღმოჩნდა. მაღაზიაში ერთი კომოდი და რამდენიმე კარადა გამოეფინათ გასაყიდად. ყველაფერი უზარმაზარი იყო. იქვე, იატაკზე ძველისძველი, მტვრიანი ვისკის ბოთლები ეყარა უწესრიგოდ... თავად მეპატრონეს მშიერი მგლის გამოხედვა ჰქონდა. გულზე ხელებდაკრეფილი იდგა და ელოდა, რას ეტყოდა უოლტი.

– ვეძებ ადამიანს, რომელიც ძველ მონეტებს მომყიდის. უფრო ამერიკული, ძველი ცენტები მაინტერესებს.

– 1903-1904 წლების? – პირქუშად იკითხა მაღაზიის მეპატრონემ.

– დიახ, ზუსტად ეგენი.

– იქ აღმოჩნდით, სადაც საჭიროა. ჩემთვის რა გაქვთ?

– მე თქვენი პრეტენზიების მოსასმენად გამომგზავნეს.

– ჰოდა, შესანიშნავია. გავიდეთ უკანა ოთახში. იქ გაცილებით მეტი სიმყუდროვეა.

უოლტი აუღელვებლად გაჰყვა მეორე, უფანჯრო ოთახში. იქაც ორი უზარმაზარი კარადა და ერთადერთი სკამი იდგა.

– ახლა შეგვიძლია, მშვიდად დავილაპარაკოთ. მე უკმაყოფილო ვარ იმ ფასით, რასაც თქვენ მიხდით. თანაც, იმ კუპიურებით კი არა, რომლებსაც თქვენ ქმნით, მე კი მათ „ვაცოცხლებ". რისკზე ველარ წავალ. თქვენ იცით, რომ რამდენიმე თვის წინ ბოლვილეში გაყიდვები ჩავარდა. სიფრთხილის ზომები უნდა მივიღო. ეს აუცილებელია, – ამ სიტყვებით მაღაზიის მეპატრონემ უზარმაზარი რევოლვერი ამოიღო და უოლტს ცხვირწინ დაუტრიალა. უოლტმა გაიღიმა.

– მეგობარო, იარაღით თამაში არ შეიძლება. იქნებ ცოტა გვერდზე გასწიო და ისე ვილაპარაკოთ.

– არა. მე პასუხი მჭირდება.

– პასუხი? აი, აქ მაქვს, – უოლტმა უბიდან ორად მოკეცილი რეზინით შეკრული დოლარების დასტა ამოიღო, – რამდენიმე მსხვილი კუპიურა შენია და ყოველთვის ამდენს მიიღებ, თუ ჭკვიანად იქნები.

– ჭკვიანად? მე თქვენი საქმეების შესახებ იმაზე გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ამიტომ, თავს არ გაგამასხრებინებთ და არც დაგაჩაგვრინებთ.

– ვინ აპირებს თქვენს დაჩაგვრას? პირიქით. გაძლევ საშუალებას, გადაწყვიტო, რამდენი გინდა და განაგრძო შენი საქმიანობა. სულ ეს არის. ცუდი ინფორმატორი გყოლია. ჩვენ ჩვენს თანამშრომლებს ვუფრთხილდებით, – მხრები აიჩეჩა უოლტმა.

– მართლა? მე ბევრი ვიცი. ძალიან ბევრი. თქვენს „საქონელს" თქვენ შტატებში ამზადებთ კერძო საწარმოში. ეს არის შესანიშნავად აღჭურვილი ტიპოგრაფია. უმაღლესი კატეგორიის გრავიურების მკეთებელი გყავთ, პროფესიონალი და ყალბი ბანკნოტების ნამდვილისგან გარჩევა შეუძლებელია. მეც ერთი რგოლი ვარ ამ საქმეში. ისიც ვიცი, რომ დოკუმენტებით თქვენი პროფესიონალი გამყალბებელი მბეჭდავი, დიდი ხანია, ცოცხალი აღარ არის... გავაგრძელო? არ გეჩვენებათ, რომ ეს ჩემი ისტორია საკმაოდ ძვირი ღირს?

უოლტმა ფულის შეკვრულადან რამდენიმე მსხვილი კუპიურა ამოიღო და მაღაზიის მეპატრონეს გაუწოდა. მერე ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა... მაღაზიის მეპატრონემ კუპიურებისკენ გაიწოდა ხელი და წამით ყურადღება მოადუნა. ამით ისარგებლა უოლტმა, ფოტოაპარატის თასმა ელვის უსწრაფესად, მარყუჟივით გადააცვა კისერზე და თავისკენ მაგრად მოქაჩა. ცოტა ხანში მაღაზიის მეპატრონის უსულო სხეული იატაკზე ეგდო. უოლტმა მშვიდად შემოხსნა თასმა. ასევე, მშვიდად დადო ფოტოაპარატი სკამზე. მსხვერპლის გვამს ხელი სტაცა და იქვე მდგარ კარადაში შეტენა. მაღაზიის მეპატრონე იქ თავისუფლად „მოთავსდა". კარიც დაკეტა. საქმე გაკეთდა.

უოლტმა ფოტოაპარატი აიღო, დოლარების ხვეულა ისევ უბეში ჩაიტენა და მაღაზიიდან გამოვიდა...

– საყვარელო, შეხედე, როგორი შესანიშნავი სარწეველა სკამი ვიყიდე, – გაიცინა ცოლმა, – შენ რა ქენი, იშოვე ბუზღუნა მოხუცისთვის ანტიკვარული მონეტები?

– ჰო. ედი კმაყოფილი დარჩება. მგონი, შენც არ უნდა იყო უკმაყოფილო, ბაზარში რომ წამოგიყვანე.

მილიმ გაიცინა.

– თუ იმ ძველებურ ლამპასაც მიყიდი, იქნებ კმაყოფილიც დავრჩე. ბოლოს და ბოლოს, ფულს ხომ ჩვენი ნუმიზმატი იხდის.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# სერიული მანიაკები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-43(669)

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის ხელმძღვანელმა, მერაბ ჩაჩუამ სწრაფად გადახედა სიას და მირიანს მიუბრუნდა:

– რა საქმეზეა მხილებული ეს ხალხი?

– თბილისის ზღვაზე მომხდარ გაუპატიურებაში, – უპასუხა მან.

– ვიცოდი, რომ ეს ძირმაგარა ადრე თუ გვიან ძალიან მწარედ გასკდებოდა, მაგრამ ასეთს მათგანაც არ ველოდი! – ბრაზით ჩაილაპარაკა მერაბმა.

– რა მონაცემები გაქვს მათ შესახებ? –



ჰკითხა მირიანმა.

– ცნობილი ხალხია. დიდი ხანია, რაც მეთვალყურეობის ქვეშ გვყავს, მაგრამ აქამდე განსაკუთრებული არაფერი დაუშავებიათ.

– „შავები“ არიან? – დაინტერესდა გიორგი.

– არა... – გახედა მერაბმა, – „შავები“ სხვა ხალხია. ჩვეულებრივი ახვრები არიან. მხოლოდ სხვა ახვრებისგან განსხვავებით, ბევრად თავხედები და თავზეხელაღებულები. მაგალითად, გივი ბადრიძე... მეწვრილმანე ქურდი იყო. მეზობლები შეწუხებული ჰყავდა. სარდაფებს, გარაჟებსა და საერთო აივნებს ქურდავდა. იპარავდა ყველაფერს, რის დაძვრასაც შეძლებდა. სამშენებლო მასალას, ჭურჭელს, სამუშაო ხელსაწყოებს, მოკლედ რომ ვთქვა, ყველაფერს, რასაც შეიძლება ადამიანი სარდაფში ან გარაჟში ინახავდეს. ხშირ შემთხვევაში მეზობლები პოლიციაში არც აცხადებდნენ ქურდობის შესახებ. ბევრი უფრო მარტივი გზით მიდიოდა და თავად უსწორებდა ანგარიშს ქურდბაცაცას. ერთმა ისე სცემა, რომ კინაღამ თავად აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე.

– თუ ასე იყო საქმე, რატომ არ აპატიმრებდნენ? – გაუკვირდა ანას.

– კავშირები.... – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მერაბმა, – ბადრიძეს ერთი-ორი მფარველი ჰყავდა. განსაკუთრებული არაფერი, მაგრამ იმდენს მაინც ჰყოფნიდა, რომ მეზობლის სარდაფის გაქურდვა შერჩენოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებილი ჩივილს არც აპირებდა. თუმცა, მფარველებმა ბოლომდე მაინც ვერ „გაქაჩეს“. საბოლოოდ, ბადრიძე მაინც აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე. თავისებურად კურიოზული შემთხვევა იყო. მის უბანში ახალი მეზობელი გადმოსახლდა. ავეჯის გადმოტანისას უბნელებიც ეხმარებოდნენ. საერთო არეულობაში ვერავინ მიადევნა თვალი. ბადრიძემ დრო შეარჩია და ავეჯით დატვირთული მანქანიდან კომპიუტერი მოიპარა. ამჯერად აღარ გაუმართლა. საქმე ცემით ან ნივთის დაბრუნებით აღარ დამთავრდა. კომპიუტერის პატრონიც პრინციპული ადამიანი გამოდგა და კავშირებიც უფრო მნიშვნელოვანი აღმოაჩნდა. ასე რომ, ბადრიძეს სამი წლით მოუწია შვებულებაში გასვლა. საპატიმროდან ოთხი თვის წინ გათავისუფლდა, მაგრამ პატიმრობამ განსაკუთრებული ზემოქმედება არ იქონია მასზე. ძველ ცხოვრებას აგრძელებს. თავისნაირი ახვრები შემოიკრიბა გარშემო და მათთან ერთად დაძრწის უბანში. დღედაღამ მთვრალია. ყველა მაღაზიაში ვალი აქვს. რამდენჯერმე მევალეებმა სცემეს, მაგრამ როგორც ნათქვამი: „კუზიანს მხოლოდ სამარე გამოასწორებს“!..

– მეორე? – იკითხა მირიანმა.

– ოგანესიანი?

– ჰო... ოგანესიანი. რა ტიპია?

– იგივე ჯურის ახვარია. ისიც ნასამართლევია. ხუთი წელი იჯდა ბინის ქურდობისთვის.

– მესამის ვინაობა ჯერჯერობით ვერ გავარკვიეთ. მხოლოდ სახელი ვიცით... ილო. ირემაძის ჩვენებით, ვერცხლისფერი „ოპელი“ ჰყავს. ნომერი არ ვიცით, – განაგრძო მირიანმა.

– ვიცი ვინც არის. ილია ლომიძე. ეგ მათ შორის ყველაზე გამორჩეული ახვარია! – უპასუხა მერაბმა, – მდიდარი დოსიე აქვს. მისი მხრიდან ძალადობის პირველი შემთხვევა ჯერ კიდევ არასრულწლოვნებისას დაფიქსირდა. მეზობელი გოგონას, ასევე არასრულწლოვანის გაუპატიურება სცადა. მაშინ ასაკმა გადაარჩინა საბრალდებო სკამს. თუმცა, ეს შემთხვევა სწორი დასკვნის გამოტანაში ვერ დაეხმარა. ცხრამეტი წლის, გაუპატიურების მცდელობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ბრალდებით, დააპატიმრეს. მისდა საბედნიეროდ, დაზარალებული უბრალო მეძავი აღმოჩნდა. ბანალური ისტორიაა. ლომიძემ, ასე ვთქვათ, „პოსლეზე“ მოითხოვა ინტიმმომსახურება, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ მან ძალადობას მიმართა და მეძავი სცემა. ძიების პროცესში მისმა ოჯახის წევრებმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს და საბოლოო ბრალდებიდან გაუპატიურების მცდელობის მუხლის ამოღება შეძლეს. საბოლოოდ, ლომიძე მეძავის ცემის ბრალდებით წარდგა სასამართლოზე და პირობითი სასჯელი მიიღო. მაგრამ პირობითი ვადის ამოწურვამდე ვერ გაძლო და სხვა მეძავის ცემისთვის აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე. პირველ სასჯელს მეორეც დაემატა და სასამართლომ ლომიძეს ხუთი წელი მიუსაჯა. ამ ხუთი წლიდან, მან ოთხი წელი და სამი თვე გაატარა პატიმრობაში. კოლონიიდან დაახლოებით ერთი წლის წინ გათავისუფლდა. ამ დროის განმავლობაში მის წინააღმდეგ ოფიციალური საჩივარი არ მიმიღია, მაგრამ ვიცი, რომ რამდენიმე ქალთან ჰქონდა კონფლიქტი.

– გამოდის, ამ ტიპს საერთოდ ახასიათებს ქალებზე ძალადობა, – ჩაილაპარაკა მირიანმა.

– სიმართლე გითხრა, არ მიყვარს, როცა ახალგაზრდა კაცი ციხეში ხვდება. მირჩევნია, გარეთ იყოს და მასთან მუშაობის საშუალება მქონდეს. ბადრიძის თარეშს კიდევ აიტანს კაცი. მის მიერ მოპარული ორი ღერი არმატურითა და ერთი-ორი ბოცით ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ იგივეს ლომიძეზე ვერ ვიტყვი. მისი ადგილი მართლაც ციხეშია. დარწმუნებული ვარ, სწორედ ის იქნებოდა იმ საქმის წამომწყები და ორგანიზატორი. მის გარეშე ბადრიძე და ოგანესიანი ასეთ საქმეზე არ წავიდოდნენ.

– გასაგებია... დანარჩენს უკვე თავად აგვიხსნიან, – თქვა მირიანმა.

– ესე იგი, აგვყავს?

წიგნების მაღაზიათა ქსელში: „ბიბლუსი“ და „პარნასი“ შეიძინეთ ვახტანგ სუთიძის შესანიშნავი თხზულებათა კრებული „დაუვიწყარი შეხვედრა“.

**წიგნის ფასია 10 ლარი**



– თავისთავად.

– კეთილი.... ახლავე გამოვიძახებ კრიმინალურის ბიჭებს, – თქვა მერაბმა და ტელეფონს გადასწვდა.

* * *

კრმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ლომიძესა და მის თანამზრახველებს ხეხილის ბაღში მიაგნეს, რომელიც მუხიანის დასახლების განაპირას მდებარეობდა. მათი მონაცემებით, ეს ბაღი ბადრიძის ოჯახს ეკუთვნოდა და სამეული ხშირად ატარებდა აქ დროს.

ბაღის ბოლოში მცირე ზომის ხის ქოხი იდგა. მის წინ მაგიდა და სკამები იყო გამართული. იქვე მოჩანდა ლომიძის კუთვნილი ვერცხლისფერი „ოპელი”. მაგიდასთან ბადრიძე, ოგანესიანი და ლომიძე ტრიალებდნენ. ჩანს, საქეიფოდ ემზადებოდნენ. მაგიდაზე არყის ბოთლები და ჭურჭელი ეწყო. ბადრიძე ეზოში დანთებულ ცეცხლს უტრიალებდა. ლომიძე და ოგანესიანი კი ხორცს შამფურებზე აგებდნენ და შესაწვავად ამზადებდნენ.

მერაბმა ბინოკლით შეათვალიერა სამეული და მირიანს გახედა.

– ღია ადგილია. შეუმჩნევლად ვერ მივუახლოვდებით. ისინი კი ნაღდად გამქცევები არიან. კარგად იციან, რაც ჩაიდინეს და გულხელდაკრეფილები არ დაელოდებიან ხელბორკილების მორგებას!

– მოდი, ასე მოვიქცეთ, – ჩაურთო გიორგიმ, – შენმა ბიჭებმა ბაღს საპირისპირო მხრიდან შემოუარონ. მე ბაღში შევალ, გამოველაპარაკები. ნუ ღელავ. განძრევის საშუალებას არ მივცემ. გაქცევა თუ სცადეს, შენი ხალხი აიყვანს. მოსულა?

მერაბმა მირიანს ანიშნა; რას იტყვიო?

– თანახმა ვარ, – უპასუხა მან.

– მაშინ წავედი, – გიორგიმ თხელი ქურთუკის ქვეშ მიმალული პისტოლეტის ბუდის შესაკრავი გახსნა, მანქანიდან გადავიდა და ბაღისკენ წავიდა.

დაჟანგებული ჭიშკარი ჭრიალით გაიღო. სამეული მაშინვე შემობრუნდა და დაჟინებული მზერა მიაპყრო უცნობს, რომელიც აუჩქარებელი ნაბიჯით მიდიოდა მათკენ.

გიორგი მაგიდის სიახლოვეს შედგა და მათ მიესალმა.

– გამარჯობათ, ბიჭებო...

– გაგიმარჯოს... – ცივად მიუგდო ლომიძემ, – რა გინდა?

– მწვადს ჩალიჩობთ? – მშვიდად განაგრძო გიორგიმ.

– რა გინდა-მეთქი?! – წინ წამოდგა ლომიძე.

– რა უნდა მინდოდეს? ცეცხლი დავინახე და შემოვედი. ნაღდად სამწვადე ამინდია. წავუქეიფოთ?

– შენ ხომ არ უბერავ, ძმაო?! – ხმას აუწია ლომიძემ, – რა უნდა წაუქეიფო, აქ რესტორანი ხომ არ გგონია?!

– ეე, რა მოგდის? პახმელიაზე არ ყოფილხარ? „ჩანგალზე” კი არ დავდივარ. მეც შემოვალ წილში. რამე წავამატოთ სუფრას, – შესთავაზა გიორგიმ.

– არ გვჭირდება!

გიორგიმ შეფარული მზერით გახედა ბაღის ბოლოს. ბუჩქებს მიღმა ფრთხილი მოძრაობა შენიშნა. კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები უკვე იკავებდნენ პოზიციებს. მათი მოახლოება საუბარში გართულ ბიჭებს შეუმჩნეველი რჩებოდა.



– კარგი... მაშინ ასე მოვიქცეთ, – მიუბრუნდა ლომიძეს, – თუ სუფრაზე რამის წამატება არ გინდათ, ქალებს ამოვიყვან. აქვე მაგარი ნაშები მეგულება. ერთი „ზვანოკი” და ეგრევე აქ გაჩნდებიან... ჰა, რას იტყვით?

– ახლა დროზე დაახვიე აქედან, ვიდრე თავ-ყბა არ გაგიერთიანე! – ბრაზით წამოიძახა ლომიძემ და მკერდში უბიძგა.

გიორგი სწრაფად გადახტა უკან, ელვის სისწრაფით მოიმარჯვა პისტოლეტი და გაოგნებულ სამეულს უყვირა:

– მიწაზე დაწექით, ნაბიჭვრებო!.. დროზე!..

ბადრიძემ და ოგანესიანმა უმალ შეასრულეს განკარგულება. მიწაზე გაწვნენ და ხელები კეფაზე შემოიწყვეს. ფეხზე მხოლოდ ლომიძე დარჩა, რომელიც ზიზღით აღსავსე მზერით ბურღავდა გიორგის და ფრთხილად იხევდა უკან.

– ადგილზე დარჩი! – ბრაზით მიუგდო გიორგიმ და მიზანში ამოიღო.

სწორედ ამ დროს ღობეს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები გადმოახტნენ და მათკენ გამოიქცნენ. ჭიშკარს კი მერაბის მანქანა მოადგა. ლომიძემ უღონოდ შეხედა მოახლოებულ პოლიციელებს და მძიმედ დაეშვა მუხლებზე.

* * *

დაკავებულების პირველი რეაქცია მოსალოდნელი იყო. საამისო გამოცდილება სამივეს გააჩნდა.

– არაფერი ვიცი... აზრზე არა ვარ, რაზეა საუბარი... საქეიფოდ შევიკრიბეთ და მოულოდნელად პოლიციელები დაგვესხნენ თავს!..

ჯერჯერობით კი მათი სიტყვების გაბათილება მხოლოდ ირემაძის ნაამბობით იყო შესაძლებელი, რომლის ჩვენებასაც სასამართლო არ გაითვალისწინებდა.

– ესე იგი, თბილისის ზღვაზე არ ყოფილხარ? – ჩაეძია მირიანი ლომიძეს, რომელიც მის პირისპირ, მაგიდასთან იჯდა.

– რომ გითხრა, არ ვყოფილვარ-მეთქი, ნაღდი ტყუილი იქნება. მუხიანში ვცხოვრობ. ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე მიწევს ზღვაზე ასვლა. განსაკუთრებით ზაფხულში, – უპასუხა მან.

– ის დღე გაიხსენე, კუკიაზე რომ იყავი, – შეახსენა მირიანმა.

– მახსოვს... – დაუდასტურა ლომიძემ, – ძმაკაცის საფლავზე ვიყავით გადასულები.

– რა მოხდა თქვენი უკან დაბრუნებისას?

– არაფერი... ბიჭები გლდანში დავტოვე და შემდეგ სახლში წავედი, – უპასუხა ლომიძემ.

– მომისმინე, ბიჭო! – ბრაზი მოერია გიორგის, – ჯერ წესიერად გელაპარაკებით, მაგრამ საჭირო თუ გახდა, სხვანაირადაც შემიძლია შენთან დალაპარაკება!

– მშვიდად.... – სწრაფად გახედა მირიანმა

სამოდელო სააგენტო “Best Models”
აცხადებს 6-დან 23 წლამდე
გოგონებისა და ბიჭების მიღებას



დეფილე
კრისტი ყიფშიძე
ფსიქოლოგია
გია ჯაჯანიძე
მსახიობის ოსტატობა
მაკა შალიკაშვილი
ფოტოპოზირება
შოთიკო ბოჭორიშვილი
პლასტიკა აერობიკა
თამარ პოპიაშვილი
შეისწავლება
ჩვენი მისამართია რუსთაველის
მეტროს გვერდით, კოსტავას 6, III-სართული
BestmodelsTbilisi
ტელ.: 2 93 53 22
მობ.: 593 48 48 31; 598 15 20 58



და ისევ ლომიძეს მიუბრუნდა, – არაფერი გამოგივა, ილია. ამ საქმიდან ველარ გამოძვრები. ეს საუნის ქალის ცემა აღარ არის. ძალიან ღრმად შეტოპე. აქამდე ასე თუ ისე ახერხებდი გაძრომ-გამოძრომას. ვიღაცამ რაღაცაზე დახუჭა თვალი, ვიღაცამ რაღაც გაპატია. მაგრამ იმ გოგონას წამებას არავინ შეგარჩენს. შენი სახელით ამ საქმეზე ვინმემ უშნო ჩალიჩი რომ დაიწყოს, პირობას გაძლევ, საკუთარი ხელით გავუხვრეტ შუბლს. ახლა რაც შეეხება საქმეს. სროკზე ნამყოფი კაცი ხარ და ძიების საკითხებშიც ერკვევი. ძველ საქმეებში პადელნიკი არ გყავდა. სამივე შემთხვევაში მარტო იყავი. მაგრამ ახლა სამნი ხართ. ხომ ხვდები, რომ სამიდან ერთი მაინც გახსნის საქმეს... გახსნის... დარწმუნებული იყავი, რომ ეს დღესვე მოხდება.

– რაც გინდა ის თქვი. ამ საქმეს მაინც არ ავიღებ თავზე! – ჩაილაპარაკა ლომიძემ.

– სროკზე არასრულწლოვანის გაუპატიურების მუხლით წასვლა გაშინებს?! – ცივად მიუგო მირიანმა, – ამაზე მაშინ უნდა გეფიქრა, როცა იმ გოგონას მისდევდი!

– მე ჩემი გითხარი!

– მე კი ჯერ არ მითქვამს! – განაგრძო მირიანმა, – შენ გგონია, შენი აღიარება მჭირდება?

– აბა, რა გჭირდება?! – გაიკვირვა ლომიძემ.

– ცდები. შენი ნაბჟუტურევი არაფერში მჭირდება. ამას მხოლოდ საქმის მასალების შესავსებად ვაკეთებ. კოდექსი მოითხოვს, რომ დაგკითხო და მეც გკითხავ. შენი პასუხები კი საერთოდ არ მაინტერესებს. რაც გინდა, ის მითხარი. თუნდაც ის, რომ იმ ღამეს თბილისის ზღვაზე კი არა, მთვარეზე ან იმაზე უფრო შორს იყავი. შენი სროკზე გასასტუმრებლად შენი დორბლის ანალიზიც მეყოფა, რომელიც იმ გოგონას მკერდზე დატოვე. შენი საყვარელი „კენტის” ნამწვავიც არ დაგავიწყდეს, რომელიც შემთხვევის ადგილიდან ამოვიღე, – მირიანმა „კენტის” კოლოფზე მიანიშნა, რომელსაც ლომიძე ნერვიულად ატრიალებდა ხელში, – ექსპერტი შენს ნერწყვს მასზეც აღმოაჩენს. ამასობაში შენი პადელნიკებიც ალაპარაკდებიან და ორგანიზატორად გაგიშვებენ საქმეში. ასე რომ, რაც არ უნდა თქვა, გაუპატიურებისა და მკვლელობის მცდელობის მუხლი ჯიბეში გაქვს. თანაც გაითვალისწინე, რომ საქმე არასრულწლოვანს ეხება. ასეთი საქმით სასამართლო ოც წელზე ნაკლებს არ მოგისჯის. შეწყალებასა და პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე, ნურც იოცნებებ. ასეთი „ბუკეტით” „ოტ ზვანკა დო ზვანკა” მოგიწევს ნარების ხეხვა!..

– ეე... მოიცა... რა მკვლელობა?! იმ გოგოს არავინ უპირებდა მოკვლას! – ნერვიულად წამოიძახა ლომიძემ.

– გაუპატიურება?! – სწრაფად ჩაეძია მირიანი.

ლომიძემ სწრაფი მზერა ესროლა. შემდეგ თავი ჩახარა და ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

– ჰო... იყო...

– დალაგებით მოყევი ყველაფერი, – თქვა მირიანმა და ანას ანიშნა წერისთვის მოემზადეო.

ლომიძე შესამჩნევად ღელავდა და წყვეტილი ფრაზებით ლაპარაკობდა. ის დიდი ხანი ყვებოდა, თუ როგორ გადავიდნენ კუკიის სასაფლაოზე. დაწვრილებით აღწერა, რა ხდებოდა იქ. მეგობრის საფლავზე გამოცლილი არყის ბოთლების რაოდენობაც არ გამორჩენია. შემდეგ თავის ნაცნობთან სტუმრობაზე გადაერთო. ყოველივე ეს სრულიად უინტერესო იყო მირიანისთვის, მაგრამ ერთხელაც არ დაუპირებია ლომიძის შეჩერება. ნაამბობი აღიარებად უნდა გაფორმებულიყო და ასეთ შემთხვევაში, დასაკითხ პირს შეეძლო, თავისი შეხედულებისამებს აღეწერა ის საღამო. კითხვების დასმის დრო მოგვიანებით დადგებოდა.

საბოლოოდ, ლომიძე იმ მომენტამდე მივიდა, როცა გზაზე პირველად შენიშნეს მიმავალი გოგონა და მოულოდნელად გაჩუმდა.

– განაგრძე! – მკაცრად მოსთხოვა მირიანმა.

– არ შემიძლია... თქვენ ხომ ისედაც იცით, რაც მოხდა იქ, – გაუბედავად ჩაილაპარაკა ლომიძემ.

– შენს მაგივრად, ვერაფერს ვაღიარებ... განაგრძე! – გაიმეორა მირიანმა.

– დამპალი სასმელი... ყველაფერი მისი ბრალია! – ლომიძემ მუშტი მთელი ძალით ჩაირტყა მკერდში, – ფხიზელი არაფერს ვაშავებ. საკმარისია, დავლიო და... იმ საღამოს ბევრი მომივიდა. ჩემმა ქალმაც გამაცოფა. ლაპარაკზე შემატყო, რომ ნასვამი ვიყავი და მასთან მისვლა ამიკრძალა. ამის შემდეგ მასთან ასვლას აზრი აღარ ჰქონდა. ვიცოდი, კარს არ გამოაღებდა. მე არ მივითმენდი, ხმაურს ავტეხდი და ყველაფერი ისევ პოლიციით დამთავრდებოდა. მაშინ გადავწყვიტე, თემქაზე გადავსულიყავი...

– ვისთან? – ჰკითხა მირიანმა.

– საუნაში ნაცნობი ქალები მუშაობენ.

– მუშაობენ... – ბრაზით ჩაილაპარაკა გიორგიმ, – შენ ამას სამუშაოდ მიიჩნევ?

– თვითონ ასე მიაჩნიათ, – გახედა ლომიძემ.

– რატომ გადაიფიქრე თემქაზე წასვლა? – ჰკითხა მირიანმა.

– საკმარისი ფული არ მქონდა. უფულოდ კი ახლოს არავინ გამიკარებდა, – უპასუხა ლომიძემ.

– შენ საერთოდ ნორმალური თუ ხარ?! – მოთმინებამ უღალატა გიორგის, – საერთოდ ხვდები რას ბოდავ?!

– რა ვთქვი ისეთი? – გაუკვირდა ლომიძეს.

– გაანებე თავი, – გიოს გადაულაპარაკა მირიანმა და ისევ ლომიძეს მიუბრუნდა, – ესე იგი, ფული არ გეყოფოდა და სხვა ვარიანტს დაუწყე ძებნა?

– არა.... ყველაფერი შემთხვევით მოხდა. მთვრალი ვიყავი... გაბრაზებული... ფული არ მქონდა და უცებ ზღვაზე ის გოგო გაიჩითა. რა უნდა მეფიქრა იმ დროს?! ღამით, ახალგაზრდა ქალს რა უნდა ესაქმებოდეს ზღვაზე?

– ესე იგი, შენი აზრით, ერთი ქალი საუნაში მუშაობს და მასთან უფულოდ არაფერი გესაქმება და მეორე, რომელიც საღამოს ზღვაზე სეირნობს, მუქთა ნაშაა?! – ისევ იფეთქა გიორგიმ.

ლომიძემ დაბნეული მზერა ესროლა. ის მაინც ვერ ხვდებოდა, თუ რა აღიაზიანებდა გამომძიებელს.

– კარგი... კარგი... – მირიანმა ისევ შეაჩერა გიორგი, – რა მოხდა შემდეგ?

– მანქანა გავაჩერე, გადავედი და იმ გოგოს წაყვანა შევთავაზე. მან კი პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალა. ამან გამაღიზიანა. თითქოს ეშმაკი შემიჯდა სხეულში. გონება დამიბნელდა. გაშმაგებული გამოვეკიდე. მე მგონი, თვითონაც იგრძნო რისთვისაც მივდევდი და ზღვისკენ გაიქცა. შორს წასვლა ვერ მოასწრო. მალევე წამოვეწიე და წავაქციე... – ლომიძემ შიშით გახედა გიორგის და ისევ გაჩუმდა.

– ვის მოუვიდა აზრად გოგონას გაუპატიურება? – ჰკითხა მირიანმა.

– მე... – ამოიოხრა ლომიძემ, – ბიჭებს არ ვამართლებ. ისინი კარგი ამხანაგები რომ ყოფილიყვნენ, შემაჩერებდნენ. არ შევისმენდი, გავჯიუტდებოდი, შევაგინებდი... შეიძლება, ხელიც გამერტყა, მაგრამ ორნი მაინც შეძლებდნენ ჩემს დამორჩილებას. ისინი კი მე ამყვნენ. მთვრალები იყვნენ. მათაც აეჭრათ ტვინი. არ ვამართლებ, მაგრამ არც დავგრუზავ. ჩემი ბრალია ყველაფერი. მე რომ არ გამეჭედა, არაფერი მოხდებოდა. მაგრამ ახლა რაღა დროსია. რაც მოხდა, მოხდა. გაუპატიურებას ვაღიარებ, მაგრამ მკვლელობა აზრადაც არ გვქონია. რა შემიშლიდა ხელს, მისი მოკვლა რომ მდომებოდა?.. არავინ და არაფერი. მაგრამ ასეთი ჩანაფიქრი არ მქონია?

– ვინ გააუპატიურა გოგონა?

– ყველამ.... – გაუბედავად ჩაილაპარაკა ლომიძემ.

– ირემაძე?

– არა... ის ჩვენს შეჩერებას ცდილობდა. მერე კი სადღაც გაქრა. იქიდან გაიქცა. იმას რა ჭკუა მოეკითხება, – ლომიძემ საფეთქელზე მიიკაკუნა თითი, – ნორმალური არ არის. ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

– აღიარებ, რომ გააუპატიურეთ? – ჰკითხა მირიანმა.

– ვაღიარებ, – ამოიოხრა ლომიძემ.

– კარგი... ახლა მკვლელობის მცდელობაზე გადავიდეთ...

– ხომ გითხარით... არ ყოფილა ასეთი რამ! – აღელდა ლომიძე.

– იცი, როდის და რა მდგომარეობაში აღმოაჩინეს გოგონა?!

ლომიძემ უხმოდ გაიქნია თავი.

– გოგონა დილით მეთევზეებმა იპოვეს უგონო მდგომარეობაში. ექიმების დასკვნით, კიდევ ორი ან სამი საათი რომ დარჩენილიყო ასე, დაიღუპებოდა. ის სამი დღის განმავლობაში გონს ვერ მოეგო. როგორ გგონია, რა ჰქვია ამას, თუ არა მკვლელობის მცდელობა?!

– არ ვიცი... მაგრამ ჩვენ მისი მოკვლა არ გვინდოდა.

– რა მდგომარეობაში მიატოვეთ გოგონა? – გამოკითხვა განაგრძო მირიანმა.

– თითქოს... თითქოს... – ენა დაება ლომიძეს.

– იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ნორმალურად იყო?! – შეუღრინა გიორგიმ.

– არა... ნორმალურად როგორ იქნებოდა... – გაუბედავად ჩაილაპარაკა ლომიძემ.

– მაშ, როგორ იყო? – ჰკითხა მირიანმა.

– არ ვიცი. მე იქ არც ვიყავი. გაუპატიურების შემდეგ მანქანასთან დავბრუნდი. გოგოსთან გივი და კარენა დარჩნენ. მათ ჰკითხეთ, – თავი ჩაქინდრა ლომიძემ.

– რისთვის სცემეთ გოგონა?! სამი მუტრუკი ისე ვერ მოერიეთ?!

– ყვიროდა... მე მის გაჩუმებას ვცდილობდი. ახლა აღარ მახსოვს რამდენჯერ დავარტყი... ორჯერ ან სამჯერ. მაგრამ როგორც კი გაჩუმდა, მეც შემწყვიტე ცემა.

– შენი პადელნიკებიც ურტყამდნენ? – ჰკითხა მირიანმა.

– არა... მარტო მე დავარტყი.... ისე კი... – გაუბედავად შეხედა ლომიძემ მირიანს და გაჩუმდა.

– რა არის?.. რისი თქმა გინდა?

– მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ შემდეგ გავიხსენე. ის გოგო მანამდეც ნაცემი იყო. სახეზე ვერაფერს ვიტყვი. ბნელოდა, კარგად ვერ შევათვალიერე, მაგრამ მის თეთრ მაისურს აშკარად ემჩნეობა ჭუჭყისა და ტალახის კვალი.

– ესე იგი, მანამდე იყო ნაცემი და შენი ორი თუ სამი დარტყმით ალარაფერი დაუშავდებოდა?! – ცივად ჰკითხა გიორგიმ.

– ჩემი თუ არ გჯერათ, ბიჭებს ჰკითხეთ, – სწრაფად თქვა ლომიძემ.

– ამით შენთვის თითქმის არაფერი შეიცვლება. მკვლელობის მცდელობა რომც არ დაგიმტკიცდეს, ადამიანის განსაცდელში მიტოვებას მაინც ვერსად წაუხვალ. თანაც, გოგონა შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. იცი, რას ნიშნავს ეს?

– არა... – თავი გაიქნია ლომიძემ.

– მკვლელობის მცდელობის მუხლით სასამართლო ოც წელს მოგისჯის, განსაცდელში მიტოვებისა და გაუპატიურებისთვის კი, ცხრამეტ-ნახევარს.

– მე... მე... – ლომიძემ გაგრძელება ველარ შეძლო. კილოფიდან ხელის კანკალით ამოიღო სიგარეტი, მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

– გაუპატიურების შემდეგ სად წახვედით?

– კარგა ხანი ირემაძე ვეძებეთ. გზატკეცილზე ვმოძრაობდით. რა ვიცოდით, რას მოიმოქმედებდა ის დარტყმული. შეიძლება პოლიციაშიც კი გაქცეულიყო. როცა ვერ მოვძებნეთ, უბნისკენ წავედით. იქ ბიჭებმა გვითხრეს, რომ სახლისკენ მიმავალი ირემაძე ნახეს. ამის შემდეგ დავიშალეთ. გივი და კარენა გლდანში დავტოვე და სახლში წავედი.

– აღიარებისთვის რამის დამატება ხომ არ გსურს?

ლომიძე მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– არა...

მირიანმა ანას ოქმი ჩამოართვა, ლომიძეს ყველა გვერდზე მოაწერინა ხელი, მებადრაგე გამოიძახა და ექვმიტანილის საკანში დაბრუნება და დაკითხვაზე ბადრიძის მოყვანა უბრძანა.

– რას იტყვით? – როგორც კი მებადრაგემ კარი გაიხურა და მირიანი გიორგისა და ანას მიუბრუნდა.



– მე მგონი, საქმე უფრო ბუნდოვანი გახდა, – უპასუხა ანამ, – ლომიძის აღიარების შემდეგ, მისი თანამზრახველებიც არ გაჯიუტდებიან. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ლომიძე და მისი პადელნიკები ღამით გადააწყდნენ გოგონას. ის კი დღის ორ საათზე გაქრა. სად იყო რვა საათის განმავლობაში და როგორ აღმოჩნდა ღამით თბილისის ზღვაზე?

– ეს მართლაც ბუნდოვანია, – ჩაილაპარაკა მირიანმა.

– ლომიძე ხომ არ აჩმახებს. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, – ჩაურთო გიორგიმ.

– არა მგონია. იგივე გვიამბო ირემაძემაც. მას კი ჩვენთვის ტყუილის თქმის მიზეზი არ აქვს, – თქვა მირიანმა.

– მაშინ რაშია საქმე?

– ჯერჯერობით ამაზე მსჯელობა შეუძლებელია. მოდი, ის ორიც დავკითხოთ და შემდეგ დავუბრუნდეთ ამ საკითხს... – თქვა მირიანმა და დაკითხვის ოქმის მომზადებას შეუდგა.

* * *

ანდრო საექსპერტო ჯგუფთან ერთად მივიდა იზოლატორში, სადაც მას მირიანი ელოდა. მისთვის უკვე ცნობილი იყო არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი სამი პიროვნების დაკავების შესახებ. ყოველგვარი მოულოდნელობის გამოსარიცხად, მირიანს მათი ბიოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენა ჰქონდა გადაწყვეტილი. ექსპერტიზის შედეგებს საბოლოოდ უნდა დაედასტურებინა, მართლაც მათი ჩადენილი იყო დანაშაული, თუ – არა.

ანდრომ საექსპერტო ჯგუფს შესაბამისი მითითებები მისცა, შემდეგ კი მირიანი გვერდზე გაიხმო და საუბარი გაუბა.

– ამჯერადაც ხომ არ გადაამალაშე?

– რას გულისხმობ? – ჰკითხა მირიანმა.

– იმ მხატვარს. უნდა გენახა, რა ხმაური ატეხა, იზოლატორში ექსპერტიზისთვის საჭირო ნიმუშების ასაღებად რომ მივაკითხეთ, – თქვა ანდრომ, – იმუქრებოდა: ამას არასოდეს შევარჩენ მირიანს. ჯერ მას გავუსწორებ ანგარიშს და შემდეგ შენი ჯერი დადგებაო!

– ვიცი... ვიცი.... – გაეღიმა მირიანს, – მაგაზე მეც გამაფრთხილეს.

– ჰოდა, იმიტომაც გეკითხები. ახლა როგორ არის საქმე?

– ესენი აღიარებენ, რომ მართლაც გააუპატიურეს გოგონა. ჩვენებებში ისეთ დეტალებს აღწერენ, რომ თმა ყალყზე დაგიდგება. ეს ექსპერტიზა უკვე ფორმალობაა, მაგრამ მაინც ჩავატაროთ. არ მინდა, მთავარ პროკურორს ვათქმევინო, რომ არასრული საქმე წარადგინა სასამართლოზეო.

– ესე იგი, საქმეს მალე დახურავ? – ჰკითხა ანდრომ.

– სამწუხაროდ ვერა, – თავი გაიქნია მირიანმა, – არის რამდენიმე ბუნდოვანი გარემოება, რომელთა გარკვევას დრო დასჭირდება.

– მაინც რა გარემოება? – დაინტერესდა ანდრო.

– ეს არაკაცები გოგონას ღამით, თბილისის ზღვაზე გადააწყდნენ. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ წამოიყვანა საბურთალოდან, სად იყო რვა საათის განმავლობაში და ვინ მიიყვანა ზღვაზე, – უპასუხა მირიანმა.

ანდრო მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ხმადაბლა უთხრა:

– ის მხატვარი დროზე ადრე ხომ არ გაათავისუფლე?

– რას გულისხმობ? – იკითხა დაბნეულმა მირიანმა.

– მისი ნიმუშის ანალიზმა უცნაური შედეგი მოგვცა. ჯერ არ მინდოდა შენთან ამაზე საუბარი. განმეორებითი, უფრო დეტალური გამოკვლევის შედეგს ველოდი, მაგრამ იქნებ ეს დაგეხმაროს იმ ბუნდოვანი დეტალების გარკვევაში, – თქვა ანდრომ, – საქმე ისაა, რომ მისი ნიმუში ძალიან ახლოს დგას დაზარალებულისგან აღებულ ერთ-ერთ ბიოლოგიურ ნიმუშთან.

– შენ იმის თქმა გინდა, რომ მისი ნიმუში გაუპატიურებაში მონაწილე პირის ნიმუშს შეეფერება?! – დაიბნა მირიანი.

– ჰო... ასეა... მაგრამ ამას გადამოწმება სჭირდება.

– კი მაგრამ, ეს შეუძლებელია. მას ასპროცენტიანი ალიბი აქვს. უკვე დადასტურებულია, რომ დანაშაულის მომენტში ის თბილისში არ იმყოფებოდა!

– დარწმუნებული ხარ იმ ჩვენებების სისწორეში? – მზერა გაუსწორა ანდრომ.

– მისი ადვოკატი, ერეკლე სვანიძე ჩემი დიდი ხნის ნაცნობია. ასეთ ავანტიურაზე არასოდეს წავიდოდა. ესეც რომ არ იყოს, ამდენი ადამიანის ყალბი ჩვენებების მიცემაზე დათანხმება, უბრალოდ შეუძლებელია. საქმის მასალებში დევიძის მეგობრების გარდა, სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის წევრები და გურჯაანის საავადმყოფოს თანამშრომლებიც ფიგურირებენ. არა... ეს უბრალოდ, შეუძლებელია.

– მესმის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. დევიძის ნიმუში ოთხმოცდახუთი პროცენტით ემთხვევა დაზარალებულისგან აღებულ ნიმუშს.

მირიანი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– რაზეც ახლა ვისაუბრეთ, ჯერჯერობით ჩვენ შორის დარჩეს. ჩაატარე განმეორებითი ექსპერტიზა და ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გასულ კვირას შორენა ბეგაშვილი საზოგადოების წინაშე ახალ ამპლუაში წარდგა – ცნობილმა ტელესახემ, რომელიც ხშირად ხდება ხმაურიანი სკანდალების პერსონაჟი, საქველმოქმედო აქცია წამოიწყო და საკუთარი ნივთებისა და სამოსის გაყიდვით მიღებული თანხით, მოხუცებულთა სახლის დახმარება გადაწყვიტა. ამ ამბავმა ის ისე ჩაითრია, რომ საკუთარი ფონდის დაარსებაც კი გადაწყვიტა, რისთვისაც უკვე შეუდგა სამზადისს.**

# რა ეპოქა დაასრულა შორენა ბეგაშვილმა და რისი პრეზიდენტი ხდება ის

**შორენა ბეგაშვილი**: ამ აქციის მოწყობის ერთადერთი მიზანი იყო სურვილი, დახმარება გამეწია მათთვის, ვინც მოხუცებულთა სახლში ცხოვრობს. ადრეც ხშირად დავხმარებივარ ადამიანებს, ნაცნობებს, უცნობებს, მაგრამ ამის აფიშირება არასდროს გამიკეთებია და არც თავი მომიწონებია ვინმესთან. ახლა სხვა გზა არ მქონდა – ჩუმად ხომ ვერ გავყიდდი ჩემს ნივთებს? ვინმეს უნდა გაეგო ამ აქციის შესახებ, რომ ტანსაცმელი ეყიდათ.

**– რატომ აირჩიე საქველმოქმედო აქციისთვის მაინცდამაინც მოხუცები?**

– მოხუცების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. მე თვითონ ბებიას და ბაბუას გაზრდილი ვარ. ხუთ წლამდე მათთან ვიზრდებოდი სიღნაღის რაიონში. სამწუხაროდ, დღეს არც ბებიაა ცოცხალი და არც ბაბუა, მაგრამ მათი სითბო და სიყვარული მთელი ცხოვრება მომყვება. ჩემ მიერ მათთვის გაღებული მცირეოდენი სიკეთე და ზრუნვა იმქვეყნად ჩემს ბებია-ბაბუას დაუბრუნდება. მე ძალიან დიდ სიამოვნებას და სიხარულს მგვრის და ვერ წარმოიდგენთ როგორ მგულშემატკივრობენ ჩემი მოხუცები. ქალები მეუბნებიან, მეც შენნაირი ვიყავი ახალგაზრდობაში, ჩემზეც შენსავით ჭორაობდნენ, შვილოო. ძალიან თბილ სიტყვებს ვიღებ ბაბუებისგანაც. მათი შემხედვარე ძალიან ბევრჯერ დავფიქრდი ჩემს მომავალზეც. ნებისმიერმა შეიძლება, გაიზიაროს იმ მოხუცთა ბედი – მერე სხვა შორენა უნდა მოვიდეს ჩემთან თუ სხვასთან.

**– ხმაური, როგორც ყველაფერს შენ ირგვლივ, ამასაც ბევრი მოჰყვა.**

– ამ ხალხისთვის მთავარია, ცუდი თქვან და ცუდი წერონ, ეს არის მათი იდეაფიქსი, მაგრამ მე ამ ხმებზე ნაკლებად ვღელავ. გადავწყვიტე, ჩამოვაყალიბო ჩემი სახელობის ფონდი, რომლის პრეზიდენტი თავად ვიქნები და უფრო მეტ სამსახურს გავუწევ ადამიანებს.

**– ფონდი უკვე ხმამაღალი განაცხადია.**

– შესაძლოა, მე უკვე დავიწყე ამ პროექტზე მუშაობა. ფონდის საქმიანობა უფრო მასშტაბური იქნება. მერე მარტო ჩემს კი არა, სხვა სელებრითების ნივთებსაც გავყიდი. ვისაც ექნება სურვილი, თანხას ჩარიცხავს ამ ფონდში, რომ უფრო მეტი კარგი საქმის გაკეთების საშუალება გვქონდეს. თუ დღეს „ფეისბუქის“ მეშვეობით ვახერხებთ ნივთებისა და ტანსაცმლის გაყიდვას, მომავალში, ალბათ, გვექნება მაღაზია, ან გალერეა, სადაც მსგავსი აქციები მოეწყობა. მე ისე ჩამითრია ამ საქმემ, ამაზე არ გავჩერდები. ჩვენ უკვე შევაგროვეთ თანხა, რომელიც გადავეცით მოხუცებს, მაგრამ ეს არის მცირედი იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც აქვთ. მაგალითად, გათბობის საშუალებების მოგვარებაა საჭირო. მივიდნენ ისინი, ვინც მე მლანძღავენ მოხუცებულთა სახლში და თავად მიხვდებიან, იყო თუ არა ამ აქციის გაკეთება საჭირო.

**– ამ ტიპის აქციებს უცხოეთში ბევრი ცნობილი სახე აკეთებს. შენგან გადადგმული ეს ნაბიჯი ბევრმა პიარნაბიჯად ჩათვალა, ბევრმა ახალი იმიჯის მორგების მცდელობად.**

– ნეტავ, იქაც ამდენს ლანძღავენ ცნობად სახეებს? უცხოეთში ასეთ აქციებს ხშირად აწყობენ, თუმცა იქ არავინ არ ამბობს, რომ ვინმე ამას პიარისთვის იყენებს. ჩემი ტანსაცმლისა და ჩანთების ნახევარზე მეტი გავყიდე. ეს რომ პიარისთვის გამეკეთებინა, „კუპალნიკში“ გადაღებულ ერთ ფოტოს დავდებდი, რომელიც ყველა საიტზე მოხვდებოდა და ზუსტად იგივე პიარი მოჰყვებოდა, მაგრამ ეს არ გავაკეთე.

**– ეგებ „კუპალნიკიანი“ შორენა აღარ იყიდება ისე, როგორც ადრე?**

– არა მგონია. მე ეგ ეპოქა უკვე დავასრულე. ახლა „კუპალნიკში“ ფოტოს მხოლოდ საოჯახო და პირადი ალბომისთვის ვიღებ და არა რომელიმე ჟურნალის გარეკანისთვის. ყველაფერს თავისი დრო აქვს, ხანდახან ძალიან ბევრის გავლა გვიწევს იმისთვის, რომ გავიზარდოთ და განვვითარდეთ. ასე რომ არ იყოს, მეც ვიჯდებოდი რომელიმე კომპიუტერს ამოფარებული და დავწერდი კომენტარებს: „უიმეე, ეს რა ცუდი საქმე გააკეთა; დედა, დედა თავისი ძლინკიანი კაბები გამოიტანა გასაყიდად.“ ეს აქცია ჩემთვის იყო პირველი მცდელობა, თუ ვინმეს შეეძლო ამის უკეთ გაკეთება, მას გაეკეთებინა. საქმე. მე არავისთვის არაფერი წამირთმევია. იმ მოხუცებს კვლავ უჭირთ. ასე რომ, თუ ვინმეს სურვილი აქვს, ჯობია, შემომიერთდნენ, ჩემს ლანძღვას თავი დაანებონ და მათ დაეხმარონ.

**– რა გაიყიდა ყველაზე კარგად და რა თანხა შეგროვდა მოხუცებისთვის?**

– თანხის ზუსტ რაოდენობას ვერ დავასახელებ, მაგრამ იმას გეტყვით, რომ სამი ნული



**ყველაზე ძვირად გავყიდე მელიის შინდისფერი ქურქი**

გვაქვს ***(იცინის).*** „ტოტალ შარმთან“ ერთად უკვე მივუტანეთ მოხუცებს ტელევიზორი, გამათბობლები. ყველაზე უკეთ ჩემი ჩანთები გაიყიდა, ასევე ტანსაცმელიც. ეს ყველაფერი ყველაზე დაბალ ფასში იყო გამოტანილი და შესაბამისად, ყველაზე მეტი რაოდენობით გაიყიდა.

**– ის ჩანთა გაყიდეთ, 10 ათასი დოლარი რომ დააფასეთ?**

– არა, ის ჩანთა ჯერ არ გაყიდულა. „ჰერმესის“ ჩანთაა, იმდენი ითქვა ამ ჩანთაზე, რომ დაითარსა და ჯერ არ გამოუჩნდა პატრონი.

**– ისიც თქვეს, ფულის გაკეთება გადაწყვიტაო.**

– არა, რას ამბობთ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფულთან ასეთი ახლო „საქმიანი” ურთიერთობა მაქვს. მგონი, ცუდი დებიუტი არ გამოვიდა ***(იცინის).*** ფულის მიმართ უდიერი დამოკიდებულება არ მაქვს, ერთ დღეს ნამდვილად არ ვხარჯავ მთელ ჩემს ფულს. ჩემი ტანსაცმლიდან არც ერთი არ იყო ისეთი, რაიმე წუნი ჰქონოდა. მოგეხსენებათ, რომ ტელესახე ერთი და იმავე სამოსით მაქსიმუმ ორჯერ გამოჩნდეს ტელეეკრანზე, მეტად ვერ ჩაიცვამ. გარდერობი ათასი უსარგებლო სამოსით მქონდა სავსე, რატომ

## პიარი რომ მდომოდა, „კუპალნიკში“ გადაღებულ ერთ ფოტოს დავდებდი საიტზე

უნდა მქონდეს ისე, როცა შეიძლება გაიყიდოს და ამ ფულით ვინმეს დაეხმარო? გინდ ძონძი დაარქვან, გინდ ძლონკი, ამაზე არ ვდარდობ. ვფიქრობდი, ჩემი სხვა ნივთებიც გამეყიდა, მაგრამ ერთხელ ჩაცმული კაბების გაყიდვას ისეთი ამბავი მოჰყვა, ფეხსაცმელი რომ დავდო გასაყიდად, ხომ წარმოგიდგენიათ, ამას რა მოჰყვება?

**– ეპატაჟისთვის საწოლის გაყიდვაც არ იქნებოდა ურიგო.**

– ერთი საწოლი მაქვს და ვერ გავყიდი, სკამზე ვერ დავიძინებ ***(იცინის).*** სკანდალი რომ მდომებოდა, ჩემს ბიუსტჰალტერს გავყიდდი, მაგრამ არ მინდა ასეთი რამ. მე ამ აქციას სულით და გულით ვაკეთებ, რომ ვინმეს დავეხმარო.

**– იყო რამე ისეთი, რასთან შელევაც გაგიჭირდა?**

– რას ნიშნავს ქალისთვის სამოსი, ეს ყველამ კარგად იცის. ყველა ჩემი კაბა ამა თუ იმ კონკრეტული გადაცემის თუ პროექტისთვის იყო გამზადებული. თითოეულ მათგანს თავისი წარსული და ისტორია ჰქონდა, შესაბამისად, ის მახსენებდა, სად და როდის მეცვა. ხან ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ჩემს წარსულს ვყიდდი. ჩემთვის ნამდვილად არ იყო ადვილი, ამ ტანსაცმლის ერთი ხელის მოსმით მოცილება. მაგრამ, მაინც გავაკეთე. ძალიან გამიჭირდა, შევლეოდი ჩემს ქურქს, რომელიც ერთ-ერთი პირველი ჰონორარით ვიყიდე. ეს იყო მელიის ქურქი, რომელიც ყველაზე ძვირად გაიყიდა. მახსოვს, წლების წინ როგორ მინდოდა, მისი ყიდვა. როგორც კი ფული ავიღე, გავიქეცი და მაშინვე ვიყიდე, რომ ფული არ შემომხარჯვოდა. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს იმ ქალბატონს, ვინც ეს ქურქი იყიდა.

**– ვინ ყიდულობს ძირითადად შენს ტანსაცმელს?**

– მე არ ვიცი ვისთან მიაქვთ ნივთი. ამ საქმეში ჩემი დისშვილები არიან ჩართულები, რომლებმაც კურიერის ფუნქციაც შეითავსეს, რომ კიდევ ზედმეტი ხარჯი არ გვქონოდა. მე წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არიან ჩემი ტანსაცმლის ახალი მფლობელები, ალბათ, მათი უმეტესობა თინეიჯერი გოგონები არიან. არ გამოვრიცხავ, ჩემი რომელიმე ნივთი ჩემს იდუმალ თაყვანისმცემელთან მოხვედრილიყო ***(იცინის).***

**– ახლა ვინ განაახლებს შენს გარდეროობს?**

– მე თავად ვიზრუნებ ამაზე, ძირითადად, სატელევიზიო ტანსაცმელი გავყიდე. ის, რითაც ყოველდღიურად ვსარგებლობ, ჯინსი და სპორტული სამოსი, არ გამიყიდია, ასე რომ, ჩემს კეთილისმსურველებს დავამშვიდებ და ვეტყვი, „შიშველი” არ დავრჩენილვარ ***(იცინის).***

**– შენს ცხოვრებაში პროფესიული სიახლეები თუ არის?**

– ახლა ცხოვრების შედარებით პასიური ეტაპი მაქვს. უარი ვთქვი რამდენიმე პროექტზე, იმის გამო, რომ კარგად დამესვენა და მეტი დრო გამეტარებინა ჩემს შვილთან. ამ ეტაპზე ვარ მხოლოდ „იღბლიან ბორბალში”, შესაბამისად მაქვს მეტი დრო ჩემი შვილისთვის, ფიქრისთვის. ასე კარგად დასვენებულმა მოვიფიქრე ეს აქცია, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ.

**თამუნა ნიჟარაძე**

**24 წლის მომღერლის, მიშა სულუხიას ცხოვრებაში, ახალი და წარმატებული ეტაპი მაშინ დაიწყო, როცა სულ ცოტა ხნის წინ, ყველასგან გასაკვირად, კონტრტენორის იშვიათი ხმის ტემბრი აღმოაჩნდა. მართალია, ის თავს, მიუხედავად ყველაფრისა, უიღბლო ადამიანად მიიჩნევს, მაგრამ ასეა თუ ისე, ბევრი ვერც კი იოცნებებდა იმაზე, რაც მის კარიერაში ამ დღეებში მოხდა. თუ რა სიახლეებია მის ცხოვრებაში, როგორ მოხვდა იტალიის კასტელფიდარდოს მუსიკის აკადემიაში უგამოცდოდ და რატომ ვერ იცლის ის სერიოზული სიყვარულისთვის, ამაზე თავად მოგვიყვება.**

# ვის უხარებს გულს სოციალურ ქსელში შიშველი ფოტოებით მიშა სულუხია და როგორ გახდება ის იტალიაში პირველი მამაკაცი

**მიშა სულუხია**: ბოლო პერიოდში, საკმაოდ კარგად აეწყო ჩემი საქმეები. მართალია, დიდი დრო დავკარგე საესტრადო ფონზე, თუმცა, საკუთარი მუსიკალური, ხმის ჩამწერი სტუდია მაქვს და იქ სულ ვმუშაობ.

**– თუმცა, ბოლო დროს, არსად ჩანდი. რა ხდებოდა?**

– ის, რომ მე არსად ვჩანვარ, არ ნიშნავს, რომ მოვდუნდი და არ ვმუშაობ. არ მიყვარს, თუ პროექტი არ არის სრულყოფილი, მისი ფართო აუდიტორიის წინაშე გამოტანა. ზოგადად, საკუთარი თავისადმი კრიტიკულობის გამო, რაღაცეების ძიებაში ბევრი დრო დავკარგე, მაგრამ ბოლოს ისეთი ამბავი შევიტყვე, ეს ყველაფერი გადაწონა. ჩემთვის მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა, რომელსაც არ დაგიმალავთ და რაღაც დოზით, მოველოდი. ერთ დღესაც, ვიღვიძებ და მოდის სწრაფი გზავნილი იტალიიდან, სადაც წერია, რომ უგამოცდოდ ჩავირიცხე კასტელფიდარდოს მუსიკის აკადემიაში და გავხდი სტუდენტი. ეს, საკმაოდ სოლიდური აკადემიაა და ბევრი ოცნებობს იქ მოხვედრას. ძალიან გამიმართლა. აკადემიის პროფილია ჩამოყალიბებული და მოქმედი მომღერლების წვრთნა. და მას არ აქვს საბაკალავრო სისტემა, უკვე მაგისტრატურად ითვლება. ამ აკადემიაში გა-

**არ მინდა ყველასთვის მისაღები ვიყო. არ არის ეს ჩემი სტილი**

დავაგზავნეთ ჩემი საორკესტრო ჩანაწერები და სასწავლებლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, გამოცდები მოეხსნათ ჩემთვის და პირდაპირ სტუდენტი გავმხდარიყავი. ასე რომ, არც მაწვალეს და არც მანერვიულეს, ისე გავხდი ამ აკადემიის სტუდენტი *(იცინის)*. თანაც, სწავლის საფასურის გადახდაც არ მიწევს, ჩემი იშვიათი ხმის ტემბრის გამო. ჩემი მისია არ არის, უცბად ჩავწრო სიმღერა, მივიტანო რადიოში, დავატრიალო და პოპულარული გავხადო. თუმცა, ბევრი პროდიუსერი და მეგობარი მეუბნება, ბოლო დროს აღარ ჩანხარ და გაუკეთე საკუთარ თავს რეალიზებაო.

**– შემოქმედი ადამიანი ხომ იმისთვის მუშაობს, რომ მისი შემოქმედება ფართო აუდიტორიის წინაშე გამოიტანოს და მისი შეფასებები მოისმინოს. არ მეთანხმები?**

– გეთანხმებით, რომ ფართო არენაზე უნდა გამოვიტანო ის, რასაც ვაკეთებ. მაგრამ არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო, ან სკანდალებით მივიპყრო ყურადღება. უბრალოდ, მე უფრო მსხვილი პროექტებისთვის ვემზადები. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, ჩემი ვიზიტები, უფრო უცხოეთს ეხება.

**– მახსოვს, გეგმავდი, იტალიელი კომპოზიტორის, ჯულიო კაჩინის „ავე მარიას" ერთ-ერთ ვერსიაზე ვიდეოკლიპის გადაღებას ისრაელში, რომელიც კლასიკური მუსიკისა და ჯაზის სატელევიზიო არხ „მეცოზე", უნდა გასულიყო. თუმცა, პლანეტის ყველაზე ცნობილ არხზე ქართველი შემსრულებლის ვიდეო ჯერჯერობით არ ტრიალებს.**



უგამოცდოდ ჩავირიცხე კასტელფიდარდოს მუსიკის აკადემიაში და გავხდი სტუდენტი, ეს ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპია

– მართალია, ეს იგეგმებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს ცუდი ფაქტი შეემთხვა და ამის გამო გადაღებები შეჩერდა. ეს პროექტი ისევ ძალაშია და აუცილებლად განხორციელდება. ამით, კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ, რომ ქართველები ძალიან ნიჭიერი ერი ვართ. პლანეტის ყველაზე ცნობილ არხზე ქართველი შემსრულებლის ვიდეოს გამოჩენა, ჩემი აზრით, ნამდვილად სასიამოვნო ფაქტი იქნება.

**– მოცარტის სპექტაკლში „ფიგაროს ქორწინება", ყოველთვის ქალი ასრულებს ცნობილი ქერუბინოს როლს, რომელიც მამაკაცისთვისაა დაწერილი. მახსოვს, ამბობდი, ჩემი ხმა მოისმინეს და ამ არიის შესრულება სულ მალე მე მომიწევსო. თუ არ ვცდები, კონტრაქტის დადებასაც აპირებდი. ამ მხრივ რაიმე სიახლეა?**

– დიახ, „ფიგაროს ქორწინებაში" ქერუბინოს როლი, სწორედ მამაკაცის პარტიტურისთვისაა დაწერილი, თუმცა, კაცები ვერ მღერიან, რადგან ძალიან მაღალ რეგისტრშია. ამიტომ, სულ ულვაშებდახატული ქალები ასრულებენ *(იცინის)*. ჩემი ხმა კი ამ პარტიტურას მოერგო და პირველი მამაკაცი ვიქნები, ვინც ამ როლს, რომში მამაკაცურად მოირგებს *(იცინის)*. სხვათა შორის, სანამ ამ საქმეებს შევუდგები, მანამდე, სულ რამდენიმე დღეში, შვეიცარიაში მივფრინავ. ცნობილი და მაღალანაზღაურებადი კონტრტენორების აღმზრდელმა, ასევე ცნობილმა პედაგოგმა, შვეიცარიის აკადემიის პროფესორმა რიჩარდ ლევისმა მოისმინა ჩემი ჩანაწერები და სურვილი გამოთქვა, შემხვედროდა და მუშაობა შემომთავაზა. იქ რამდენიმე თვე ვიცხოვრებ და მისგან უდიდეს მასტერკლასებს მივიღებ. კულტურის სამინისტრო ძალიან დამეხმარა, ამინაზღაურა მასტერკლასების, მგზავრობისა და იქ ყოფნის საკმაოდ სოლიდური ხარჯები. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი ბატონ გურამ ოდიშარიას, ბადრი ბაგრატიონს და ქალბატომ მარინა მიზანდარს. შვეიცარიიდან იტალიაში გადავალ და იქ გავაგრძელებ სწავლას და მუშაობას.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება? ადრე, სკანდალურ სიტუაციებში ხშირად ეხვეოდი, ახლა კი მხოლოდ შიშველი ფოტოებით შემოიფარგლები, რომელსაც სოციალურ ქსელში დებ. შიშველი სხეულის დემონსტრირებით რას აღწევ?**

– რაც უნდა სოლიდური საქმე ვაკეთო, ასაკი თავისას შვრება. მართალია, ხშირად ისეთ ხასიათზე ვარ, რომ ნახევრადშიშველ ფოტოებს ვდებ სოციალურ ქსელში, მაგრამ ამაში სკანდალურს ვერაფერს ვხედავ. მას ბევრი ადამიანი ნახულობს, „ალაიქებს", წერს კომენტარს და მეც ვხალისობ. რას ვაღწევ შიშველი ფოტოების დემონსტრირებით, ვერ გეტყვით, მაგრამ ხშირად ვარჯიშის შედეგებს ვაქვეყნებ, ზოგჯერ ვიღაცას ვუხარებ გულს, ზოგჯერ საკუთარ თავს *(იცინის)*. სკანდალები კი იმიტომ შევწყვიტე, რომ მივხვდი, იაფფასიანი სკანდალები, არ მჭირდება. მირჩევნია, ჩემი პოტენციალი სხვა რამეში ჩავდო და ამით მოვახდინო მასებზე ზეგავლენა. არ მინდა, ყველასთვის მისაღები ვიყო. არ არის ეს ჩემი სტილი. ყველას თუ არ მოვწონვარ, ეს ჩემთვის კომპლიმენტია. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ხშირად მიფიქრია ოჯახის შექმნაზე, მეუღლეზე, შვილზე, მაგრამ ვატყობ, ეს გეგმა რამდენიმე წლით გადაიწევს *(იცინის)*. თუმცა, საინტერესო ფლირტები ხშირად მაქვს და ეს სასიყვარულო ემოცია, ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს ჩემს შემოქმედებაზე. ახლა ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება და მინდა, ჩემი პოტენციალი არ დავზოგო. ყველა მეუბნება, იღბლიანი ხარო. მე კი, ასე არ მგონია. ვფიქრობ, უფრო უიღბლოთა რიგში ვარ, რადგან უბრალოდ არაფერი ხდება ჩემთან. თუ რამე არ გამომდის ცხოვრებაში, იღბლის კი არა, ჩემი ბრალია. ფაქტია, თუ ბევრი არ ვიშრომე, მარტო იღბალი ვერ მიშველის *(იცინის)*.

**ნონა დათეშიძე**

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

**ჟურნალ „თბილისელებს"** საქართველოს მასშტაბით ესაჭიროება ფოტოგრაფი, სარეკლამო და გაყიდვების აგენტები. აუცილებელი მოთხოვნებია: იყოს მოწესრიგებული, მობილიზებული, აქტიური, კომუნიკაბელური და ჰქონდეს ორგანიზატორული ნიჭი.

**გასაუბრება - ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 12 საათიდან 5 საათამდე. გასაუბრების ბოლო ვადა - 31 ოქტომბერი.**

**მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის N47.**

**ტელეფონები: 599 379 773; 571 379 773; 239 23 53; 239 23 52.**

**საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში 1918 წელს, დიდი წვლილი შეიტანა გერმანიის იმპერიამ. გერმანია გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტი, ხოლო გერმანულმა ჯარმა საქართველო ოსმალეთის აგრესიისგან დაიცვა. გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ვახტანგ გურული.**

# რატომ იყო გერმანია დაინტერესებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით

**– ბატონო ვახტანგ, რატომ მაინცდამაინც გერმანია და არა სხვა რომელიმე ქვეყანა გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტი?**

– პირველი მსოფლიო ომის წინ დიდი სახელმწიფოები ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად გაიყო. ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ერთ სამხედრო ბლოკში – ანტანტაში გაერთიანდნენ, ხოლო გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და ოსმალეთი მეორე სამხედრო ბლოკში, სამთა კავშირში. ქართველი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მოღვაწენი, სწორად ვარაუდობდნენ, რომ საფრანგეთი და ინგლისი რუსეთის მოკავშირეები იყვნენ, რის გამოც ისინი რუსეთის საწინააღმდეგო ნაბიჯს არ გადადგამდნენ. რაც შეეხება გერმანიას, ის პირველ მსოფლიო ომში რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, ამიტომ დაინტერესებული იყო, ყველა ანტირუსულ ძალასთან ეთანამშრომლა. ქართველებმა ისიც კარგად განსაზღვრეს, რომ გერმანიას, ინგლისისა და საფრანგეთისაგან განსხვავებით, მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციები არ გააჩნდა – კოლონიებს არ ფლობდა. საქართველო კი გერმანიისთვის შესანიშნავი ფორპოსტი იყო მახლობელ აღმოსავლეთში გასაჭრელად. ასე რომ, საქართველოსა და გერმანიის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და სამხედრო პოლიტიკური კავშირიც შედგა. თუ როგორ განვითარდებოდა მომავალში საქართველო-გერმანიის ურთიერთობა, ეს მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული.



**ქართველები გერმანულ პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდნენ, სომხები – ინგლისურს, აზერბაიჯანელები – ოსმალურს. ყოველგვარი ცდა, ერთი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავებისა, უშედეგო გამოდგა**

**– რას გულისხმობთ ამ ფაქტორებში?**

– პირველ ყოვლისა, იმას, რომ გერმანიის პოლიტიკური მხარდაჭერა, მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის პირობებში, უმნიშვნელო იქნებოდა, თუ გერმანია ჩვენ სამხედრო დახმარებას არ აღმოგვიჩენდა. მოგეხსენებათ გერმანია შორსაა საქართველოდან, ამიტომ ყველაზე ეფექტური დახმარება შეიძლებოდა შავ ზღვაში გერმანიის სამხედრო ფლოტის შემოყვანით. ამას კი ორი რამ აფერხებდა. ხმელთაშუა ზღვას, ბოსფორსა და დარდანელის სრუტეებისკენ მიმავალ საზღვაო გზას ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ფლოტი აკონტროლებდა. ამიტომ იყო, რომ პირველი მსოფლიო ომის წლებში, შავ ზღვაში გერმანიის მხოლოდ ორმა სამხედრო კრეისერმა შეძლო შემოსვლა. იყო მეორე შემაფერხებელი გარემოებაც. შავ ზღვაში შემოსულ გერმანიის სამხედრო გემებს რუსეთის სამხედრო ფლოტის წინააღმდეგობა უნდა დაეძლია. რაც ადვილი საქმე არ იყო. დაბოლოს, თუ გერმანია პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე წარმატებას ვერ მოიპოვებდა, ცხადია, საქართველოს ეფექტურ სამხედრო დახმარებასაც ვერ აღმოუჩენდა.

**– როგორც ვხედავთ, პერსპექტივა არცთუ ისე დიდი ყოფილა...**

– ცხადია. ამიტომ იყო, რომ გერმანელებმა სხვა ზომებსაც მიმართეს. ოსმალეთის ტერიტორიაზე გერმანიის მიერ ტყვედ აყვანილი ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან დაიწყო ქართული ბატალიონების ფორმირება. ეს ბატალიონი უნდა გამხდარიყო მომავალი ქართული ჯარის ჩანასახი. სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმე შეფერხდა და შედეგიც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორისაც ელოდნენ.

გერმანელებმა სხვა ზომებსაც მიმართეს, რუსეთის არმიის მიერ ტყვედ აყვანილი გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისგან, რომელთა ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე მოხვდა, შექმნეს სპეციალური რაზმი. ამ რაზმს ჩააცვეს გერმანიის სამხედრო ფორმა, მისცეს გერმანული იარაღი.

**– რაში გამოიყენეს ეს რაზმი?**

– ამ რაზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესში. ოსმალეთს პრეტენზიები ჰქონდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე – ტაო-კლარჯეთსა და აჭარაზე. ოსმალეთმა ისარგებლა შექმნილი ურთულესი ვითარებით და 1918 წლის მარტ-აპრილში დაიკავა მთელი აჭარა მდინარე ჩოლოქამდე. ოსმალები ქუთაისის დაპყრობაზეც ოცნებობდნენ. საფრთხე ემუქრებოდა ფოთსაც. ქართული ჯარი მხოლოდ ჩანასახოვან პროცესში იყო და ოსმალეთის არმიას წინააღმდეგობას ვერ უწევდა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თხოვნით მიმართა გერმანულ მისიას და დახმარებამაც არ დააყოვნა – გერმანელთა რაზმი სადგურ „ნატანებში“ ჩავიდა და იქ გერმანიის იმპერიის დროშა აღმართა. ოსმალები შეშინდნენ. ოსმალეთს იმდენი ჯარი ჰყავდა, გერმანელთა მცირერიცხოვანი ჯარის განიარაღება ან განადგურება, არ გაუჭირდებოდა. მაგრამ, გერმანია ოსმალეთის მოკავშირე იყო და ოსმალები კარგად ხვდებოდნენ, რომ გემანელების გაღიზიანება ხელს არ აძლევდათ. გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური დამხარება ოსმალებს მომავალში ჰაერივით დასჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ ოსმალებმა ქუთაისისა და ფოთისაკენ შეტევა ველარ განავითარეს და მდინარე ჩოლოქზე შეჩერდნენ.

**საქართველოში შემოვიდა გერმანიის არმიის ერთ-ერთი ელიტარული – ბავარიის დივიზია. ისე ჩანდა, რომ გერმანიის იმპერიის სახით, საქართველომ ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე შეიძინა. მაგრამ, ბედმა აქაც გვიმუხთლა**

**– გერმანიის სამხედრო დახმარება, მართლაც ქმედითუნარიანი ყოფილა, მაგრამ რაში გამოიხატა პოლიტიკური მხარდაჭერა?**

– 1918 წლის აპრილში ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა შექმნეს სამოკავშირეო სახელმწიფო – ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა. ეს სახელწიფო მკვდრადშობილი აღმოჩნდა. მისი არსებობა შეუძლებელი იყო მასში შემავალი ერების სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გამო. ქართველები გერმანულ პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდნენ, სომხები – ინგლისურს, აზერბაიჯანელები – ოსმალურს. ყოველგვარი ცდა, ერთი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია შეემუშავებინათ, უშედეგო გამოდგა. ასეთ ვითარებაში, გერმანიის წარმომადგენელმა, გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ურჩია, დაეშალათ ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო და გამოეცხადებინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ დამოუკიდებლობის გარანტი კი იქნებოდა გერმანიის იმპერია. ქართველები ასეც მოიქცნენ. ჩვენი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით გამოცხადდა.

**– შემდეგში როგორ განვითარდა საქართველოსა და გერმანიის პოლიტიკური თანამშრომლობა?**

– გერმანიის იმპერია საქართველოს პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებდა. აღმოუჩინა სამხედრო დახმარებაც. საქართველოში შემოვიდა გერმანიის არმიის ერთ-ერთი ელიტური ბავარიის დივიზია. ისე ჩანდა, რომ გერმანიის იმპერიის სახით, საქართველომ ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე შეიძინა. მაგრამ, ბედმა აქაც გვიმუხთლა, უფრო სწორად, ბედმა უმუხთლა გერმანიას. 1918 წლის აგვისტოს დამდეგიდან ყველა ფრონტზე მოვლენები გერმანიისთვის საბედისწეროდ განვითარდა. ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმძლავრეს. გერმანიის სამხედრო მანქანა ჯერ კიდევ ბრძოლისუნარიანი იყო, მაგრამ გერმანიაში დაწყებულმა რევოლუციამ საბოლოოდ დაუსვა ყველაფერს წერტილი. გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა – 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ ანტანტის წინაშე კაპიტულაციის აქტზე მოაწერა ხელი. 1918 წლის დეკემბერში ბავარიის დივიზიამ საქართველო დატოვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირის გარეშე დარჩა.

**– როგორ ფიქრობთ, გერმანია რომ პირველ მსოფლიო ომში არ დამარცხებულიყო, როგორი იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი?**

– საბჭოთა რუსეთი ვერ შეძლებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობას და ჩვენი ქვეყანა ევროპის განუყოფელი ნაწილი, ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა.

**– მეორე მსოფლიო ომში რომ გერმანიას გაემარჯვა, მაშინ რა ბედი ეწეოდა საქართველოს?**

– ეს იმდენად რთული საკითხია, რომ მასზე პასუხის გაცემა სათანადო ფაქტების მოშველიების გარეშე, შეუძლებელია. ამიტომ, ეს სამომავლოდ გადავდოთ.

**ეკა სალაღაია**

**ჩვენი მკითხველი ქართული პრეპარატის, „კამელინის“, სამკურნალო თვისებებს უკვე დიდი ხანია, იცნობს. ბევრ მათგანს საკუთარ თავზე გამოუცდია ამ პრეპარატის გამოყენებით მიღებული განსაცვიფრებელი შედეგები და ბევრსაც არაერთხელ გამოუთქვამს იმის სურვილი, მათი დახმარებით „კამელინის“ შესახებ სხვებისთვისაც მიგვეწოდებინა ინფორმაცია. როგორც ცნობილია, დღეს უკვე არსებობს „კამელინის“ 5 ფორმა: ინიექცია, კაფსულები, მალამო, სანთლები და სპრეი, რომელთა გამოყენება არა მხოლოდ უშუალოდ დაავადების დროს, არამედ წელიწადში ორჯერ, პროფილაქტიკის მიზნითაც, ძალიან ბევრ დაავადებას აგაცილებთ თავიდან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კამელინის“ სამკურნალი თვისებების შესახებ ინფორმაცია დიდი ხანია, საქართველოს ფარგლებს გასცდა და დღეს უკვე არაერთი ქვეყნიდან ჩამოდის დელეგაცია, რომელსაც სურს, საკუთარ ქვეყანაში ქართული ბუნებრივი წარმოების პრეპარატის – „კამელინის“ დარეგისტრირება და შეტანა. თუმცა, ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი კობა გურიელიძე:**

# როგორ აგრძელებენ ავადმყოფები „კამელინის“ დახმარებით სიცოცხლეს და რატომ არის პროფილაქტიკის მიზნით მისი გამოყენება ეფექტური

– რამდენიმე ხნის წინ საქართველოში იყო ბელორუსიის სამთავრობო დელეგაცია, მათ სხვადასხვა სფეროები აინტერესებდათ. ფარმაცევტულ ბაზარზე კი „კამელინი“ შეარჩიეს და პირდაპირ განაცხადეს: ეს პრეპარატი უნდა იყოს ბელორუსიაშიო. როგორც შემდეგში გავიგეთ, თანამდებობის ერთ-ერთი პირის მეუღლეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონია და საქართველოდან ჩატანილი „კამელინით“ მკურნალობდა. მიღებული შედეგებით ძალიან კმაყოფილი იყო. ასევე, ერთ მშვენიერ დღეს ოფისში გამოგვეცხადა ყირგიზეთის წარმომადგენელი – ქალბატონი, რომელიც ექიმი-რადიოლოგია, ონკოლოგიურ პაციენტებს უტარებს გამოკვლევებს. როგორც გვითხრა, ჩვენი ვებ-გვერდიდან გაუგია „კამელინის“ შესახებ, შემდეგ ნაცნობს გაუგზავნია საქართველოდან „კამელინის“ ინიექციის ფორმები და პაციეტებისთვის უმკურნალია. მაგალითად, ერთ-ერთ ქალბატონს, რომელსაც ჰქონდა საშვილოსნოს ყელის კიბო, ჩაუტარდა „კამელინით“ მკურნალობის რამდენიმე კურსი, რის შედეგადაც ყველა სიმპტომი ალაგდა. ამის შემდეგ გადაწყვიტა ყირგიზელმა ექიმმა საქართველოში ჩამოსვლა და ჩვენთან შეხვედრა. ფაქტობრივად, მან დაიწყო „კამელინის“ დარეგისტრირებაზე მუშაობა და ყირგიზეთში ახლა უკვე ხუთივე ფორმაა დარეგისტრირებული. უკრაინის წარმომადგენელს, რომელიც ჩვენთან იმყოფებოდა, აფთიაქების დიდი ქსელი აქვს. მოსახლეობა ახლობლებს, ნათესავებს „კამელინს“ არაოფიციალურად უგზავნიდა უკრაინაში, ისინიც მკურნალობდნენ და შემდეგ უკვე აფთიაქში იწყებდნენ მის მოკითხვას. რადგან მას აქვს აფთიაქების ქსელი, კარგად იცის, რა პრეპარატს ითხოვს მოსახლეობა და ამიტომაც დაინტერესდა „კამელინით“. ჩამოვიდა საქართველოში, მოლაპარაკებები შედგა, დოკუმენტები მომზადდა.

**– როგორც ცნობილია, „კამელინის“ პროფილქატიკის მიზნით გამოყენება, არა მხოლოდ სიმსივნეს, არამედ სხვა დაავადებასაც აგვაცილებს თავიდან.**

– რა თქმა უნდა. „კამელინის“ ხუთი ფორმა არსებობს და ყველა სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. მაგალითად, მალამო ძალიან კარგია დამწვრობაზე, ჭრილობების შესახორცებლად, სახსრებისთვის, როდესაც ის ელექტროფორეზითა და ფონოფორეზით შეჰყავთ უშუალოდ კერამდე. სანთელი ძალიან კარგია ბუასილის, ქალური დაავადებების მკურნალობისას, ამ პრეპარატს არ აქვს უკუჩვენება და მისი გამოყენება ორსულ ქალებსაც შეუძლიათ. კიბოს საწინაღმდეგოდ, მისი პროფილაქტიკისთვის ძალიან კარგი საშუალებაა ნემსები. რაც შეეხება კაფსულებს, ძალიან კარგი, მსუბუქი, მისაღები ფორმაა და ადამიანს მკურნალობისთვის დაჩხვლეტა აღარ დასჭირდება, რაც მთავარია; ეფექტურია მისი გამოყენება სიმსივნის დროს. სპრეი კი ძალიან კარგ შედეგს იძლევა ყელის დაავადებების, სხვადასხვა დაზიანებების დროს. კარგია გაზაფხულისა და ზამთრის პერიოდში, როდესაც ადამიანი ვიტამინების ნაკლებობას განიცდის და იმუნიტეტი თავისთავად ქვეითდება. ასევე, დაავადების გადატანის შემთხვევაში, როდესაც იმუნიტეტი მოშლილია. ამ დროს ბრწყინვალე შედეგს მოგვცემს, თუ მივიღებთ კაფსულებს – ის მალე აღადგენს იმუნიტეტს. მინიმუმ ერთი კურსი, ძალიან კარგია, განსაკუთრებით მძიმე, გრიპოზული დაავადების გადატანის შემდეგ. მინდა გითხრათ, რომ, ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და მისი გამოყენება ხანგრძლივი დროითაც კი არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.



***„კამელინის“ სამკურნალო თვისებებით დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ რამდენიმე პაციენტის ისტორიას, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ პრეპარატის სამკურნალო ეფექტი.***

P1. ავადმყოფს დაუსვეს დიაგნოზი – სიმსივნე კუჭზე. აწუხებდა გაუსაძლისი ტკივილები, სისუსტე, ვერ ჭამდა. რამდენიმე ხნის წინ დაიწყო „კამელინით“ მკურნალობა და ამჟამად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. თავს უკეთესად გრძნობს და კვლავ განაგრძობს „კამელინით“ მკურნალობას.

P2. ახალგაზრდა ქალბატონს საშვილოსნოზე სიმსივნე ჰქონდა. თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, აწუხებდა სისუსტე, ოფლიანობა და ტკივილები საშვილოსნოს არეში. ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს, მისთვის „კამელინის“ ნემსები გაეკეთებინათ. ერთი კურსის ჩატარების შემდეგ, პაციენტმა თავი უკეთ იგრძნო, მეორე კურსის დამთავრების შემდეგ კი, უკვე მოეხსნა სისუსტე, ოფლიანობა, ტკივილები და, ამჟამად შრომისუნარიანია, აგრძელებს ცხოვრებას ჩვეულ რიტმში. პროფილაქტიკისთვის კი, როგორც თვითონ, ასევე მისი ახლობლებიც, ყოველთვის იყენებენ „კამელინს“.

P3. პაცინეტს დაუსვეს ქრონიკული პროსტატიტის დიაგნოზი. ჩაიტარა ანტიბაქტერიული თერაპიის, ფიტოთერაპიისა და ფიზიოთერაპიის კურსი. შემდეგ, ექიმის რჩევით, გადაწყვიტა, „კამელინის“ ინიექციითა და სანთლებით დაეწყო მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 2 კურსი... ულტრაბგერითი კვლევებით, მას დაუფიქსირდა პროსტატის მოცულობის შემცირება და ლეიკოციტოზის ნორმალიზაცია. მისი მდგომარეობა სტაბილურია – ცვლილებების გარეშე.

P4. პაციენტს ჰქონდა სწორი ნაწლავის სიმსივნე, გაუკეთეს ოპერაცია. მაგრამ შემდეგში მეტასტაზების განვითარება მაინც დაიწყო. მაშინ გადაწყვიტა, დაეწყო „კამელინის“ ამპულებითა და კაფსულებით მკურნალობა. ზედიზედ ჩაიტარა სამი კურსი. უკვე მესამე წელია, პაციენტი თავს შესანიშნავად გრძნობს.

P5. ფილტვის სიმსივნე, მეოთხე სტადია, მესამე წელია, შენარჩუნებულია დაავადების დადებითი დინამიკა, პაციენტი ამჯერად მხოლოდ „კამელინის“ კაფსულებით აგრძელებს მკურნალობას, თავს მხნედ და კარგად გრძნობს.

P6. პაციენტი მკერდის ავთვისებიანი სიმსივნით. მოკვეთეს მკერდი, მაგრამ შემდგომ დაიწყო მეტასტაზების განვითარება. პაციენტმა ჩაიტარა ქიმიოთერაპია. რის შემდეგაც გადაწყვიტა, „კამელინით“ ემკურნალა. მისი მდგომარეობა სტაბილური და საიმედოა. წელიწადში ორჯერ იტარებს კამელინოთერაპიას კაფსულებითა და სანთლებით.

P7. პაციენტს 4 წლის წინ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი, ორჯერ ჩაიტარა ქიმიოთერაპია, გასცვივდა თმები, იღებდა უამრავ ტკივილგამაყუჩებელს, შემცირდა ლეიკოციტების რაოდენობა და დაეცა ჰემოგლობინის დონე. დაიწყო „კამელინ მ-1“ – ინიექციითა და „კამელინ მ-2“ – ამპულებით მკურნალობა. ტკივილები პირველი კურსიდანვე მოეხსნა, მოემატა ენერგია, თანდათან გაუმჯობესდა საერთო მდგომარეობა. ამიტომ გადაწყდა, გაეგრძელებინა მკურნალობა. მეორე კურსიდან შედეგი უკვე თვალშისაცემი გახდა: ტკივილების სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის შემცირება, მკერდის დვრილის წინ წამოწევა, დარბილება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება.

P8. პაციენტს დაახლოებით 4 წლის წინ აღმოაჩნდა მკერდის სიმსივნე. მრავალი პრეპარატით მკურნალობდა. ახლობელმა შეატყობინა საქართველოში წარმოებულ, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პრეპარატის „კამელინის“ შესახებ. დაიწყო მკურნალობა და შედეგი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ. დღეს პაციენტი სრულიად ჯანმრთელი და შრომისუნარიანია.

***P.S.** ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები, ან გსურთ, კონსულტაცია, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.*

**ნათია უტიაშვილი**

**უკვე ერთი წელიწადი ხდება, მას შემდეგ, რაც ბრენდი „ანუკი ბიჭოლა“ დაიშალა და დიზაინერმა ბიჭოლა თეთრაძემ ისევ შეძლო ინდივიდუალურ ბრენდში კიდევ ერთხელ გაეერთიანებინა ის, რასაც ამდენი წელი აკეთებდა.**

**როგორც საქართველოს, ისე უკრაინის მოდის წრეებში, ბევრს ეგონა, რომ ბიჭოლას საერთაშორისო პოპულარობა კახა კალაძისა და ანუკი არეშიძის სახელებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ, ოქტომბერში უკრაინაში გამართულმა მოდის კვირეულმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა საზოგადოება, რომ ამ ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერ და პოზიტიურ ადამიანს დამოუკიდებლად შეუძლია მწვერვალების დაპყრობა.**

# რით აღაფრთოვანა ფრიდა კალომ ბიჭოლა და ვისი მისვლა იყო მის ჩვენებაზე ბომბის გახეთქვის ტოლფასი

**ბიჭოლა**: დავუბრუნდი ბრენდ „ბიჭოლაზე“ ზრუნვას, რაც ჩემგან კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობასა და ორმაგ შრომას მოითხოვს. მოდუნების საშუალებას არასდროს ვაძლევდი საკუთარ თავს, მაგრამ ახლა ყოველდღიურ რეჟიმში ვფიქრობ, რა გავაკეთო ახალი; მუდმივად ვაწარმოებ მოლაპარაკებებს, მაქვს საქმიანი შეხვედრები და სულ ვფიქრობ იმაზე, რომ ყველა ჩემი ახალი ქმნილება იყოს უნიკალური და განსაკუთრებული. ვიცი, რომ წარმატების მისაღწევად ერთი წუთითაც კი არ შეიძლება გაჩერება.

**– ამ ბოლო დროს ბევრი სხვადასხვა საქმის კეთება დაიწყე, მაგრამ, როგორც ჩანს, სამოსზე მუშაობა შენთვის ყველაზე ორგანულია და ამაში ყველაზე კარგად ავლენ ნიჭს.**

– როდესაც პოპულარული ხდები, უამრავ შემოთავაზებას იღებ და გასართობ ჟანრში სხვადასხვა საქმის კეთება გიწევს. დიჯეობას პროფესიას ვერც დავარქმევ, უბრალოდ, ვუკრავ სხვადასხვა წვეულებაზე ამა თუ იმ კლუბის მიწვევით.



საქმე, რომლის გარეშეც ცხოვრება არ შემიძლია, ეს არის მოდა, რომელსაც 10 წლის ასაკიდან ვაკეთებ. ამაში სულ სხვა ემოციას, სხვა სულისკვეთებას ვდებ. მოდა ჩემთვის პირადულია.

**– ბოლო კოლექცია ძალიან ჰგავს ყველაფერ იმას, რაც აქამდე გაგიკეთებია, მაგრამ, ამავდროულად, განსხვავებულია. მომიყევი მისი შექმნის ისტორია.**

– ჩემი მეგობრების გვერდში დგომითა და უდიდესი მხარდაჭრით, სექტემბრის ბოლოს გადაწყდა, რომ უკრაინის მოდის კვირეულში უნდა მიმეღო მონაწილეობა. მეგობრების გარეშე ამ ქვეყანაში თითქმის შეუძლებელია რამის მიღწევა და ამაში არ ვგულისხმობ მხოლოდ ფინანსებს. ელემენტარულად ქსოვილების მწარმოებლებთან ურთიერთობა, პრესრელიზის დაწერა, გავრცელება და ყველა ის წვრილმანი, რაც შეუძლებელია, მარტომ აკეთო. აქ არ ხდება ისე, როგორც საქართველოში – რამდენიმე კაბა შევკერე და დამთავრდა. სხვათა შორის, ახლა კეთდება ათწუთიანი დოკუმენტური ფილმი, თუ როგორ შეიქმნა ეს კოლექცია.

სულ ვფიქრობდი რა კოლექცია გამეკეთებინა, რომ შტამბეჭდავი ყოფილიყო არა მარტო სამოსით, არამედ მთელი შოუთი, მუსიკით, დეკორაციით და ასე შემდეგ. ძალიან დიდი ხანია, ვიცი და მაინტერესებს ფრიდა კალოს პერსონა. მიყვარს, როგორც შემოქმედი, მაგრამ, მასთან შეხებას ყოველთვის გავურბოდი, რადგან, ძალიან ბევრი ვიზუალური არტისტი იყენებს ფრიდას ინსპირაციის წყაროდ. ეს იყო მეოცე საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ეპატაჟური ქალი, რომლის ბიოგრაფია სავსეა თემებით. ზუსტად ამ პერიოდში ვნახე ფილმი ფრიდაზე და, მივხვდი, რომ კოლექცია მზად არის. ფილმის მუსიკაც კი იმდენად შთამბეჭდავი და სენსიტიური იყო, რომ მთელი კოლექცია დამიდგა თვალწინ – ბევრი ლურჯით, ცოცხალი ყვავილებითა და დაპრინტული ჩიტებით. ჩიტების თემა უკვე დიდი ხანია ჩემს კოლექციას თან სდევს და, საინტერესოა, რომ ფრიდას ყველაზე ცნობილ ავტოპორტრეტში გულზე უზის ჩიტი. ამ ავტოპორტრეტის სრული ანალოგი არ გამიკეთებია, ამ კოლექციას შეიძლება დავარქვათ „ფრიდა ბიჭოლასგან“.

**– რით განსხვავდება შენი ფრიდა იმისგან, რაც აქამდე გაუკეთებიათ ხელოვანებს?**

– ჩემი ფრიდა გაცილებით გულახდილია . ის არ იყო შავგვრემანი და ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი. კოლექციაში გამოვიყენე ბევრი გამჭვირვალე ქსოვილი და მოდელების ძირითადი ნაწილი იყო ქერა. მთავარ ფოტოებში გადავიღეთ ჩემი მუზა – ულიანა დემენტიევა, ასევე ქერა და, არა იმიტომ, რომ ის ტოპ- მოდელია, უბრალოდ, ის ზუსტად გამოსახავდა იმ ფრიდას, რომლის ჩვენებაც მინდოდა. ეს იყო ოცდამეერთე საუკუნის ქალი ფრიდას „ობრაზში“. სამოსი იყო ქალური, დახვეწილი ფორმებით და სექსუალური. მექსიკური მოტივები ძირითადად ცოცხალი ყვავილების სახით შემოვიდა კოლექციაში. მთლიანად შოუ ისეთი შტამბეჭდავი გამოვიდა, რომ, პირველად საკუთარ ჩვენებაზე, ვიტირე. დარბაზშიც აცრემლებული იყო ხალხი.

**– უკვე გაყიდულია კოლექცია?**

– ძალიან ბევრი შეკვეთა მივიღე. კოლექციის დიდი ნაწილი გაყიდულია. ის, რომ უკრაინის ცნობილ სახეებს მოსწონთ და აცვიათ ჩემი სამოსი, ძალიან დიდი რეკლამაა. უკვე დიდი ხანია, რაც ჩემთან იცმევს ჯამალა – ბოლოს ივან ურგანტის შოუში ეცვა ჩემი კაბა; ასევე, ჩემი კაბა ეცვა, როცა კლიჩკომ მოიგო სერიოზული რინგი და ჯამალამ იმღერა უკრაინის ჰიმნი. ეს ამბავი 150-მა არხმა გადასცა ეთერში. ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა იყო, ქვეყნის ნომერ პირველი მომღერლისთვის შემექმნა კაბა ქვეყნის ეროვნული დროშის ფერებში, მაშინ, როცა მას უნდა შეესრულებინა ჰიმნი.

**– უკრაინული პრესა აჭრელებულია შენზე სტატიებით. ასეთ შეფასებებს ბევრი ცნობილი ბრენდიც ვერ აღწევს. შენ რას აბრალებ ამ ყველაფერს?**

– მიჭირს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ამ ქვეყანამ ძალიან თბილად მიმიღო. ამასთან, თვითონ შოუც მართლა ძალიან შთამბეჭდავი და ემოციური გამოვიდა. მაღალი დონის სტუმრები ესწრებოდნენ, მათ შორის, ივან დორნი, მეგაპოპულარული მუსიკოსი, რომელიც არ დადის მსგავსი თავშეყრის ადგილებში და მისი გამოჩენა ნამდვილად ბომბის გავარდნას ნიშნავდა. მისი მოსვლა ვარდისფერი ვარდებით უკვე საჩუქარი იყო ჩემთვის. ჩვენებას ესწრებოდნენ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, პარლამენტარებისა და მინისტრების ცოლები, ბიზნესმენები და მათი ცოლები, იყო. თვითონ იულიანაც, ჩემი სახე, რომელიც, ასევე, „ჟივენშის“ სახეა და ოთხჯერ აქვს ექსკლუზიურად გახსნილი „ჟივენშის“ ჩვენება.

აქ შოუ-ბიზნესის სიახლეების შესახებ ყველაზე პოპულარული საიტია „ბესტინ უა“, რომელიც მთლიანად აშუქებდა ჩემს ჩვენებას თავისი „აფთერ ფართით“ და, ერთ წუთში მნახველების ისეთი რაოდენობა შევიდა, რომ საიტი ორი წუთით გაითიშა. ჩვენების მეორე დღეს გავემგზავრე ხარკოვის მოდის კვირეულზე, სადაც ვიყავი მთავარი მიწვეული სტუმარი. ეს იყო ჩემი, როგორც დიზაინერის, პირველი გასტროლი. ხარკოვის ჩვენებამაც ძალიან დიდი წარმატებით ჩაიარა.

**– რა გეგმები გაქვს?**

– ვაპირებ, გავაკეთო ყოველდღიური ხაზის „კაფსულა“ კოლექცია და, მაინტერესებს,



აღმოჩნდება თუ არა ეს წარმატებული. საკუთარი ბუტიკის გახსნას ჯერჯერობით, არ ვაპირებ. მაქვს ჩემი „შოუ რუმი“ კიევში და შერეულ მაღაზიებში იყიდება ჩემი სამოსი. ძალიან დიდი დაინტერესება წამოვიდა რუსეთის უსერიოზულესი მაღაზიებიდან. ამ კონტაქტებში ქეთა თოფურია მეხმარება. ყველა ჩემი მეგობარი მეუბნება, რამხელა პოზიტივსაც გასცემ, იმავეს იღებ უკანო, რითიც უზომოდ ბედნიერი ვარ.

**სალომე გველესიანი**

**გასულ ორშაბათს „ნიჭიერის“ სცენაზე მაყურებლის წინაშე კიდევ ერთი ნიჭიერი ადამიანი წარდგა: 25 წლის ზურა ბალანჩივაძე, რომელმაც სტვენით ოპერა „რიგოლეტოდან“ ერთ-ერთი არია შეასრულა და როგორც ჟიურის, ასევე მაყურებლის მხრიდან, დიდი მოწონება დაიმსახურა. ბლოგერი, მხატვარი, სოციალური მედიის მენეჯერი, საბოლოოდ, „ნიჭიერის“ „ბულბულიც“ გახდა.**

# რატომ ასრულებს ზურა ბალანჩივაძე ოპერაში მამაკაცის პარტიებს სიმღერით, ხოლო ქალისას – სტვენით

**ზურა ბალანჩივაძე**: ახლა ვმუშაობ კომპანია „ჯეპრაში“ – ვარ სოციალური მედიის მენეჯერი, ანუ პიარი – კრეატივი მე მეხება. სასურველია, 24 საათი სოციალურ ქსელებში ვიყო, რადგან, კომპანიებმა, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით, უნდა იცოდნენ: რა ხდება მათ გარშემო. ამას გარდა, კიდევ არის სხვა საქმეები და მოკლედ, სულ ასეთ გაწამაწიაში ვარ.

**– სამაგიეროდ, საინტერესო საქმიანობას ეწევი.**

– მართლაც საინტერესოა და ნამდვილად არ მაქვს საწუწუნოდ საქმე. თან, ეს საქმიანობა მოითხოვს იმ მრავალფეროვნებას, რაც, ვფიქრობ, გამაჩნია და, შესაბამისად, ამ მხრივ, არ ვდუნდები. მრავალფეროვნება ჩემი წამალია. ვმღერი, ვხატავ – ნოემბერში თუმანიშვილში მექნება გამოფენა. ბლოგერიც ვარ – ვწერ თეატრზე, კინოზე, ბუნებაზე, ხატვაზე, ხელოვნებაზე, პირად რაღაცეებზეც, პოლიტიკაზე – ნაკლებად. ანუ, მრავალპროფილიანი ბლოგი მაქვს – Zurriuss.ge.

**– როდის დაიწყე სიმღერა?**

– გვარი, ხომ იცი, მაინც თავისას შვრება. ჯორჯ ბალანჩინი ჩემი წინაპარი იყო. ანუ, შტო ორად გაიყო: ერთი შტოს წარმომადგენლები წავიდნენ რუსეთში, ჩვენები აქ დარჩნენ. ვმღერი ბავშვობიდან, ვხატავ 3 წლიდან. ორივე სფეროში თვითნასწავლი ვარ. მუსიკაში, მაგალითად, ნოტებიც არ ვიცი. ერთიც და მეორეც ჩემით ვისწავლე. თუმცა, ცოტა ხანი დავდიოდი ვოკალზე, ასე 4-5 წლის წინ, ოღონდ საოპეროზე, რადგან თავიდან ბოლომდე კლასიკა ვარ. 2003 წლამდე, პუგაჩოვადან დაწყებული, ყველაფერს ვუსმენდი. თუმცა, კლასიკა უფრო მიყვარდა. სკოლის გუნდში, ხანდახან ეკლესიაშიც ვგალობდი. 2003 წელს კი ვნახე ფრანკო ძეფირელის ფილმი „კალასი – სამუდამოდ“. მარია კალასის წყალობით გავიცანი ეს ჟანრი და თუ ჩემს ცხოვრებაში ან აზროვნებაში მოხდა რევოლუცია, ეს სწორედ აქედან დაიწყო. ჯერ შევიყვარე მარია კალასი, შემდეგ ოპერით დავინტერესდი, სიღრმეებში ჩავედი, გადავედი მოცარტზე, ბახზე, სიმფონიებზე. მოკლედ, ჩემმა ყურმა ეს ყველაფერი გაიგო და მიიღო. დავიწყე მოსმენა, სიმღერა. ამ ყველაფერმა ხატვაშიც მოახდინა გარდატეხა – სულ სხვანაირად „გამეხსნა“. ჩაცმის სტილიც შემეცვალა – კლასიკურად ვიცვამ. სამაგიეროდ, არ მიყვარდა როკი, რადგან როკში  არ არის ბუნებრივი ბგერები. მაგრამ, მერე გავიცანი ლუკა ზაქარიაძე, დავმეგობრდით და მან მოახდინა ჩემში გარდატეხა. მანამდე, თუ მეგობრები მეხვეწებოდნენ: ამას მოუსმინე, ან ამასო, ლუკამ ეს ყველაფერი ისე იმღერა, რომ მე გავიგე. ახლა როკიც ძალიან მიყვარს, თუმცა, კლასიკასთან შედარებით, მეორე ადგილზეა. ჯაზზე ჯერ ასეთი რაღაც არ მომხდარა, მაგრამ, ალბათ, ამის დროც დადგება. მე, რასაც ვუსმენ, მინდა, ის ვიცოდე საფუძვლიანად. მაინტრესებს მუსიკის შექმნისას რა იყო მის გარშემო: რა პერიოდში შეიქმნა, რამ განაპირობა, რომ ეს შედეგი მოსულიყო. იგივე ხდება ხატვაშიც. ამით, გარკვეულწილად ,საკუთარ თავსაც ვაკვირდები: რა ხდება ჩემ გარშემო და როგორ შემიძლია, შევეპასუხო ამას. სტვენის შემთხვევაშიც, დაახლოებით ასეა საქმე.

**– კარგად გამოგდის სიმღერა?**

– მამაჩემს არ სჯეროდა და მერე, ტვინი რომ წავიღე, სახლი რომ გადავდგი, მასწავლებელთან ნიშნის მოგებით წამიყვანა: ჩვენც დაგვასვენებ და შენც დაისვენებო. თუმცა, საბოლოოდ მიულოცეს: ხომ არ გაგიჟდი, ძალიან მაგარიაო და მერე მამაჩემმაც დაიჯერა. ცოტა ხანი დავდიოდი პედაგოგთან, მაგრამ, მერე ჯარი, მუშაობა დავიწყე და ველარ მოვახერხე. „ნიჭიერის“ შემდეგ კიდევ ვაპირებ, გავაგრძელო. ჩემთვის სულ ვმღერი, „იუთუბიზე“ ვიდეოებიც მიდევს. პროფესიონალურ დონემდე, მეც ვხვდები, რომ რაღაცეები მაკლია. მაგრამ, ვიცი, ვგრძნობ და სხვებიც მეუბნებიან, რომ მაქვს ხმა, მაგრამ უფრო მეტად დახვეწას, რა თქმა უნდა, დრო სჭირდება. როცა დრო მაქვს, ან ვმღერი, ან ვუსტვენ, ბოლო დროს ძირითადად ვუსტვენ – ვრეპეტიციობ. სამსახურშიც, ქუჩაშიც, ოღონდ, შესაძლებლობის ფარგლებში. მაგრამ, ხანდახან თუ გამეხსნა – მტრისას. ამ დროს მეგობრები მაჩერებენ: გაჩერდი, სირცხვილია, ყველა შენ გიყურებსო. მე ვპასუხობ: სიგარეტის მოწევას და ქუჩაში „ბიჩოკის“ დაგდებას, მირჩევნია, დავუსტვინო ან ვიმღერო, რადგან ამით  ნაკლები ზიანი ადგება გარემოს-მეთქი. არ მიყვარს არც დალევა და არც სიგარეტი, ვუფრთხილდები თავს.



**გვარი, ხომ იცი, მაინც თავისას შვრება. ჯორჯ ბალანჩინი ჩემი წინაპარი იყო. ანუ, შტო ორად გაიყო: ერთი შტოს წარმომადგენლები წავიდნენ რუსეთში, ჩვენები აქ დარჩნენ**

**– ახლა სტვენას რაც შეეხება...**

– მამაკაცის პარტიებს ხმით ვმღეროდი, ქალის, ანუ სოპრანოს პარტიებს, ვუსტვენდი. თავიდან, რა თქმა უნდა, არ იყო ადვილი, მაგრამ, მერე ნელნელა დაიხვეწა. 2003 წელში დავიწყე და უკვე 10 წელია, ამ საქმეს ვაკეთებ. არიებს ავაყოლე სტვენა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მივხვდი, რომ მქონდა ამის მოთხოვნილება. თან, გამომდიოდა, და მოკლედ, ვარჯიშია ყველაფერი, რა თქმა უნდა, ნიჭიც. ბევრი ჩანაწერი მაქვს, „იუთუბიზეც“ მიდევს ვიდეოები. თან, ვუსტვენ, თან ვხატავ, თან ვმღერი და თან ვმუშაობ – აქ უფრო თავს ვაფარებ  ხანდახან.

**– აქამდე არსად გიმღერია ან არ დაგისტვენია? – ფართო საზოგადოებას ვგულისხმობ.**

– არა, რადგან აქამდე მიშლიდნენ, ახლა – არა. სტვენამ იცის უფულობა და ათასი სისულელეო.. სახლშიც მიშლიდნენ. ერთი მომენტია: ვერავინ ამბობდა, რომ ცუდად ვუსტვენ. სამაგიეროდ, მეუბნებოდნენ: ვწუხდებით, სახლში არ შეიძლება, ტყეში წადი, იქ უსტვინეო... მაგრამ, მეორე მხრივ, სიამოვნებდათ.

**– რატომ გადაწყვიტე „ნიჭიერში“ მონაწილეობა?**

– ადრეც მითხრეს მეგობრებმა, გამოდიო. „ნიჭიერიდანაც“ იყო შემოთავაზება: შენი ვიდეოები ვნახეთ და გამოდიო. მაგრამ, თავს ვიკავებდი, რადგან ოჯახიდან სერიოზული წინააღმდეგობა მქონდა: არ გახვიდე, თავს შეირცხვენ, ხალხი არ მიიღებსო  და ამაში მეც ვეთანხმებოდი. ძალიან ძნელია, ქართველმა რაღაც მიიღოს, თუ მას კარგად და სწორად არ მიაწვდი. მეორე: სამსახურის გამო, შეიძლება, არასერიოზული ადამიანის იმიჯი შემქმნოდა. სამსახურშიც ვიკითხე, მითხრეს: არ არის პრობლემა, გადიო. დანარჩენი – ცოტა რისკის მომენტი იყო. საკუთარ თავში დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, არ გამოვიდოდი. ანუ, მე თუ კმაყოფილი დავრჩეობდი და ხალხი ტაშს არ დამიკრავდა, ეს საერთოდ არ დამაინტერესებდა. მთავარი იქნებოდა ის, რომ მე საკუთარ თავთან ვიქნებოდი მართალი და თავს გავართმევდი იმ ამოცანას ზუსტად ისე, როგორც მქონდა ჩაფიქრებული. მუსიკასთან და საკუთარ თავთან თუ ვიქნებოდი მართალი, ამას ხალხის რეაქცია არ მოჰყვებოდა, ეს იქნებოდა: „ვერ გამიგეს ამბავი“. საერთოდ არ ვნერვიულობდი სცენაზე, შეიძლება, ნერვიულობის რეფლექსი გამოვრთე ტვინში, არ ვიცი. გადაცემას რომ ვუყურე, მაშინ უფრო ვინერვიულე. მე გამოვედი ალალ-მართალი ადამიანი, დავდექი სცენაზე და ვთქვი: მე ამას ვაკეთებ, დანარჩენი თქვენ შეაფასეთ. დიდი მადლობა ყველას, რომ გამიგეს და შეიძლება, პატარა მითიც დავამსხვრიე. სადღაც 4-5 წამის შემდეგ, აპლოდისმენტები რომ წამოვიდა, მივხვდი, რაღაც მომეშვა, უფრო მეტად გავთავისუფლდი და შევედი როლში. ოჯახის წევრებსაც, როცა გავაცანი ჩემი გადაწყვეტილება, ვუთხარი, ეს ჩემს მეორე მხარეს, ანუ ხატვასაც დაეხმარება, რადგან ხატვისა და მუსიკის გარეშე არ შემიძლია-მეთქი. ამით რომ ვერ გამოვხატავდე ემოციებს, დიდხანს ვერ ვიცოცხლებდი – ორივე ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაა და შემდეგ უკვე მეხმარება სამსახურში, კრეატიულობაში – შეხმატკბილებულები არიან.

**– რას გვიმზადებ მეორე ტურში – ხატვასაც, ხომ არ დაიხმარ?**

– შეიძლება. უნდა შევთანხმდეთ და ჩამოვყალიბდეთ, ჯერჯერობით ბოლომდე არ ვარ ჩამოყალიბებული. გარკვეული იდეები მაქვს, მათ უნდა გავაცნო. ისინიც თავის იდეებს მეტყვიან და საბოლოოდ შევჯერდებით. ერთი რამ ვიცი, რომ იქნება უფრო მეტად რთული და საინტერესო – ეს მაქვს თამასად აღებული.

**– ვინც ასეთ კონკურსში მონაწილეობს, მას გარკვეულწილად, მოგების ამბიციაც აქვს.**

– რა თქმა უნდა, მეც მაქვს ამბიცია. ვნახოთ, რას გადაწყვეტს საზოგადოება. მინდა მოგება და ძალიან გამიხარდება კიდეც. ხშირად ვაშუქებდი „საქართველოს ვარსკვლავსაც“ და მერე, ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა: რასაც ფოტოებს ვუღებდი, ახლა იქ, იმ ადგილას მე ვიდექი. ყველაფერი ბოლომდე მაქვს გააზრებული, არანაირი ილუზია არ მაქვს, რაციონალურად ვაფასებ ჩემს თავს. შესაბამისად, გააზრებულად შევხვდები მოგებსაც და წაგებასაც. ჩემთვის მთავარი იყო, საზოგადოებას ეს მიეღო, რადგან ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოება რაღაცეებისთვის მზად არის. გარდა ამისა, მინდა, მე დავრჩე კმაყოფილი, მოვძლიერდე. და მესამე: ეს ორი კომპონენტი თუ საკმარისი აღმოჩნდება, დაე, გავიმარჯვო!

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ბოშენი**: განათლებას სულელის სწავლულად გადაქცევა შეუძლია, ოღონდ, დაბადებიდან თანდაყოლილ ანაბეჭდს ვერასოდეს ვერ წაშლის.

**გოეთე**: ვინც მტრობას დანებდება, ის მალე მარტოხელა გახდება.

**მამარდაშვილი**: ადამიანი იწყება ღირსებიდან და მას მხოლოდ საკუთარი ღირსების გავლით შეუძლია ჭეშმარიტად გააცნობიეროს თავი ამა თუ იმ ერის შვილად! ქართველობა არ არის ბიოლოგიური მოცემულობა – ეს არის ნება, იყო ქართველი, ნება კი რაინდული ფენომენია და, მე თუ არ მაქვს ის, რამდენიც არ უნდა ინებოს ერმა, მე ვერც კაცი ვიქნები და ვერც ქართველი!

**გაიუსი**: უფრო ადვილია სიკვდილზე წამსვლელი ადამიანის პოვნა, ვიდრე იმისი, ვინც ადვილად აიტანს ტკივილს.

**ტოლსტოი**: კარგად იფიქრე და აზრები კეთილ საქმეებში მოშინფდებიან.

**ჰერდერი**: ადამიანის ვნებები ყოველთვის ფხიზლობენ და შემთხვევას ეძებენ თავის გამოჩენისას. გონებას კი სძინავს იმ დრომდე, ვიდრე გამოაფხიზლებენ.

**პლატონი**: დროს ყველაფერი მიაქვს; წელიწადთა გრძელ წყებას უნარი შესწევს, გამოგიცვალოს სახელიც და გარეგნობაც, ხასიათიც და ბედიც.

**ჰერბსტი**: კრიტიკა არის ხელოვნება, ისე გამდიდრდე სულიერად სხვის ხარჯზე, რომ ქურდობა ვერავინ შეგნიშნოს.

**პასკალი**: სამართლიანობა ძლიერი უნდა იყოს, ხოლო ძალა – სამართლიანი.

**რუსო**: ცოცხლობდე – არ ნიშნავს, სუნთქავდე; ეს ნიშნავს – მოქმედებდე. იმ ადამიანმა კი არ იცოცხლა მეტხანს, ვინც მრავალი წლისა მოიყარა, არამედ, იმან, ვინც უფრო მეტად იგრძნო სიცოცხლე.

***

თქვენ ვერასოდეს შექმნით ბრძენებს, თუკი ბავშვებში სიცელქეს ჩაკლავთ.

**კლიუჩევსკი**: ღირსეული ადამიანი ის კი არ არის, ვისაც ნაკლი არ გააჩნია, არამედ ის, ვისაც ღირსება გააჩნია.

**ლიხტენბერგი**: ბევრის წამკითხველი ხალხი იშვიათად აკეთებს აღმოჩენებს; ჯობია, ბევრი რამ თვითონ ნახო, ვიდრე სხვისი სიტყვები გაიმეორო.

**ტეოფრასტე**: თუ შენ აღზრდილი არა ხარ და დუმილი შეგიძლია, მაშინ აღზრდილი ხარ. თუ აღზრდილი ხარ და დუმილიც შეგიძლია, მაშინ ბრწყინვალედ აღზრდილი ხარ.

**ლაროშფუკო**: საღად მოაზროვნე კაცისთვის უფრო ადვილია, დამთხვეულთა ნებას დაემორჩილოს, ვიდრე თავის ნებაზე ათამაშოს ისინი.

**გალაკტიონი**: როგორ ბევრია შვილი ადამის, როგორ ცოტაა ადამიანი!

**ბელინსკი**: კარგი აზრები უნებურად სხვებსაც აიძულებენ, რომ კარგი აზრები გამოთქვან.

**ტვენი**: ადამიანის შექმნა – ფრიად ორიგინალური და დადებითი აზრი იყო, მაგრამ, ამის შემდეგ ცხვრის შექმნა – გამეორებას უდრიდა.

**ლესინგი**: უკეთესია, მოითმინო უსამართლობა, ვიდრე ჩაიდინო ის.

**კონფუცი**: ბოროტ ადამიანებთან ყოფნა და მათი მოსმენა ბოროტების დასაწყისია.

**ლანდაუ**: ჯობია, ქალი აღმაფოთდეს, ვიდრე მოიწყინოს.

**უაილდი**: მამაკაცი უნდა გაანალიზო და განიხილო, ქალი კი უნდა გააღმერთო.

# თუ გამოიცნობთ

1. ეს საწერი მოწყობილობა 1714 წელს ინგლისელმა მილმ ბრმებისთვის გამოიგონა. მხოლოდ 70-იან წლებში მოიფიქრეს ამერიკელებმა, შეეთავაზებინათ ჩვეულებრივი ადამიანებისთვის. ის სულ მალე ფართოდ გავრცელდა და ნებისმიერი დაწესებულების, ორგანიზაციის საქმიანობა მის გარეშე წარმოუდგენელი იყო. მისი ერთ-ერთი პრინციპი თანამედროვე კომპიუტერული მოწყობილობის ერთ-ერთ ნაწილს უდევს საფუძვლად. **რა გამოიგონა მილმ?**

2. კათოლიკეები ღმერთთან დაახლოებას ოთხი ფერით და შემდეგი თანმიმდევრობით ცდილობენ: შავი, იისფერი, წითელი და თეთრი. **როგორ?**

3. იულიუს კეისარმა, იმის აღსაკვეთად, რომ გაქცევისას მეომრებს ბრძოლის ველზე იარაღი არ დაეყარათ, შესანიშნავი ხერხი მოიგონა. **რა?**

4. მალაიზიამ ავტომაგისტრალების ახალი მასალით დაფარვა დაიწყო და ამასვე ურჩევს ხშირწვიმიან და ნესტიან ქვეყნებს. ამ მასალით დაფარულ გზებზე რეზინის ბორბლები არ სხლტის წვიმის დროსაც. **რა მასალით ფარავენ გზებს?**

5. პირველყოფილი მხატვრები გამოქვაბულის კედლებზე ცხენ-ირმებს არანორმალურად დიდი ქვედა ტუჩით გამოსახავდნენ. **რატომ?**

6. თავის დროზე ერთმანეთს დიდ კონკურენციას უწევდნენ ეგვიპტის ალექსანდრიის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკა პერგამში. იმისთვის, რომ მოეპოვებინა მონოპოლია, ეგვიპტის მეფე პტოლემეუს მეხუთემ აკრძალა პაპირუსის ექსპორტი, რომლითაც ოდითგანვე ვაჭრობდნენ ეგვიპტელები. **რით უპასუხა პერგამის მეფე ევმენ მეორემ?**

7. ივანე მრისხანემ (1547-1584) საბოლოოდ გააუქმა მოსკოვის მთავრის ტიტული. თუმცა, მოსკოვის ბოლო მთავარი 1815 წელს გარდაიცვალა. **როგორ?**

8. ტექნიკური მონაცემები: საწყისი სიჩქარე – 14 მეტრი წამში, გაფრენის სიმაღლე – 12 მეტრი, რისთვისაც იგივე პრინციპებია გამოყენებული, რაც ცეცხლსასროლ იარაღში. **რა მიფრინავს ასე?**

9. მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის მთავრობამ კარტოფილის კულტურა შემოიტანა ქვეყანაში გასავრცელებლად, მაგრამ, დიდ წინააღმდეგობას წააწყდა – გლეხებს არ უნდოდათ უცნობი მცენარის დათესვა თავიანთ მინდვრებში. მთავრობამ მაინც მოახერხა ამ კულტურის გავრცელება. **ახსენით, როგორ, თუკი ამისთვის კარტოფილით დათესილი მინდვრები შემოღობეს და დაცვაც დაუყენეს.**

10. **რომელი** კომპოზიტორები ქმნიან ეტიუდებს, რომელთა დაკვრა არც ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე არ შეიძლება?

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ძველ ჩინეთში გავრცელებული იყო სანთლის საათები. ისინი დაყოფილი იყო ნაწილებად და თითოეული დანაყოფი დაახლოებით ერთ საათს იწვოდა. ეს იდეა ასაფეთქებელზე მისაბმელი მავთულების დასამზადებლად გამოიყენეს, ოღონდ, ისინი წამში 1 სანტიმეტრი სიჩქარით იწვიან.

* საქალაქო ტრანსპორტის მსოფლიოში გავრცელებული ერთ-ერთი პრობლემა უბილეთო მგზავრობაა, რომელსაც, ძირითადად, ვერაფერი მოუხერხეს. სწორედ ამისთვის, ტაილანდში შემოიღეს სისტემა, რომლის შედეგადაც, არა მარტო გაქრნენ უბილეთოები, არამედ, გამოყენებული ბილეთებითაც აღარ ნაგვიანდება ტროტუარები. აღსანიშნავია, რომ მგზავრებს ბილეთის აღებას არავინ აძალებს – ბილეთების ნომრებით ლატარიის გათამაშება დაიწყეს.

* უნიტაზი, რომელსაც ახლა თითქმის ყველა სახლში შეხვდებით, ჩვენთვის აუცილებელი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო დეტალია, იაპონელებისთვის კი – თითქმის ხელოვნების ნიმუში. მის დასამზადებლად საუკეთესო მასალაა კრიპტომერიის მერქანი, რომელსაც შესანიშნავი ფერი, სასიამოვნო სუნი და კარგი აკუსტიკა აქვს.

* ამერიკელი მეტყევეები ბრაკონიერების ფაქტზე დასაჭერად ირმის მოძრავ ფიტულებს იყენებენ.

* ფირდოუსის პოემა „შაჰ ნამეს" თითოეულ სტრიქონში შაჰმა თითო თუმანი გადაუხადა.

* დღეს ასე გავრცელებული გამოგონება – ბურთულიანი კალამი – დიდი ხნის განმავლობაში არ მიიღო საზოგადოებამ. ამ სასარგებლო გამოგონებას არ ცნობდნენ და არ უშვებდნენ ბიზნესში, განათლებასა თუ პოლიტიკაში. სიახლე მხოლოდ მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც მისი გამოყენება მხატვრებმა დაიწყეს.

* დღეს სახანძრო მანქანების ყალბ გამოძახებათა უმრავლესობაზე პასუხისმგებლები არიან სატელეფონო ხულიგნები. მაგრამ, მეცხრამეტე საუკუნეში ყალბ გამოძახებათა ძირითადი მიზეზი ამერიკაში კოლო იყო – ამ მწერების დიდი გუნდები ხშირად შორიდან კვამლად ეჩვენებოდათ.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. ეe4-b4!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



გაბრაზება ცუდი მრჩეველია... ამიტომ, დაწყნარდით, შეამცირეთ სუნთქვის ტემპი, ნელ-ნელა დათვალეთ ათამდე და... შეგიძლიათ, ესროლოთ!

***

სიყვარულის ტესტი:

მოჰკიდებთ ხელს თქვენს შეყვარებულსა




და ძაღლს, ჩაკეტავთ კარადაში, დაელოდებით 20 წუთს და აღებთ კარადის კარს.

აბა, ვინ როგორ შეგხვდა, ვის გაუხარდა შენი დანახვა... მაშასადამე, ვის უყვარხარ?

***

ჩემს ქმარს კოსტიუმი – „ტროიკა“ ვუყიდე: ტრუსები და ორი ნასკი... მიყვარს და ვანებივრებ, გენაცვალე...

***

პატრულის მოხსენებიდან:

„სიგნალიზაცია ჩაირთო არა იმის გამო, რომ აგური საქარე მინას მოხვდა, არამედ აგური იმიტომ მოხვდა საქარე მინას, რომ სიგნალიზაცია ჩაირთო“.

***

როდესაც ცოლთან ჩხუბობთ, კარგად დაფიქრდით, რა გინდათ – თქვენი სიმართლე გააგებინოთ თუ მშვიდად იცხოვროთ.

***

ერთი ბოთლი კონიაკის დალევის შემდეგ საუბარი გადადის ინფორმაციის გაჟონვაში...

***

– თქვენ ძმები ხართ?

– არა, ტყუპები!

– ტყუპები ძმებს არ ნიშნავს?

– ყოველთვის არა. მაგალითად, ჩვენ დები ვართ...

***

ვერ ვიტან, როდესაც საშინელებათა ფილმებში ადამიანი შედის სახლში და კითხულობს: „აქ არის ვინმე?“ – თითქოს სამზარეულოდან მკვლელი გამოეპასუხება: „ჰო, სამზარეულოში ვარ... სადილი მოვამზადე!..“

***

ქუჩაში მიდის გამხდარი, ჩია კაცი. წინ ორი მუტრუკი გადაუდგა:

– აბა, ბიძაჩემო, დაყაჭე მაყუთი!

– მოიცა, ბიჭებო, ბევრნი ხართ?

– ასე ექვსი... შენ ფული მაიტა!

– არ გინდათ, გთხოვთ, მოხუცი ვარ, სუსტი... ჩხუბი არ შემიძლია... მართლა ექვსნი ხართ თუ მეტნი?

– ფული-მეთქი! ექვსნი ვართ, ექვსნი, არაფერი გეშველება...

– ჰო, სხვა საშველი არ არის.... – და მოხუცმა ქამრიდან ნაგანი ამოიღო...

***

ოჯახური კამათი:

– შენი ყველა დაქალი მახინჯია!

– შენი ყველა ძმაკაცი კი სვამს...

– ეს იმიტომ, რომ ყველა შენი დაქალი მახინჯია!..

***

– ამ ობიექტზე რამდენი კაცი მუშაობს?

– ბრიგადირთან ერთად – ათი.

– ბრიგადირის გარეშე?

– ბრიგადირის გარეშე საერთოდ არავინ მუშაობს...

***

ტიპი, რომელსაც ხელში შოკოლადის ერთი ფილა უჭირავს, აფთიაქში პრეზერვატივების შეკვრას ყიდულობს. აფთიაქარი უცნაურად უყურებს და ბოლოს თავშეკავებით ეუბნება:

– იცით, მთელი შეკვრა არ დაგჭირდებათ, მაგ შოკოლადთან ერთიც საკმარისი იქნება...

***

– ჰოლანდიაში თქვენი ვიზიტის მიზანი?

– მოვწიოთ ბალახი და გავიაროთ ქალებში...

– ასეც დავწეროთ: ღირსშესანიშნაობების დათვალიერება...

***

დილის 6 საათია. სადღელამისო ყვავილების მაღაზიაში შედის ინტელიგენტურად ჩაცმული მამაკაცი, თუმცა „მღელვარე ღამის“ კვალი აშკარად ეტყობა.




– ძალიან ლამაზი თაიგული მინდა, ცოლისთვის... და რაც შეიძლება რბილი.

***

– იცით, ჩემი ცოლი თავისიანებთან წავიდა და მე მოსამსახურესთან ვიწექი...

– რამდენჯერ?

– პასტორო, რას ნიშნავს, რამდენჯერ? მე თქვენთან აღსარების სათქმელად მოვედი და არა სატრაბახოდ....

***

– თქვენ რომ ნაწილები მოიტანეთ, თქვენს ავტომანქანაზე არ მიდის...

– შეიძლება... სამი მანქანა შევეჯახეთ და...

***

– ვერ იუარებ, მე თვითონ დაგინახე... ახლავე მითხარი, მანქანაში ვის კოცნიდი? – ეკითხება მკაცრი მამა ქალიშვილს.

– რა ფერის მანქანაში?

***

ნურავის გაუტეხთ გულს – ადამიანს ის მხოლოდ ერთი აქვს.

გაუტეხეთ ძვლები – ის საკმაოდ ბევრი აქვს – 206.

***

თქვენ მამაკაცისთვის ერთადერთი ხართ, თუ არ მოაქვს საჩუქრები; ტანსაცმელს და „ნასკებს“, სადაც გაიხდის, იქ ყრის; ლუდის ბოთლით ხელში ზის და ფეხბურთს უყურებს... თქვენთან ნამდვილად კარგად გრძნობს თავს...

***

არასდროს შეგეშინდეთ, აკეთოთ ის, რაც არ იცით! გახსოვდეთ: კიდობნის გამკეთებელი ნოე სულაც არ იყო სპეციალისტი, პროფესიონალებმა კი „ტიტანიკი“ ააგეს.

***

ციხეში ერთ კამერაში სამი პატიმარია: მკვლელი, ქურდი და ნარკომანი.

– მოდი, ზედამხედველს მოვკლავ და გავიპაროთ!

– არა, ჯობია, გასაღებს მოვპარავ, კარი




გავაღოთ და ისე გავიპაროთ!

– ბიჭებო, მოდი, ცოტა ნარკოტიკი... და არსად წასვლა არ დაგვჭირდება...

***

დედა სამსახურიდან ბრუნდება. აბა, ბავშვებო, ვინ გაახარებს დედას, რა გააკეთეთ დღეს?

– მე ჭურჭელი დავრეცხე! – წამოიძახა პირველმა.

– ყოჩაღ, აი, შენ შოკოლადი.

– მე ჭურჭელი გავამშრალე! – თქვა მეორემ.

– შენც ყოჩაღი ხარ, აი შენ, სალეჭი რეზინები.

– მე ნამსხვრევებით სავსე ვედრო გავიტანე და ნაგავში გადავყარე! – თქვა მესამემ.

***

ყველაზე სწრაფად ევოლუციას სანტექნიკოსები განიცდიან. ყველა გამოძახებული სანტექნიკოსი წინაზე ჭკვიანია – პრაქტიკულად, ყველას წარმოთქმული ფრაზა ასე ჟღერს: „ასე ვინ შტერმა გაგიკეთათ?!“

***

ალკოჰოლს შეუძლია გუნება-განწყობა აგიმაღლოთ დისტანციურადაც კი. ასე მაგალითად: გირეკავთ თქვენი მეგობარი და გეუბნებათ, რომ არაყი უკვე იყიდა... თქვენ ის არ დაგილევიათ, მაგრამ უკვე კარგ ხასიათზე დადექით...

***

სამსახურს სამი პლუსი აქვს: პარასკევი, ხელფასი და შვებულება.

# ინდური ფილმების მოყვარული ბანძელი ეკა და მაკას ამბავი

1978 წელია დააა.. (ოსმალეთში ვარ!!!)

იმ წელს (ზემოთ რომ წერია) მესამე კურსის სტუდენტი ვარ და გაზაფხულია. „გაზაფხულია, გულს რომ გიჩქროლებს, სისხლი რომ დუღს“... და ერთ დაბადების დღეზე გავიცანი „ძველი კოლხეთის“ (ბანძა – ამ შემთხვევაში) ტურფა, აშოლტილი, ცისფერთვალება და საოცნებოდ-საოცნებო ეკა ლაბახუა, რომელიც ჩამოგოგმანებული გახლდათ დედაქალაქში უმაღლესი განათლების მისაღებად.

„გავიცანი. უცოლო ვარ, დავდნი ღორი ქონივითაა“!!!

გარეგნობა (ჩემი სკალით) 120 პროცენტი – აი, შინაგანი ისა... ინტელექტი თუ რაცხა რომ ჰქვია – 20 პროცენტს ვერ სცდება, ვერ ქაჩავს!

იმასაც მოვეწონე (ნამეტნავად!).

ზეგ მივდივარ მე, მაგალითად, ბანძაშიო... მივდივარო... ოღონდო, შენ არ იდარდოო, გაისადაც ჩამოვალო ისევ და აუცილებლად ჩავაბარებო, მითხრა ჩურჩულით... მერეო, აგერ შენო... (მე ხომ ისედაც აგერ ვარო) და, და... მერეო, მერეო...

– გამომშვიდობების წინ ინდური კინო გადის კინოთეატრ „კოლმეურნეში“ – „ტანცუი, ტანცუი“ და იქ დამპატიჟე, ძალიან კმაყოფილი დავრჩებიო, – იმან, „საოცნებომ“...

კინო „კოლმეურნეში“ „ტანცუი-ტანცუი“ გავიდოდა, აბა, ვერსაჩეს გამოფენას ვინ აჩვენებდა (ესეც შენი ინტელექტი!)?!




უარი როგორ მეთქვა?

ინდური კინოს ორი სერიის ყურება (თავისი სიმღერებით) ჩემთვის იგივე იყო, ღორი რომ დაკლა გაულესავი დანით.

გულზე ვსკდები, ეს როგორი ინტერესით „ჭამს ეკრანს“, თან, სიმღერებს ხმას აყოლებს.

პირველ სიმღერაზე წავუყვინთე... მეორეს ვეღარ გავუძელი, ჩემს საოცნებოს მოვუბოდიშე, სიგარეტს გავაბოლებმეთქი და ფოეში გამოვედი.

სამი მოზრდილი „ვინსტონი“ ვხიე, სანამ იქ „დინგი-დინგი“ დამთავრდა.

მოკლედ... გამოვედით გარეთ და უკვე დავკარგე ამ ქალის ინტერესი.

ვაიმე, აღტაცებული და ბედნიერიაა?! კმაყოფილებისგან მიწაზე არ ეტევა, ცაში გაფრენას ლამობს.

მატარებელზე გავაცილე... ცხვირსახოცი ამოიღო და ფანჯრიდან მიქნევდა.

წავიდა მატარებელი და წაიყვანა ჩემი – „ტანცუი, ტანცუი“ – ეჰ, მომავლამდე! ჩემი კოორდინატები ჰქონდა, თავისი არ დამიტოვა (იეჭვიანებენო ჩემები) რად გინდა მერე... ერთი წერილიც არ მოუწერია (დეპეშა ხომ – „ვაბშე“)

დალოცვილია დრო... დრო მკურნალია. მიმავიწყდასავით...

დაბადების დღეზე აღმოვჩნდი, თან თამადა ვარ. სუფრას ვუძღვები და... ეგერ, მაგიდის ბოლოში არ დავლანდე „ჩემი“ ეკა?! ზის და ასრიალებს ცისფერ თვალებს... მხედავს და ვერ მცნობს? – გამიელვა თავში...

თამადა ვარ და სუფრა ჩემს ხელშია. თან, მორჩილი კონტინგენტია... ცეკვა გამოვაცხადე და ელვისებურად დავითრიე. უარი არ უთქვამს, ნარნარად შევცურდით „აბბას“ მელოდიაში.

– როგორ ხარ, ეკა? – ჩავჩურჩულე ყურში, – დრო რომ შევარჩიე.

– ეკა? – უჰ, მე ეკა არ ვარ... ცოტა დაფიქრდა... ეკა? – უი, ჩემი ტყუპისცალი და... ეკას იცნობთ თქვენ? („შეხვედრა მთაში“ და ახლა დაბადების დღეზე).

– სად არის ეკა? – კოორდინაციის ელვისებური უნარი მაქვს.

– ეკა ხომ გათხოვდა?! – „მახარა“ ელვისებურადვე.

– უი, რა გამახარე! – არ დავიბენი. სად გათხოვდა?

– ჩვენთანვე... ბანძაში...

გოგონამ ძალიან გაიხარა და მოულოდნელად, რისკიანად... ახალგაზრდულად და გაბედულად, პირდაპირ მაჯახა:

– მე მაკა ვარ... ის გათხოვდა... მე აქ ვარ!

კიდევ ერთხელ ვიგრძენი, როგორ მოვწონდი მეგრელებს, განსაკუთრებით ბანძიდან და „ახალი ცხოვრება“ დავიწყე...

– მაკა, ხვალ შევხვდეთ... კარგი (მაშინ პირველი გაცნობა კინოთი იწყებოდა)?

– დიდი სიამოვნებით, ოღონდ, სადაც მე გეტყვით, იმ კინოთეატრში წავიდეთ.

– თანახმა ვარ, მაკა, სად?

– „კოლმეურნეში“ გადის გადასარევი ფილმი – „ტანცუი, ტანცუი“. როგორ მინდააა... წავიდეთ? (ჯიში ჯიშია). ვაიიი!

– არრააა! – ვიყვირე, ხელი შევუშვი და სათამადო სკამს დავუბრუნდი...

მოამზადა
მურმან მერკვილიშვილმა






გვ. 22

რატომ იყო ექვსი თვის განმავლობაში „ჯექსონის შოუს“ დეტალები ყველასთვის გასაიდუმლოებული და როგორ მიიწვიეს ამ შოუში ლევან ტორჩინავა



გვ. 50

რატომ ათამაშებდნენ მამუკა ლიპარტელიანს ბერძნულ სერიალებში მკვლელისა და აფერისტის როლებში

რატომ არის ქრისტინე იმედაძე მარტო და რა გავლენა იქონია ქორებმა მის პირად ცხოვრებაზე

გვ. 2



გვ. 71

ვის უხარებს გულს სოციალურ ქსელში შიშველი ფოტოებით მიშა სულუხია და როგორ გახდება ის იტალიაში პირველი მამაკაცი

სა… ლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალ… ოდის ორშაბათობით * №44 … 28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი * ფასი 1,50 ლარი